

K 230 074
3

1917-20
12-20-1917



K 230.074
3



ქართული
ბიბლიოთეკა



Handwritten signature or scribble in the top left corner.

საქართველოს
ბიბლიოთეკა





საქართველოს
ლიბრერიის

WILLIAM
SHAKESPEARE

KING
LEAR

MIDSUMMER
NIGHT'S
DREAM

„Literatura Da Khelovneba“

Tbilisi



ქართული
ენის ინსტიტუტი

ქართული
ენის ინსტიტუტი

ქართული
ენის ინსტიტუტი

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

საქ-2000
შემოწმებულია

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

საქართველოს
შრომის
ბიბლიოთეკა



Handwritten text in a stylized, bold script, possibly a title or a specific name, consisting of two rows of characters.

A vertical line of text or a decorative separator, featuring a small circular symbol at the top and a series of vertical bars below it.

A series of three horizontal lines, each with a small dot at its left end, possibly representing a list or a specific notation.



Handwritten text on the left side of the page, including the number '250' and the number '3'.

მოკმედნი პირნი

ლირი — ბრიტანეთის მეფე
მეფე საფრანგეთისა
მთავარი ბურგუნდიისა
მთავარი კორნუოლისა
მთავარი ალბანისა
გრაფი კენტი
გრაფი გლოსტერი
ედგარი — გლოსტერის შვილი
ედმუნდი — გლოსტერის უკანონო შვილი
კურანი — კარისკაცი
ოსვალდი — გონერილას მსახურთუფროსი
ბერიკაცი — გლოსტერის ხიზანი
ექიმი
მასხარა
ასისტავი — ედმუნდისა
კარისკაცი — კორდელიასი
კარისგზირი
მსახურნი — კორნუოლისა

გონერილა }
რეგანა } ლირის ასულნი
კორდელია }

რაინდები ლირისა, ასისტავები, შიკრიკები, ჯარის-
კაცები, მეფის ამაღა

მოკმედება წარმოებს ბრიტანეთში

მოქმედება პირველი

სურათი I

მეფე ღირის სასახლე

(შემოდინ კენტი, გლოსტერი და ედმუნდი)

კენტი

მე მეგონა, კორნუოლზე მეტად ალბანის მთავარი უყვარდა მეფეს.

გლოსტერი

ყველას ასე გვეგონა, მაგრამ სამეფოს გაყოფაზე რომ მიდგა საქმე, ველარ გაგიგია, ვინ უფრო უყვარს; ისე თანაბრად გაუნაწილა, ძალიანაც რომ უკირკიმალო, ვერ იტყვი, ვისი წილია უკეთესი.

კენტი

ეს თქვენი შვილია, შილორდ?

გლოსტერი

მაგის გაჩენაში მართლაც რომ დიდი ჯათა მაქვს გაწეული, ჩემო ბატონო, და იმდენჯერ გავუწითლებივართ ამის გახსენებაზე რომ ახლა სიწითლე აღარც კი მეკიდება.

კენტი

ვერ ჩავწვდი მაგ თქვენს სიტყვებს.

გლოსტერი

სამაგიეროდ, ამ ყმაწვილის დედა ჩაწვდა, და, მართალი თუ გნებავთ, ისე ხელად დაუმრგვალდა წელი, რომ ჯერ ქმარი არ შესწოლოდა

ლოგინში, ის უკვე აკვანში ბიჭს არწევდა. რას იტყვით — დიდი
ცოდვა ჩამიდენია?



კ ე ნ ტ ი

არჩადენა უფრო დასანანი იქნებოდა, რაკი ასეთი დიდებული ნაყოფი
გამოუღია.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კანონიერი შვილიცა მყავს, ბატონო, ერთი წლით ამაზე უფროსია,
მაგრამ ამაზე მეტად როდი მიყვარს. ეს თავხედი მოპატიუებას არც
დაელოდა, ისე უტიფრად გამოჰყო თავი ქვეყანაზე... მაგრამ, ჰოი,
რა მშვენიერი დედა ჰყავდა!.. ძალიანაც ვისიამოვნე ამის ჩასახვაში,
და როგორღა უნდა მეტქვა უარი ნაბუშარის მამობაზე... ამ კეთილ-
შობილ ბატონს არ იცნობ, ედმუნდ?

ე დ მ უ ნ დ ი

არა, ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კენტის მთავარი გახლავს. ამიერიდან გახსოვდეს, ჩემი უკეთილშო-
ბილესი მეგობარია.

ე დ მ უ ნ დ ი

თქვენს მონამორჩილად მიგულებთ, მილორდ.

კ ე ნ ტ ი

მუდამ მეყვარები და შევეცდები უკეთ გაგიცნო.

ე დ მ უ ნ დ ი

მეც ვეცდები, რომ მაგისი ღირსი გავხდე, ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მთელი ცხრა წელიწადი არა ყოფილა შინ, და მალე ისევ აპირებს გამ-
გზავრებას. აგერ, მეფე მობრძანდება.

(საყვირის ხმა. შემოდინან მეფე ღირი, კორნუოლი, ალბანი,
გონერილა, რეგანა, კორდელია, და მხლებლები).

ღ ი რ ი

ფრანგთა მეფეს და ბურგუნდთ მთავარს ეახელ, გლოსტერ,
სთხოვე მობრძანდნენ.



გ ლ ო ს ტ ე რ ი

ახლავ, მეუფევ.

(გაღიან გ ლ ო ს ტ ე რ ი და ე დ მ უ ნ დ ი).

ლ ი რ ი

მე კი მანამდე ჩემს დაფარულ განზრახვას გამცნობთ.
რუკა მომართვით. ეს სამეფო, იცოდეს ყველამ,
მე გამიყვია სამ ნაწილად, და განმიზრახავს
ბებერი მხრიდან ჩამოვიხსნა ზრუნვა ქვეყნისა,
ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს გადავულოცო,
და, ტვირთახსნილი სამარის კარს მივადგე ჩოჩვით.
შვილო კორნუოლ, ყური მიგდე,
შენც, არანაკლებ საყვარელო შვილო ალბანი,
დღეს აქ საქვეყნოდ განვაცხადებ ჩემს უცვლელ ნებას,
ახლავე გეტყვით, რას ვუბოძებ ასულებს მზითვად,
რათა თავშივე აღიკვეთოს ყოველი შუღლი.
ფრანგთა ხელმწიფე და მთავარი ბურგუნდიისა,
უმცროსი ქალის თავსა მთხოვენ დიდი ხანია
და ერთმანეთის მოცილენი, პასუხს ელიან.
ახლა, შვილებო, რაკი ტახტსა და სამეფოს ვთმობ,
მითხარით ბარემ, რომელ თქვენგანს ვუყვარვარ მეტად,
რათა სამეფოს დაყოფისას, ჩემი სიუხვეც
ამ სიყვარულის კვალობაზე გამოვამჟღავნო.
უფროსი შენ ხარ, გონერილა, და შენ დაიწყე.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

სიტყვებს ვინ მისცა იმის ძალა, ბატონო ჩემო,
აღმოთქვას ჩემი სიყვარული: შენა ხარ ჩემთვის
თვალის ჩინზედაც, ჰაერზედაც უფრო ძვირფასი,
ვერც რა სიმდიდრე, ვერც რა განძი ქვეყნიერების,
ვერცა სიცოცხლე, ღვთის წყალობა, ჯანის სიმრთელე,
მშვენიერება, ღირსება და თავისუფლება
ვერ შეედრება ამ სიყვარულს. ჯერ ასე ძლიერ
არ ჰყვარებიან არცა პირმშო და არც მშობელი.
ენას მიბორკავს, სუნთქვას მიკრავს ეს სიყვარული.

მაშ მე რაღა ვთქვა? კრინტს ნუ დასძრავ, გულში გიყვარდეს!

ლირი

მთელი ეს მხარე — ამ საზღვრიდან მოკიდებული,
 აგერ აქამდე — დაბურული ტყე და ტევრები,
 მდინარეებით დასერილი ვრცელი მინდვრები
 შენს და ალბანის მოდგმას ჰქონდეს საშვილიშვილოდ.
 მიბოძებია. ახლა ძვირფას რეგანას ვკითხოთ,
 ჩემს მეორე ქალს, კორნუოლის ცოლს, ის რაღას გვეტყვის?

რეგანა

ჩვენ ხომ ერთი ხის ნაჭერი ვართ — მეც და ჩემი დაც,
 მეც იმგვარადვე შემაფასე. ჩემს მართალ გულში
 რაც მან თქვა ახლა, მეც იმნაირ სიყვარულსა ვგრძნობ.
 თუმცა გონერულამ მოკლედ მოჭრა, მე კი ვაცხადებ —
 სხვა სიხარული არად მიღირს, მძულს, მტრადა ვრაცხავ
 და ამქვეყნიურ ნეტარება-სიამტკბილობას
 მხოლოდღა შენი სიყვარული მანიჭებს, მეფევ.

კორდელია

ვაი, მე ლატაკს!.. თუმცა რათა — სიტყვებით ლატაკს,
 გული ხომ დიდი სიყვარულით მაქვს გავსებული.

ლირი

შენთვის და შენი მოდგმისათვის მიბოძებია
 ამ ტურფა ქვეყნის მესამედი, ვრცლად გაჭიმული;
 არცა სიდიდით, არც ღირსება-მომხიბლაობით
 გონერულას წილს არაფრით არ დაუდებს ტოლსა.
 ახლა კი ჩემო სიხარულო, თუმცა ნაბოლარავ
 მოხუცი მამის გულში არა უკანასკნელო,
 ვისთვისაც, აგერ, ყველა ვხედავთ, ფრანგული ღვინო,
 ბურგუნდიულ რძეს რა სასტიკად შებრძოლებია.
 სთქვი, რომ ამისდა კვალობაზე მეც მოგიზომო

ის შენი წილი მესამედი — სამეფოს გული.
აბა, რას მეტყვი?

კორდელია

არაფერსა.

ლირი

არაფერსაო?!

კორდელია

დიახ, არაფერს.

ლირი

არაფრისგან არცრას მიიღებ.

სთქვი-მეთქი რამე, კორდელია!

კორდელია

რა ვთქვა ბედკრულმა,

სხვების სასმენად გული პირში ვით ამოვზიდო!

შვილს რომ შეჰფერის სიყვარული მშობელი მამის,

ისე მიყვარხარ — არცა მეტად და არც ნაკლებად.

ლირი

რაო, რას ამბობ, კორდელია?! გონს მოდი, ჩქარა,
თორემ იცოდე, სულ მოისპობ ცხოვრების სახსარს.

კორდელია

შენ მე სიცოცხლე მომანიჭე, ჩემო ბატონო,

თავს მევლებოდი, გამომზარდე — და მეც ვალს ვიხდი:

შენი მორჩილი თაყვანსა გცემ, გულით მიყვარხარ.

მაგრამ შენს მეტი თუკი ჩემს დებს არავინ უყვართ,

რადას გათხოვდნენ?! ასე ვფიქრობ, ქმარს რომ გავყვები,

ჩემს თავთან ერთად ჩემი ზრუნვა-მოვალეობის

ალერსისა და სიყვარულის ნახევარს ვუძღვნი.

დებს ვერ წავბაძავ და ჩემს დღეში არ გავთხოვდები,

რათა მიყვარდეს მამა მხოლოდ, სხვა კი არავინ!

ლირი

შენ ამას გულით მეუბნები?

კორდელია
დიახ, ბატონო.



ლირი

ასეთი ნორჩი და ასე გულქვა?!

კორდელია

ასეთი ნორჩი და გულმართალი!

ლირი

მაშ, ეგ სიმართლე გქონდეს მზითვად. მე კი ვფიცავარ
მზის წმინდა ნათელს და ჰეკათას საიდუმლოებს,
ლამის წყვილიადს და ცის მნათობებს, რომელთა ნებით,
ვჩნდებით კიდევაც ამქვეყნად და ბოლოც გველება,
რომ შენზე გული ამიყრია; ამიერიდახ
აღარ იქნები ჩემი შვილი, ჩემი სისხლ-ხორცი,
უცხო გამხდარხარ სამუდამოდ. ველური სკვითი,
კაციჭამია — თავის მოდგმის ხარბად მსანსლავი —
მეტ შებრალებას და სიყვარულს ჰპოებს ჩემს გულში,
ვიდრე შენ ჰპოებ, მამისაგან გამობილი შვილი.

კენტო

ჩემო ხელმწიფევ...

ლირი

ჩუმად კენტო!

გამძვინვარებულ ურჩხულს პიჯში ნუ მიუძვრები.

ყველაზე მეტად ეგ მიყვარდა, იმედი მქონდა

მომივლის-მეთქი სიბერის ჟამს ალერსიანად...

თავიდან მომწყდი! არ დაგლანდოს ჩემმა თვალებმა!

ისე მეღირსოს მოსვენება ცივ სამარეში,

როგორც გულიდან სამუდამოდ მომიგლეჯიხარ.

ფრანგი მოვიდეს!.. ჩქარა, ჩქარა!.. ბურგუნდიელიც!..

შვილო კორნუოლ და ალბანი, ცოლების მზითევს

ეს მესამედიც მიუმატეთ. ეს ქალბატონი

დე, გულზვავობამ, — გულმართლობად რომ ნათლავს

თვითონ, —



გაათხოვოს და გაამზითვოს. თქვენ, ორივენი, ხელმწიფის ძალა-უფლებებით აღმიჭურვიხართ, რაც კი შეჰფერის დიდ მბრძანებელს, თქვენც ის გექნებათ. მე კი ას რაინდს ვიახლებ თან, და მონაცვლობით ხან ერთს გეწვევით თითო თვითა, ხანაც მეორეს! მეფის სახელსა და დიდებას შევინარჩუნებ, დანარჩენი კი — გამგებლობა; ხელისუფლება, შემოსავალი, საყვარელო შვილებო ჩემო, თქვენი იქნება. ჰა, გვირგვინიც ამის დასტურად, გაინაწილეთ ერთმანეთში.

(აძლევს გვირგვინს)

კ ე ნ ტ ი

ჩემო ხელმწიფევ,

ვით ქვეშევრდომი, თაყვანს გცემდი მეუფეს ჩემსას, ყმის ერთგულებით გმორჩილებდი, მამად გსახავდი, ლოცვაში მუდამ, როგორც მფარველს, გიხსენიებდი...

ლ ი რ ი

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს.

კ ე ნ ტ ი

მტყორცნე ისარი, არ დავეძებ, გამიბე გული. ლირი გაგიჟდა, დაე კენტიც გაკადნიერდეს! ნეტავ, რას ფიქრობ, ბერიკაცო? რაკილა ძალამ პირმოთნეობას დაუხარა მორჩილად თავი, გინდა, რომ შიშით დაადუმო ყმის ერთგულებაც?! როცა ხელმწიფეს მორევია უგუნურება, პირშიმთქმელობას ემატება მაშინ პატივი! შეცვალე შენი განჩინება დამჯდარი ჭკუით, ვნება დაიცხრე. თავსაც დავდებ მე სასიკვდილოდ, სხვებზე ნაკლებად თუ უყვარდე უმცროს ქალიშვილს. უსულგულობას ნუ დასწამებ ტყუილუბრალოდ, როდესაც ფუყე ლაქლაქისთვის კაცს ხმა არ მოსდევს.

ლ ი რ ი

გაჩუმდი, კენტო, თავი თუ არ მოგძულებია.

კ ე ნ ტ ი

შენს მტრებს რომ ვებრძვი, არად ვაგდებ საკუთარ თავსა,
და ახლაც შენი სიკეთისთვის მზად ვარ გავწირო.

ლ ი რ ი

გასწი, თვალთაგან დამეკარგე!

კ ე ნ ტ ი

გონს მოდი, ლირო,
თვალი გახსენი — და მეგობარს უკეთ შეხედე.

ლ ი რ ი

აპოლონს ვფიცავ...

კ ე ნ ტ ი

მეც აპოლონს ვფიცავარ, მეფევ,
ტყუილუბრალოდ უხმობ ღმერთებს.

ლ ი რ ი

ო, ბილწო მონავ!

(ხმლის ვადას წაეტანება)

ა ლ ბ ა ნ ი დ ა კ ო რ ნ უ ო ლ ი

დამშვიდდით, მეფევ!

კ ე ნ ტ ი

რალას უცდი, მოჰკალ აქიმი
და მკურნალობის ქირა მიე საზარელ სენსა.
შეცვალე-მეთქი განჩინება, თორემ იცოდე,
მანამდე პირში სული მიდგას, გაბმით გიძახებ,
რომ ავი საქმე ჰქმენი დღესა.

ლ ი რ ი

მისმინე, მონავ!

ქვეშევრდომი ხარ და გიბრძანებ ყური მომაპყრა.
რაკილა ცდილობ წმინდა აღთქმა დამარღვევინო —
რაიც ჯერ არვის გაუბედავს — რაკი უტიფრად



წინაღდგომიხარ ჩემს ნებასა და განჩინებას —
რაც ჩვენს კარსა და ჩვენს ბუნებას არ ეგუება, —
აწ ჩვენი ძალაც გამოსცადე. მიიღე ჯილდო:
ხუთ დღესღა გაძლევ — მოემზადე, მოიმარაგე,
ამ ხიფათიან ქვეყანაზე რაც დაგჭირდება,
მეექვსე დღეს კი ზურგს შეაქცევ ჩვენს სახელმწიფოს,
მაგრამ ვინმემ რომ აქ დაგლანდოს შეათე დღესაც,
მყისვე მოკვდები. გასწი! ვფიცავ თვით იუპიტერს,
ალარ გადავთქვამ ჩემს ბრძანებას.

კ ე ნ ტ ი

მშვიდობით, მეფევ,
ამიერიდან ხსნა იქნება აქედან წასვლა,
ხოლო ნამდვილი გაძევება — აქ დარჩენაა.

(კორდელიას)

შენი მართალი განსჯისა და სიტყვებისათვის
ღმერთები გყავდეს მხნედ და შემწედ, მეფის ასულო.

(რეგანასა და გონერილას)

მაგ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ნეტა საქმეც თან მოაყოლოთ,
და შეასრულოთ თქვენი ტკბილი დანაპირები.
დიდებულებო, გეთხოვებათ თქვენ ყველას კენტი,
ახალ ადგილზეც ის იცხოვრებს ძველებურადვე.

(გადის)

(საყვირის ხმა. შემოდინან გლოსტერი, საფრანგეთის მეფე,
ბურგუნდიის მთავარი და მხლებელნი)

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩვენი სტუმრები აქ გეახლნენ, დიდო ხელმწიფევ.

ლ ი რ ი

ჯერ შენ მოგმართავ, ბურგუნდიის დიდო მთავარო,
შენ ფრანგთა მეფეს ეცილები ჩემს უმცროს ქალსა,
ახლა მითხარი, რა მზითევზე დაყაბულდები,
რა უნდა მოგცე, რომ განზრახვა არ გადიფიქრო?

ბ უ რ გ უ ნ დ ი ი ს მ თ ა ვ ა რ ი



რაც თქვენ აღგვითქვით, იმაზე მეტს არც მე გთხოვ, მეფევ, ხოლო ნაკლების ბოძებას ხომ თქვენც არ ინებებთ!

ლ ი რ ი

მაშინ სხვა იყო, მაშინ ჩვენს ქალს ძვირფასად ვრაცხდით.. ახლა დაეცა მაგის ფასი. აჰა, აგერ, დგას... მართლა თუ მოგწონს შენ ეს ჭნავი და კნაჭა გოგო, რომელსაც ჩვენი მძულვარება თან ახლავს მხოლოდ, გყავდეს, ინებე, შენი იყოს, დიდო მთავარო.

ბ უ რ გ უ ნ დ ი ი ს მ თ ა ვ ა რ ი

აღარც კი ვიცი, რა პასუხი მოგცეთ მაგაზე.

ლ ი რ ი

წაიყვან მაგას, ბიწიერს და არაფრისმქონეს, უთვისტომოსა და ჩვენგანაც აწ შეძულებულს, რომელსაც მზითვად მამის რისხვა თან გამოჰყვება, თუ უარს ამბობ?

ბ უ რ გ უ ნ დ ი ი ს მ თ ა ვ ა რ ი

მომიტევით, ჩემო ხელმწიფევ,

მაგრამ ამგვარად მოძულებულს მე ვერ შევირთავ.

ლ ი რ ი

მაშ, მიატოვე. ჩემს გამჩენელ ძალასა ვფიცავ, რაც რამ ებადა, ყველაფერი ჩამოგიტვალე.
(საფრანგეთის მეფეს)

შენ კი, ხელმწიფევ დიდებულო და საყვარელო. მოძულებული ჩემგან შვილი როგორღა შეგერთო! სხვა გამოძებნე, უფრო კარგი და ღირსეული. ეს უბადრუკი ბუნებასაც კი ერცხვინება.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე

საოცარია! სულ ახლაზან ეს იყო თქვენი, გულის რჩეული, თვალის ჩინი და სიქადული. მაღამო თქვენი სიბერისა... ასე უეცრად



რა ბოროტება ჩაიდინა, რომ სამუდამოდ
 მოაკლდა მამის სიყვარულსა და მზრუნველობას?!
 ეტყობა, მართლაც მძიმე აწევს დანაშაული,
 უბუნებო და უხიაკი. ანდა, იქნება,
 სულ უმიზეზოდ აიყარეთ თქვენს ქალზედ გული...
 რა სასწაული უნდა მოხდეს, რომ ეს ვირწმუნო.

კორდელია

ერთსა გთხოვ მხოლოდ, დიდებულო ჩემო ხელმწიფევ,
 რაკი არა მაქვს გაპოხილი და ქლესა ენა,
 რომ საქმის ნაცვლად ვილაქლაქო თავგამოდებით,
 რაკი პირველად საქმეს ვარჩევ და მერე სიტყვას,
 გააგებინეთ მაინც ხალხსა, რომ არც კაცის კვლა,
 არც უზნეობა, სიბილწე და უნამუსობა,
 არცა უმგვანი საქციელი არა ყოფილა
 მიზეზი ჩემი დაგმობისა და შეძულების;
 იმ ნაკლით, რაიც ამ დაგმობის მიზეზი გახდა,
 მე მდიდრად მომაქვს ჩემი თავი: დიახ, არა მაქვს,
 ლაქუცა თვალი, ქლესა ენა — და ეს მახარებს,
 თუმც ამ არქონამ სიყვარული წამართვა შენი.

ლირი

ჩემს გახელებას ისა სჯობდა არ შობილიყავ.

საფრანგეთის მეფე

ეს იყო მხოლოდ? ეს ხომ ბუნებით მორცხვობაა,
 რაც გულში ნადებს ძლიერ ხშირად არ გვათქმევინებს!
 რა პასუხს აძლევთ ამ ქალიშვილს, ბურგუნდთ მთავარო?
 როცა სიყვარულს ანგარებაც თან გაერევა,
 მას აღარ ეთქმის სიყვარული. მაინც შეირთავთ?
 ხედავთ — მზითევი თვითონვეა თავის თავისა!

ბურგუნდიის მთავარი

დიდო ხელმწიფევ,
 თუკი უბოძებთ კორდელიას შეპირებულ წილს,
 ის ბურგუნდიის დედოფალი გახდება მყისვე.

2. უილიამ შექსპირი

საქართველოს 17
 მართლმადიდებელი
 ბიბლიოთეკა

K 230-074

არა, აღარა. მე შევფიცე. სიტყვას არ გავტეხ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურგუნდიის მთავარი

რა გაეწყობა, ვწუხვარ, მაგრამ მამის დაკარგვამ
თქვენ უნებურად, აგერ, საქმროც დაგაკარგვინათ.

კორდელია

მაგისი ფიქრი ნუ გექნებათ, ბურგუნდიელო,
ვისაც მზითევი უყვარს ჩემი, არც მე გავჰყვები.

საფრანგეთის მეფე

ო, მშვენიერო კორდელია, ამ სიღარიბით
ნეტა იცოდე რა მდიდარი შეიქენ უცებ,
შეძულებული — შეგიყვარეს ათჯერაც მეტად,
სხვისგან დაგმოხილს — უფრო მეტის გზნებით აგირჩევ...
ან ვინ დამიშლის — გადაგდებულს დავსტაცო ხელი.
ჰოი, ღმერთებო! საოცარი არ არის განა,
რომ ჩემი ტრფობა იქ დაინთო და აგიზგიზდა,
საცა დაგმოხა-სიძულვილის სიცივე იდგა.
ბედმა მარგუნა, მეფევ, შენი უმზითვო ქალი —
და მას დღეიდან მშვენიერი საფრანგეთისა
და ჩემი გულის უცვალებელ დედოფლად ვირჩევ.
მკაცრად მოგექცნენ აქ ყველანი, მაგრამ შენ მაინც
გამოეთხოვე, კორდელია... რაც აქ დაკარგე,
იმაზე უფრო კარგ ბედს შეგყრი ჩემს ქვეყანაში.

ლირი

გყავდეს, რაკი გსურს. შენი იყოს, შენ წაიყვანე.
ჩვენ კი აღარ ვთვლით მაგას შვილად. არც დამენახვოს.
გასწით, გამშორდით, ჩვენს წყალობას, ლოცვა-კურთხევას
ვერ ეღირსებით ვერასოდეს, ბურგუნდთ მთავარო,
მე გამომყევით.

(საყვირის ხმა. გადიან ლირი, ბურგუნდიის მთავარი,
კორნუოლი, ალბანი, გლოსტერი და მხლებლები)

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე
გ ა ძ ო ე თ ხ ო ვ ე ბ ა რ ე მ დ ე ბ ს ა ც .

კ ო რ დ ე ლ ი ა

მამის რჩეულნო,

ა ც რ ე მ ლ ე ბ უ ლ ი კ ო რ დ ე ლ ი ა გ ე მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ა თ .
რ ა ც ა ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი თ , ვ ი ც ი , მ ა გ რ ა მ გ უ ლ ი ა რ მ ა ძ ლ ე ვ ს ,
ქ ვ ე ყ ა ნ ა ს მ ო ვ ს დ ო ჩ ე მ ი დ ე ბ ი ს კ ა რ გ ი ქ ა ლ ო ბ ა .
მ ა მ ა ს მ ი ხ ე დ ე თ , თ ქ ვ ე ნ გ ა ბ ა რ ე ბ თ , პ ა ტ ი ვ ი ე ც ი თ ,
ა კ ი ძ ა ლ ი ა ნ გ ა მ ო ი დ ე თ ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ თ ა ვ ი !
ვ ა გ ლ ა ხ , უ წ ყ ა ლ ო დ მ ო მ ი შ ო რ ა , თ ო რ ე მ მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ს ა ც
და ს ა მ ყ ო ფ ე ლ ს ა ც შ ე ვ უ რ ჩ ე ვ დ ი უ ფ რ ო უ კ ე თ ე ს ს .
მ შ ვ ი დ ო ბ ი თ , დ ე ბ ო .

რ ე გ ა ნ ა

ნუ მოჰყვებით ჭკუის სწავლებას.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

ი ს გ ი რ ჩ ე ვ ნ ი ა თ ვ ი თ ი ს წ ა ვ ლ ო ქ მ რ ი ს გ ა მ გ ო ნ ო ბ ა ,
რ ო მ ე ლ ს ა ც , ა გ ე რ . ს ა მ ო წ ყ ა ლ ო დ მ ი ჰ ყ ე ე ვ ხ ა რ თ ა ნ ა .
ა რ ა გ ქ ო ნ ი ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა და ა ხ ი ც ა რ ი ს ,
მ თ ე ლ ი ნ ა ყ ო ფ ი უ რ ჩ ო ბ ი ს ა ე რ თ ა დ ი გ ე მ ო .

კ ო რ დ ე ლ ი ა

დ რ ო გ ა მ ო ა ჩ ე ნ ს , ც ბ ი ე რ ე ბ ი თ რ ა ც ი მ ა ლ ე ბ ა ,
და ა ვ ი ს ჩ ა მ დ ე ნ ს ა რ ა ც დ ე ბ ა ბ ო ლ ო ს შ ე რ ც ხ ვ ე ნ ა .
ღ მ ე რ თ ს ა ვ თ ხ ო ვ , ხ ე ლ ი მ ო გ ე მ ა რ თ ო თ .

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე

წ ა ვ ი დ ე თ , ტ უ რ ფ ა კ ო რ დ ე ლ ი ა .

(გაღიან ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე და კ ო რ დ ე ლ ი ა)

გ ო ნ ე რ ი ლ ა

შ ე ნ თ ა ნ დ ი დ ი ს ა ქ მ ე მ ა ქ ვ ს , რ ე გ ა ნ ა , უ ნ დ ა მ ო ვ ი ლ ა ბ ა რ ა კ ო თ . მ ა მ ა ჩ ვ ე ნ ი ,
მ გ ო ნ ი , დ ლ ე ს ა პ ი რ ე ბ ს გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ს .

რ ე გ ა ნ ა

მ ე ც ა ს ე მ გ ო ნ ი ა . ჯ ე რ ა ლ ბ ა თ შ ე ნ თ ა ნ გ ა მ ო ი ვ ლ ო ს . ი მ თ ვ ე შ ი კ ი მ ე
მ ო მ ა დ გ ე ბ ა .

გონერილა

ხედავ, როგორ აურია ამ სიბერეში. ვერ დაინახე, რა დაათენა, ჯე
იყო და სულში იძვრენდა ჩვენს დას, ახლა კი ერთბაშად როგორ გა
წირა, თანაც სულ უმიზეზოდ. აღარც კი იცი, რა უნდა იფიქრო.

რეგანა

სიბერის ბრალია. თუმცა დიდი დალაგებული არასოდეს ყოფილა.

გონერილა

ჯერ ახალგაზრდობაშიაც რა ურჯუკი იყო; მაგრამ ძველ უხიაკობა
ვინ დაეძებს, შენ ახლა ნახე, უფრო და უფრო რომ შევა სიბერეში
და სულ გაანჩხლდება და გაჭირვეულდება!

რეგანა

ნახე, ჩვენც თუ ისე არ აგვირიოს, როგორც კენტი განდევნა ეგერ

გონერილა

საფრანგეთის მეფეს უარესი არ უყო, გამოთხოვების დროს! ჩვენს
პირი უნდა შევკრათ, შენი ჭირიმე, თორემ, თუ ამისთანა სიანჩხლეს
თან, ძალაუფლებაც შეინარჩუნა, მორჩა, მისი დღევანდელი ნაბობქ
ბი აბუჩად აგდება იქნება და მეტი არაფერი.

რეგანა

კარგად ავწონ-დავწონოთ ყველაფერი.

გონერილა

ამ ცხელ გულზევე უნდა ვიღონოთ რამე.
(გადიან)

სურათი II

გრაფი გლოსტერის ციხედარბაზი

(შემოდის ედმუნდი, ხელში წერილი უჭირავს)

ედმუნდი

ჩემი ღმერთი და მბრძანებელი შენ ხარ, ბუნებავ,
მე შენს კანონებს ვიწამებ და ვემორჩილები.



წყეულ ადათებს, ხალხის ბრევულ ზნე-ჩვეულებებს
 რად დავემონო, რად მოვაკლდე მემკვიდრეობას?
 რაკილა ძმაზე ერთი წლითა თუ თოთხმეტი თვით
 გვიან მოვედი მე ამ ქვეყნად, მხოლოდ იმიტომ?!
 უკანონო? უკანონოს რა მიგავს, ნეტა?!
 ჭკუით, ძალ-ღონით, აღნაგობით აბა რომელი
 პატიოსანი ქალბატონის შვილი მაჯობებს?!
 უკანონობის, ნაბუშრობის დაღს რად გვასმევენ?
 ლაფს რად გვასხამენ? რად გვარცხვენენ? რაა სირცხვილი?
 ის, რომ ბუნებას ტრფობის ტკბობა მალვით წარსტაცო
 და ვნების ეშხით უფრო საღი ნაყოფი შექმნა,
 თუ დაობებულ-დამქავებულ ლოგინში წოლა
 და გამოწკეპილ ვაჟბატონთა მთელი ჯილაგის
 თვლელა-მთქნარებით გამოჩეკა?!. თუკი ასეა,
 კანონიერო შვილო ედგარ, შენი მამული
 ჩემს ხელში უნდა გადმოვიდეს ამიერიდან.
 მამას. თავისი ნაბუშარა შვილი ედმუნდი
 იმ კანონიერ მემკვიდრეზე ნაკლებ არ უყვარს.
 „კანონიერი!..“ კარგი სიტყვა მოუგონიათ.
 თუ ამ წერილმა გამიმართლა და ეს განზრახვა
 არ გამიცუდდა, მაშინ, ჩემო კანონიერო,
 ბუში ედმუნდი გაგაცურებს... მე ავლზევდები...
 ყოვლი სიკეთით გავივსები, გავიფურჩქნები...
 ჰოი ღმერთებო, ნაბუშარას ეყავით შემწედ!

(შემოდის გლოსტერი)

გ ლ ო ს ტ ე რ ი

კენტი განდევნა!.. ფრანგთა მეფეს გაუგულისდა...
 თვითონ ადგა და გაემგზავრა, სამეფო თვისი
 სხვას გადულოცა!.. ყველაფერი ერთბაშად მოხდა!
 ედმუნდ, შენა ხარ? რას აკეთებ, ახალს რას იტყვი?

ე დ მ უ ნ დ ი

(წერილს მალავს)

არაფერს, ჩემო ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რა გულმოდგინედ დამალე ეგ წერილი?!

ე დ მ უ ნ დ ი

ახალი არა გამიგია რა, ჩემო ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რას კითხულობდი?

ე დ მ უ ნ დ ი

არაფერს, ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არაფერსაო? მაშ, ჯიბეში რას გააქანე ასე გამწარებით? არაფერს ეგეთი გულმოდგინე დამალვა არა სჭირდება. აქ მომეცი. თუ მართლა არაფერია, სათვალევც აღარ დამჭირდება.

ე დ მ უ ნ დ ი

გთხოვთ მომიტევეთ, ბატონო. ჩემი ძმის წერილია, ჯერ ბოლომდე არც კი ჩამითავებია. მაგრამ რისი წაკითხვაც მოვასწარი, ვგრძნობ, რომ სათქვენო არ არის.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

აქ მომეცი-მეთქი.

ე დ მ უ ნ დ ი

მოგცემთ თუ არა, სულერთია, ნაწყენი დარჩებით. ზედვე ეტყობა, რომ ვერაფერი სანუგეშოა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მომეცი-მეთქი, აქ მომეცი.

ე დ მ უ ნ დ ი

ცუდს კი ვერაფერს ვიფიქრებ ჩემს ძმაზე, ალბათ ჩემი ერთგულების გამოსაცდელად შეთხზა და გამოგზავნა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

(კითხულობს)

„თუ კვლავაც ასე მორჩილად ვუხარეთ თავი სიბერეს, ყმაწვილკა-

ცობა ხომ სულ ჩავგვმწარდა. მანამ არ დავჩაჩაჩაკდებით და აღარათ-
რის ხალისი არ შეგვრჩება, ჩვენს დოვლათს ველარ გავკარგებთ.
თანდათანობით ვრწმუნდები, რომ ჩვენი სილენჩისა და სიზარმაცის
ბრაღია, ასე მონურად რომ მოვუხარეთ თავი სიბერის მტარვალ-
ბას. განა რამე ძალა აქვს — გასდის და იმიტომ პარბაშებს. ჩემთან
გამოიარე და უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. მამაჩვენის ისე
დაძინება შეიძლებოდეს, რომ მანამ გავაღვიძებ, თავისით ველარ ად-
გეს, შენ სამუდამოდ გერგებოდა მისი ქონების ნახევარი და მარადი-
ული სიყვარული შენი ძმის ედგარისა“. ჰა... შეთქმულებაა! „მა-
ნამ გავაღვიძებ. თავისით ველარ ადგეს, შენ სამუდამოდ გერგებოდა
მისი ქონების ნახევარი!..“ ედგარი, ჩემი შვილი?! ხელი არ აუკანკალ-
და?! რა გულმა მისცა, თავში როგორ მოუვიდა ასეთი რამე?! როდის
მიიღე ეგ წერილი? ვინ მოგიტანა?

ე დ მ უ ნ დ ი

ჩემთვის არავის მოუტანია, ბატონო... უბედურებაც ეგ არის სწო-
რედ... ფანჯრიდან შემოუგდიათ ჩემს ოთახში.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შენი ძმის ხელია?

ე დ მ უ ნ დ ი

კარგი რამე რომ ეწეროს, ერთი ბეწოთიც კი ეჭვი არ შემეპარებო-
და. მაგრამ ახლა აღარ მეჯერება, რომ მისი ხელი იყოს.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მისი ხელია.

ე დ მ უ ნ დ ი

ხელი კი მისია, ბატონო, მაგრამ არა მგონია გულიც იყოს გარეული
ამ საქმეში.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

უწინ არასოდეს ჩამოუგდია ამაზე სიტყვა?

ე დ მ უ ნ დ ი

არა, არასდროს, ბატონო, ოღონდ ეს კი ხშირად უთქვამს, „შვილები

რომ სრულწლოვანი გახდებიან, ხოლო მამები სიბერეში შევლენ, მამის მეურვეობა შვილმა უნდა იკისროს და მთელს მის ქონებასაც დაეპატრონოსო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

არამზადა! გაიძვერა!.. წერილშიაც ხომ ეგ უწერია!.. საზიზღარი არამზადა! გარეწარი! მხეცი! პირუტყვი! პირუტყვზედაც უფრო საზიზღარი არამზადა!.. ჰეი, მანდ ვინ ხარ. წადით, მომიძებნეთ. დილეგში გამოვამწყვდევ!.. გათახსირებული! სადა ბრძანდება?

ე დ მ უ ნ დ ი

რა მოგახსენოთ, ბატონო. ერთ რამეს კი გეტყვით: იქნებ დამშვიდდეთ ცოტა, მანამ უფრო სარწმუნო საბუთს მიაგნებდეთ, ეგ უფრო სწორი იქნება. ახლავე რომ ასტეხოთ ერთი ამბავი, ხომ შეიძლება უდანაშაულო გამოდგეს, ეს კი თქვენც ცუდად ჩამოგერთმევათ და მის ერთგულებასა და მორჩილებასაც შეარყევს. თუნდაც საკუთარ თავს დავდებ, რომ ეგ იმან ჩემი ერთგულების გამოსაცდელად დაწერა, სხვა განზრახვა არა ჰქონია.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ეგრე გგონია?

ე დ მ უ ნ დ ი

სათაკილოდ თუ არ მიიჩნევთ. იმისთანა ადგილას დაგმალავთ, რომ ჩვენი საუბარი კარგად გაიგონოთ, თქვენივე ყურით მოისმენთ ნამდვილს. ნურც დააყოვნებთ, მე ამას ამაღამვე მოვაწყობ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ამისთანა გაიძვერა როგორ იქნება!..

ე დ მ უ ნ დ ი

ნამდვილად არ იქნება.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თავის მამას უნდა უყოს ეგა?! თანგადაყოლილსა და მოსიყვარულე მამას?! რატომ არ ჩამოინგრევა ცა და მიწას არ ჩაიტანს! მოძებნე, ედმუნდ, მის გულში ჩამახედე, შენი ჭირიმე. შენ იცი და შენმა მოხერხებამ. ოღონდ კი მართალი გამაგებინა და მთელ საცხოვრებელზე ზელი ამიღია.



ე დ მ უ ნ დ ი

ახლავე წავალ და მოვძებნი, ბატონო. ვეცდები ყველაფერი გავიგო და მერე თქვენ მოგახსენებთ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

განა არა! მზისა და მთვარის ეს უკანასკნელი დაბნელება კარგს არას გვიქადის. რამდენიც არ უნდა იქადაგონ მეცნიერებმა, ბუნება თვითონვე განიცდის ყველაფერს. სიყვარული გაცივდა, მეგობრობა დაემხო, ძმა ძმას გადაუდგა, ქალაქებში არეულობაა, სოფლებში — განხეთქილება, სამეფო კარზე — ლალატი. მამა-შვილს შორის — კავშირის დარღვევა. აგერ ჩემმა არამზადამ ლამის გაამართლოს წინასწარმეტყველება — შვილი აღსდგეს მამასა ზედაო. იქით მეფემ დაჭგმო საკუთარი შვილი, და აჰა — მამა აღსდგა შვილსა ზედა. ჩვენი კარგი დრო წარსულს ჩაბარდა. გაიძვერობა, ვერაგობა, ლალატი და ათასგვარი უბედურება აგვდევნებია და სულს გვიფორიაქებს, საფლავის კარამდე მოგვდევს. მოძებნე, ედმუნდ, ის გარეწარი, მაგითი არაფერს წააგებ. აბა, შენ იცი... აგერ, ალაღმართალი და კეთილშობილი კენტისი განდევნეს! რისთვის? — პატიოსანი რადა ხარო! გაგონილა!

(გადის)

ე დ მ უ ნ დ ი

ხალხის ქარაფშუტობა ამაზე შორს სადღა წავა! ბედმა თუ გვიმუხთლა, — ხშირად ჩვენივე ბედოვლათობისა და ღორმუცელობის გამო, — მოვდგებით და მთელ ჩვენ უბედურებას მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს გადავაბრალებთ ხოლმე. თითქოს არამზადებად უკიდურეს საჭიროებას ვექციეთ; ჰკუა ცის განგებით გამოგველეოდეს; ქურდები, წუწკები და მოღალატეები სფერათა ბრუნვის წყალობით ვიყოთ; ლოთები, მატყუარები და მრუშები — ციური სხეულების გავლენით. რაც კი რამ ცუდი გვჭირს — სულ ზენაარის ბრალია! კარგია, შენ ნუ მომიკვდე, მრუშმა ადამიანმა თავისი ვაცური მსუნაგობა ვარსკვლავებს დააბრალოს! დედაჩემმა რომ მამაჩემთან შესცოდა, ცაზე ურჩხულის თანავარსკვლავედი გამოჩნდაო. მე ამ ქვეყნად დიდი რვალის დროს მოვედი და იმიტომაც ვარ ასეთი მრუში და უხიაკიო! ფუჰ! ჩემი უკანონო ჩასახვის დროს ცაზე თუნდა უქალწულე-

სი ვარსკვლავი ყოფილიყო გამობრწყინებული, მაინც ეს ვიქნებოდი,
რაცა ვარ... აჰა, ედგარი! სწორედ რომ დროზე მოვიდა, როგორც ძვე-
ლებურ კომედიაში ხდება ხოლმე. უნდა მოვდგე და, თომა ბეთლე-
მელივით გულდამძიმებულმა, ხვნიშასა და კუთვას მოვჭყვე.

(შემოდის ედგარი)

ოჰ, ეს დაბნელება ცუდს რასმე მოასწავებს. ფა, სოლ, ლა, მი!

ე დ გ ა რ ი

რასა იქმ, ედმუნდ, ძვირფასო ძმაო, რა ფიქრებს მისცემიხარ?

ე დ მ უ ნ დ ი

იმ დღეს წავიკითხე და თავიდან აღარ მშორდება — ეს დაბნელება
ცუდს რასმე მოასწავებსო.

ე დ გ ა რ ი

ნეტაი შენ, რომ მაგისტანა რამეებს ყურს უგდებ.

ე დ მ უ ნ დ ი

სამწუხაროდ, ყველაფერი სრულდება, რაც კი წავიკითხე: მამასა და
შვილს შორის უბუნებო სიძულვილი, შიმშილი, სიკვდილი, ძველი მე-
გობრობის დარღვევა, ქვეყანაში განხეთქილება, მეფესა და კარის-
კაცებს წყევლა-კრულვით იხსენიებენ და ემუქრებიან, მეგობრის გუ-
ლიდან მოწყვეტა და განდევნა; ან ამდენი უნდობლობა ვის რაში
სჭირდება, ჯარი გაიხრწნა, ცოლქმარს შორის ღალატი გახშირდა, და
რა ვიცი კიდევ!..

ე დ გ ა რ ი

დიდი ხანია, ვარსკვლავთმრიცხველობა დაიწყე?

ე დ მ უ ნ დ ი

კარგი, კარგი. შენ ეს მითხარი, მამაჩემი როდის ნახე უკანასკნელად?

ე დ გ ა რ ი

წუხელის ვნახე.

ე დ მ უ ნ დ ი

ელაპარაკე?

ე დ გ ა რ ი

მთელი ორი საათი.

ე დ მ უ ნ დ ი

კეთილი გულით დასცილდით ერთმანეთს? უკმაყოფილება ხომ არა შეგიმჩნევია რა — ან სახეზე, ან ლაპარაკში.

ე დ გ ა რ ი

არავითარი.

ე დ მ უ ნ დ ი

კარგად გაიხსენე, რითი შეგეძლო ასე გაგეგულისებინა, და, შენი ჭირიმე, ცოტა ხანს მოერიდე, მანამ ბრაზი გადაუვლიდეს, ისეა გააღმასებული, რომ ლამის სულ დაგგლიჯოს.

ე დ გ ა რ ი

ვინმე არამზადას ოინები იქნება.

ე დ მ უ ნ დ ი

მეც მაგისი შიში მაქვს. ფრთხილად, შენი ჭირიმე, მანამ დაშოშმინდებოდეს. ჩემს ოთახში დაიმაღე და იქიდან მოგასმენინებ მამაჩემის ლაპარაკს. წამომყევი, აჰა, გასაღებიც. შინიდან თუ გახვალ, უსათუოდ იარაღი აისხი.

ე დ გ ა რ ი

იარაღიო?

ე დ მ უ ნ დ ი

მე შენი კარგი მინდა, ძმაო. პატიოსნებას გეფიცები, რაღაც ცუდს გიმზადებს. რაც გავიგონე და დავინახე, ის გითხარი. მაგრამ ისე კი უფრო დიდი საშინელება ტრიალებს. წადი, გეხვეწები.

ე დ გ ა რ ი

მალე მომაწვდენ ხმას?

(ედგარი გადის)

ე დ მ უ ნ დ ი

სულ ამ საქმეს უნდა ვსდიო, სხვას არცა რას გავაკეთებ. მამა ხელადვე დავაჯერე, ძმა — თვით მართალი,

სხვის ბოროტებას არც იფიქრებს! მით უფრო კარგი.
მეც ვისარგებლებ მაგათ ბრიყვულ პატიოსნებით
და ჩემს საწადელს შევისრულებ... თუ მოდგმით ვერა,
ჭკუით ხომ მაინც მოვიპოებ მემკვიდრეობას.
ხოლო ამისთვის არც არაფერს შევეპუები.
(გადის)

სურათი III

ალბანის მთავრის სასახლე

(შემოდინან გონერილა და ოსვალდი)

გონერილა

მართლა გამილახა მამაჩემმა კარისკაცი, მასხარა რად გამილანძღეო?
ოსვალდი.

ღიახ, ქალბატონო.

გონერილა

დღისით თუ ღამით მოსვენება არა მაქვს მისგან.
საათი ისე არ გაივლის, არ მაწყენინოს,
გული რითიმე არ მატკინოს, ველარც მოვითმეხ.
რაინდები ხომ თავს გავიდნენ, არც თვითონ აკლებს,
სიტყვასაც ველარ შეუბრუნებ, ერთ აშბავს ატეხს.
ნადირობიდან რომ დაბრუნდეს, ჩემზე უთხარი,
ავად არის-თქო — ლაპარაკი არა მსურს მასთან.
და შენც კარგს იზამ, სამსახურს თუ მოუკლებ ცოტას.
თუ რამეს გეტყვის, ფიქრი ნუ გაქვს, მე გავცემ პასუხს.
(ისმის საყვირის ხმა)

ოსვალდი

ჰა, მოდის კიდევ, ქალბატონო.

გონერილა

შენც, მსახურებიც,

ყველა უკმეხად მოექცეოთ, გააგულისეთ.
თუ დაგვიწუნებს, წაბრძანდეს და ჩემს დას ესტუმროს,
ჩემი არ იყოს, არც მას უყვარს სხვის ბატონობა.
უქნარ ბერიკაცს ვერ უყურებ — ერთხელ ხომ დასთქო!
ისევ მოუნდა მბრძანებლობა?! ბაღლებსა ჰგვანან
ეს ჰკვანაკლული მოხუცები. თუკი აღერსი
და მოფერება ველარა სჭრის, უნდა დატუქსო.
არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი.

ო ს ვ ა ლ დ ი

არა, ბატონო.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

შუბლს ნუ გაუხსნით რაინდებსაც. ნუ გეფიქრებათ.
ყველანი ასე დაარიგე. მე საბაბს ვეძებ.
ჩემს დასაც მივსწერ, ისიც ასე მკაცრად მოექცეს.
აზლა კი გასწი და სადილი გააშლევინე.

(გადიან)

სურათი IV

ოთახი ალბანის სასახლეში

(შემოდის გადაცმული კენტი)

კ ე ნ ტ ი

ხმაც თუ იმგვარად შევიცვალე, რომ ველარ მიცვნეს,
მაშინ ადვილად შევასრულებ კეთილ განზრახვას,
რისთვისაც აგერ, გადაცმული დავიარები.
კენტო, შინიდან განდევნილო. თუკი შესძელი
და სამსახური გაუწიე, ვინც შეგიძულა,
მაშინ შენს მეფეს, ვინც კვლავ გიყვარს ყმის ერთგულებით,
დაუმტკიცებ, რომ მისთვისა ხარ თავდადებული.

(ისმის საყვირის ხმა. შემოდინა ლ ი რ ი, რ ა ი ნ დ ე ბ ი და მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი)

ლირი

სადილი ჩქარა, რას მალოდინებენ. წადი და უთხარი, სადილი მომართვან. შენ საიდანღა გაჩნდი? ვინა ხარ?



(ერთი მხლებელი გადის).

კენტი

ადამიანი, ჩემო ბატონო.

ლირი

რა ხელობისა ხარ? ჩვენთან რა გინდა?

კენტი

ჩემი ხელობა ის არის, რომ ვცდილობ, რაცა ვარ, იმაზე ნაკლები არ გამოვჩნდე; ვინც მომენდობა, იმას ერთგულად ვემსახურო; ვინც პატიოსანია, ის შევიყვარო; ვინც ჭკვიანია და ცოტას ლაპარაკობს, იმას ვეახლო; სამსჯავროს შიში მქონდეს; მხოლოდ მაშინ გამოვიღო საჩხუბრად ხელი, როცა სხვა გზა აღარ არის, და თევზის ჭამასაც მოვერიდო.

ლირი

შაინც ვინა ხარ?

კენტი

ერთი ალალი კაცი ვარ, მეფესავით ღარიბი.

ლირი

თუ შენც ისეთივე ღარიბი ხარ ქვეშევრდომის კვალობაზე, ვით მეფე — მეფის კვალობაზე, მართლაც რომ არაფრის მქონებელი ყოფილხარ. თქვი, რა გინდა?

კენტი

სამსახური, ბატონო ჩემო.

ლირი

ვის უნდა ემსახურო?

კენტი

შენა, ბატონო.

ლირი

იცი მერე ვინა ვარ, ძმობილო?

კ ე ნ ტ ი

არა, მაგრამ ისეთი სახე გაქვს, რომ დიდი სიხარულით ბატონს.



ლ ი რ ი

მაინც რა შენიშნე ასეთი ჩემს სახეში?

კ ე ნ ტ ი

მეუფების ნიშანი.

ლ ი რ ი

რა სამსახური შეგიძლია?

კ ე ნ ტ ი

საიდუმლოს პატიოსნად შენახვა, ცხენზე ჯდომა, აქეთ-იქით სირბილი. საინტერესო ამბის დამახინჯება მოყოლის დროს, და იოლი საქმის რიგიან-პირიანად შესრულება. ერთ უბრალო კაცს თუ რისიმე გაკეთება შეუძლია, ის არც მე გამიჭირდება. მაგრამ ყველაზე უფრო დასაფასებელი ისა მაქვს, რომ მუყაითი კაცი ვარ.

ლ ი რ ი

რა ხნისა ხარ?

კ ე ნ ტ ი

არც ისე ახალგაზრდა გახლავარ, ბატონო, რომ ქალი სიმღერისათვის შევიყვარო და არც ისე ბებერი, რომ სულ უმიზეზოდ დავკარგო მასზე ჭკუა. ორმოცდარვა წელიწადი მაწევს მხრებზე.

ლ ი რ ი

კარგი, დარჩი, ჩემი მსახური იქნები. ნასადილევისაც თუ ასე მომეწონე, აღარც მოგიშორებ თავიდან... ჰეი, სადილი! სადილი ჩქარა!.. მასხარა სადღა დამეკარგა?! წადი ერთი, მასხარას დამიძახე.

(გადის ერთ-ერთი მხლებელი)

(შემოდის ო ს ვ ა ლ დ ი)

შენ, ეი. ბრიყვო, ჩემი ქალი სად არის?


ო ს ვ ა ლ დ ი

უკაცრავად ნუ ვიქნები და... (გადის)

ლირი

რაო, რა მინდაო? გაქაჩეთ და აქ მომგვარეთ ეს არამზადა.

(გადის ერთი რაინდი)



...მასხარა სად დამეკარგა, ჰა?.. ყველას ერთბაშად დაეძინა?

(შემოდის რაინდი)

რაო? ის გაიძვერა რა უყავი?

რაინდი

ასე შემოგიტვალათ, მილორდ, თქვენი ქალიშვილი უქეიფოდ ბრძანდებო.

ლირი

რატომ თვითონ არ გამომეცხადა აქა, აკი დავუძახე?!

რაინდი

არა მსურდა და არ მოვედიო.

ლირი

არა მსურდაო?

რაინდი

მილორდ, ვერ გამიგია, რა ხდება, მაგრამ თუ რამე მეკითხება, მე მგონი, რომ თქვენი ბრწყინვალეობა საკადრისი პატივით არ მიიღეს. მთავარიც კარგა უგულოდ შეგვხვდა, თქვენი ქალიც, და მსახურებიც კი თავს იგდებენ.

ლირი

ჰა? ვითომ ასეა?

რაინდი


მომიტევეთ, მილორდ, თუ ვცდებოდე, მაგრამ რა გამაჩუმებს, როცა ვხედავ თქვენს უდიდებულესობას რა უკადრისად ეპყრობიან.

ლირი

ეგ მე თვითონაც შევნიშნე, ამ ბოლო დროს რაღაც გულაცრუებით გვეპყრობიან, მაგრამ ავი განზრახვისათვის კი არ მიმიწერია, მეჩვე-

ნება-მეთქი, ვიფიქრე. აბა კარგად დავაკვირდე... მასხარა სად დამე-
კარგა. ორი დღეა თვალით არ დამიღანდავს.

რ ა ი ნ დ ი



რაც ჩვენი პატარა ქალბატონი საფრანგეთს გაემგზავრა, სულ გულ-
დათუთქული დადის.

ლ ი რ ი

მაგას ნულარ გამახსენებ. მე თვითონვე შევნიშნე ეგა... წადი, ჩემს
ქალს ეახელ და უთხარი, რომ მასთან ლაპარაკი მსურს.

(მხლებელი გავა)

...შენც გასწი და მასხარას დამიძახე.

(ერთ-ერთი მხლებელი გადის)

(შემოდის ოსვალდი)

აჰ, თქვენა ბრძანდებით, ვაჟბატონო, ინებეთ მობრძანება? იქნებ მი-
თხრათ, მე ვინა ვარ, სერ?

ო ს ვ ა ლ დ ი

ჩემი ქალბატონის მამა.

ლ ი რ ი

„ჩემი ქალბატონის მამა!“ როგორაო, ჩემი ბატონის არამზადავ?! 'შე
ძალღისგაგდებულო! ყურმოჭრილო მონავ! ქოფაკო!...

ო ს ვ ა ლ დ ი

სულ ტყუილია — არც ძალღისგაგდებული ვარ და არც ქოფაკი. ბო-
დიში მომიხდია.

ლ ი რ ი

თვალსაც კი მისწორებ, არამზადავ?!
(სცემს)

ო ს ვ ა ლ დ ი

ჩემი ცემა არ შეიძლება, მილორდ!


კ ე ნ ტ ი

ფეხი რომ ამოგკრა ბურთივით? ეგ ხომ შეიძლება?!

(ფეხს ამოკრავს)

ლირი

შენი მადლობელი ვარ, ძმობილო. კარგი სამსახური გცოდნია... ამას არ დავივიწყებ.



კენტი

აბა, ადექი და მოუსვი, ვაუბატონო! ჭკუას ისწავლი. გასწი, გასწი! კიდევ თუ გნებავს გაგაზომინო მიწა, დარჩი, ბატონო! აბა, მოუსვი-მეთქი, ჩქარა. კიდევ ვერ ისწავლე ჭკუა?!

(ხელს ჭკრავს და გააგდებს)

ლირი

მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო. აი, შენი სამსახურის გასამრჯელო.

(ფულს აძლევს კენტს. შემოდის მასხარა)

მასხარა

ბარემ ჩემს სამსახურშიაც ავიყვან. აჰა, ჩემი ქული.

(თავის ჩაჩს აწვდის)

ლირი

შენა ხარ, ჩემო მშვენიერო! რასა იქმ, როგორა ხარ?

მასხარა

გერჩივნა, გამოგერთმია ჩაჩი.

კენტი

რაში გჭირდება შენი ჩაჩი, მასხარავ?

მასხარა

რაში გჭირდება? იმაში გჭირდება, რომ ათვალწუნებულს თვალში შესციცინებ. საიდანაც ქარი ქრის, იქით თუ დაიჭირე ცხვირი, ხომ სურდო შეგეყარა! გამომართვი, გამომართვი ჩაჩი. ხომ ნახე, ამ ვაუბატონმა თავისი ორი ქალი გააძევა, მესამე კი თავისდაუნებურად ლოცვა-კურთხევით აავსო. მაგის სამსახურს თუ აპირებ, იცოდე, ეგ ჩაჩი დაგჭირდება. რასა იქმ, ძია კაცო? ნეტა ორი ჩაჩი მქონდეს და ორი ქალი მყავდეს.



ლირი

რად გინდა, ჩემო ბიჭუნა?

მასხარა

მთელ ჩემს საცხოვრებელს რომ იმათ გავუნაწილებ, ჩაჩები მე შეშრ-
ჩება. აჰა, ერთი აქა მაქვს, მეორე კი შენს ქალებსა სთხოვე.

ლირი

მიფრთხილდი, ბრიყვო! ამ მათრახს ხომ ხედავ?

მასხარა

სიმართლე ქოფაკ ძაღლსა ჰგავს, მათრახით გარეთ ერეკებიან ხოლმე,
ქალბატონი ძუკნა კი ბუხართან ჩაცუცქულა და იქაურობას აქო-
თებს.

ლირი

ძალიან ღვარძლიანად კი იკბინები!

მასხარა

გინდა ერთი შაირი გასწავლო.

ლირი

აბა!

მასხარა

ყური დაუგდე.

ნუ გამოაჩენ მთელ შენს ქონებას
ცოდნას ერთბაშად ნუ დაფქვავ ენით,
აღბათ ეგ სიბრძნეც გაგეგონება —
ფეხით სიარულს გერჩივნოს ცხენი.
ზედმეტი სწავლა არ შეგყრის ზიანს,
ბევრი შოიგე, ჩამოდი მცირეს,
არ მიეძალო კახპებში წრიალს
და ღვინის სმასაც ნუ გაახშირებ.
შინ გამოჯექი, თუ გსურს მხნეობა,
ბევრი ფული და კეთილდღეობა.

კენტი

ეგ ხომ აბლა-უბლა გამოვიდა.

მასხარა

მუქთი ვეჭილის სიტყვას ჰგვანებია — ამაშიაც ხომ არაფერს მაძლევთ. ძია-კაცო, არაფრისაგან რამეს გამოიყვან?

ლირი

არა, ყმაწვილო. არაფრისაგან არაფერი არ გამოვა.

მასხარა

(კენტს)

ერთი მოახსენე შენი ჭირი — ესეც სწორედ მაგდენს ლებულობს საკუთარი მიწა-წყლისაგან. მე ვეტყვოდი, მაგრამ მასხარას არ დაუჯერებს.

ლირი

აი, შე ენამწარე მასხარა!

მასხარა

აბა, შენ თუ მეტყვი, ყმაწვილო, ენამწარე მასხარა ენატკბილისაგან რითი განსხვავდება?

ლირი

ვერა, ვაუბატონო. შენ მასწავლე.

მასხარა

ვინც სამეფოს გაჩუქება
გირჩია და მშრალზე დაგსვა,
ავერ, გვერდით დამიყენე.
სათქმელი მაქვს მე იმ კაცთან.
მე რომ მწარე მასხარა ვარ,
მხურავს კიდევ თავზე ჩაჩი;
შენც მასხარა, მაგრამ ტკბილი,
და უჩაჩოდ მიტომ დარჩი.

ლირი

მასხარა შემარქვი, ბრიყვო?!

მასხარა

სხვა სახელი და ხარისხი, რაც კი რამ გებადა, სულ გააჩუქე, ეს კი დედის მუცლიდან დაგყვა.



კ ე ნ ტ ი

ეგ არც ისე სულელი ჩანს, მილორდ.

მ ა ს ხ ა რ ა

რა ბრძანებაა — ლორდები და დიდ-დიდი ხალხი მე რას დამანებებენ. მარტო მე რომ დავიჩემო სულელობა, იმ წუთშივე წილს დაიდებენ. ქალბატონებიც იწყენენ, არც ისინი დამანებებენ მე, მარტოკას, მაშინვე ხელში მწვდებიან. ერთი კვერცხი მომეცი, ძია კაცო, და სამაგიეროდ ორ გვირგვინს მოგცემ.

ლ ი რ ი

ნეტა, რა გვირგვინებზე ყბედობ?

მ ა ს ხ ა რ ა

რაზე და, იმ კვერცხს შუაზე გავტეხ, გულცილას თვითონ გეახლები, ხოლო ნაჭუჭებიდან ორი გვირგვინი გამოგივა. შენ რომ შენი გვირგვინი გაჰყავი შუაზე და გააჩუქე, მაშინ ვირი მოიკიდე ზურგზე და ლათში გაიყვანე. ნამცეცი ჭკუაც აღარ შეგრჩა მაგ მოტვლებილ თავში, ოქროს გვირგვინი რომ გააჩუქე? ვინც ამას მასხარობაში ჩაძომართმევს, იმისთვის მათრახი იქნება უპრიანი.

(მღერის)

წელს ისეთი საქმე მოხდა,
მოდი, ნუ გაგეცინება!
ხელობაში ტაკი-მასხრებს
ზოგი ბრძენიც ეცილება.
ცუნცრუკით და ცმუკვით ასე
მაიმუნებს დაემსგავსნენ.

ლ ი რ ი

როდის აქეთია დაიწყე სიმღერებით ლაპარაკი, ბრიყვო?

მ ა ს ხ ა რ ა

რაც შენ საკუთარი შვილები დედებად გაიხადე — აი, წკებლა რომ მიეცი ხელში და თვითონ კი შარვალი ჩაიხადე.

(მღერის)

მათ სიხარულის ცრემლები ღვარეს,
მე მწუხარებამ ამაღლინა.

შენნაირ მეფეს ეკუთვნის სწორედ
ტაკი-მასხრებთან დაიდოს ბინა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასწავლებელი დამიჭირე, ძია-კაცო, შენს მასხარას ტყუილები ას-
წავლოს. ერთი სული მაქვს, მანამ ტყუილებს ვისწავლიდე.

ლირი

ტყუილებს თუ მოჰყევი, მათრახიც არ მოგაკლდება, ბრიყვო.

მასხარა

მიკვირს პირდაპირ, საკუთარი შვილები როგორ ვერ დაიმსგავსე —
ისინი, სიმართლეს რომ ვიტყვი, მაშინ მცემენ მათრახს, შენ კი ტყუ-
ილისათვის მპირდები. ზოგჯერ, ჩუმად რას ზიხარო, ამისთვისაც კი
მომხვდება. ნეტა კი მასხარა არ ვიყო და რაღაც გინდა მაქციე. თუშ-
ცა შენს ბედზე მაინც არ გავცვლიდი ჩემს ხელობას, ძია კაცო: ადე-
ქი და ამ შენს ჭკუას აქეთ-იქიდან გვერდები ჩამოათალე, შუაში კი
აღარაფერი დაგრჩა. აჰა, ერთი ჩამონათალი აგერ მოდის.

(შემოდის გონერილა)

ლირი

მოხვედი, შვილო! რა მოგივიდა, რას დაგიბღვერია? ამ ბოლო ხანს
სულ ცხვირჩამოშვებული დადიხარ!

მასხარა

კარგი კაცი მაშინ იყავი, როცა მაგის დაბღვერას სულაც ვერ ამჩნევ-
დი. ახლა რა, გუდაფშუტა გახდი. მეც კი გჯობივარ ახლა, მასხარა
მაინც ვარ, შენ კი არარაობად იქეცი...

(გონერილას)

აჰა, გავჩუმდი, აღარას ვიტყვი. თქმით კი არაფერს მეუბნები, მაგრამ
თვალებზე გატყობ, რომ გაჩუმებას მიბრძანებ.

ციც, ციც. ჩუმად, ჩუმად!

ვინც თავიდან შავი დღისთვის არ დაზოგოს ლუკმა პური,
გატანჯულმა, სიბერეში ჩამოყაროს ორთავ ყური.

აჰა, მუხუდოს ჩენჩო!

(ლირზე მიუთითებს).



გოწერილა

ამ თქვენს თავგასულ მასხარასა ვილა დაეძებს,
სხვებიც, ყველანი, მთელი თქვენი ბრიყვი ამაღა,
თავბირს ამტვრევენ ერთმანეთსა, ძიძგილაობენ,
და მოსვენება აღარა აქვთ დღისით, თუ ღამით.
მეტონ მოთმენა არ იქნება, თავზე დაგვასრდნენ.
ჯერ კი ვიფიქრე, ამ საყვედურს რომ მოვასხენებ,
ალაგმავს-მეთქი, დააწყნარებს მოჩხუბარ მსახურთ,
მაგრამ ვატყობ, რომ თქვენი სიტყვით და საქციელთ,
თქვენვე მფარველობთ და აქეზებთ მათ სისაძაგლეს.
ამას თვითონვე აღკვეთავდით, რომ მოგესურვათ,
მაგრამ, ეტყობა, მევე უნდა ხმა აღვიმალლო,
და კი ნუ მიწყენთ, თუ არ ქვეყნის კეთილდღეობა,
მეც დავირცხვენდი და ყველაფერს წავუყრებდი.

მასხარა

მაშ, რა გეგონა, ძია-კაცო:
გუგულის ბარტყი გაზარდა ჩიტმა —
ბარტყმა დედობილს თავი მოკვნიტა.
ჩაქრა სანთელი და სიბნელეში დავრჩით ყველანი.

ლირი

შენ ჩემი შვილი ხარ?

გოწერილა

კმარა, ბატონო,
მე ხომ ვიცი, რომ თქვენი სიბრძნე განთქმული იყო,
ახლაც იხმარეთ ცოტა ჭკუა, ჩამოიცილეთ
ეს უცნაური ხუსტური და ჟინიანობა,
რამაც იმგვარად შეგცვალათ, რომ კაცი ვეღარ გცნობთ.

მასხარა

ვირმა განა თვითონ კი არ იცის, როდის ეწევა ცხენი ფურგონს?! ვა-
შა, ჯეგ! ამისთვის მიყვარხარ!

ლირი

ერთი მითხარით, მისმენთ ვინმე? ნუთუ ლირი ვარ?
ლირი ამგვარად დადის განა? ასე მეტყველებს?



საღათას ძილით დაიძინა? ჭკუა დაეწო?
აბა, სად სძინავს! დაძინებულს რა უგავს, ნეტა
გამაგებინეთ, ვინა ვარ მე?

მ ა ნ ხ ა რ ა

ლირის აჩრდილი.

ლი რ ი

უსათუოდ უნდა გავიგო. იმიტომ, რომ მეფურმა ღირსებამ, ჭკუამ
და გონებამ ვაი თუ ამოდ მათეჩრებინონ, თითქოს ქალიშვილები
მყავდეს.

მ ა ს ხ ა რ ა

რომელთაც გადაუწყვეტიათ გამგონე მამად გაქციონ.

ლი რ ი

სიტუროფით სავსე ქალბატონო, თქვენი სახელი?

გ ო ნ ე რ ი ლ ა

ეს ახირებაც იმ თქვენს ახალ ხუსტურებსა ჰგავს.
ჩემი სიტყვები გულისყურით ასწონ-დასწონეთ,
ღირსებით სრული მოხუცი ხართ და კარგს იზამდით
ჭკუაც ღირსების შესაფერი გამოგეჩინათ.
ეგ ასი კაცი — რაინდები, აზნაურები
რომ შეგიყრიათ და მხლებლებად თან წამოგისხამთ —
ბრიყვი, უზნეო და თავხედი ხალხი გამოდგა,
აქაურობა დაამსგავსეს სამიკიტნოებს,
ისე აიშვეს, რომ ეს წმინდა ციხე-დარბაზი
ლამის წაბილწულ საროსკიპოდ გადააქციონ.
სირცხვილი თავად ღაღადებს და მსწრაფლ შველას ითხოვს.
მეცა გთხოვთ — თუმცა უთხოვნელად თვითვე შემეძლო —
ცოტათი მაინც შეამციროთ თქვენი ამალა;
ვისაც თავისი ფასიც ესმის, თქვენი ღირსებაც,
ვინც მაგ ჭალარას არ შეგირცხვენთ, ის დაიტოვეთ.

ლი რ ი

ჰოი, წყვილიაო!

ჩქარა ცხენები შემიკაზმეთ! ამალას უხმეთ!

ო, არამზადა! გარეწარო! არ შეგაწუხებ,
მე ერთი ქალი კიდევ დამრჩა.

გონერილა

კარისკაცები დამილახეთ და თქვენმა ხროვამ
თავისზე მჯობნნი მსახურებად გადაიქციეს.

(შემოდის ალბანი)

ლირი

ვაი მას — ვინცა სინანულში გვიან ჩავარდეს!

(ალბანს)

ო, თქვენც აქა ხართ, ვაჟბატონო! თქვენც შეთქმული ხართ?
ხმას რად არ იღებთ?!. ცხენი-მეთქი, ცხენები ჩქარა!
ქვისგულიანო ჯოჯოხეთო — უმადურებავ,
შვილის სხეულში რომ შეძვრები, ზღვის ურჩხულზედაც
უფრო საზარი შეიქნები!

ალბანი

გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.

ლირი

მურდალო სვაგო, ტყუი შენა — ჩემი ამაღა
სულ დარჩეული ხალხი გახლავს, თავაზიანი,
მშვენივრად ესმით თავიანთი მოვალეობა
და ღირსებასაც მოწიწებით უფრთხილდებიან.
ო, რად მეჩვენა უხამსად და შეუწყნარებლად
ისეთი მცირე შეცოდება კორდელიასი!
რამ შემირყია ერთიანად მტკიცე სხეული,
სიყვარულისგან გული ასე რამ დამიცალა
და რამ გამივსო მწარე ნაღვლით?! ო, მეფე ლირო!
ახლა ამ კარზე აკაკუნე — სიდანაც ჰკუთ

(შუბლზე დაირტყამს ხელს)

გაგიშვია და სისულელე ჩაგიმწყვდევია.
აბა, წავსულვართ!



ა ლ ბ ა ნ ი

მე, ბატონო, არაა ვიცი რა,

რამ გაგაცხარათ? ბრალი სულაც მე არ მიმიძღვის.

ლი რ ი

ეგ იქნებ მართლაც ასე იყოს, ჩემო ბატონო...
 ისმინე ჩემი, ბუნებაო, ჩემო ღვთაებავ!
 თუ განგიზრახავს ამ დედაკაცს უბოძო შვილი,
 შენი განზრახვა გააუქმე! ნუ მისცემ ნაყოფს,
 მუცელში თესლი გაუწყალე. გაუხმე საშო,
 რომ უწმინდურმა და უგვანმა მისმა სხეულმა
 ველარასოდეს ვერ აღირსოს შვილის სიხარულს.
 მაგრამ თუ მაინც უწერია შვილების ყოლა,
 ტანჯვად გადექცეს, უსახური ჯოჯო დაბადოს,
 სახე ერთიან დაუღმიჭოს, ისე ატიროს,
 რომ ეს ღაწვები ცრემლის ღვარმა ჩამოურეცხოს.
 მშობლიურ ალერსს ამრეზითა და ზიზღით შეხვდეს,
 სასაცილოდაც აღარ ეყოს დედის წუხილი.
 მაგანაც იგრძნოს, რომ ასპიტის ნაკბენზედაც კი
 უფრო მწარეა შვილის ცივი უმადურობა.
 აბა, წავედით.

(გადის)

ა ლ ბ ა ნ ი

რამ გააცხარა ნეტა ასე?! ჰოი, ღმერთებო!

გ ო ნ ე რ ი ლ ა

მაგის გაგებით თავს რად იტყენ, ნეტა ვიცოდე.
 ასემც უქნია, ერთიანად გაგიყეებულა.

(შემოდის ლირი)

ლი რ ი

ეს რა გიქნიათ?! მაშ ამაღა გამინახევრეთ?!
 ჯერ ორი კვირაც არ გასულა!

ა ლ ბ ა ნ ი

ნეტა, რა მოხდა?

ახლავე გეტყვი მე ყველაფერს...

(გონერილას)

სიკვდილ-სიცოცხლევ!

მრცხვენია სწორედ, ვაუკაცობა რომ შემირყიე,
რომ მდულარე ცრემლს უმოწყალოდ და უნებურად
შენს წინაშე ვღვრი — თითქოს იყო ცრემლების ღირსი!
მეხი დაგატყდეს, ნისლმა გშთანთქოს შენ ერთიანად!..
მამისა წყევლამ გაგიგმიროს გული და გრძნობა,
უკურნებელის იარებით მოგსპოს, დაგშალოს!
ცრემლებს ნულარ ღვრით, სულელო და ბებერო თვალნო,
თორემ ამოგგლეჯთ და მოგიქნევთ, რომ ნიადაგი
თქვენგან ნაწური წყლით აზილოთ!.. რას მოვესწარი!
რა გაეწყობა, ასე იყოს!.. კიდევ მყავს შვილი,
ის კეთილია, მამამისის მოსიყვარულე,
შენს ავგულობას რომ გაიგებს, მოგათრინდება
და მაგ მგლურ სიფათს დაგიკორტნის თავის ფრჩხილებით.
ნახე, უკანვე დავიბრუნებ სამეფო ტახტსა,
ნუ გეგონება, სამუდამოდ დამეთმოს იგი,
თვითონ გახდები ამის მოწმე, რომ დავიბრუნებ.

(გადიან ლირი, კენტი და მხლებლები)

გონერილა

ხომ ნახე, რა თქვა?

ალბანი

გონერილა, როგორ მიყვარხარ,
მაგრამ რა ვუყო, ამ საქმეში მხარს ვერ დაგიჭერ...

გონერილა

კარგი, მომეშვი... ოსვალდს უხმეთ!

(მასხარას)

თქვენ, ვაუბატონო,

მასხარა კი ხარ — ყველა ვხედავთ — მაგრამ სახელად
თაღლითი უფრო მოგიხდება. შენს ბატონს მიჰყე!



ძია ლირო, ძია ლირო, აღარ დამიცდი? შენს მასხარას აღარ წაიყვან?
 არც მელა დაზოგო, ხათვანგში გაბმული,
 არც შვილი ამგვარი — ანჩხლი და ავგული.
 თოკია მაგათთვის თავიც და ბოლოცა!
 ამ ჩაჩსაც დავთმობდი, მარყუყი რომ მომცა.
 ახლა კი რაღა ვქნა — ჩემს ბატონს გავყვები.

(გადის)

გო ნ ე რ ი ლ ა

კარგ ჭკუაზეა ვაჟბატონი — ასი რაინდი!..
 ასი რაინდი, კარგი კია, შენ ნუ მომიკვდე!..
 რომ წამოუვლის, მოისურვებს, მოიგუნებებს,
 ყურს მოჰკრავს რასმე, რამე ცუდად მოეჩვენება,
 მაგის ხუსტურს და ბერიკაცულ ქარაფშუტობას,
 კარგად დაიცავს იარაღით ასი ვაჟკაცი,
 შენ კი დაჯექი და უცქირე შიშის კანკალით...
 ოსვალდს მოუხმეთ!..

ა ლ ბ ა ნ ი

ეგ სიფრთხილე მეტისმეტია.

გო ნ ე რ ი ლ ა

მეტისმეტ ნდობას მეტისმეტი სიფრთხილე მიჯობს.
 სულ შიშში ყოფნას, ბარემ მოსპე შიშის მიზეზი!
 მე კარგად ვიცნობ მამაჩემსაც. რაც აქ წამოცდა,
 რეგანასა ვწერ სულყველაფერს თავით ბოლომდე,
 ვნახოთ რას იზამს, თუ მიიღებს ას რაინდს ერთად
 და გამაწბილებს, მაშინ უნდა...

(შემოდის ოსვალდი)

მოხვედი, ოსვალდ?

არ გამიმზადე ის წერილი რეგანასათვის?

ოსვალდი

დიახ, დავწერე, ქალბატონო.

გონერილა

ნულარ ყოვნდები,
იახელ ვინმე და ცხენებით გასწიეთ ჩქარა.
კარგად უთხარი ყველაფერი, რისი შიშიც მაქვს,
შენი სათქმელიც დაუმატე და დააჯერე.
აბა, გაქუსლე და მალევე დაბრუნდი უკან.
არსად შეჩერდე.

(ოსვალდი გადის)

აბ, აბ, აბ, აბ, არც გამაგონო.
ეგ სიკეთე და გულჩვილობა არ დაეძრახვის,
მაგრამ, ბატონო, მომიტევე, პირდაპირ გეტყვი.
უჭკუობისთვის მეტი კიცხვა გრგებია წილად.
ვიდრემდე ქება გღირსებოდეს გულჩვილობისთვის.

ალბანი

მე კი ვერ გეტყვი, რამ სიშორეს გიჭრის ეგ ჭკუა,
მაგრამ, ვხედავ, რომ ბევრის ნდომით ცოტასაც ვკარგავთ.

გონერილა

ისე გამოდის...

ალბანი

კარგი, კარგი. საქმემ გვიჩვენოს.

(გაღიან)

სურათი V

ალბანის სასახლის წინ

(შემოდიან ლირი, კენტი და მასხარა)

ლირი

შენ დაწინაურდი და ეს წერილები გლოსტერს ჩაიტანე. თქმით ნუ-
რაფერს ეტყვი ჩემს ქალს, წერილის წაკითხვის შემდეგ თუ რამე
გკითხოს, მხოლოდ მაშინ უპასუხე. თუ ძალიან არ იჩქარე, ჩვენ ჩა-
გასწრებთ.

კ ე ნ ტ ი

თვალსაც კი არ მოვხუჭავ, ჩემო ბატონო, მანამ ამ წერილებს ჩავაბარებდე.



(გაღის)

მ ა ს ხ ა რ ა

კაცის ტვინი რომ უცებ ქუსლებში მოექცეს, რას იტყვი, კოყრები არაფერს დაუშავენს?

ლ ი რ ი

როგორ არ დაუშავენს.

მ ა ს ხ ა რ ა

მაშ, გიხაროდეს, შენი ტვინი წალებში აღარასოდეს მოექცევა.

ლ ი რ ი

ჰა, ჰა, ჰა!

მ ა ს ხ ა რ ა

ნახე, როგორ მოგესიყვარულოს შენი მეორე ქალი. ისიც ხომ ამისი დაა, მაგრამ ისე ჰგავს ამას, როგორც ვაშლი — მაყალოს. მე მაინც ჩემი უნდა ვთქვა.

ლ ი რ ი

რა უნდა თქვა, ბიჭო?

მ ა ს ხ ა რ ა

სიმყავითა და სიმწარით ორივენი ერთნაირი იქნებიან, როგორც ორ მაყალოს ვერ გაარჩევ ერთმანეთისაგან. აბა ამას თუ მეტყვი, რატომ არის ცხვირი სახის შუაში?

ლ ი რ ი

არ ვიცი.

მ ა ს ხ ა რ ა

რა დიდი ცოდნა მაგას უნდა, იმიტომ რომ ერთი თვალი აქეთ ეჯდეს, მეორე — იქით. რასაც სუნით ვერ აიღებს კაცი, თვალთ მაინც დაინახოს.

ლ ი რ ი

რა უსამართლოდ მოვექეცი...

მასხარა

აბა, ლოკოკინა როგორ იკეთებს თავის ნიქარას?

ლირი

ვერც მაგას ვეტყვი.

მასხარა

მაგას ვერც მე ვიტყვი. ოღონდ ეს კი ვიცი, რისთვის იკეთებს

ლირი

რისთვის?

მასხარა

რომ შიგ თავი შეათაროს! აბა, შვილებს ხომ არ აჩუქებს და თვითონ
გარეთ ხომ არ დარჩება.

ლირი

მე თვითონვე ვგმობ ჩემს ბუნებას... მერე რა კეთილი მამა!.. ცხენე-
ბი არ შეკაზმეს?

მასხარა

ვირები გეახლნენ ცხენების შესაკაზმად... საოცარი კია — ცაზე რომ
შვიდი ვარსკვლავი ანათებს, რატომ შვიდია და მეტი არა?

ლირი

იმიტომ რომ რვა არ არის.

მასხარა

ეს კი კარგად გამოგივიდა. რა კარგი მასხარა იქნებოდდი!

ლირი

ძალით უნდა დავიბრუნო უკან!.. ო, საზარო უმადურებაე!

მასხარა

შენ რომ ჩემი მასხარა იყო, ძია-კაცო, ერთს მაგრად მიგტყუებავდი.
ასე უდროოდ რად დაბერდი-მეთქი.

ლირი


როგორ თუ უდროოდ?

მასხარა

ჯერ ჭკუა უნდა გესწავლა და მერე დაბერებულ იყავი.

ლ ი რ ი

ნუ გამაგიყებთ! ო, ღმერთებო, ნუ გამაგიყებთ!
შემინარჩუნეთ მოთმინება, ნუ გამაგიყებთ!



(შემოდის რაინდი)

რაო, ცხენები არ მომართვით?

რ ა ი ნ დ ი

მზად გახლავთ, მილორდ.

ლ ი რ ი

მაშ გავემგზავროთ, ჩემო ბიჭო.

(გაღიან)

მ ა ს ხ ა რ ა

ეგერ ის გოგო რომ დამცინის. რას მერჩის, ნეტა?!
მალე დაჰკარგავს ქალწულობას — ახლავე ვხედავ.

(გაღიან)

მოქმედება მეორე

სურათი I

გლოსტერის გრაფის ციხე-დარბაზის ეზო.

(სხვადასხვა მხრიდან შემოდინან ედმუნდი და კურანი)

ედმუნდი

კურანს გაუმარჯოს.

კურანი

თქვენც გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო. ეს არის მამათქვენი მოვინახულე; კორნუოლის მთავარი და მისი მეუღლე რეგანა უნდა ეწვიონ ამაღამ და ეს მოგახსენე.

ედმუნდი

რა ამბავია?

კურანი

რა მოგახსენოთ... თქვენც გაიგებდით ახალ ამბავს!.. მთელი ქვეყანა მაგაზე ჩურჩულებს. ისეთი საქმეა, რომ ჯერ მარტო ყურში თუ ითქმის.

ედმუნდი

არა, არ გამიგია. მითხარი, თუ კაცი ხარ.

კურანი

ნუთუ მართლა არ გაგიგიათ, კორნუოლი და ალბანი ერთმანეთში ომს აპირებენო?

ედმუნდი

ერთი სიტყვაც კი არ გამიგონია.

ე დ მ უ ნ დ ი

მთავარი მოდის აქ ამაღამ? მით უკეთესი!
 ესეც ჩემს საქმეს, თავისთავად, ჩაექსოვება.
 ძმის შესაპყრობად მამაჩემმა კაცი გაგზავნა —
 და რაკი ბედი ასე მწყალობს, მე ისლა დამრჩა
 ცოტათი ხელი გავანძრიო. არ დავაყოვნო!..
 ედგარ, ო ედგარ!.. აქ ჩამოდი, სიტყვა მაქვს შენთან.

(შემოდის ედგარი)

აქაურობას გაეცალე, საჩქაროდ, ძმაო,
 მამა დაგეძებს, უთქვამთ უკვე, სად იმალები.
 ღამეა სწორედ, შენს იღბალზე. ერთი მითხარი
 ცუდი ხომ არა დაგცდენია შენ კორნუოლზე,
 რეგანასა და იმას ახლა აქ მოელიან...
 რა მოელანდათ, ამ ღამეში რას გამოქანდნენ?!
 ხომ არსად გითქვამს, კორნუოლი თავისი ქვისლის
 ალბანის მთავრის წინააღმდეგ ომს ამზადებსო?

ე დ გ ა რ ი

კრინტიც კი არსად არ დამიძრავს.

ე დ მ უ ნ დ ი

ჰა, მამაჩვენიც!..

მახვილს ვიშიშვლებ თვალთმაქცურად... შენც იძვრე ხმალი-
 თითქოს თავს იცავ. — დამმოჩილდი! დააგდე ხმალი!
 ჩქარა მამასთან გამომყევი!.. აქ მომანათეთ! —
 ახლა მოუსვი, თავს უშველე!.. სინათლე აქეთ!..
 მშვიდობით, ძმაო!

(ედგარი გადის)

სისხლს დავიდენ და იფიქრებენ,
 თავგამოდებით იბრძოლაო.

(მკლავს გაისერავს)

რამდენი მთვრალი
ამაზე მეტად გაკაწრულა თავშესაქცევად.
ვერსად წამიხვალ!.. მამა! მამა! არავინ მშველის?

(შემოდინან გლოსტერი და ჩირაღდნიანი მსახურები)

გლოსტერი

შენა ხარ, ედმუნდ? სად წავიდა ის არამზადა?

ედმუნდი

აგერ, აქ იდგა სიბნელეში, ხმალამოწვდილი,
იმუქრებოდა. ჯადოქრულად იწვევდა მთვარეს,
მომეშველეო...

გლოსტერი

სადღა გაქრა?

ედმუნდი

ო, სისხლი დამდის!..

გლოსტერი

მიტხარი, ედმუნდ, სად წავიდა ის არამზადა?

ედმუნდი

აქეთ გავარდა! რაკი ჩემთან ველარას გახდა...

გლოსტერი

მისდიეთ, მიჰყეთ! აქეთ, აქეთ!..


(რამდენიმე მსახური დაედევნება)

ვერას გახდაო?

ედმუნდი

ო, შენს მოკვლაზე რაკი ველარ დამიყოლია.
რა არ ვუთხარი, ვემუდარე, მამისმკვლელს ღმერთნი
მთელ რისხვასა და შურისგებას ატეხენ-მეთქი;
მტკიცეა-მეთქი მამა-შვილთა შორის კავშირი...
და როცა ნახა, გამწარებით წინ აღვუდექი
მის უბუნებო გულისთქმასა, ხმალი იშიშვლა,
მეცა უეცრად: გაოგნებულს, და მკლავში დამჭრა.

მაგრამ რა იგრძნო, ბოღმითა და რისხვით გზნებულა,
არ შევარჩენდი სისაძაგლეს, — ანდა იქნება,
ჩემმა ყვირილმაც შეაშინა, — ერთბაშად გაქრა



გ ლ ო ს ტ ე რ ი

ირბინოს, მანამ მოსწყინდება. ვერსად წაგვივა.
გაქაჩავენ და მორჩა კიდევც!.. ამაღამ ჩვენთან
ჩემი მფარველი, მწყალობელი, ღირსებით სავსე
დიდი მთავარი მობრძანდება. მისი სახელით
გამოვაცხადებ მე საქვეყნოდ, რომ ვინც შეიპყრობს
და დასასჯელად ჩვენ გადმოგვცემს მაგ ლაჩარ მკვლელსა,
ჯილდოს მიიღებს; ვინც დამალავს — თვითვე მოკვდება!

ე დ მ უ ნ დ ი

რამდენს ვეხვეწე, ვეჩიჩინე, ნუ იზამ-მეთქი,
მაგრამ რა ვნახე, მტკიცედ ჰქონდა, თავს ჩაჭდობილი
და ხვეწნით ვერას გავხდებოდი, მუქარას მოვჰყე —
გავამხელ-მეთქი შენს განზრახვას. თქვენც არ მომიკვდეთ!
მე მომდგა ისევ, „შენო, მითხრა, არაფრის მქონე,
ნაბუშარაო, ჩემთან, ნეტა, რას გახდებიო,
შენს ერთგულებას, სათნოებას, პატიოსნებას
ყურს ვინ ათხოვებს, მაგ შენს სიტყვებს ვინ დაიჯერებს,
როცა ავდგები და უარს ვჰყოფ ყველაფერს ერთად,
შენს ნათქვამსაც და ჩემს საკუთარ ხელნაწერსაცო...
ყველაფერს შენვე დაგაბრალებ... ვის გააბრიყვებ,
ვის დააჯერებ, ჩემი მოკვლა ხელს არ გაძლევსო“...

გ ლ ო ს ტ ე რ ი

გულქვა და ბილწი არამზადა! უარსა ვჰყოფო?!
არა, არ არის ჩემი შვილი!..

(საყვირის ხმა)

აჰა, მთავარიც!

რატომ გვესტუმრა ნეტა ასე მოულოდნელად?!
სად გამექცევა! სულ შევუკრავ გზებს, ნავსადგურებს.
მთავარიც დამრთავს ამის ნებას. მთელს ქვეყანაში
იმის სურათებს დავაგზავნი, რათა შეიცნონ



და შეის შეიბყრან. შენ კი, ჩემო ერთგულო შვილო,
შევეცდები, რომ დაგიმტკიცო მემკვიდრეობა.

(შემოდინ კორნუოლი, რეგანა და მხლებლები)

კორნუოლი

რასა იქმ, ჩემო მეგობარო? ფეხის შემოდგმა
ვერც მოვასწარი — უცნაური ამბები მითხრეს.

რეგანა

თუ ეს გამართლდა, რა სასჯელიც არ მოიგონო,
ცოტა იქნება მაგნაირი დამნაშავეისთვის.

რასა იქმ, მილორდ?

გლოსტერი

გული: გული, ბებერი გული

ლამის გამისკდეს, ქალბატონო.

რეგანა

როგორ ვირწმუნო,

რომ მამაჩემის მონათლულმა, შენმა ედგარმა,
ვისაც სახელი მამაჩემმა უბოძა თვითონ.

შენ სასიკვდილოდ იგაგიმეტა?!

გლოსტერი

ო, ქალბატონო.

სირცხვილით ვიწვი, გამხელაც კი გამძნელებია.

რეგანა

იმ თავაშვებულ რაინდებთან ხომ არ მეგობრობს,
მამაჩემს თავის მხლებლებად რომ აუყვანია?

გლოსტერი

რა მოგაზსენო... შავად, შავად წავიდა საქმე.

ედმუნდი

დიახ. ბატონო, ეგეც მათთან დატორლიალებს.

რეგანა

მაშ, აღარ მიკვირს არაფერი. სწორედ ისინი
ჩააგონებდნენ მოხუცებულ მამის მოკვლასაც,



რომ მოსდგნენ მერე და ქონება გაუნიავონ.
ამალამ წიგნი მომივიდა ჩემის დისაგან —
მაგ ხალხის ამბავს მატყობინებს. სიფრთხილეს ვიხმარ —
შინ არ დავხვდები, როცა მოვლენ.

კორნუოლი

შენზე კი, ედმუნდ, ასე მითხრეს, მამაშენისთვის
შვილის წამდვილი სამსახური გაგიწევია.

ედმუნდი

რაც ვალად მედო, ისა ვქენი, ჩემო ბატონო.

გლოსტერი

მისი ბოროტი ავკაცობაც ამან ამჩილა,
და შეპყრობა რომ მოინდომა, აგერ, დაიჭრა.

კორნუოლი

არ დაადევნეთ?

გლოსტერი

როგორ არა, ბატონო ჩემო.

კორნუოლი

ერთი შეიპყრან — ველარავის ვერ ავნებს მერე!
რაცა გინდოდეს, ის უქენი, მე ნებას გაძლევ.
შენა კი, ედმუნდ, დღეს იმგვარი სათნოება და
სამაგალითო მორჩილება გამოამყლავნე,
გადავწყვიტე, რომ თან გიახლო. ამგვარი ხალხი,
ასე სანდო და პირიანი, მჭირდება სწორედ.
პირველი შენ ხარ ჩემს მხლებლებში.

ედმუნდი

ერთგულ მსახურად

მიგულეთ, მილორდ.

გლოსტერი

მეც მადლობას იგიძღვნით, ბატონო.



კორნუოლი

ალბათ, ვერც ხვდებით, ასე უცებ რატომ გეწვიეთ...

რეგანა

ასე უდროოდ, ამ საშინელ წყვდიად ღამეში.
საქმე იმგვარად დატრიალდა, ძვირფასო გლოსტერ,
რომ რჩევისათვის, ისევ შენკენ გამოვეშურეთ:
მამა ცალკე გვწერს, დაც ბარათით ამასვე გვამცნობს,
ჩხუბი მოსვლიათ ერთმანეთში. მე ვამჯობინე
შენი სახლიდან გავუგზავნო პასუხი იმათ,
აქვე გვიცდიან შიკრიკებიც. ჩვენო ერთგულო
და ჩვენო ძველო მეგობარო, ცოტა სხნით მაინც
დაიშოშმინო უნდა გული და შენი რჩევა
არ დაიშურო ამ სასწრაფო საქმისთვის ახლა.

გლოსტერი

მზად ვარ, ბატონო, გემსახუროთ. სულით და გულით
მოგეგებებით, გაგვახარეთ აქ მობრძანებით.

(გაღიან)

სურათი II

გლოსტერის ციხე-დარბაზის წინ

(სხვადასხვა მხრიდან შემოდინ კენტი და ოსვალდი)

ოსვალდი

დილა მშვიდობისა, მეგობარო. აქაური ხარ?

კენტი

ჰო.

ოსვალდი

ცხენები სად დავაბინავო?

კენტი

ტლაპოში.

ოსვალდი

კარგი ერთი, თუ გიყვარდე, ნამდვილი მითხარი.



კ ე ნ ტ ი

შენც რომ დიდი საყვარელი ხარ!

ო ს ვ ა ლ დ ი

ოჰო, არც მე მენადვლება, ვინა გდიხარ.

კ ე ნ ტ ი

ერთი, ლიპსბერის ბაკში მიმაჩიხვინა შენი თავი, მაშინაც ვხაზავდი, როგორ არ ინადვლებდი.

ო ს ვ ა ლ დ ი

ნეტა რას მედიდგულები! გიცნობ?! მიცნობ?!

კ ე ნ ტ ი

ძალიან კარგადაც გიცნობ, ვაჟბატონო.

ო ს ვ ა ლ დ ი

აბა, ვინა ვარ?

კ ე ნ ტ ი

ყალთაბანდი, გარეწარი, ქლესა, გლეხაჭუა, ბლენძი, ქარაფშუტა, მაწანწალა, წუწკი, ყურმოჭრილი მონა, ჯიბეგახვრეტილი, ბილწი, გულდედალი, მახეზლარი, ნაბუშარი, პრუწა, მანჭია თაღლითი, გუდამშიერი, აბრეშუმის წინდებში გამოწკეპილი არამზადა; გულისამრევი ლაქუცობით მაჭანკლობასა ლამობ, მაგრამ წისაძაგლის, მათხოვრობის, სილაჩრის, დაღალლობისა და ძაღლიშვილობის თაიგული კი ხარ, მეტს ვერაფერს ეღირსე. რაც ახლა სახელები შეგარქვი, ამათგახ ერთ ასოზედაც რომ თქვა უარი, იმდენს გირტყამ, რომ სულ ვაიდუდას გადახებ.

ო ს ვ ა ლ დ ი

დაიცა, დაიცა! რა საშინელი ვინმე ყოფილხარ, რას ილანძლები? გიცნობ თუ მიცნობ?

კ ე ნ ტ ი

აი, შე უტიფარო არამზადა! რა თავს იკატუნებ — ვითომ მართლა არ მიცნობდე. ჯერ ორი დღეც არ გასულა, ხელმწიფის წინ რომ გაგაბრტყელე და გემრიელად მიგბეგვე. ხმალი გაიძვრე, შე თაღლითო. ღამე კია, მაგრამ მთვარე ხომ ანათებს! ისე მიგასულმკვდარო ამ

მთვარის შუქზე, რომ შენი მოწონებული. ხმალი იძვრე-მეთქი, შე
წყალწაღებულო არამზადა. ხმალი ჩქარა!

(თვითონ ხმალს იშიშვლებს)

ო ს ვ ა ლ დ ი

იქით! შენთან რა მესაქმება!..

კ ე ნ ტ ი

ხმალი-მეთქი, ყალთაბანდო! მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ხელმწი-
ფის წინააღმდეგ ბარათების ტარება! ტაკი-მასხარას აპყოლიხარ და
მის გვირგვინოსან მამას კი ებრძვი, არა?! ხმალი-მეთქი, შე თაღლი-
თო, მანამ ძვალთან რბილიანად არ დამიბეგვიხარ! ხმალი იძვრე, ყალ-
თაბანდო. აბა, ჩქარა!

ო ს ვ ა ლ დ ი

მიშველეთ, მიშველეთ... მომკლეს!.. მიშველეთ!

კ ე ნ ტ ი

მოიქნე ხმალი, შე ყურმოჭრილო მონავ. გამაგრდი, თაღლითო. გა-
მაგრდი. აი შე გამოწკეპილო მონავ, ხმალი-მეთქი!

(სცემს)

ო ს ვ ა ლ დ ი

მიშველეთ! მიშველეთ! მომკლეს! მომკლეს!

(შემოდის ხმალამოწვდილი ე დ მ უ ნ დ ი)

ე დ მ უ ნ დ ი

ვინა ყვირის? რა ამბავია?

(აშველებს)

კ ე ნ ტ ი

აჰ, თქვენა ბრძანდებით, ბატონიშვილო? დაგეშვა მოგინდათ? გამობ-
რძანდით, ბატონო.

(შემოდის კო რ ნ უ ო ლ ი, რ ე გ ა ნ ა, გ ლ ო ს ტ ე რ ი და მ ს ა ხ უ რ ნ ი).

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხმლით დაერიენ ერთმანეთსა? რა მოხდა მაინც?



კორნუოლი

გაშველდით, ჩქარა, თავი თუ არ მოგძულეებით! ვინც ხმაღს შემართავს — თავს წააგებს! რაო, რა მოხდა?

რეგანა

ეგენი ხომ ხელმწიფისა და ჩემი დის შიკრიკები არიან.

კორნუოლი

რა მოგივიდათ, რა გაჩხუბებთ?

ოსვალდი

სულს ძლივსღა ვითქვამ, მილორდ.

კენტი

ამდენი ჭინთვისაგან კიდე კარგადა ხარ. აი, შე ლაჩარო მოხავ; ბუნებასაც კი ერცხვინება შენი, შე თერძის შეკერილო!

კორნუოლი

ნეტა რას ბოდავ — თერძმა ადამიანი როგორ უნდა შეკეროს!

კენტი

სწორედ რომ თერძმა, ჩემო ბატონო, აბა ქვისმთლელსა და მხატვარს, სულ ორიოდ საათიც რომ ემუშავნათ, ამისთანა მაიმახი გამოუვიდოდათ?!

კორნუოლი

მაინც რაზე წაიკიდეთ, ასე რამ გაგაგულინა?

ოსვალდი

თავის ჭაღარას უმაღლოს, თორემ მაგ წუწკ ბერიკაცს სულს გავაცხებინებდი და...

კენტი

აი, შე ნაბუშარო, შე ანბანის უხმარო ასო! ნება მომეცი, ჩემო ბატონო, რომ ეს გაუთლელი ბრიყვი როდინში კარგად დავნაყო, სვზილო და ფეხსადგილის კედლები შევლესო. ჭაღარას უნდა ვუმხიდლო, არა, შე მახზაკუნა?!



კორნულო

გაჩუმდი, ბრიყვო, ხმა გაიკმიდე! არ იცი განა, ვისთან როგორ უნდა მოიქცე?

კენტი

ვიცი, ბატონო, როგორ არა, მაგრამ გაგულისებულ ადამიანს ეპატიება.

კორნულო

მერე რამ გაგაგულისა?

კენტი

მაშ, ასეთ მონას, არამზადას, ნამუსგარეცხილს რად უნდა ერთყას წელზე ხმალი, ვინ მისცა ხმალი?! ვირთაგვებს ჰგვანან ეს ღრეჭია ყალთაბანდები: იმ წმიდა კავშირს გადაკვნეტენ და გადახრავენ, რაც მტკიცედ არის შეკრული და გადაკვანძული; გულში ხინჯი რამ თუ შენიშნეს თავიანთ ბატონს, წააქეზებენ მაშინათვე, ცეცხლზე ზეთს ასხმენ, და გულს, ისედაც გაციებულს, თოვლს ამატებენ; „ჰოს“ რომ იტყვიან, „არაც“ მზად აქვთ, — არ დაეძებენ, თღონდ თავისი მბრძანებელი ასიამოვნონ, რომელთაც მუდამ უკან სდევენ ფინიასავით... ჭირმა და ჟამმა დაგიმანჭოს დამბლა სიფათი! რას იტყვანები ჩემს სიტყვებზე — მასხარა მნახე? რას აყიყინდი ბატივითა? ნეტა სარემის მინდორში მომცა შენი თავი, იმდენი ფირტყა, რომ სულ ყიყინით გარბენინო კამელოტამდე.

კორნულო

რა მოგივიდა, ბერიკაცო, რამ იგაგაგიჟა?

გლოსტერი

გვითხარი, რაზე წაიჩხუბეთ?

კენტი

ჯერ არა, მტერი ქვეყნად ასე არ სძულეზიანთ, როგორც ეს ბილწი არამზადა მე შევიზიზღე.

კორნუოლი

რატომ ეძახი არამზადას? რა დაგიშავა?

კენტი

რალაც არ მომწონს, სწორე გითხრათ, მაგის სიფათი.

კორნუოლი

შენ იქნებ ჩვენი სახეც დიდად არ გეპიტნაოს;
ან ჩემი სახე, ან ამისი, ანდა ამ ქალის.

კენტი

მე პირშიმთქმელ კაცს მეძახიან, ჩემო ბატონო,
პირდაპირ გეტყვი: ვისაც ახლა ჩემს ირგვლივ ვხედავ,
ამათზე ბევრად უკეთესი სახე მინახავს.

კორნუოლი

ბევრს შევხვედრივარ შენნაირსაც — ერთხელ თუ უქე
პირშიმთქმელობა, თავს გაუვა, გათავხედდება
და აღარ მოშლის მკვახე-მკვახე სიტყვების როშვას.
პატიოსანი კაცი გახლავთ, ვერ იმლიქვნელებს,
სიმართლეს როგორ უღალატებს, რა ბრძანებაა!
ვიცნობ მაგნაირ ვაჟბატონებს: პირდაპირობით
იმაზე უფრო მეტ ღვარძლსა და სიგლახეს მალავს,
ვიდრე ოც-ოცი კარისკაცი პირმოთნეობით.

კენტი

გულის სიწრფელით ამახლა ვთხოვ შენს ბრწყინვალებას,
ვინც ფების დარად თვალისმომკრელ შარავანდს აფრქვევს...

კორნუოლი

ვითომ რაო, ეგ რას მოაყოლე?

კენტი

რაკილა ასე დამიწყე ლაპარაკი, მეც სხვანაირად ავჭიკჭიკდები. მლიქ-
ვნელი მართლაც არა ვარ, ჩემო ბატონო: ვისაც შენი მოტყუება პირ-
მოთნეობით განუზრახავს, იარამზადაა და მეტი არაფერი. მე მაგას ვერ
ვიკისრებ, თუნდაც შენი იგულისწყრომა დამატებო.

კორნუოლი

რა აწყენინე შენ ამ კაცსა?

ოსვალდი

არც არაფერი.

მაგის ბატონი, ჩვენი მეფე, ტყუილუბრალოდ
გამიგულისდა და შემომკრა. ეს ვაჟბატონი,
ხელმწიფის გულის მოსაგებად წამომეპარა,
ფეხი წამომკრა. წამაქცია და, ძირს დაცემულს,
ლანძღვა დამიწყო, დამამცირა, მეფის შექება
დაამსახურა. რას ვიზამდი, მეც გავუჩუმდი.
გულმოცემულმა, აქ რომ მნახა, აქაც მომვარდა.

კენტი

ამ ლაჩრებსა და არამზადებს ყურს თუ ათხოვებ,
აიაქსიც კი — გამოჩნდება მაგათთან მონად.

კორნუოლი

ხუნდები ჩქარა! უჯიათო ბებერო მონავ,
მე შენ გასწავლი, მათხოვარო, ბაქიაობას...

კენტი

რალა დროს ჩემი სწავლა არის, ბატონო ჩემო!
ხუნდიც ნუ გინდა — მე ხომ მეფის სამსახურში ვარ,
დღესაც მისგანვე თქვენს წინაშე წარმოგზავნილი,
ხუნდის დადებით დაამტკიცებ შენს თავნებობას,
ხელმწიფის მიმართ კრძალვისა და რიდის არქონას.

კორნუოლი

ხუნდები-მეთქი! სინდისს ვფიცავ, თავს გეფიცებით,
ხვალ შუადღემდე ვაყურყუტებ ხუნდებში გაკრულს.

რეგანა

შუადღემდიო?! სალამომდე, ზეგ დილამდისაც!..

კენტი

რასა სჩადიხართ, ქალბატონო, ძალლიც რომ ვიყო
მამათქვენისა, არ მეკუთვნის ასე მოპყრობა!

რეგანა

უარესიც ხარ, თაღლითი ხარ მამაჩემისა.

კორნუოლი

ჩვენი დაც, ალბათ, სწორედ ამგვარ ყმაწვილებზე გვწერს...
რადას ზოზინებთ! ხუნდი ჩქარა!

(ხუნდებს გამოიტანენ)

გლოსტერი

მაგას ნუ იზამთ, გეხვეწებით, ჩემო ბატონო!
დიდად შესცოდა, მართალია, მაგრამ ხელმწიფე
თვითონვე დასჯის ამისათვის, როცა შეიტყობს.
სამარცხვინოა ეგ სასჯელი, ასე ხომ წუწკებს,
წყალწაღებულებს, ნაძირალებს და ქურდებს სჯიან.
ხელმწიფეც იწყენს — მის შიკრიკს რომ ასე მოექცნენ.

კორნუოლი

მე გავცემ პასუხს.

რეგანა

ჩემი და ხომ მით უფრო იწყენს,
როცა შეიტყობს თავის კაცის, თავის შიკრიკის,
ასე შერცხვენა-გაწბილებას. ხუნდები მაგას!

(კენტს ხუნდს გაუყრიან)

ჩვენ კი წავიდეთ.

(გლოსტერის და კენტის გარდა ყველანი გადიან)

გლოსტერი

მეცოდები, ჩემო ძმობილო,
მაგრამ რას იზამ, ყველამ იცის — მთავრის განაჩენს
წინ ველარავინ აღუდგება, ვერავინ შესცვლის...
წავალ მაინც და კიდევ ვთხოვ.

კენტი

არა ბატონო,
მაგას ნუ იზამ; უძილოც ვარ, მძიმე გზა შემხვდა,
ერთხანს ვიძინებ, მერე სტვენით შევიქცევ თავსა...

ასეა ხოლმე — წესიერ კაცს ბედი არ სწყალობს.
მშვიდობით იყავ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ლ ო ს ტ ე რ ი

გასაკიცხი არის მთავარი,
ცული საქმე ქნა. ხელმწიფესაც გული დაწყდება.

(გადის)

კ ე ნ ტ ი

კეთილო ძეფევ, ხომ გამართლდა ძველი ახდაზა:
„ზეცის წყალობის დამთმობსა მზის სხივი გაუტკბაო“.
ამოდი ჩქარა, დედამიწის მანათობელო,
რათა შენს შუქზე ეს წერილი გადავიკითხო!
სასწაულები არ არსებობს, მაგრამ ბედკრულებს
მაინც ეწვევა. ყორღელია მწერს მე ამ ბარათს.
მას შეუტყვია, გადაცმული სად ვიმალები,
არ დაახანებს და დაგვიხსნის ამ ყოფისაგან...
ჩემო თვალებო, გადაღლილნო, დამძიმებულნო,
ეს ერთი მაინც ისარგებლეთ, მიილულენით,
რომ აღარ ჰკვრიტოთ
ეს სამარცხვინო სამყოფელი. ერთხელაც კიდევ —
მომხედე, ბედო, ჩარხი ჩემკენ მოატრიალე.

(იძინებს)

ს უ რ ა თ ი III

ტ რ ი ა ლ ი მ ი ნ დ ო რ ი

(შემოდის ე დ გ ა რ ი)

ე დ გ ა რ ი

რა მსჯავრიც დამდეს, ეს იგავიგე.
და ამ ფულუროს შევაფარე მაშინვე თავი.
გზები შემიკრეს, მზვერავები დანიშნეს ყველგან,

რომელთაც მკაცრად დაავალეს ჩემი შეპყრობა.
სიფრთხილე მმართვებს: მაწანწალას დავემსგავსებო,
არაფრის მქონეს, მხეცად ქცეულს... მოვითხოვნები
წელზე მოვიხვევ ძველა-ძველებს, თმას ავიბურძენი,
და გატიტვლებულ მკერდს მივუშვერ მოვარდნილ გრიგალს.
აქ ბედღემელი მათხოვრები მინახავს ბევრი,
ბლავიან ხოლმე ქუჩა-ქუჩა თავგამოდებით,
ნემსს, ჯაგის ეკლებს, ბიჭვებსა და დაჟანგულ ლურსმნებს
საბრალოდ შემხმარ, დაწყლულლებულ მკლავში იყრიან,
ჩამოუვლიან, ხელგაწვდილნი, ღატაკთა ქონებს,
პეწისქვილეებს, მეცხვარეთა ბაკებს, ფარეხებს,
და ხან მუდარით, ხან მუქარით, წყევლით და კრულვით
გამოსტაცებენ მოწყალეებას. საბრალო თომა!
ბედუკლმართო! შენ რა გიჭირს — რალაც ხარ მაინც,
შე კი — ედგარი — გავნადგურდი, არარად ვიქეც.

(გადის)

ს უ რ ა თ ი IV

გლოსტერის ციხე-დარბაზის წინ

(კენტი კვლავ ხუნდებშია. შემოდინან ლირი, მასხარა და კარისკაცი)

ლი რ ი

საოცარია! წამოსულან შინიდან ისე,
რომ ჩემი კაცის დაბრუნება არც უფიქრიათ.
მიკვირს პირდაპირ!..

კ ა რ ი ს კ ა ც ი

როგორც მითხრეს, ჩემო ბატონო,
წუხელ ფიქრადაც არ ჰქონიათ აქეთ წამოსვლა.

კ ე ნ ტ ი

დღეგრძელი იყოს მეფე ჩვენი.



ლირი

ჰა!

თავშესაქცევად მოიგონე შენ ეს შერცხვენა?!

კენტი

არა ბატონო.

მასხარა

ჰა, ჰა, ჰა. კაი მაგარი წვივსაკრავი კი შემოურტყამთ. ცხენს თავით აბამენ, ძაღლსა და დათვს — კისრით, მაიმუნს — წელით, ადამიანს კი ფეხზე წაუჭერენ ხოლმე; ბევრი კუნტრუში ვინც იცის, იმას ხის პაჭიჭებს წამოაცვამენ.

ლირი

გამაგებინე, ვინ გაბედა შენი ასე ყბად აღება, ვინ დაივიწყა, რომ ჩემი მსახური ხარ?

კენტი

იმანაც და იმანაც — სიძემაც და ქალიშვილმაც.

ლირი

არა!

კენტი

კი

ლირი

არა-მეთქი.

კენტი

კი-მეთქი, ბატონო.

ლირი

არა და არა! მაგას არ იზამდნენ.

კენტი

კი, ბატონო, იმათი საქმეა.

ლირი

იუპიტერსა ვფიცავ, არ იზამდნენ.

კენტი

იუნონას გეფიცები, რომ მათი საქმეა.

5. უილიამ შექსპირი



ვერ გაბედავდნენ. ვერ იზამდნენ, არ ინდობებდნენ.
 ეს შერცხვენა ხომ კაცისკვლაზეც უარესია.
 მითხარი მაინც. შენ ისეთი რა დააშავე,
 რომ საამისოდ გაგიმეტეს ჩემი შიკრიკი?

კენტი

ჩემო ბატონო, სასახლეში რომ მივაღეჭი,
 და თქვენი წიგნი გადავეცი, მუხლმოდრეკილმა,
 ჯერ წამოდგომაც ვერ მომესწრო, რომ შემოიჭრა
 სუნთქვაშეკრული, დაქანცული, ოფლშიგაღვრილი,
 შიკრიკი ვილაც, გონერილას წარმოგზავნილი,
 ჩემი სათქმელის დამთავრება არც კი მაცალა —
 ჯერ მოახსენა ქალბატონის მოკითხვა იმან,
 მერე კი მთავარს და იმის ცოლს წიგნი გადასცა.
 გაშალეს ხელად, გადიკითხეს, ამაღას უხმეს,
 შეაკაზმვინეს ცხენები და გამოემგზავრნენ.
 მეც გადნომხედეს ამრეზით და, ასე მიბრძანეს —
 გამოგვეყვიო, რომ მოვიცლით, პასუხს გეტყვითო.
 აქ რომ მოვედით, ისევ შევხვდი იმ თავხედ შიკრიკს,
 რომელმაც ასე გამიცუდა ჩემი მსტოვრობა, —
 სწორედ ის გახლავს, ხელმწიფეო, ალბანის სახლში,
 შენც უდიერად რომ მოგექცა და გაწყენინა.
 გავცეცხლდი უცებ, მეც კაცი ვარ, ვიძრე მახვილი
 და იმ გარეწარს მივაშურე. ყვირილი მორთო,
 ბღავილით ფეხზე დააყენა მთელი ეს სახლი,
 თქვენი სიძე და ქალიშვილიც ისე განრისხდნენ,
 რომ ამ შერცხვენა-გაწბილებიან ღირსი გამხადეს.

მასხარა

ზამთარი ჯერაც არ გასულა, რაკი ბატები აქეთ მოფრინავენ.
 ღარიბი მამის ძონძები შვილებს
 თვალში სინათლეს აცლის, უკარგავს,
 სქელი ჯიბე კი მდიდარი მამის
 გულს უსპეტაკებს, ენას უქარგავს.



ზედი კახა ქალია —
ღარიბებზე მწყრალია.

ჯერ სადა ხარ, იმდენი ვაი მოგიტვალონ შენმა ქალებმა,
რომ სათვალავიც აგერიოს.

ლირი

გასივდა გული, და ლამის ყელში მომეხეინოს!
მალველო, ზევით რას მოცოცავ, დაბლა დაეშვი!..
ახლა სად არის ჩემი ქალი?

კენტი

ისიც აქ გახლავთ,
სახლში შევიდნენ.

ლირი

მარტო შევალ. ნუ გამომყვებით.

(გადის)

კარისკაცი

სულ ტყუილუბრალოდ გიყვეს ეგა, ბრალი არათფერი გქონია?

კენტი

არათფერი. მეფის ამალა რა იქნა, რატომ მეტი არავინ იახლა?

მასხარა

ამისთანა კითხვისთვის რომ გაეყარათ შენთვის ხუნდი, ახიც იქნებო-
და.

კენტი

ვითომ რატომ, შე მასხარავ?

მასხარა

ჭიანჭველას უნდა მიგაბაროს კაცმა შეგირდად, ის გასწავლის, რომ
ზამთარში მუშაობით ვერათფერ გამორჩენას ნახავს კაცი. ადამიანს
ცხვირი კი მიუძღვის წინ, მაგრამ, ბრმების გარდა, ყველანი თვალებს
დაჰყავს. ოც ცხვირში მხოლოდ ერთი თუ გამოერევა, რომ ვერ მიხ-
ვდეს, სიმყრალე საიდან მოდის. ურმის დიდი თვალი რომ დაგორდე-
ბა მთაზე, ხელი უნდა უშვა და განზე გადგე, თორემ ჩაგითრევს და

კისერს მოგტეხს; აღმა მიმავალი თუ ნახო, იმას ჩასჭიდე ზელი და მი-
ჰყე. ჭკვიანმა კაცმა თუ გირჩიოს ამაზე უკეთესი რამე, ეგ ჩემი რჩევა
უკანვე დამიბრუნე: ბრიყვის რჩევას ისევ არამზადა ხალხი გაჰყვეს.

ვინც მოგებასა და სარფას მისდევს,
და ცრუ სიკეთით ზიგლახეს მალავს,
ის გაჭირვებულს ზედ არ შეგზედავს
და განსაცდელში დაგტოვებს ცალად.
შენი მასხარა ჭირშიც და ლხინშიც
შენთან იგულე, ამას გპირდები!
ბილწი მასხარად კი გადიქცევა,
მასხარა ბილწად — არასდიდებით.

კ ე ნ ტ ი

ეგ სადღა ისწავლე, მასხარავ?

მ ა ს ხ ა რ ა

თავი და თავი ის არის, რომ ხუნდებში არ მისწავლია, ბრიყვო.
(შემოდინა ლირი და გლოსტერი)

ლ ი რ ი

ავად გავხდითო? ლაპარაკის თავიც არ გვაქვსო?
დავიღალეთო? მთელი ღამე გზაში ყოფილან?
სულ ტყუილია, იგონებენ! მეურჩეებიან!
ჯიბრში შიდგანან. წესიერი პასუხი მომცენ!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მთავრის სიფიცხე შენც ხომ იცი, ჩემო ბელმწიფევ,
უჯიათია, ერთხელ რამე თუ აიხირა,
ვერასდიდებით ვეღარ გასტეხ, აღარ გადათქვამს.

ლ ი რ ი

ჭირმა გაგწყვიტოთ! სიკვდილი და არ გადარჩენა!
სიფიცხე სჭირსო?! გლოსტერ, გლოსტერ, შენ გეუბნები,
კორნუოლთან და იმის ცოლთან ლაპარაკი მსურს!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

რა ვქნა, ბატონო, რაც მიბრძანე, აკი ვუთხარი.



ლირი

მართლა უთხარი?| გაიგე კი, რა დაგაბარე?

გლოსტერი

დიას, ბატონო.

ლირი

მეფეს სწადიან, რომ კორნუოლს ელაპარაკოს,
 საკუთარ შვილთან საუბარი მოუნდა მამას,
 მისი მორჩილი სამსახური მოეგუნება!..
 ჩემო სისხლო და ჩემო სუნთქვა!.. სიფიცხე სჭირსო!..
 ფიცხი მთავარი!.. მოახსენე მაგ შენს ფიცხ მთავარს...
 თუმცა დაიცა... იქნებ მართლაც ავად შეიქნა.
 მოვალეობა სადღა ახსოვს დასნეულებულს;
 თავიც არ ახსოვს, სიცოცხლაც კი მოსძულებია,
 როცა ტკივილი სხეულისა სულსაც უტანჯავს.
 მოთმინება სჯობს... მეტისმეტად გავცხარდი მართლაც,
 და ავადმყოფი კაცისგანაც ის მოვითხოვე,
 რაიც ჯანით მრთელს ადამიანს მოეთხოვება.
 ჯანდაბა ჩემს თავს... ამას ხუნდი ვილამ დაადო?!
 განგებ სჩადიან სუყველაფერს, აქეთ წამოსვლაც
 მოიპიჯეზეს მაგათ გახზრახ. ჩემი მსახური!
 გასწი, მომგვარეთ აქ მთავარი და მისი ცოლი,
 სათქმელი რამ მაქვს; უთხარით, რომ ახლავე გაჩნდნენ,
 თორემ ვუბრძანებ, რომ მაგათი საწოლის კართან
 ნადარა დასცენ, აგუგუნონ ყურისწამლებად
 და არც შესწყვიტონ, მანამ ძილში გასძვრებათ სული.

გლოსტერი

ნეტა კეთილად დაბოლავდეს ამათი შუღლი.
 (გადის)

ლირი

რას მებჯინები ყელში, გულო, დაბლა ჩაიწი!
 მასხარა

შეუძახე, შეუძახე, ბიძია, იმ დედაკაცისა არ იყოს, ღვეზელის გამო-
 ცხობა რომ გადაწყვიტა და გველთევზებს ცოცხლად ტენიდა ცოშში

— რამდენს გაისხმარტალეზდა თევზი, იმდენს ჯოხს უთაქებდა ხოლ-
მე თავში: „ჩაიწით, დაბლა ჩაიწით, თქვენ ანცებოო“. იმ დედაკაცს
კიდევ ძმა ჰყავდა ერთი, იმისთანა კეთილი გული ჰქონდა, რომ ცხენს
თავაზე კარაქს უსვამდა და ისე აჭმევდა.

(შემოდინ კორნუოლი, რეგანა, გლოსტერი, და მსახურები).

ლირი

მშვიდობის დილა თქვენ ორივეს.

კორნუოლი

სალამს მოგიძღვნით, დიდებულო ხელმწიფევ ჩემო.

რეგანა

მიხარია, რომ ისევ ვხედავ შენს ბრწყინვალებას.

ლირი

მჯერა, რომ მართლა გიხარია, ჩემო რეგანა,
ისიც კი ვიცი, რადა მჯერა, არ გიხაროდეს,
შევიძაგებდი დედაშენის საფლავსაც მაშინ,
როგორც სამარეს უნამუსო დედაკაცისას.

(კენტს)

ო, მოგხსნეს ხუნდი? მაგ შენ საქმეს მერე გავარკვევ.
შენი და, ჩემო საყვარელო შვილო რეგანა,
ბილწი, უმგვანი ქმნილებაა. ქორის სიავით
ჩამასო გულში ბოროტების ბასრი კბილები.
ენით ვეღარც კი გამომითქვამს, არც დაიჯერებ,
რა ღვარძლიანი და გულღრძოა, ჩემო რეგანა

რეგანა

გთხოვ მოთმინება იქონიო, ბატონო ჩემო,
უმაღ ვირწმუნებ, რომ შენ თვითონ ვერ დააფასე,
უმაღურობას ჩემი დისას ვერ დავიჯერებ.

ლირი

რას ამბობ, ნეტა?!

რ ე გ ა ნ ა



ვერ ვირწმუნებ ვერასდროს, რომ ჩემს ძვირფას დას თავის ვალი დავიწყებოდეს. იმ შენს თავგასულ ამაღლას რომ ლაგამი მოსდო, თუ ეს გაწუხებს, მე ამისთვის ვერც კი დავძრახავ, პირიქით, ჭკუა უხმარია.

ლ ი რ ი

წყეულმც იყოს!

რ ე გ ა ნ ა

ხუთუ ვერა ფრძნობ, რომ დაბერდი, ჩემო ბატონო. სიცოცხლის საზღვარს მიაღწიე. ამიერიდან სხვა ვინმე უნდა გმზრუნველობდეს და გაატრონობდეს, რომელსაც შენზე უფრო კარგად ეცოდინება იმის გარჩევა, რა სჯობს შენთვის და რა არ გინდა. მიტომაც გირჩევ, დაუბრუნდე ჩემს დას ისევე, დავაშავე-თქო, ასე უთხარ, მოუბოდიშე.

ლ ი რ ი

მოვუბოდიშო?! დამშვენდება ასე რომ ვუთხრა:

(დაიხოქებს)

„ძვირფასო შვილო, დავუძღურდი, დავჩაჩანაკდი, ვიღას ვუნდივარ ბერიკაცი. მუხლმოდრეკით გთხოვ, მაღირსე შენი მოწყალება — მასვი, მაჭამე, ჩამაცვი რამე, შემეფრდომე, ლოგინი მომე!..“

რ ე გ ა ნ ა

კმარა, ბატონო, ვის რად უნდა ოინბაზობა, ჩემს დასთან წადი.

ლ ი რ ი

(წამოდგება)

არასოდეს. მაგას არ ვიზამ.

მაგან აძალა შემიმცირა, გამინახევრა, ბღვერა დამიწყო, გესლიანი ენით დამკბინა, გული გველივით დამიშხამა... ოი, ღმერთებო,

რაც კი ზეცაში დაგროვილა შურისძიება,
მოწყდეს და მაგის უმაღურ თავს რისხვად დაატყდეს!
ჰაერმა — შხამით გაქლენთილმა — ძვლები დაუხრას!

კორნუოლი

უჰ, უჰ, ბატონო!

ლირი

მწველი ცეცხლით გაჰკვესე, ელვა-
და დაუშრიტე იმ უტიფარ თვალში სინათლე!
მზის მხურვალეებით ანაორთქლო ჭაობის ჯანლო,
დაუმახინჯე სილამაზე, ისე მოსდრიკე,
რომ ნატამალიც აღარ შერჩეს ზვიადობისა..

რეგანა

ოი, ღმერთებო! თუკი ერთხელ გამიგულისდი,
მეც ასე წყევლით ამომავდებ.

ლირი

არა, რეგანა.

როგორ მოხდება, რომ შენ თავი დამაწყევლინო,
შენ ნაზი გულის პატრონი ხარ, ცუდს არას იზამ,
დამამშვიდებლად ციმციმებენ შენი თვალები.
მისი თვალები ცოფს აფრქვევენ. ვიცი, რომ ჩემთვის
აო დაინანებ სიხარულს და სიამოვნებას,
მკვანხე ლაპარაკს არ მოჰყვები, ამაღას ჩემსას
არ შეამცირებ, არაფრით არ შემავიწროებ,
არ გამოკეტავ კარს ურდულით, მე როცა მოვალ;
ბუნების წესი, რიდი, შვილის მოვალეობა,
ძადლიერება და თავაზი შენ უკეთ გესმის,
არ დაივიწყებ, რომ ჩემგან გაქვს მონიჭებული
მთელი სამეფოს ნახევარი.

რეგანა

მერე რა გნებავს,

მითხარ, ბატონო!



ლირი

ჩემს კაცს ხუნდი ვინ გაუყარა?

(შიგნიდან საყვირის ხმა)

კორნუოლი

რის ნიშანია ეგ საყვირი?

რეგანა

მაგას მე გეტყვი:

გონერილაა. ბარათში მწერს, მალე მოვალო.

(შემოდის ოსვალდი)

მობრძანდა შენი ქალბატონი?

ლირი

აჰა, ეს მონაც!

ნანათხოვრები ზვიადობით ცხვირაბზეკილი,
შენი დის მერყევ მოწყალებას მოფარებულნი...
იქით! თვალთაგან დამეკარგე, შე ყალთაბანდო!

კორნუოლი

რაზე გაცხარდი, ხელმწიფეო?

ლირი

ვინ გაუყარა

ჩემს მსახურს ხუნდი? შენ ეს ალბათ, არც გაგიგია,
ჩემო რეგანა! ეს ვინ მოდის? ო, ზეცის ძალნო!

(შემოდის გონერილა)

თუკი სიბერეს პატივსა სცემთ და რადმე აგდებთ,
თუ მორჩილება გსიამოვნებთ, და თქვენ თვითონაც
თუ ხართ მოხუცნი, შემიწყალეთ, თანამიგრძენით!

(გონერილას)

ამ ჩემს ჭაღარას რომ უყურებ, არა გრცხვენია?..
ოი, რეგანა, ხელსაც ართმევ?

გონერილა

რატომაც არა!

რატომ არ უნდა ჩამომართვას, რა შემიცოდავს?!

რაც უჭკუობას და სიგიჟეს ცოდვა ჰგონია,
განა ცოდვაა ყველაფერი!



ლირი

ო, ჩემო გულო,
გაუძლებ განა?! ვინ დაადო ჩემს მსახურს ხუნდი?

კორნულო

ჩემი ბრძანებით გაუყარეს ხუნდი, ბატონო,
თუმც უფრო მეტის ღირსი იყო.

ლირი

შენი ბრძანებით?

შენ ბრძანე განა!

რეგანა

მამაჩემო, გემუდარები,
რაკილა ღონე აღარ მოგდევს, გულიც ხუ გერჩის.
ისევ ისა სჯობს შუა გაჰყო შენი ამაღა
და გონერილას მიუბრუნდე. ერთი თვის შემდეგ
ჩემთან წამოდი, მე მეწვიე. ახლა ხომ ხედავ
მე თვითონ სტუმრად წამოვსულვარ, ვერ გიძასპინძლებ.

ლირი

ჩქვე მივბრუნდე?! ორმოცდაათ კაცის ამარა?!
მაგას არ ვიზამ. მირჩევნია ტყეში გავვარდე,
თავი ქარიშხალს შევეშვირო, მგელს და ბუს ვეძმო.
რა საშინელი მარწუხი ხარ, შენ, გაჭირვებავ!
მასთან მივბრუნდე? რაღა მასთან, ბარემ ავდგები
და გულმგზნებარე ფრანგთა მეფეს მივეახლები, —
ჩემი უმზითვო გოგონა რომ შეირთო ცოლად, —
მუხლსაც მოვიდრეკ იმის ტახტთან ყმის მორჩილებით,
ლუკმა-პურსა ვთხოვ, სამოწყალოდ, ამ სიბერეში.
მასთან მივბრუნდე? ბარემ მითხარ, ამ მეჯინიბეს
და ამ გარეწარს გაუხდი-თქო მონად, სახედრად.

(ოსვალდზე აჩვენებს)

ლირი

გეხვეწები, ნუ გამაგიჟებ.

არ შეგაწუხებ, მეტად, შვილო, მშვიდობით იყავ.
 აღარ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს, ვეღარ დამლანდავ,
 მაგრამ რა ვქნა, რომ შვილი გქვია, ჩემი სისხლ-ხორცი,
 თუმცა ამ ხორცში დაბუდებულ სენს უფრო ჰგავხარ,
 რომელიც მაინც ჩემად ითქმის. შენ მუწუკი ხარ,
 სისხლში გამჯდარი სნეულება, ჭირი, ბალღამი...
 მაინც არ გკიცხავ — დე სირცხვილი თვითონ გეწვიოს,
 შე არ მოვუხმობ: არც მეხთ-ტენას არ გამოვიწვევ,
 არ მოვუწოდებ, რომ მაგ ბედკრულ თავზე დაგატყდეს,
 აღარ ვიჩივლებ ყოვლისგანმსჯელ იუპიტერთან...
 მოინანიე შენ თვითონვე, როცა შეიძლო,
 მე კი დაგიცდი ძოთძინებით. ჩემს რეგანასთან
 ვიქნები აგერ, თან ვიახლებ იმ ას რაინდსაც.

რეგანა

ვერ მოხერხდება ეგ, ბატონო. ჯერ არ გელოდით,
 და ამიტომაც საკადრისად ვერ გიმასპინძლებთ.
 ჩემს დას ათხოვე ისევ ყური. ვინმემ რომ ნახოს,
 გულისთქმა როგორ მორევია შენს ჭკვა-გონებას,
 ასე იფიქრებს, მოხუცდაო... იტყვის კიდევაც...
 ჩემმა დამ იცის თავის საქმე.

ლირი

ნეტა რას ამბობ?!
 რეგანა

ასეა სწორედ. არა კმარა ორმოცდაათი?
 მეტი ძალებელი რაში გინდა. რაში გჭირდება?
 ეგეც ბევრია? ჯერ ხარჯი თქვი!.. საშიშიც არის!
 რა მოარიგებთ ერთმანეთში, როცა ერთ ჭერქვეშ
 ორი ბატონი ეყოლება ამდენ ქვეშევრდომს?!
 შფოთს რა გამოლევს?! გაძნელდება! ვერ მოხერხდება!

გონერილა

ანკი რად გინდა? ამის მხლებლებს ვერ იმსახურებ?
ანდა ჩემს მხლებლებს? საკუთარი რაში გჭირდება?!

რეგანა

რატომ არ უნდა იმსახურო, ჩემო ბატონო!
თუ საკადრისად ვერ მოგეჭენენ, აგერ არა ვართ.
ჩემთან თუ მოხვალ, — რა ვქნა აბა, დრო აირია, —
ოცდახუთის მეტს ნუ იახლებ, მეტს ვერ მივიღებ.

ლირი

რაც რამ მეზადა, თქვენ მოგეცით...

რეგანა

დროც იყო, განა!

ლირი

თქვენ ჩაგაბარეთ სამეფოც და საცხოვრებელიც,
ეს მხლებლებილა დავიტოვე — ასი რაინდი!
ახლა კი გინდა ოცდახუთი კაცი მაკმარო?
ასე წამოგცდა შენ, რეგანა, ასე მითხარი?

რეგანა

ახლაც ამასვე გიმეორებ. მეტს ვერ მივიღებ.

ლირი

ბოროტის მქნელიც გულმოწყალედ მოგეჩვენება,
როცა უარეს ბოროტებას გადაეყრები.

ყველაზე ცუდი ვინც არ იყოს — იგი შეაქე!

(გონერილას)

შენთან წამოვალ — შენ ორჯერ მეტ მხლებელს ღებულობ.
სჩანს, რეგანაზე ორჯერ მეტად შენ გყვარებივარ.

გონერილა

ნეტა ვიცოდე, ოცდახუთიც რის მაქნისია,
ათიც მეტია, ხუთი კაციც არ დაგჭირდება,
ორჯერ მაგაზე მეტს დაგასევთ საკუთარ მხლებლებს.

რეგანა

ერთი მსახურიც, კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა!



ლირი

საჭიროებას ნუ ახსენებ: ასე თუ განსჯი,
მათხოვარსაც კი აღმოუჩენ ზედმეტ რაიმეს.
საჭიროებით თუ შეზღუდე კაცის ცხოვრება,
ადამიანი მაშინ პირუტყვს დაემსგავსება.
შენ ხომ ქალი ხარ — თუ ტანსაცმელს სითბოსთვის ვიცვამთ,
ამდენი რამე რას ჩაგიცვამს, რადა გჭირდება,
თან ისე თხელი, რომ ვერც გათბობს ხეირიანად...
სულ სხვა რამ არის ჭეშმარიტი საჭიროება!..
ო, ზეცის ძალნო, მოთმინება შემადლებინეთ,
მოთმინებასლა ვსაჭიროებ! აჰა, ღმერთებო,
აგერა ვდგავარ ბერიკაცი. ბედუკუღმართი,
წლებითაც ისე გასრესილი, ვით მწუხარებით.
შვილები მამის წინააღმდეგ თქვენ თუ აღძრით,
მაკმარეთ ესა, სასაცილოდ ნულარ ამიგდებთ,
ნუ მაიძულებთ მორჩილებას, რისხვით აღმაგზნეთ,
რათა ფარხშალმა დედაკაცთა — მღულარე ცრემლმა —
არ შემიბლალოს ვაჟკაცს ლაწვნი!.. ოი, ქაჯებო,
ისე გაგიხდით მალე საქმეს, რომ თქვენი ცოდვით...
ჯერაც არ ვიცი, რას დაგმართებთ, მაგრამ იცოდეთ,
ქვეყნიერება შეძრწუნდება... გგონიათ, ვტირი?!.
არა, არ ვტირი!

თუმც კი ბევრი მაქვს სატირალი, მაგრამ ეს გული
უმაღ ათასად დაიმსხვრევა, დაიბზარება,
ვიდრე ჩემს ცრემლებს დალანდავდეთ. ჰოი, მასხარავ,
ხედავ, ვგიჟდები!

(გაღიან ლირი, გლოსტერი, კენტონი და მასხარა)

(ქარიშხლის ხმა თანდათან ძლიერდება)

კორნუოლი

წავიდეთ, თორემ ქარიშხალი გვიახლოვდება.

რეგანა

ეს სახლი ისე პატარა ჩანს, რომ რიგიანად ვერც კი დაიტევს ბერიკაცსა და მის ამაღას.

გონერილა

თავს დააბრალოს, არ ინება განცხრომით ყოფნა და ჰა — ნაყოფი სისულელის ახლა იგემოს.

რეგანა

მარტო რომ იყოს, მივიღებდი სიამოვნებით, მხლებელთაგან კი ერთსაც აღარ გავაჭაჭანებ.

გონერილა

მეც მაგას ვამბობ. ეს გლოსტერი სად დაგვეკარგა?

კორნუოლი

ბერიკაცს გაჰყვა. აჰა, აგერ, უკან ბრუნდება.

(შემოდის გლოსტერი)

გლოსტერი

განრისხებულა ჩვენი მეფე!

კორნუოლი

საით აპირებს?

გლოსტერი

რა მოგახსენოთ. ეს ვიცი, რომ ცხენები ბრძანა.

კორნუოლი

მიუშვი ნებას, თავის სავალს თვითონ გაიგნებს.

გონერილა

შენც ნულარა სთხოვ აქ დარჩენას, ჩემო ბატონო.

გლოსტერი

ღამე ჩამოწვა. ქარი ქრის და ძვალ-რბილში ატანს;

ბუჩქიც კი არსად მეგულება ამ ახლო-მახლო!..

რეგანა

ნუ გეფიქრება ეგ, ბატონო. ჯიუტმა ხალხმა
თავს რაც არ უნდა აუტეხონ უხიაკობით,
ახიც იქნება, გაკვეთილად გამოადგებათ.
კარები კარგად გადარაზეთ, თორემ მამაჩემს
გარს ახვევია ხალხი თავზეხელაღებული,
და საშიშია მეტისმეტად არ გაახელონ,
ისედაც ყველგან საწყენს ეძებს. სიფრთხილე გვმართებს.

კორნუოლი

ჩემი რეგანა მართალს ამბობს; კარი ჩაკეტეთ.
რა საშინელი ღამე დადგა! გავასწროთ წვიმას!
(გადიან)

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ს უ რ ა თ ი I

ტრიალი მინდორი. კვლავ ქარიშხალი მძვინვარებს

(სხვადასხვა მხრიდან შემოდინ კენტი და კარისკაცი)

კ ე ნ ტ ი

ამ გაათრებულ ქარიშხალში ვინ გამოსულხარ?

კ ა რ ი ს კ ა ც ი

ვისაც გულშიაც უტრიალებს ეს ქარიშხალი.

კ ე ნ ტ ი

აჰა, გიცანი. სად ბრძანდება ჩვენი ხელმწიფე?

კ ა რ ი ს კ ა ც ი

დადის და ებრძვის გაანჩლებულ ბუნების ძალებს...
ქარიშხალს შესთხოვს, ზღვაში ჩანთქას მთელი ქვეყანა,
ან წამოფოფროს ტალღები და მიწა წალეკოს,
სამყაროს სახე შეუცვალოს. თავზე თმას იგლეჯს
და ამ ჭაღარას ქარი ფანტავს გამძვინვარებით.
ადამიანის სუსტი ღონით წინ აღსდგომია
მინდორ-ველებში მოთარეშე ქარსა და წვიმას,
და ამ ღამეში, როს დათვიც კი ვერა თმობს ბუნავს,
როცა ღომი და ფერდმიმხმარი შიმშილით მგელი
შიშით სოროში მიყუყულან, — ეს, თავშიშველი.
დაძრწის და იწვევს ყოვლისმომსპობ გრიგალს ბრძოლაში.

კ ე ნ ტ ი

თან ვინ დაჰყვება?

კ ა რ ი ს კ ა ც ი

აღარავინ. მასხარა მხოლოდ,

ცდილობს ხუმრობით დაუამოს გულისტკივილი.

კ ე ნ ტ ი

შენზე ბევრი რამ ვაშიგია, ჩემო ბატონო,
და გადავწყვიტე ერთი დიდი საქმე გაგანდო.
ყური დამიგდე — კორნუოლს და ალბანის მთავარს
შუღლი მოსვლიათ ერთმანეთში, თუმცა ცდილობენ
სხვებს ეშმაკურად დაუმალონ თავისი მტრობა.
მაგათ მსახურებს — (ასე მოსდგამთ დიდკაცთა მსახურთ)
ჩუმჩუმად გააქვთ საიდუმლო სახელმწიფოსი
და, ვით ჯაშუშნი, ფრანგთა მეფეს ატყობინებენ.
რაც კი შენიშნეს, ყველაფერი აცნობეს უკვე —
როგორ ქიშპობენ ერთმანეთში ჩვენი მთავრები,
ამ სიბერეში რა საშინლად შეავიწროვეს
და რა უღმობლად გააწამეს კეთილი მეფე,
და სხვაც, ბევრი რამ, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი...
ეს ცხადი გახდა, რომ ფრახგების დიდი ლაშქარი
დაქუცმაცებულს ჩვენს სამეფოს მოადგა უკვე,
ზოგ ნავსადგურში, როგორც ვიცი, გადმოსხდნენ კიდევ
და საცა არის გაბედულად გაშლიან დროშას...
ახლა რას გეტყვი: თუ მენდობი, დუვრს გაეშურე,
ვინც იქ დაგხვდება, მადლობელი იქნება შენი,
თუ მოახსენებ დაწვრილებით ხელმწიფის ამბავს,
ეტყვი, რა ჭკუისშემარყევი ბედი ხვდა წილად.
მე სისხლითა და წარმოშობით დიდებული ვარ,
შენც გცნობ, ვინა ხარ, და მიტომაც განდობ ამ საქმეს.

კ ა რ ი ს კ ა ც ი

მინდა. ზოგი რამ კიდევ გკითხო.

კ ე ნ ტ ი

არა, ნუ გინდა.

იმის ნიშნად, რომ, რასაც მხედავ, მასზე დიდი ვარ,

ჰა, ჩემი ქისა; რაც შიგ ნახო, სულ შენი იყო.
თუ კორდელიას შეხვდე სადმე, — თუმც, კაცმა რომ თქვას,
ექვიც არა მაქვს, რომ შეხვდები, — აგერ, ბეჭედი,
თან წაიღე და მას აჩვენე. უმაღვე გეტყვის,
ვინ არის იგი, ვინც შენს წინ დგას და ვერ გიცვნია.
უპ, როგორა ქრის!.. წავალ ბარემ, მეფეს მოვძებნი.

კ ა რ ი ს კ ა ც ი

ხელი მომეცი. სათქმელი ხომ არა დაგჩია რა?

კ ე ნ ტ ი

ორ სიტყვას გეტყვი, მაგრამ საქმით უფრო ბევრს ნიშნავს...
მეფეს რომ ვნახავთ... შენ აქ ძებნე, მე იქით წავალ...
მყისვე ერთმანეთს გადავძახოთ.

(სხვადასხვა მხარეს გადიან)

ს უ რ ა თ ი II

სულ სხვა მხარე იმავე მინდვრისა

(ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს. შემოდინა ლირი და მასხარა)

ლ ი რ ი

ჩამოიქროლე, ქარიშხალო, გამძვინვარებით,
უბერე, მანამ დაწვები არ დაგასკდებიან,
წამოუშინე, წამოშალე ნიაღვარები.
წალეკე მთელი დედამიწა, ძირით თხემამდე!
კაცთა ფიქრზედაც უსწრაფესო ცეცხლის ისრებო,
მუხის გამპობი მეხთა-ტეხის წინამორბედნო,
გოგირდის ცეცხლი წაუკიდეთ ამ ჩემს კალარას.
მოგარდი, მეხო, დედამიწის შემარყევლო
და გააბრტყელე ეს ქვეყანა, ბურთივით მრგვალი,
გაანადგურე, შეუშალე ბუნებას სახე,
წამოახველე და ერთბაშად წამოანთხიე
თესლო, უქადურ კაცთა მოდგმის დამბადებელი.

მ ა ს ხ ა რ ა

ძია კაცო, ამ წვიმაში გარეთ ყურყუტს, არ გირჩევნია მშრალ ქვეშ
ქვეშ იჯდე და პირფერ ხალხს აიაზმის წყალი აკურებინო? შინ მივბ-
რუნდეთ, ბიძაჩემო, და შენს ქალიშვილებს პატიება ვთხოვოთ, თო-
რემ ამ საშინელმა ღამემ ჭკვიანისა და სულელის გარჩევა რო-
დი იცის.

ლ ი რ ი

იგრგვინე, ცაო! ჩამოიქეც, ცეცხლი აფრქვიე!
თქვენ ხომ შვილები არ ხართ ჩემი და ვერ გაგკიცხავთ,
ვერც ჭექა-ქუხილს, ველარც წვიმას, ცეცხლს და ქარიშხალს
მე ვერ დაგწამებთ გულქვაობას, ბუნების ძალნო:
სამეფო თქვენთვის არასოდეს მიბოძებია,
ჩემს შვილებადაც არცერთი არ შემირაცხიხართ,
დავალებული არ ხართ ჩემგან, და რაღას უცდით,
ბარემ ერთბაშად დამატეხეთ საშინელება.
აგერა ვდგავარ თქვენი მონა, ღონემიხდილი,
შეძულებული ბერიკაცი! მაგრამ რას ვამბობ —
პირი შეგიკრავთ იმ ჩემს ავგულ ქალიშვილებთან,
იმათ მორჩილებთ და ბუნების მრისხანე ძალებს
ჩემ გათეთრებულ თავზედა ცდით... შერცხვენა თქვენი!

მ ა ს ხ ა რ ა

ვისაც ახლა თავის შესაფარებელი ჭერი აბადია, თავიც იმას ჰქონია.
ვინც დაეშურა დაქორწინებას
და სახლის ძებნა მერე ინება,
მათხოვრის ლუკმაც გაუტკბა ბოლოს,
ტილები შერჩა მხოლოდდამხოლოდ.
ვინც სული დასთმო და გულისყურად
გადააქცია ფრჩხილი ფერისა,
ფეხის კოყრებმა აკივლა სწორედ
და მოსვენება აღარ ეღირსა.

ლ ი რ ი

მე უნდა გავხდე ნაგალითი მოთმინებისა...
ხმას არ გავიღებ ამის მეტად.

(შემოდის კ ე ნ ტ ი)

კ ე ნ ტ ი

მანდ ვინა დგახარა



ქართული
ლიბრარი

მ ა ს ხ ა რ ა

როგორ თუ ვინ --- უმაღლესი მეფე და უმაღლესი ნაჭუჭი, ბრძენი და სულელი.

კ ე ნ ტ ი

ვაგლახ!.. ხელმწიფევ, აქ ბრძანდები?! ამნაირ ღამეს ღამის ნამდვილი ბინადარნიც კი გაურბიან, მრისხანე ზეცას დაუფროთხია ნადირ-მხეცები და სოროებში შეუყუყავს. რაც თავი მახსოვს, არ მოვსწრებივარ ასეთ გრგვინვას და მეხთა ტეხას, ქარის ამნაირ ბლავილსა და საზარელ კვნესას, ცეცხლად დაკლავნილ ელვის ისრებს და წვიმის ტლაშუნს... კაცის ბუნება ვერ აიტანს ამ ვაივაგლახს.

ლ ი რ ი

ოი, ღმერთებო, ამ საზარელ რისხვის დამტეხნო, მიმოაძიეთ თქვენი მტრები!.. შიშის კანკალით ძრწოდე, ბოროტო, ავისმქმნელო, რომელსაც თავი აგიცდენია სასჯელისთვის და მიმალულხარ! ამ სისხლიან ხელს ნულარ აჩენ, იქით დამალე!.. სისხლისადმრევო, სათნოების ღიმილს რომ აფრქვევ, და შენც, ვერაგო, თვალთმაქცო და ფიცის გამტეხო, კაცის მოკვლა რომ განგიზრახავს, მაგრამ არ იმჩნევ, ძრწოდე. ცახცახმა აგიტანოს, გახსენი გული, ეს დამალული ბოროტება ზეადმოფინე, შიშით შეჭბლავლე პატეება სასტიკ განმკითხველს. შე კი იმდენი შეცოდება არა მქონია, რაც შეუცოდავთ სხვებს ჩემს მიმართ.

კ ე ნ ტ ი

თავშიშველია!..

აქ ახლოს ქოხი მეგულება, ჩემო ხელმწიფევ, იქ შეათარე ავდარს თავი და მოისვენე... მე კი იმ ციხე-დარბაზისკენ კვლავ გავბრუნდები,



რომლის ბინადართ ისეთივე ქვა უღევთ მკერდში,
 რა ქვა და კლდეზეც ის ციხეა დაფუძნებული...
 წელანაც ვიყავ, შენ გეძებდი, და არ შემიშვეს...
 ახლა მივალ და ვაიძულებ პატივისცემას.

ლირი

ტვინი მერყევა... წამო, შვილო. რა მოგივიდა?
 შეგცივდა განა? მეცა მცივა, ჩემო ბიჭუნა...
 აბა სად არის, მეგობარო, ჩალის კარავი?
 ეს იცის ხოლმე გაჭირვებამ — უბადრუკ ნივთსაც
 ძვირფასად აქცევს. მაშ გაგვიძებ შენი ქოხისკენ...
 ჩემო მასხარავ, ისევ დამრჩა კუნჭული გულში,
 რაც შენი ცოდვა-სიბრალულით მეწვის და მტკივა.

მასხარა

(მღერის)

კაცს თუ ჭკუის ნატამალი შერჩენია კიდევ...
 ჰეი, ჰეი, ქარი ქრის და წვიმა უშენს მწარედ...
 ნუ წუწუნებს, ბედისწერას ნულარ გადიკიდებს,
 თუნდ მუდამდღე გრიგალი და წვიმა იყოს გარეთ.

ლირი

შენ მართალს ამბობ, ბიჭუნია. გაგვიძებ ქოხში.

(ლირი და კენტი ვადიან)

მასხარა

ამისთანა ღამე სწორედ რომ კახის გასაგრილებლად არის გამოწერი-
 ლი. მანამ წავიდოდე, ერთი უნდა ვიწინასწარმეტყველო.

როცა ხუცესს კვეხნის ნაცვლად
 საქმე აქცევს კაცურ კაცად;
 და მელუდევს ლუდის კასრში
 დიდი ქვაბით წყალს არ ჩაცლის;
 როცა თერძი მუშტარს მეტად
 გაქურდვას ვერ გაუბედავს,
 კაცს რწმენისთვის არ დასჯიან
 და დასჯიან ოხერს, ტიალს;
 როცა ქურდი ველარ ნახონ

პატიოსან ხალხთან ახლოს;
ენას ძირში მიაჭრიან
ჭორიკანა - ადამიანს;
როცა ქვეყნის ნამდვილ ბურჯებს
ვალი ყელში არ წაუჭერს;
სამსჯავროც რომ მართლად განსჯის,
მიეცემა კანონს ფასი;
ააშენებს ტაძარს ხელად
კახბა, სულის დასახსნელად;
მევახშეც არ დაახანებს
და ფულს ტყეში გააქანებს,
მაშინ ნახეთ ქვეყნის ნგრევა,
ველარ იცნობს ძალდი პატრონს,
შეზანზარდეს ალბიონი
და ხალხს ჭკუა დაეფანტოს.

ამ წინასწარმეტყველებას მერლინს მიაწერენ, რომელიც დიდი ხნის
შემდეგ დაიბადება.

(გადის)

ს უ რ ა თ ი III

გლოსტერის ციხე-დარბაზი

(შემოდინან გლოსტერი და ედმუნდი).

გლოსტერი

ეჰ, ჩემო ედმუნდ, არ მომწონს ამნაირი უსამართლობა. როცა ვთხო-
ვე, ბერიკაცს რამეს ვუშველი და დავეხმარები-მეთქი, არა თუ ნება
დამრთეს, ჩემს საკუთარ სახლში გამიბატონდნენ; დამემუქრენ კი-
დეც: კრინტი რომ დასძრა ხელმწიფეზე და მისი შეწყნარება გვთხო-
ვია, ან შენ თვითონ სცადო ხელის გამართვა, ჩვენს გულისწყრომას
ველარსად წაუხვალო.

ედმუნდი

მართლაც რომ დიდი მხეცობა და უსამართლობაა.

ვ ლ ო ს ტ ე რ ი

კარგი, კარგი. არსად წამოგცდეს. ჩვენს მთავრებს უსიამოვნება მოს-
ვლიათ. უსიამოვნება კი არა, უფრო მეტიც. ამაღამ წერილი მომივი-
და, — ამისი თქმაც კი საშიშია, — უჯრაში ჩავკეტე ხელად. ხელმწი-
ფის ასეთ შეურაცხყოფას არავის შევარჩენთო. აქა-იქ ჯარიც გადმო-
უსხამთ. მხარი უნდა მივსცეთ მეფეს. წავალ, მოვძებნი და ფარულად
მაინც ვანუგეშებ. შენ მიდი, მთავარი შეიქციე ლაპარაკით, ჩემს გან-
ზრახვაზე ეჭვი არ აიღონ. თუ მიკითხოს, უქეიფოდ შეიქნა-თქო, უთ-
ხარი, ლოგინში ჩაწვა-თქო. კიდევ რომ მომკლან, — მაინც ასე მე-
მუქრებოდნენ, — ჩემს მოხუცებულ ხელმწიფეს უნუგეშოდ ვერ და-
ვტოვებ. უცნაურად ტრიალებს ეს წუთისოფელი, ედმუნდ. შენი ჭი-
რიმე, ფრთხილად იყავი.

(გადის)

ე დ მ უ ნ დ ი

შენ კი მაფრთხილებ, მაგრამ მაგას ვერ შეგისრულებ,
მთავარს ვაცნობებ სულყველაფერს. წერილსაც ვეტყვი.
კარგა გვარიან სამსახურად ჩამითვლის, ალბათ,
და მე მარგუნებს, მამაჩემი რასაც დაჰკარგავს.
წესიც ასეა — წარმავალი წავიდეს ბარემ,
და სიჭაბუკე, მომავალი, მით გაიხარებს.

(გადის)

ს უ რ ა თ ი IV

იშავე მინდვრის სხვა მხარე. ქობი.

(შემოდიან ლირი, კენტო და მასხარა)

კ ე ნ ტ ი

აჰა, ეს ქობიც, ხელმწიფეო, გთხოვ, შიგ შებრძანდე,
თორემ აქ დგომას — ამ ცივსა და ჯოჯოხეთ ღამეს —
კაცის ბუნება რას გაუძლებს.

(ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს)



ლირი

მარტო დამტოვე

კენტი

ჩემო კეთილო ხელმწიფეო, შევიდეთ ქოხში.

ლირი

გინდა რომ გული გამიხეთქო?

კენტი

ჩემო ხელმწიფეო, უმაღლეს გული შუა გასკდეს! შევიდეთ ქოხში.

ლირი

ძვლებში რომ ატანს ეს წვიმა და მსუსხავი ქარი,
 ნეტა თუ დიდი სატანჯველი გგონია მართლა!
 შენთვის იქნება ასეც იყოს. მაგრამ ვინც გულში
 ვანიცდის უფრო მწარე ტკივილს, ეს არად უჩანს.
 დათვს რომ გაექცე, და მღელვარე ზღვას შეეფეთო,
 მყის შებრუნდები და დათვს პირში ჩაუვარდები;
 ვისაც სული აქვს დამშვიდებულ-დაწყნარებულ,
 მისი სხეული მუდამ უფრო მგრძნობიარეა.
 ჩემს სულში ახლა ქარიშხალი აბორგებულა
 და ვერა ტკივილს ველარა ვგრძნობ, გარდა ერთისა —
 ეს ტკივილია — შვილის ცივი უმადურება!
 ეს ხომ იმას ჰგავს, პირი მოსდო და მოიგლიჯო
 შენივე ხელი, ლუკმა პურის მომწოდებელი.
 მორჩა!.. მე ცრემლებს აღარ დავდვრი! ასეთ ღამეში
 გამომიკეტეს სახლის კარი და გამომავდეს!
 წამოუშინე, ჩამოიქეც! მაინც ავიტან.
 ასეთ ღამეში!.. ო, რეგანა!.. ო, გონერილა!..
 მოხუცებულმა მამათქვენმა კეთილი გულით,
 რაც რომ ებადა, თქვენ მოგიძღვნათ... ვგიჟდები, მგონი!..
 არა, აღარა, აღარ მინდა, არ გავიხსენებ!

კენტი

ჩემო ხელმწიფეო, დამშვიდდი და შებრძანდი ქოხში.



ლირი

თვითონ შედი და მოისვენე, მე დამეხსენი,
ამ ქარის გრგვინვას გულს ვაყოლებ, იგი მავიწყებს
უფრო საშინელ სატანჯველსა... თუმცა შევიდეთ.

(მასხარას)

ჯერ შენ, ბიჭუნა, უსახლკარო და უთვისტომო,
არა, შენ შედი. მე ვილოცებ და დავიძინებ.

(მასხარა შედის)

მიშველ-ტიტველნო, უბედურნო და განწირულნო,
სადა ხართ ახლა, როგორ უძლებთ უღმობელ ავდარს,
შიმშილით ფერდებჩაცვივნულნი, თავშიშველანი,
უბადრუკ ჩვრებში გახვეულნი რას შვრებით, ნეტა,
როცა ასეთი ქარიშხალი თავს დაგატყდებათ?!
ვაი, რა ცოტა მიზრუნია ჩემი ხალხისთვის!
შენც ეს განგკურნავს, ფუფუნებავ, ამ ერთხელ სცადე
და უბედურთა გაჭირვება შენც განიცადე,
მოყირჭებული რაცა გქონდეს, გაუნაწილე,
დაამტკიცე, რომ სამართალი ყოფილა ქვეყნად.

ედგარი

(ქოხიდან)

სამი ადლი და ნახევარი, სამი ადლი და ნახევარი! საბრალო თომა!

(მასხარა ქოხიდან გამოვარდება)

მასხარა

არ შეხვიდე, ბიძაჩემო, არ შეხვიდე. ავი სულია იქა! მიშველეთ, მიშ-
ველეთ!

კენტი

ხელი მომეცი. რაო, ვინ არის?

მასხარა

ავი სული, ავი სული! საბრალო თომა მქვიაო, დაუყინია.

კენტი

ვინა ხარ მანდა? რას დუდლუნებ? გარეთ გამოდი!

(შემოდის გიჟად გადაცმული ედგარი)

ე დ გ ა რ ი

ჩამომეცალეთ! იქით, იქით, ეშმაკი მომდევს.
„ქარი სისინებს ქაცვიანი კუნელის ბუჩქში“...
აბა, ცივ ლოგინს მიაშურე და ჩათბუნდები.



ლ ი რ ი

ორ შვილს მიეცი მთელი შენი საცხოვრებელი
და ასე დარჩი?

ე დ გ ა რ ი

მიეცით რამე საბრალო თომას! სად არ ათრია ავმა სულმა — ცეცხლი
და გენია გამოატარა, გუბე და მორევი გამოატარა, ჭაობსა და ჭყან-
ტობში ათრია, ბალიშში დანები დაუტანა, სკამზე მარყუჟი ჩამოუ-
კიდა, ჯამში თაგვის შხამი ჩაუყარა; მერე გააყოყოჩა და წაბლა იორ-
ლაზე წამოასკუბა, საკუთარი ჩრდილი მოლაღატედ მოაჩვენა და იმას
დაადევნა. სულ ოთხგოჯიან ბოგირებზე ახტუნა. ღმერთმა ჭკუა და
გონება გიკურთხოს!.. სცივა თომას!.. უ-უ-უ! როგორ სცივა!.. ღმერ-
თმა დაგიფაროს ქარაშოტისაგან, ჯადოსა და კუდიანი ვარსკვლავი-
საგან! გაიკითხეთ საბრალო თომა, ავი სული არ ასვენებს. დაძაცა,
დავიჭირო... აგერ!.. აჰა, ისევ აქ არის!

(ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს).

ლ ი რ ი

ხედავ, რა დღეში ჩაუგდიათ საკუთარ შვილებს?
არ დაიტოვე არაფერი? სულ მათ მიეცი?

შ ა ს ხ ა რ ა

რათა, ძონძები შეუნარჩუნებია, თორემ ჩვენვე შეგვრცხვებოდა მა-
გისი ყურება.

ლ ი რ ი

რაც კი ჰაერში ცოდვილთათვის სნება ტრიალებს,
შენს ქალიშვილებს დასტყდომოდეს ერთბაშად თავზე!

კ ე ნ ტ ი

მაგას რომ ქალიშვილები არა ჰყავს, ხელმწიფევ!

ლირი



სტყუი, მიჰქარავ! ადამიანს ასე რა დასცემს,
გულღვარძლიანი და ბოროტი შვილების მეტი!
ეტყობა, წესად შემოვიდა — განდევნილ მამებს
უწყალოდ გვემა სხეულისა დაჰბედებიათ!..
აბია ჩვენზე, ასე უნდა — ის სისხლისმსმელი
შვილები განა ამ სხეულმა არ გააჩინა!

ედგარი

პილიკოკი წამოსკუპდა პილიკოკის სერზედა!..
ჰეი, ჰეი, ჰეი, ბიჭო, პილიკოკის სერზედა.

მასხარა

ამ სიცივემ ლამის ყველა დაგვაგიჟოს და გაგვასულელოს.

ედგარი

ეშმაკს ერიდე, მშობლებს გაუგონე, სიტყვას ნუ გატეხ, ნუ ფიცუ-
ლობ, სხვის ცოლთან ნუ შეცოდავ, საკუთარს ნუ გაააზიზებ. სცივა
თომას!

ლირი

წინათ ვინ იყავი, რა იყავი?

ედგარი

კაცი ვიყავი, საქმეს ვეკიდე, თავი ამაყად მეჭირა, თმას ვიხუჭუჭებ-
დი, ხელთათმანებს ქუდში ვიტანდი, საყვარელს გულის მურაზს ვუს-
რულეზდი და მასთან ბნელ საქმეს ვჩადიოდი, სიტყვას არ ვიტყოდი.
რომ ფიცით არ დამემოწმებინა, და მობრუნებას ვერ ვასწრებდი, ისე
ეტეხდი იმ ფიცს. ძილში ავხორცულ გეგმებს ვაწყობდი, ცხადში —
ვასრულეზდი, ღვინოს თავგამეტებით ვეტანებოდი, კამათელს — თავ-
გამოდებით, ქალების დევნაში ოსმალო ვერ მაჯობებდა, გულნამცე-
ცა ვიყავი, ყურდაცქვეტილი, ხელსისხლიანი; სიზარმაცით — ღორი,
ქურდობით — მელა, მსუნაგობით — მგელი, სიცოფით — ძაღლი, სი-
ხარბით — ლომი. აბრეშუმის კაბების შრიალსა და ფეხსაცმელების
ჭრაჭუნს ნუ აჰყვები, ქალებმა არ გადაგიყოლონ; საროსკიპოში ფე-
ხი არ შედგა, კაბას ხელი არ წაავლო, მევახშის დავთარს — კალაში
არ გააკარო, ეშმაკს ერიდე.

ქარი კი ისევ სისინებს ქაცვიანი კუნელის ბუჩქში,
ზღზუნნი გააქვს — ზუ-ზუ-ზუ-უ.
წყნარად, ღოფინო, ჩემო ბიჭო! დე იზუზუნოს!



(ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს)

ლირი

ამ საშინელ ავდარში თავშიშველ დგომას, საფლავში წოლა არ გერჩივნა! ნუთუ ეს არის ადამიანი და მეტი არაფერი?! აბა, კარგად დააკვირდით. ყველაფერი თავისი აქვს, არაფერი უნათხოვრებია: არც აბრეშუმი — ჭიისაგან, არც ტყავი — საქონლისაგან, არც მატყლი — ცხვრისაგან, არც არავითარი სურნელება — მუშკისაგან. ხედავთ! კაციც ამას ჰქვია. ჩვენ შეკოწიწებულები ვართ. ნამდვილი, შეუთითხნავ-შეუკოწიწებელი ადამიანი ასეთია — ტიტველი, ორფეხა ცხოველი... ჰომოშორეთ ეს ნანათხოვრები ხარა-ხურა!.. მოდი, ეს ღილი შემიხსენი.

(ტანსაცმელს იგლეჯს)

მასხარა

კარგი, ბიძაჩემო, რა ამბავში ხარ. ამისთანა საზიზღარ ღამეში ცურვა გაგონილა. ახლა რომ ტრიალ მინდორზე ცეცხლი დააპუქუნო, აცუნცრუკებული ბერიკაცის გულს არ ეგვანება?! გულში უბუტავს პატარა ნაპერწკალი, დანარჩენი კი ყველაფერი გაყინული აქვს... აბა, გაიხედეთ, ეს რა ცეცხლი დაძრულა ჩვენკენ?

(შემოდის გლოსტერი, ხელში ჩირაღდანი უჭირავს)

ედგარი

ეს ხომ ფლიბერტიჯიბეტია, საძაგელი ეშმაკი; მწუხრის ზარს ჩამოკრავენ თუ არა, გამოდის და პირველ მამლის ყივილამდე დაწანწალებს; თვალზე ბისტს აკრავს და აელმებს ადამიანს, ტუჩს კურდღელივით უმახინჯებს, ხორბალს აობებს და ამ მიწის ყველა უბადრუკ ქმნილებას სნებას უმზადებს.

სამჯერ მოვარდა სვითოლდი

და ეშმაკები გაყარა —

გასწით. განვედით! — უბრძანა, ---

არ დაგინახოთ, აღარა!



კ ე ნ ტ ი

როგორა ბრძანდები, ხელმწიფეო?

ლ ი რ ი

ეს ვინ არის?

კ ე ნ ტ ი .

ვინა ხარ მანდა? აქ რას დაეძებ?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თქვენ ვილა ხართ? თქვენი სახელი?

ე დ გ ა რ ი

მე საბრალო თომა მქვია. ბაყაყებს, თავკომბალებს, გომბეშოებსა და ხვლიკებს შევექცევი. ავი სული რომ გამაცოფებს და გავხელდები, მაშინ ძროხის ნეხვსაც გემრიელად გეახლები, ბებერ ვირთაგვებსა და დამხრჩვალ ძაღლებს ვყლაპავ და ზედ მყაყე გუბის წყალს ვატან; სოფლიდან სოფელში მათრახით მერეკებიან, ფეხზე ხუნდს მადებენ, დილეგში მამწყვდევენ, ზურგზე ხუთი ქურთუკი მაქვს მოდებული, ექვსი პერანგი ზედ მაცვია, ცხენზე ვზივარ და ხმალი მარტყია,

მაგრამ გავიდა შვიდი წელი და, ვიტყვი შიშით, თავვების მეტი არაფერი ჩამსვლია პირში.

ვერ ხედავთ, როგორ მომდევენ! მოეცალეთ, მოეცალეთ. ჭკვიანად, სმოლნიკ. ჭკვიანად, შე ავო სულო!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვაი, რა ხალხში ჩავარდნილხარ, ჩემო ხელმწიფევ!

ე დ გ ა რ ი

წყვდიადის მბრძანებელი დიდი თავადი გახლავთ — მოდო და მაჰუ ჰქვია.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩემო ხელმწიფევ, ისე მოელოთ ბოლო ჩვენს შვილებს — ჩვენს საკუთარ სისხლსა და ხორცს — რომ გამჩენი მშობლებიც კი შეიძულეს.

სცავ- საბრალო თომას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე გამომყევი, ხელმწიფეო, გული არ მაძლევს
შენი ქალების მკაცრ ბრძანებას დავემორჩილო,
ამ ბნელ ღამეში სახლის კარი გამოგიკეტო,
და ჯოჯოხეთურ ქარიშხალში დაგტოვო გარეთ.
თავი გავწირე, შენს საშველად გამოვეშურე.
წავიდეთ ახლა, მე მიგიყვან ისეთ ადგილას,
საცა მიგელის ვახშამიც და თბილი ბუხარიც.

ლ ი რ ი

ჯერ დამაცადე, რალაც ვკითხო ამ ფილოსოფოსს.
ერთი მითხარი, რისგან ჩნდება ჭექა-ჭუხილი?

კ ე ნ ტ ი

ჩემო ხელმწიფეო, შეუსრულე თხოვნა ამ კაცსა.

ლ ი რ ი

ჯერ ამ მეცნიერს უნდა ვუთხრა ორიოდ სიტყვა.
რა სიბრძნეს მისდევ, რა მოძღვრებას?

ე დ გ ა რ ი

ქვემძრომთა ქლეტას, ბოროტების განადგურებას.

ლ ი რ ი

იქითკენ მივდგეთ, საიდუმლო უნდა გაგანდო.

კ ე ნ ტ ი

(გლოსტერს)

ნუ მოეშვები, კიდევ სთხოვე, ჩემო ბატონო,
იქნებ გამოგყვეს, თორემ, ვატყობ, ჭკუა ერყევა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ანკი რას გიკვირს! მოსაკლავად სდიეს შვილებმა!...
კეთილი კენტი!.. ყველაფერი წინასწარ იგრძნო.
როგორ განდევნეს საცოდავი!.. — შენ მეუბნები,
ჭკუა ერყევა ხელმწიფესო?.. იცი, რა გითხრა —

მეც მაგ დღეში ვარ. ბიჭი მყავდა... ახლა გულიდან
ამოვიგლიჯე, შევაჩვენე... აგერ ახლახან
ჩემი მოკვლა არ მოინდომა!.. როგორ მიყვარდა!
ჯერ არა მამას შვილი ასე არ ყვარებია.
ამ მწუხარებამ გამაგიჟა... ო, რა ღამეა!
გთხოვ, ხელმწიფეო.



ლირი

მომიტევე, ჩემო ბატონო...
ლაპარაკი მსურს შენთან, ბრძენო ფილოსოფოსო.

ედგარი

შესცივდა თომას.

გლოსტერი

ქოხში შედი, ქოხში გათბები.

ლირი

ჩვენც შევყვეთ ბარემ.

კენტი

აქეთ, მეფევ.

ლირი

არა, შევყვები.

ამიერიდან ამ მეცნიერს ვერ დავშორდები.

კენტი

იქნებ დამშვიდდეს, ეს ყმაწვილიც თან წავიყვანოთ.

გლოსტერი

წამოიყვანეთ.

კენტი

შენც წამოდი, ჩვენ გამოგვყევი.

ლირი


ჩვენთან წამოდი, ათენელო ფილოსოფოსო.

გლოსტერი

ჩუმად ოლონდ, ხმას ნუ გაიღებთ...

ე დ გ ა რ ი

შავ ციხე-დარბაზს რომ მიადგა გმირი როლანდი,
„ფუი, ფუიო“, გამწარებით შესძახა მყისვე,
„მე ბრიტანელის სისხლის სუნი მცემს ისევ ისევ“.



(გაღიან)

ს უ რ ა თ ი V

გლოსტერის ციხე-დარბაზი

(შემოდინ კორნუოლი და ედმუნდი)

კორნუოლი

ისე არ წავალ აქედან, ჰკუთა თუ არ ვასწავლე.

ედმუნდი

ვაიმე, ჩემო ბატონო, ამითვალწუნებენ — მამაშვილურ სიყვარულს
თავისი ბატონის ერთგულებამ გადასწონაო, იტყვიან. მეშინია, ამას
რომ გავიფიქრებ.

კორნუოლი

ახლა კი ვხედავ, შენი ძმის ბრალი სულაც არა ყოფილა, მოსაკლავად
რომ დასდევდა; მამაშენის ავკაცობა ყოფილა მიზეზი.

ედმუნდი

რა უბედურ დღეს გავჩენილვარ — სიმართლის ქმნა სანანებლად
როგორ უნდა გაგიხდეს კაცს! აჰა, ის წერილებიც, მე რომ მითხრა.
აქედანვე ჩანს, რომ ფრანგებს ატყობინებდა ამბებს. ჰოი, ზეცაო! ან
ეს ლალატი რად მოხდა, ან მე რადა მხვდა წილად მისი მხილება!

კორნუოლი

შენ დედოფალთან გამომყევი.

ედმუნდი

რაც მანდა წერია, ის თუ გამართლდა, დიდი საქმე გაგჩენიათ.



კორნუოლი

გამართლება თუ არ გამართლება, შენ ამ წერილმა გაგქცია გლოსტერის გრაფად. წადი, მამაშენი მოძებნე, ახლავე უნდა დავაჭერიხო.

ედმუნდი

(თავისთვის)

ნეტა იმ დროს წავადგებოდე თავს, მეფეს რომ ანუგეშებს და ეფერება. მაშინ ამას სულ გავბერავ ეჭვებით. -- არა, მე მაინც ჩემს ერთგულებას უნდა მივყვე, თუნდა ამით საკუთარი სისხლის წინააღმდეგ ამხედრება დამჭირდეს.

კორნუოლი

მთლად შენზე ვიქნები მონდობილი, და იცოდე, ჩემი სიყვარული უფრო კარგ მამობას გაგიწევს.

(გაღიან)

სურათი VI

გლეხის სახლი, გლოსტერის ციხე-დარბაზის მახლობლად

(შემოდინ ლირი, კენტი, გლოსტერი, მასხარა და ედგარი)

გლოსტერი

ცის ქვეშ დგომას ისევ აქა სჯობია, ამისი მადლობელიც უნდა ვიყოთ. ცოტა ხნით წავალ, იქნებ რაიმე კიდევ მოვახერხო, რომ უკეთ მოეწყით. ახლავე მოვბრუნდები.

კენტი

ამდენ დაძაბვას ტვინმა ვეღარ გაუძლო, სიფიცხე მოერიია... ღმერთებმა გადაგიხადონ ამ სიკეთის სამაგიერო.

(გლოსტერი გადის).

ედგარი

ფრატერეტო მეძახის და მეუბნება, ნერონი ბნელეთის ტბაში თევზაობსო... ილოცე, რეგვენო, ავ სულეებს მოერიდე.

მასხარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ეს მითხარი, ძია-კაცო, გიჟს რა წოდება აქვს, ვინ არის აზნაური თუ მდაბიო?

ლირი

ხელმწიფე. ხელმწიფე!

მასხარა

არაფერიც. მდაბიოა, შვილი კი აზნაური ჰყავს. მართლაც გიჟი უნდა იყო, რომ მდაბიო ადამიანმა შვილი გაიაზნაურო.

ლირი

გავარვარებულ შამფურებით მათ მიესიონ და მთელი ტანი დაუჩხვლიტონ შიშინ-შიშინით...

ედგარი

ეშმაკი ბეჭებში მკბენს.

მასხარა

არა, გიჟი ის არის, ვისაც ნამდვილად სჯერა მგლის მოშინაურება, ჩარჩის სიტყვები, ბაღის სიყვარული და კახის ფიცი.

ლირი

მორჩა... სამსჯავრომ გადაწყვიტოს ამათი საქმე.

(ედგარს)

შენ აქ დაბრძანდი, განსწავლულო დიდო მსაჯულო...

(მასხარას)

შენც, ღირსეულო მეცნიერო, გვერდით მიუჯექ...

აბა, გამოდით, მატყუარა მელაძუებო!..

ედგარი

შეხედე, როგორ უბრიალებს თვალებს!... სამსჯავროში ხარ, ქალბატონო, თვალებს რას აბაჭუნებ!

ჩემკენ, ბესი, გამოცურე, აქა ვდგავარ, ვერა მხედავ!

მასხარა

შეპარვია ნავში წყალი,

დგას თავისთვის ის საწყალი,

ამიტომაც ვერ გადმოვა და თქმაც ველარ გაუბედავს.

ე დ გ ა რ ი

ბულბულივით უსტვენს საძაგელი ეშმაკი და საბრალო თომას მის
ვენებას არ აძლევს. ჰობდანსი მუცელში ჩასძრომია და ყვირის, ქა-
შაყი მაჭამეო. სულ ტყუილად ჩხავი, ავო სულო. შენი ჩასახეთქი
საჭმელი ვინ მომცა!

კ ე ნ ტ ი

რა მოგივიდა, ხელმწიფეო? ასე რად დგახარ?
თვალს რას უშტერებ? წამოწექი და მოისვენე.

ლ ი რ ი

სამსჯავრო ვნახო ჯერ ამათი... მოწმეებს უხმეთ.

(ედგარს)

აბა, მანტიამოხვეულო დიდო მსაჯულო,
აგერ დაბრძანდი.

(მასხარას)

თანაშემწევ, გვერდით მოუჯექ.
შენ ხომ ნაფიცი მსაჯული ხარ, შენც აქ დაჯექი.

ე დ გ ა რ ი

ნამდვილი სამართალი გავაჩინოთ.

ადექ, მწყემსო, რასა გძინავს უღარდელად
ცხვარს გახედე — მოსდებია ყანას ხელად,
ხალამური დაუკარი, უხმე ყველას,
მანამ ჯეჯილს ერთიანად გადათელავს.
ფრრ! რა ჭრელი კატაა!

ლ ი რ ი

ჯერ ეს დაკითხეთ. გონერილა ჰქვიან. ამ პატივცემული კრებულის
წინაშე ვფიცავ, რომ მაგან ხელმწიფე-მამას წიხლი ჰკრა და გარეთ
გააგდო.

მ ა ს ხ ა რ ა

წინ წამოდექი, ქალბატონო. გონერილა გქვია?

ლ ი რ ი

მაგას ვერ უარჰყოფს.

მასხარა

მაპატიე, ქალბატონო, მე კიდე სკამი მეგონე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლირი

ესეც მეორე... ვერ უყურებთ, როგორ ბრეცს თვალებს,
გულიც ასეთი დაბრეცილი და მზაკვარი აქვს.
ჰეი, გაგექცათ! სტაცეთ ხელი!.. ცეცხლი! მახვილი!..
მთელი სამსჯავრო დაუქრთამავთ!.. რად გააქციე?
შენ გეკითხები, გაიძვერა და ცრუ მსაჯულო!

ედგარი

ღმერთებსა ვთხოვ, გონება მთლად არ დაგიფანტონ.

კენტი

ვაი ამ ყოფას! . რა უყავი ის მოთმინება
რითაც, მეფეო, იკვეხდი და თავი მოგქონდა?!

ედგარი

(თავისთვის)

თავს ველარ ვიჭერ, ლამის გამცენ ჩემმა ცრემლებმა.

ლირი

შემომესიენ ეს ლეკვები და შეხეთ ერთი
როგორა მყეფენ — ტრეი. ბლანშ, იქით, მომეცალეთ.

ედგარი

თომა საკუთარ თავს მოუქნევს მაგ ძაღლებს და მოგაცილებს. აბა,
მოეცათ. ძაღლებო!

დრუნჩი თეთრი, დრუნჩი შავი,
კბილი, შხამით დაძგესლავი,
ყველა ჯიშის ძაღლი ავი —
მეძებარი, შემპარავი,
ფინია თუ ეზოს მურა,
უკუდო თუ კუდფაფხურა

მომესიონ.. ძაღლებს ავებს
ვაქნავლებ და ვაწკავწკავებ:



და-და-და-და. იქით-იქით! ახლა გავსწიოთ და ბაზარ-დუქნებს დავუ-
ყვეთ, დღეობები მოვიაროთ. საბრალო თომას ყანწი დაუცარიელდა,
ალარა შერჩა რა.

ლირი

თუ ასეა, მე რეგანას გაკვეთას მოვითხოვ. ნახონ ერთი, გულში რა
უზის, რა აქვავებს ასე ადამიანის გულს! (ედვარს) შენ კი, ბატონო,
ჩემს ამაღლაში ჩაგრიცხე, იმ ასი რაინდის სათვალავში. ოლონდ შენი
ტანსაცმელი ვერ მომდის თვალში. სპარსულიაო, მეტყვი, მაგრამ
მაინც უნდა გამოიცვალო.

კენტი

ცოტა ხნით მაინც წამოწექი, ხელმწიფეო და მოისვენე.

ლირი

ჩუმად! ჩუმად! რა გაღრიალებთ?! ფარდები ჩამოუშვით!.. ეგრე, ეგ-
რე. დილაზე ვევახშმოთ. ჰო, ჰო, ეგრე.

მასხარა

მაშინ მე შუადღისას დავიძინებ.

(შემოდის გლოსტერი)

გლოსტერი

ერთი აქეთ მოდი, მეგობარო. ხელმწიფე სადა ბრძანდება?

კენტი

აქ გახლავს, ბატონო, მაგრამ ნუ შეაწუხებ, ჭკუიდან შეცდა.

გლოსტერი

აბა, ძმობილო. ხელში ასწით და გაიყვანეთ,
ყური მოვჭკარი, შეთქმულებას უწყობენ თურმე,
ხელმწიფის მოკვლა განუზრახავთ. აგერ საკაცე,



შიგ ჩააწვინეთ, და ღუვრისკენ გასწიეთ ჩქარა,
 იქ მეგობრები დაგხვდებიან, დაგიფარავენ.
 ჩქარა ასწიე, ნუ ზოზინებ, თორემ იცოდე,
 მაგის სიცოცხლე. შენიც, ჩვენიც — ვინც მას ვმფარველობთ,
 ბეწვზე ჰკიდია. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა ასწიეთ,
 მე გამომყევით, საგზალს მოგცემთ, ხალხს გაგაყოლებთ.

კ ე ნ ტ ი

გატანჯულს როგორ ჩაეძინა!.. იქნება ძილმა
 და მოსვენებამ დაგიმშვიდოს მშფოთვარე სული.
 თუ მოსვენება არ დაგცალდა, ვერც რა გიშველის.

(მასხარას)

აბა, მიშველე, ავიყვანოთ შენი ბატონი,
 ნუღარ ზოზინებ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ჩქარა, ჩქარა, გამოექით.

(გადიან ყველანი, გარდა ედგარისა)

ე დ გ ა რ ი

ჩვენზე ღირსეულთ როცა ვხედავთ ჩვენებრ დაჩაგრულთ,
 აღარც კი გვახსოვს საკუთარი უბედურება.
 მწუხარებაში მარტოობა უფრო ძნელია,
 როდესაც ირგვლივ ნეტარებით ტკბება სუყველა.
 მაგრამ შენს ბედში ჩავარდნილი სხვაც თუ იხილე,
 მაშინ საკუთარ მწუხარებას უფრო აიტან.
 ტკივილი უცებ დამავიწყდა, რომ დავინახე
 ჩვენი ხელმწიფე ამნაირად გამწარებული.
 იგი შვილებმა გაამწარეს, მე კი — მშობელმა!...
 მაშ გასწი, თომა!.. შენს სიმართლეს, უცოდველობას,
 როცა აღვილად დამტკიცებ, მაშინ გამოჩნდი.
 ახლა კი სცადე, რომ ხელმწიფე იხსნა როგორმე!
 ნუ გამოჩნდები, დაიმალე!

(გადის)



ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში

(შემოდინ კორნუოლი, რეგანა, გონერილა, ედმუნდი და მსახურნი)

კორნუოლი

ახლავე თქვენს მეუღლესთან უნდა გაემგზავროთ და ეს წერილი წააკითხოთ. საფრანგეთის ჯარი ჩვენს მიწაზე გადმომსხდარა... მოლალატე გლოსტერი აქ მომგვარეთ.

(რამდენიმე მსახური გადის)

რეგანა

ახლავე ჩამოახრჩეთ.

გონერილა

თვალები დასთხარეთ.

კორნუოლი

ეს ჩემს გულისწყრომას მიანდეთ. ედმუნდ, შენ ჩვენს ცოლისდას ეახელ. რად გინდა, რომ მოლალატე მამაშენის წამებას უყურო? მთავარს გადაეცი, რაც შეიძლება სწრაფად მოამზადოს საომრად ჯარი. ჩვენც ასევე დავაჩქარებთ საქმეს. ხშირ-ხშირად ვაცნობოთ ერთმანეთს ამბავი, მსტოვრები სულ გზაში უნდა იყვნენ. მშვიდობით, ძვირფასო დაო. მშვიდობით, გლოსტერის გრაფო.

(შემოდის ოსვალდი)

რაო? ხელმწიფე სად არის?

ოსვალდი

გრაფმა გლოსტერმა გააპარა აქედან იგი, ოცდათხუთმეტ თუ ოცდათექვსმეტ რაინდთან ერთად — მეფეს ეძებდნენ და ჭიშკართან შემოხვდნენ სწორედ, თავის მხლებლებიც თან აახლა გლოსტერმა მეფეს და დუვრისაკენ გაემართნენ. ბაქიაობდნენ — ხმალშემართული მეგობრები მიგველიანო.

კორნუოლი

ახლა წადი და შენს ქალბატონს ცხენი მოართვი



გონერილა

მშვიდობით. სიძევ. გეთხოვები, ძვირფასო დაო.

კორნუოლი

მშვიდობით ედმუნდ.

(გონერილა, ედმუნდი და ოსვალდი გადიან)

მომიძებნეთ ვერაგი გრაფი და, როგორც ქურდი, მოათრიეთ ხელფენშეკრული.

(მსახურები გადიან)

სიკვდილით დასჯას სასამართლოს დასტური უნდა, მე კი ხერხს ვიხმარ — გამწყრალ გულსაც კარგად მოვიფხან, და მოცლილ ხალხსაც აღარ მივცემ სასაყვედუროს. ვინა ხარ მანდა? მოღალატევი, შენა ბრძანდები?

(სამ-ოთხ მსახურს გლოსტერი შემოჰყავს)

რეგანა

სწორედ ის არის — უმადური, ცბიერი მელა!

კორნუოლი

მკლავები მაგრად შეუბოჭეთ.

გლოსტერი

რამ გაგაცხარათ, ბატონებო?... რა ამბავია? თქვენ სტუმრები ხართ, უკადრისად ნუ მომექცევით.

კორნუოლი

შებოჭეთ-მეთქი!

რეგანა

მაგრად, მაგრად! ვერაგი მონა!

გლოსტერი

მე სადაური ვერაგი ვარ, შენა ხარ გულქვა!



კორნუოლი

ამ საკარცულზე მიაკარით. მე შენ გაჩვენებ!..
(რეგანა წვერს აგლეჯს)

გლოსტერი

ოი, ღმერთებო!.. წვერსაც მაგლეჯ? ასე დამდაბლდი?!

რეგანა

ასე ჭალარა და ასეთი მუხთალი მონა!

გლოსტერი

ო, უტიფარო დედაკაცო! ყოველი ბეწვი,
რასაც შენ ასე გამეტებით მაგლეჯ სახეზე,
გაცოცხლდება და შეგაჩვენებს. სტუმრად მიგიღეთ,
თქვენ კი ნამდვილი ქურდებით ფეხით გათელეთ
ეს ჩემი წრფელი მასპინძლობა. რას მერჩით მაინც?!

კორნუოლი

ის რა წერილი მოგივიდა საფრანგეთიდან?

რეგანა

გამოტყდი, გიჯობს. ყველაფერი გავიგეთ ისეც.

კორნუოლი

რა საიდუმლო კავშირი გაქვს იმ მუხთალ მტრებთან,
რომელთაც უკვე გადმოლახეს ჩვენი საზღვრები?

რეგანა

მათთან გაგზავნე გიჟი მეფე? გამოტყდი, გვითხარ!

გლოსტერი

წერილი მართლაც მომივიდა, მაგრამ მტრის — არა,
გარეშე კაცის ბარათია.

კორნუოლი

სტყუი!

რეგანა

მიჰქარავ!



კორნუოლი

მაშ ეს სთქვი — მეფე სად გაგზავნე?

გლოსტერი

დუვრში გაგზავნე.

რეგანა

რატომ გაგზავნე, აკი გითხრეს და გაგაფრთხილეს...

კორნუოლი

არა, დუვრისკენ რად გაგზავნა, ეს გვიპასუხოს!

გლოსტერი

რას გამაკარით ნეტა ბოძზე, რას მემართლებით?

რეგანა

რატომ გაგზავნე დუვრში მეფე?

გლოსტერი

რომ არ მეხილა,

როგორ დასთხრიდი მაგ უწყალო ბრჭყალებით თვალებს, ანდა ის შენი ავგული და როგორ გაჰკრავდა.

კურთხეულ ტანზე ტახის ეშვებს საწყალ ბერიკაცს.

ამ ჯოჯობეთურ სიბნელეში, როცა ხელმწიფეს

ქარისთვის ჰქონდა მიშვერილი შიშველი თავი,

იგივე ქარი ზღვასაც ისე ააღელვებდა.

რომ ზვირთებს ზეცას მიახლიდა გამძვინვარებით

და ჩააქრობდა ცის მნათობებს... ის კი, საბრალო,

იდგა და ცრემლებს უმატებდა წვიმის ნიაღვარს.

კარებზე მგლებს რომ მოეყმუვლათ ამ მძვინვარ ღამეს,

„შემოუშვითო“, გასძახებდი მეკარეს, ალბათ,

ვერ გაუძლებდა კაჟის გულიც... იმასაც ვნახავ,

როგორ დალახვრავს ამგვარ შვილებს ცის შურისგება.

კორნუოლი

შენ ველარაფერს ველარ ნახავ. აბა, ბიჭებო,

სკამი დამიჭით... ფეხით გავსრეს მე მაგ შენს თვალებს.



გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვისაც გსურთ გახდეთ ჩემი ხნისა, მოდით, მიშველეთ.
ო, უღმობელო არამზადა! ოი, ღმერთებო.

რ ე გ ა ნ ა

მეორეც ბარემ!.. დავსებულ თვალს რომ არ დასცინოს!

კ ო რ ნ უ ო ლ ი

თუ კიდევ ნახო შურისგება...

I მ ს ა ხ უ რ ი

აუ იზამ მაგას!

რაც თავი მახსოვს შენთანა ვარ, გემსახურები,
მაგრამ ახლა თუ დამიჯერებ, ჩემო ბატონო,
პირდაპირ გეტყვი, რომ ჩემს დღეში ასე ერთგული
მე სამსახური არასოდეს გამიწევია.

რ ე გ ა ნ ა

რას ბედავ; ძაღლო!

I მ ს ა ხ უ რ ი

კაცი იყო, წვერს დაგაგლეჯდი.

რა სიხადაგლე მოიგონეთ!

კ ო რ ნ უ ო ლ ი

ლაჩარო მონავ!

(ხმლით მივარდება)

I მ ს ა ხ უ რ ი

კარგი, გამოდი, მე დაგიცხრობ მაგ გულისწყრომას.

(იბრძვიან. კორნუოლი დაიჭრება)

რ ე გ ა ნ ა

ამ გლეხაჭუას ვერ უყურებ! ხმალი მომეცით!

(მეორე მსახურს ხმალს გამოსტაცებს და პირველს ზურგიდან ჩასცემს)

I მ ს ა ხ უ რ ი

ვაიმე, მომკლეს! ცალი თვალი ხომ ისევ შეგრჩა,

ნახე, ბატონო, შენს ავისმქმნელს რა დავაწიე!

(კვდება)



კორნუოლი

ვერ ეღირსება მაგის ნახვას! ჰა, ხომ აგზილენ, ცომად გაქციე! ძველებურად რად არ ელვარებ?!

გლოსტერი

ჩამოსკვარამდა! დამიბნელდა!.. ედმუნდ, სადა ხარ? ცეცხლად დაანთე მრისხანება შვილისა, ედმუნდ, და ამ საშინელ ბოროტისთვის შური იძიე.

რეგანა

ხმა ჩაიკმინდე, მოლალატე და გარეწარო! რატომ ახსენებ იმის სახელს, ვისაც შენ სძულხარ! შენი ღალატიც იმან გვამცნო. შენებრ მუხანათს რად შეაბრალებს იმისთანა ერთგული კაცი!

გლოსტერი

ვაი, სულელო ჩემო თავო! ახლალა მივხვდი, ცილისწამებით შემიბლალავს ჩემი ედგარი! შემინდეთ, ღმერთნო! შეეწიეთ, მიჰხედეთ ედგარს!

რეგანა

ახლა კინწისკვრით გადააგდეთ ჭიშკრის გადაღმა, სუნი აიღოს და დუვრის გზა ისე გაიგნოს. რა მოგდის, შილორდ? როგორა ხარ, რა დაგემართა?

კორნუოლი

დამჭრეს... მიშველე, ხელი მომე და გამიყვახე. ეს თვალდათხრილი არამზადა გარეთ გააგდეთ... და სანეხვეზე გაათრიეთ ეს ლეშიც ბარემ... ვაი, სისხლისგან დავიცალე... რა დროს დავიჭერ! რეგანა, ხელი მომაშველე.

(კორნუოლი რეგანას გაჰყავს. მსახურნი გლოსტერს საკარცხულიდან მოხსნიან და გაჰყავთ).

II მსახური

ეს ვაჟბატონი

ამის შემდეგაც თუ ეწია ბედნიერებას, მე სიავკაცეს, მორჩა, აღარ მოვერიდები.

III მსახური

თუ ამ აშარმა დედაკაცმა კიდევ იცოცხლა
და სიბერეში შეხვდა მშვიდად თავის აღსასრულს,
მაშინ ურჩხულად იქცევიან დედაკაცები.

II მსახური

მოხუცებულ გრაფს დავედევნოთ და გზის გამკვლევად
ის გიჟი თომა გავაყოლოთ. იმას ისეთი
სიგიჟე სჭირს, რომ მეგზურობას კი მოახერხებს.

III მსახური

მაშინ შენ თვითონ დაედეგნე, მე მალამოსთვის
კვერცხის ცილას და ჩვრებს მოვიტან, სისხლში ამოთხვრილ
თვალის ბუდეზე დავაფაროთ. ზეცამ უშველოს.

(გადიან სხვადასხვა მხარეს)



მ ო ჭ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო ტ ხ ე

ს უ რ ა თ ი I

ტ რ ი ა ლ ი მ ი ნ დ ო რ ი

(შემოდის ე დ გ ა რ ი)

ე დ გ ა რ ი

ასე სჯობს — ბარემ გაამეღავნონ, თუ შეგიძულეს,
ვიდრემდე გულში სძულდე ყველას, პირში — გაქებდნენ.
კაცსა, მიწასთან გასწორებულს, გაცამტვერებულს,
შიში რილასი უნდა ჰქონდეს, იმედით ცოცხლობს.
ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ხოლო უბედურთ — სიცილად და თამაშად უჩანთ.
ჰაშ, დაუბერე, ამოვარდი, მერყევო ქარო,
ერთხელ ხომ უკვე აღმგავე და გამანადგურე,
ახლა იქროლე, რამდენიც გსურს, რაღას დამაკლებ!...
აშას ვის ვხედავ?.. მამაჩემი! მათხოვარს მოჰყავს!
წუთისოფელო! მუხანათო წუთისოფელო!
რა წარამარა იცვლები და გვაწვალე ხოლმე!
არ გვაძულეებდე თავს ასეთი ცვალებადობით,
მაშინ სიბერეც აგრერიგად ვერ დაგვჯაბნიდა.
(შემოდინ გ ლ ო ს ტ ე რ ი და ბ ე რ ი კ ა ც ი)

ბ ე რ ი კ ა ც ი

მთელი ოთხმოცი წელიწადი, ჩემო ბატონო,
თქვენ ხიზნობაში გავატარე; ჯერ მამაშენთან,
ახლა კი, აგერ, შენთანა ვარ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი



წადი, ძმობილო, ერეკლეობა
გონიერებისა

მე ვერას მარგებ, თავს კი ავნებ, თუ დაგინახეს.

ბ ე რ ი კ ა ც ი

როგორღა გინდა გზა გაიგნო, როცა ვერ ხედავ?!
გ ლ ო ს ტ ე რ ი

გზა რომ არა მაქვს, რა გავიგნო, რა დავინახო?!
როცა ვხედავდი, სწორედ მაშინ მიბოროდიკნია:
თვალი რომ გიჭრის, აღარ ფრთხილობ, არხეინად ხარ,
მაგრამ ოდნავაც თუ დაგაკლდა, ხელად ფხიზლდები.
ჟაი, ძვირფასო შვილო ედგარ, როგორ გიმსხვერპლა
მოტყუებული მამაშენის გაგულისებამ.
ნეტავი იმ დღეს შევსწრებოდი, რომ ხელშეხებით
შაინჯ მენახე! თვალხილულად ჩავთვლიდი ჩემს თავს.

ბ ე რ ი კ ა ც ი

ჰეი, ვინა ხარ?

ე დ გ ა რ ი

(თავისთვის)

ო, ღმერთებო, ნეტა ვის ეთქმის,
რაც მჭირს, ამაზე საშინელი რა იქნებაო!
ხომ მჭირვებია უფრო დიდი საშინელებაც!

ბ ე რ ი კ ა ც ი

თომა ყოფილა, ბეთლემელი.

ე დ გ ა რ ი

(თავისთვის)

ვინ იცის, იქნებ,
ამაზე უფრო საშინელი დღეც გამითენდეს,
ზოგჯერ თქმასაც კი ვერ მოასწრებ:

„აჰა, დამატყდა

უკიდურესი გაჭირვება“, და აგერ უცებ
ამაზე მძიმე გასაჭირი მოგვევლინება.

ბერიკაცი

საით მიდიხარ, მეგობარო?



გლოსტერი

მათხოვარია?

ბერიკაცი

მათხოვარია, არც ჭკუა აქვს დალაგებული.

გლოსტერი

თუ თხოვნა იცის, ცოტა ჭკუა მაინც ჰქონია.
წუხელ. იმ ქარში შევხვდი სწორედ ამნაირ ბედკრულს,
და გავიფიქრე, მატლს ჰგავს-მეთქი, ადამიანი.
აელადვე შვილი გამახსენდა, ჩემგან გმოზილი...
მას აქეთ ბევრი რამ გავიგე, ბევრს რასმე მივხვდი.
ღჭერთები ისე გვექცევებიან, ვით ბავშვი — ბუზებს:
ჩვენი წვალეებით ერთობიან.

ედგარი

ახლა რაღა ვქნა?

ძნელია სწორედ, დატანჯული, დამწუხრებული,
თავის აგდებას მოვჰყვე ახლა, გამოჯიბრებით. —
ზეცის კუროთხევა ნუ მოგშლოდეთ!

გლოსტერი

ის გლახა არის?

ბერიკაცი

ღიახ ბატონო.

გლოსტერი

მაშ, შენ წადი, უკან გაბრუნდი.
მაგრამ თუ ძველი სიყვარული ისევ შემოგრჩა,
ამ საბრალო კაცს ჩასაცმელი გამოუტანე
და ღუვრის გზაზე დაგვეწიე... მე ეგ წამიყვანს.

ბერიკაცი

როგორ, ბატონო, აკი გითხარ, გიჟია-მეთქი!

გლოსტერი

ბრმებს ხომ ვიყები წინამძღვრობენ, ეს წესად იქცა,
სწორედ ეს გახდა ჩვენი დროის ჭირი და სნება.
წადი, ეს თხოვნაც შემისრულე და გამეცალე.

ბერიკაცი

რაც იქნება, იქნეს, წავალ და ჩემს საგარეო ტანსაცმელს მოვუ-
ტან.

(გადის)

გლოსტერი

აბა ,ტიტველო მეგობარო!

ედგარი

სცივა საბრალო თომას.

(თავისთვის)

არ შემიძლია თვალთმაქცობა.

გლოსტერი

აქ მოდი, ძმობილო.

ედგარი

(თავისთვის)

მაგრამ სხვა გზაც რომ არ არის! ღმერთმა გიკურთხოს ეს გასისხ-
ლიანებული თვალები.

გლოსტერი

დუვრის გზა იცი?

ედგარი

გინდა ღობეზე გახტუნავენ, გინდა ჭიშკარში გაგატარებ, გინდა ბი-
ლი-ბილიკ, გინდა საურმე გზით... ჭკუაზე გადაცდა საწყალი თომა.
ზეცამ დაგიფაროს, კაი კაცისა შვილო, ეშმაკისაგან!... ხუთი ეშმაკი ერ-
თბაშად ჩაუძვრა სულში საწყალ თომას: ობიდიკუტი — ავხორცობის
ეშმაკი; ჰობიდიდენსი — მუნჯობის პრინცი; მაჭუ — ქურდობისა;
მოლო — მკვლელობისა; ფლიბერტიჯიბეტი — მანჭვა-გრეხისა. ახ-

ლა მოახლეებსა და მსახურ გოგოებს უზით ეს ეშმაკი სულში. კურთხევა ნუ მოგშლოდეს, ჩემო ბატონო.



გ ლ ო ს ტ ე რ ი

აჰა, ეს ქისა, გამომართვი. ცის მრისხანებას
შენ ერთიანად მოუსპიხარ, გაუსრესიხარ.
ახლა კი ჩემმა უბედობამ შეგყარა ბედსა.
ნეტავი ასეც დაკანონდეს! ფუფუნებისგან
გულმოყირჭებულთ, უტიფრობის წუმპეში ჩაფლულთ,
რომელთაც მონად გაუხდიათ კანონი ცისა,
და, უგრძნობელნი, ველარაფერს ხედავენ ქვეყნად,
ზეცაჲ ერთბაშად აგრძნობინოს თავისი ძალა,
მაშინ განცხრომა-მოყირჭებით არვინ იცხოვრებს
და ყველა სულდგმულს მიეზღვება თავისი წილი.
ოდესმე დუვრში თუ ყოფილხარ?

ე დ გ ა რ ი

დიახ, ბატონო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

იქ ერთი დიდი, ცადაჭრილი კლდე მეგულება,
უფსკრულის თავზე გადმომდგარი, შიშისმომგვრელად.
იქ ამიყვანე და დამტოვე, იქიდან მერე
გზას მეც გავიგნებ. შენ კი უხვად დაგაჯილდოვებ.

ე დ გ ა რ ი

ბელი მომეცი. წაგიძღვება საბრალო თომა.
(გადიან)

ს უ რ ა თ ი II

ალბანის მთავრის სასახლე

(შემოდინან გონერილა და ედმუნდი)

გ ო ნ ე რ ი ლ ა

მობრძანდით, მილორდ, შინ შევიდეთ. მიკვირს პირდაპირ,
ჩემი გულჩვილი მეუღლე რომ არ შეგვეგება.
(შემოდის ოსვალდი)

შენი ბატონი სად ბრძანდება.

ოსვალდი

შინა ბრძანდება.

სულ შეიცვალა, ვეღარ იცნობთ. რომ მოვახსენე,
საზღვარზე ჯარი გადმოსხეს-თქო, მან გაიღიმა;
თქვენზე ვუთხარი, მოდის-მეთქი, და მიპასუხა —
მით უარესი, თუ მოდისო. მერე გლოსტერის
მუხანათობაც მოვახსენე, ისიც ვუთხარი,
რა ერთგულება დაამტკიცა იმისმა შვილმა...
ლოთოო, მტკიცა, შავსა და თეთრს ვეღარ არჩევო...
გულდასაწყვეტი რაც ვუთხარი, ის გაეხარდა,
სასიხარულო ამბავმა კი გული დასწყვიტა.

გონერილა

(ედმუნდს)

უკან გაბრუნდი, თუ ასეა! გულდედალია,
კრინტის დაძვრასაც ვერ გაბედავს, რაც უნდა უქნან,
შეურაცხმყოფელს სიტყვასაც კი ვერ შეუბრუნებს.
გზაში რაცა ვთქვით, ყველაფერი აგვისრულდება.
შენ ჩემს სიძესთან მიდი, ედმუნდ და მიეშველე,
ჯარი სასწრაფოდ შეაგროვეთ, შენ წამოუძებ;
აქ ლაშქარს თვითონ მოვამზადებ, ჩემს ლაჩარ ქმარს კი
ხელში თითარტარს მივაჩეჩებ. შუამავალად
ეს ჩემი სანდო და ერთგული მსახური გვყავდეს;
მალე მოგაწვდის საყვარელი სასურველ ამბავს,
ოღონდ თვითონაც მხნედ იყავი; ნურათფერს მეტყვი.
აჰა, ეს ჩემი სახსოვარი! (სახსოვარს აძლევს) თავი დაღუნე...
უცებ ენა რომ ამოიდგას ამ კოცნამ ახლა,
ფრთებს შეგასხამდა და ჰაერში აგიტაცებდა.
თვითონვე მიხვდი, რისი თქმა მსურს. მშვიდობით იყავ.

ედმუნდი

შენად მიგულე სიკვდილამდე.

გონერილა

ო, ჩემო გლოსტერ.

(ედმუნდი გადის)

ამასაც უნდა კაცი ერქვას და ჩემს ქმარსაცა!
ფეხებქვეშ უნდა გეგებოდეს შენ ქალთა პოდგმა,
ღირსი ხარ ამის. ჩემს სხეულს კი ვინ დაეუფლა!

ოსვალდი

აგერ, მთავარიც, ქალბატონო, აქეთკენ მოდის.

(გადის)

(შემოდის ალბანი)

გონერილა

შეხვედრის ღირსიც არ გამხადე? ძალადაც არ მთვლი?

ალბანი

ო, გონერილა! შენ იმ მტვერის ღირსიც არა ხარ,
რასაც სახეში გაყრის ქარი. მე შენთვის ვშიშობ:
ვინც თავის ფესვს და ფუძესა გამობს, იგი სულ მალე
კანშიაც ველარ დაეტევა.

რტო, მოწყვეტილი მსაზრდოებელ, მაცოცხლებელ ხეს
უნდა დაჰკნეს და არად იქცეს.

გონერილა

გაჩუმდი ერთი!

ნეტა რას მიედმოედები!

ალბანი

ასეა ხოლმე —

ბილწი — სივის ჭკუა-სიკეთესაც სიბილწედა თვლის,
საკუთარ ჭუჭყს და გახრწნილებას უფრო ეწყობა.
ადამიანის შვილს რა გიგავთ! თქვენ აფთრები ხართ!
ეს რა უყავით მოხუც მამას, სიკეთით სავაეს,
რომელსაც დათვიც მოკრძალებით ფეხს დაულოკდა,
თქვენ კი, მხეცებო, გააგიყეთ!.. ან ჩემმა ქვისლმა,
დიდმა მთავარმა, კეთილმა და კაცურმა კაცმა,
ხელმწიფისგანაც აგრერიგად დავალებულმა,
როგორ აგიბათ, ნეტა მხარი?! თუ ცის ძალებმა
მსახვრალი ხელი არ დარიეს ამ ბოროტებას

და სასწრაფოდ თუ არ დათრგუნეს, იმასაც ვნახავთ,
რომ კაცი კაცის ხორც'ააც შესჭამს ზღვის ურჩხულივით.

გონერილა

მხდალო! ლოყები იმისთვის გაქვს, რომ სილა გაწნან,
თავი კი ლაფის დასასხმელად გაბია მხრებზე.

პატივ-შერცხვენას თუ ვერ არჩევ, რად გინდა თვალი?!
მხოლოდ სულელი შეიბრალებს იმ არამზადას,
ვისაც სიავე არ აცალეს, ისე დასაჯეს.

ნაღარას დაჰკარ! ფრანგთა ლაშქარს ჩვენს მიწაწყალზე
დროშა თამამად გაუშლია და წინ მოიწევს,
განადგურებით ემუქრება შენს ქვეშევრდომებს,
შენ კი, ჯაბანო, გულზე ხელი დაგიკრეფია,
და იმას მოსთქვამ გამწარებით — ეს რა ჰქმენითო!

ალბანი

ერთი შენს თავზეც დაიხედე. ეშმაკის კერძო!
ვაბოროტებულ დედაკაცის უმსგავსოებას
ეშმაკის ძთელი სიმაზინჯეც ვერ შეედრება.

გონერილა

შენ მართლაც ბრიყვო!

ალბანი

შეგრცხვეს მაინც, შენს ურჩხულობას
ასე საქვეყნოდ რომ ამყლავნებ. არ დამშვენდება
ხელიც გულისთქმას ავაყოლო, თორემ დაგჩეჩკვდი,
ძვალ-რბილს ცალცალკე მოგიქცევდი. შენ ეშმაკი ხარ
და დედაკაცის ნიღბით ფარავ მაგ ავსულობას.

გონერილა

ერთი ამ ვაჟკაცს დამიხედეთ! მიუ-მიაუ!

(შემოდის შიკრიკი)

ალბანი

რა ამბავს გვეტყვი?

შ ი კ რ ი კ ი



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ო, ბატონო, დიდი მთავარი
კორნულისა გარდიცვალა; მსახურმა მოჰკლა,
როცა მეორე თვალსაც თხრიდა გლოსტერს მთავარი.

ა ლ ბ ა ნ ი

თვალსა თხრიდაო!..

შ ი კ რ ი კ ი

სინანულმა მის გაზრდილ მსახურს
კბენა დაუწყო, წინაღუდგა ბატონს უშიშრად
და მახვილიც კი მოუღერა. ბატონმა მყისვე
ძრო ხმალი და გაათავა ერთი მოქნევით,
მაგრამ მსახურმა დაასწრო და შეტაკების დროს
ბატონი მოჰკლა.

ა ლ ბ ა ნ ი

არ გამქრალა ცის სამართალი,
თუკი მიწიერ ცოდვისათვის ხელადვე სჯიან.
საწყალო გლოსტერ, მებრალეები! თვალი დასთხარეს?

შ ი კ რ ი კ ი

ორივე, მილორდ, ორივე თვალი. ეს, ქალბატონო,
წერილი გახლავს შენი დისა. პასუხს გთხოვს სწრაფად.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

(თავისთვის)

კარგი ამბავი გავიგონე, მაგრამ თან ვშიშობ —
რომ დაქვრივებულს ჩემს დას გვერდით ედმუნდი შერჩა...
ვაი თუ თავზე ჩამომექცეს ოცნების კოშკი!
თუმც ვაზვიადებ. (შიკრიკა) წავიკითხავ და პასუხს მივწერ!

(გადის)

ა ლ ბ ა ნ ი

თვალეbs რომ თხრიდნენ, მისი შვილი სად იყო მაშინ?



შიკრიკი

შვილი ადრევე ჩვენს ქალბატონს გამოჰყვა აქეთ.

ალბანი

სად არის მერე, აქ რომ არ ჩანს?!

შიკრიკი

გაბრუნებულა,

როცა აქეთკენ მოვდიოდი, გზაში შემომხვდა.

ალბანი

ეს ბოროტება იცის, მერე?

შიკრიკი

დიახ, ბატონო,

აკი თვათონვე დააბეზლა, და შინიდანაც
სწორედ იმიტომ წამოვიდა, რომ სახლში ყოფნით
არ შეეშალა მათთვის ხელი.

ალბანი

გლოსტერ, სიცოცხლე

იმაღლა მიიწია, რომ ხელმწიფის ერთგულებისთვის
მადლი მოგიძღვნა შესაფერი, რომ მაგ თვალების
მხეცურად დამთხრელს მე მივუზღა სამაგიერო.

(შიკრიკს)

აქეთ მომყევი, დაწვრილებით გამაგებინე.

(გადიან)

სურათი III

ფრანგთა ბანაკი ღუვრის მახლობლად

(შემოდინ კენტი და კარისკაცი)

კენტი

საფრანგეთის მეფე ასე უეცრად რად გაბრუნდა უკან? მიზეზი ხომ
არ იცი?

კარისკაცი

რალაც დიდი საქვეყნო საქმე გამოსჩენია და უკანვე გაუხმიათ. სამეფოს თურმე საშიშროება ემუქრებოდა და მისი წაუსვლელობა არა-ნაირად არ იქნებოდა.

კენტი

ჯარის წინამძღოლობა ვის მიახლო?

კარისკაცი

თავის სპასალარს, ბატონ ლაფარს.

კენტი

წერილები რომ წაიკითხა დედოფალმა, არ შეწუხდა?

კარისკაცი

რა ბრძანებაა!... იქვე, ჩემს წინ გადაიკითხა. თან კითხულობდა და თან ტურფა დაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. შეატყობდი, რომ მღელვარებას იგი მეფური თავდაჭერით იმორჩილებდა, თუმც მწუხარება მის მოდრეკას თვითონ ცდილობდა...

კენტი

მაშ, ააღელვა იმ წერილმა?

კარისკაცი

დიახ, ბატონო, მაგრამ ზედმეტი გაცოფება არ დასტყობია, თავს იკავებდა, და დაშვენდა ეს მღელვარება; „მზე პირს იბანსო“, — რომ გენახა, ასე იტყოდი, სახეზე ღიმილმორეული აფრქვევდა ცრემლებს. ღიმილი, ტუჩზე გადაშლილი, როგორც ეტყობა, ვერც კი ამჩნევდა, რა სტუმრები სწვეოდნენ თვალებს — მარგალიტების ნამს აფრქვევდა ორი ალმასი. და სანატრელიც გახდებოდა ასეთი სევდა, თუ ადამიანს ამნაირად მოუხდებოდა.

კენტი

არა ბრძანა რა?

ქარისკაცი



ქართული
ლიბრერი

როგორ არა, ერთჯერ თუ ორჯერ,
„მამა“ აღმოხდა, გულს თითქოსდა ეს სიტყვა სტკენსო.
მერე შესძახა — „დანო, დანო!... ვაი, სირცხვილო!
ძვირფასო კენტო! მამაჩემი! იმ ქარიშხალში!
იმ წყვილიად ღამეს!... სიბრალულიც გაქრა ამქვეყნად?!“
თქვა, და ნეტარი ცრემლი მოსწყდა მის ციურ თვალებს,
მყის გაგვიცალა, რომ მარტოკას ენაღვლა ცალკე.

კენტი

ციდან ვარსკვლავნი განაგებენ ქვეყნიურ საქმეთ,
თორემ ერთსა და იმავე მშობლებს როგორ გაუჩნდათ
შვილები, ასე ურთერთისგან განსხვავებული!
მას შემდეგ აღარ უთქვამს რამე?

ქარისკაცი

არა, ბატონო.

კენტი

ეგ როდის მოხდა — ფრანგთა მეფის გაბრუნებამდე?

ქარისკაცი

არა, მას შემდეგ.

კენტი

ჩვენი მეფე ახლა აქ არის.
ზოგჯერ გონს მოდის და გვცნობს ხოლმე, გაწამებული,
შვილის ნახვაზე ვერა და ვერ დავიყოლიეთ.

ქარისკაცი

რატომ, ბატონო?

კენტი

ერცხვინება. რომ გაიხსენებს,
რა გულქვად და რა უსამართლოდ გასწირა შვილი,
როგორ განდევნა უცხო ქვეყნად, როგორ წაართვა
მას ყველაფერი და იმ გულძაღლ შვილებს უბოძა,
ხელად სირცხვილი მოერევა, სინანული სწვავს
და კორდელიას ემალება.

კენტი

აღბანისა და კორნუოლის თუ იცი რამე?
 შეჰყარეს ჯარი?

კარისკაცი

შეჰყარეს და დაიძრნენ კიდეც.

კენტი

ახლა მიგიყვან ხელმწიფესთან, მასთან დაგტოვებ,
 მე კი ცოტახანს ვერ გავამხელ ჩემს ვინაობას.
 როცა გავამხელ, არ ინანებ შენ ჩემს გაცნობას.
 წავიდეთ ბარემ.

(გადიან)

სურათი IV

იგივე ბანაკი. კარავი

(შემოდინ კორდელია, ექიმი და ჯარისკაცები)

კორდელია

ვაგლახ, ის არის. ის უნახავთ ახლახან სწორედ,
 გაგიყებულნი ბრდღვინავს თურმე, ვით მღელვარე ზღვა.
 რაც კი ყანებში სარეველა ბალახი ხარობს, —
 მდოგვი, ჭინჭარი, ღიღილო თუ შხამა ბალახა, —
 დაუგლეჯია და გვირგვინად ჩაუწნავს თმაში!
 დადის და მღერის გამწარებით. ჯარი გაგზავნეთ,
 სულ გადაქექონ ჯეჯილებში ყველა კუნჭული
 და მოიყვანონ.

(ერთი ასისტავი გადის)

კაცთა სიბრძნეს თუ ძალუძს ნეტა,
 რომ აღუდგინოს შერყეული გონება მეფეს?
 ვინც კი უშველის, მას ვუბოძებ, რაც მებაღია.



ეჭიმი

მაგის წამალიც გახლავთ, ბატონო:
ბუნების ძიძა და მკურნალი მოსვენებაა,
ჩვენს ხელმწიფესაც მოსვენება სჭირდება ახლა;
ჩვენ ბლომადა გვაქვს სამკურნალო ბალახის წვენი,
ხელად ძილს მოჰგვრის, რა ტკივილიც არ უნდა ჰქონდეს.

კორდელია

ნეტა ყოველმა იდუმალმა და კურთხეულმა
ძალამ, სიკეთემ, რასაც მიწა ფარავს წიაღში,
აგერ, ამ ჩემი ცრემლებივით იფეთქოს უცებ
და მოეპკუროს გაჭირვებულს განმკურნავ წყაროდ!...
წადით, დაძებნეთ — განწირულმა, თავს არა ავნოს.
(შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი

უკვე დაიძრა ბრიტანელთა ჯარი სალაშქროდ
და ჩვენკენ მოდის, ქალბატონო.

კორდელია

ეგ მეც გავიგე,
ჩვენი ლაშქარიც მზად დახვდება... ო, მამაჩემო,
შენს დასაცავად ავმჩიდრდი და გამოველ ბრძოლად,
ჩემი ქმრის გული მუდარით და ცრემლით მოვალბე.
არა პატივმა-ანგარებამ აღმძრა საომრად,
არამედ შენმა სიყვარულმა, მოხუცი მამის
დაცვის სურვილმა. ო, ნეტავი მალე ვნახავდე.
(გაღიან)

სურათი V

ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში

(შემოდინ რეგანა და ოსვალდი)

რეგანა

სიძის ლაშქარი თუ დაიძრა?

ოსვალდი

დიახ,

დაიძრა
სიზღორობა

რეგანა

თვითონ ჯარს ახლავს?

ოსვალდი

ძლივსძლივობით დაიყოლიეს.

ოქვენი და უფრო გაბედული მეომარია.

რეგანა

ედმუნდს თუ შეხვდა ჩემი სიძე სალაპარაკოდ?

ოსვალდი

არ შეხვედრია, ქალბატონო.

რეგანა

ნეტა რასა სწერს

ჩემი და ედმუნდს მაგ წერილში?

ოსვალდი

რა მოგახსენოთ.

რეგანა

ედმუნდს სასწრაფო საქმე შეხვდა და გაეშურა. უგუნურება იყო სწორედ, რომ თვალდათხრილი გლოსტერი აღარ მოვაკვდინეთ — ცოცხლად გავუშვით: საცა კი მივა, ყველას აღძრავს ჩვენს წინააღმდეგ. ედმუნდსაც მისმა სივაგლახემ ატკინა გული და, თუ არ ვცდები, იმიტომაც წავიდა ახლა, რომ მოუსწრაფოს დამესავით ბნელი სიცოცხლე. თან მტრის ლაშქარსაც თვალს გადაჰკრავს.

ოსვალდი

სასწრაფოდ უნდა

დავედევნო და ეს ბარათი მას ჩავაბარო.

რეგანა

რა გეჩქარება, ხვალე დილით ჩვენს ჯარს გაჰყვები, ფათერაკს არსად გადევარო!

მაღე ნახეო, ქალბატონმა ასე მიბრძანა.

რეგანა

რაში დასჭირდა ეგ ბარათი?! დაგაბარებდა
და შენც პირადად გადასცემდი ყველაფერს ედმუნდს!
ვაი, თუ ამით... თუმცა არა... გამახსხევინე
შენ ეგ ბარათი და ბედს შეგყრი.

ოსვალდი

უბალ, ბატონო...

რეგანა

შენს ქალბატონს ხომ ქმარი გულზე არ ახატია.
ეგ კარგად ვიცი. ამას წინათ, ჩემთან რომ იყვნენ,
ისე ალერსით, გადახედა ჩემმა დამ ედმუნდს,
ისე ნეტყველი, მინაბული მზერა მიაპყრო!..
მესაიდუმლე შენ ხარ მათი, მე ეგეც ვიცი.

ოსვალდი

მე, ქალბატონო?

რეგანა

ჰო, შენ-მეთქი, აკი გითხარი.

ყური დამიგდე, გირჩევნია... ქმარი მომიკვდა...
მე და ედმუნდი გამოვუტყდით ერთმანეთს უკვე.
შენაც ხომ ხედავ, ჩემთვის უფრო უპრიანია!..
ეს გადაეცი ჩემგან ედმუნდს, როცა შეხვდები.
და ჩემს დასთანაც თუ გამამხელ, ისიც ურჩიე
ჭკუას დაუხმოს, ფრთხილად იყოს. აბა, მშვიდობით.
იმ დაბრმავებულ მოღალატეს თუ შეხვდე სადმე,
ეგეც გახსოვდეს — მის მკვლელს დიდი ჯილდო მოეღოს.

ოსვალდი

ნეტავი მართლა შემახვედრა! მაშინ კი ნახავთ,
ვისი ერთგული მსახურიც ვარ.

სურათი VI

ადგილი დუვრის მახლობლად

(შემოდინა გლოსტერი და გლეხურად გადაცმული ედგარი)

გლოსტერი

როდისღა ავალ იმ მწვერვალზე?

ედგარი

უკვე აღიზარ:

ვერ ხედავ. როგორ გვიჭირს სუნთქვა?

გლოსტერი

მე მეჩვენება,

თითქოს ვაკეზე მივდიოდე.

ედგარი

კიცაბო კლდეა,

არ გესმის განა ზღვის ხმაური?

გლოსტერი

არა, არ მესმის.

ედგარი

სჩანს, სხვა გრძნობები დაგიბლაგვა თვალის ტკივილმა.

გლოსტერი

აღბათ ასეა. შენც კი, თითქოს, ხმა შეგეცვალა.

უფრო გარკვევით ლაპარაკობ, უფრო მკაფიოდ.

ედგარი

ეს კი ნამდვილად მეჩვენება: ტანსაცმლის მეტი

მე არაფერი შემიცვლია.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე კი მგონია,

რომ ახლა უფრო დაწყობილად ალაპარაკდი.



ე დ გ ა რ ი

აჰა, მოვედით. მწვერვალზე ვართ. ფრთხილად, ბატონო.
 საშინელია... თავბრუ მესხმის, რომ გადავხედავ!
 ეგერ ყვავები, თოლიები კლდის ნახევრამდე
 ვერც კი აღწევენ, და სიდიდით ხოჭო მგონია.
 ჰა, შუა კლდიდან ჩაკიდულა ვილაცა თოკით
 და გამწარებით ზღვის კამას კრეფს... რამ გააგიჟა!
 ადამიანის თავის ხელაც არ ჩანს აქედან.
 მებადურები თავვებივით. დაცუნცულეებენ,
 ეგერ ვეება გემიც ზღვაში — ნავს მოგაგონებს,
 ხოლო ნავი კი ტივტივას ჰგავს, არც კი ჩანს კარგად.
 ტალღები ზღვისა გამწარებით კლდეს ეხეთქება,
 მაგრამ აქამდე ვერც კი აღწევს მისი შხუილი.
 ვეღარ ვუყურებ — ლამის თვალი ამისიორდეს,
 თავბრუ დამესხას და უფსკრულში გადავიჩეხო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მე დაბაყენე შენს ადგილას.

ე დ გ ა რ ი

ხელი მომეცი.

აჰა, უფსკრულის პირას დგახარ, ახლა, ბატონო,
 სულ რომ მაჩუქონ მთელი ქვეყნის ავლადიდება,
 მანდედან ერთ ბიჯს არ წავდგამდი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

გამაშვი ხელი,

აჰა, ეს ქისაც გამომართვი, ჩემო ძმობილო,
 მარგილიტს ნახავ შენ ამაში, ეს აგაშენებს,
 ღმერთებმა ხელი მოგიმართონ, გაგაძლიერონ.
 ახლა კი წადი. გამაგონე შენი ფეხის ხმა.

ე დ გ ა რ ი

მშვიდობით იყავ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მეც მშვიდობას გისურვებ გულით.

ე დ გ ა რ ი

(თავისთვის)

იქნებ ამ ხერხით მაინც ვიხსნა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

(დაიხოქებს)

ღმერთო მაღალნო!

ჰა, თქვენს წინაშე ამ ქვეყანას ვთმობ სამუდამოდ,
და მოთმინებით დიდ სატანჯველს მევე ვიშორებ.
რომ შემძლებოდა კვლავაც თრევა ჩემი ტანჯვისა,
არაპდიდებით არ გავტეხდი თქვენს ურყევ ნებას,
ვიჩანჩალვდი, მახამ ნამწვი ტანჯულ სიცოცხლის
ჩამიქრებადა თავისთავად. თუ ცოცხალია,
ო, შეეწაეთ, დიდებულო ღმერთებო, ედგარს...
მშვიდობით, ძმაო.

ე დ გ ა რ ი

მე წავედი. მშვიდობით იყავ.

(გ ლ ო ს ტ ე რ ი ნაბიჯს გადადგამს და იქვე დავარდება)

(თავისთვის)

ვერ გამიგია, წარმოსახვა ადამიანის
რად სძარცვავს ხოლმე კაცთ სიცოცხლეს, როცა სიცოცხლე
თავად ნებდება ქურდობას და დღეებს იმოკლებს.
საც ფიქრობდა, მართლაც იქ რომ ჩავარდნილიყო,
მაშინ საწადელს ეწეოდა.

(ხმამალლა)

ჰეი, ძმობილო, მეგობარო, მოკვდი? გადარჩი?
მითხარი რამე, ხმა გაძეცი.

(თავისთვის)

ვაი თუ მართლა

ანოხდა სული. არა, არა, ცოცხალი არის.
ვინა ხარ, კაცო?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მომეცალე. ამომხდეს სული



სული
საქართველოს
საქართველოს

ე დ გ ა რ ი

ვინა ხარ-მეთქი — ბუმბული ხარ თუ აბლაბუდა,
იმ თვალუწვდენელ მწვერვალიდან როგორ დაეშვი,
რომ ნაკუწ-ნაკუწ არ იქეცი!... სუნთქავ კიდევაც?!
სისხლიც არა გდის, ლაპარაკობ, კვლავ მრთელი დარჩი!..
სასწაულია. თქვი რაიმე, ხმა ამოიღე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მითხარი, მართლა ჩამოვვარდი თუ იქავე ვარ?

ე დ გ ა რ ი

ეგერ იმ თეთრად მოქათქათე კლდეს რომ უყურებ,
სწორედ იქიდან გადმოეშვი... აბა, შეხედე,
იმ სიმაღლეზე ტოროლაასაც ვერ დაიხახავ,
ვერც იმის სტვენას გაიგონებ... თვითონ შეხედე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვაი, რომ თვალი აღარა მაქვს, რითი შევხედო...
იმის უფლებაც აღარ შერჩა განწირულს კაცსა,
სიკვდილით მაინც ჰპოვოს შვება და მოისვენოს?!
ერთი ნუგეში მაინც ჰქონდა კაცს ქვეყანაზე
მტარვალთა რისხვა-სიცოფისგან თავდასაღწევად.

ე დ გ ა რ ი

ხელი მომეცი... წამოდექი... ჰო, ასე, ასე.
ფეხი მრთელი გაქვს? მაგრად დგახარ? თავს როგორა გრძნობ?

გ ლ ო ს ტ ე რ ი

თავს მეტისმეტად კარგადაც ვგრძნობ.

ე დ გ ა რ ი

სასწაულია.

ის ვინლა იყო, იმ კლდის წვერზე, შენ რომ გაგშორდა?

ვილაც ბედკრული მათხოვარი.



ე დ გ ა რ ი

შე კი შეჩვენა,

თბი პირსავსე მთვარე ედგა თვალთ ბუდეებში,
სახესეც თითქოს ათასამდე ცხვირი მობმოდა,
დაგრეხილ რქებსაც აქეთ-იქით იქნევდა ხოლმე...
ნამდვილად ეშმა იქნებოდა, ბოროტი სული.
ბედნიერი ხარ, ხიფათისგან გიხსნეს ღმერთებმა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ახლა კი ვხვდები, მაგონდება. ამიერიდან
დავმორჩილდები ჩემს წყეულ ბედს, მანამდე თვითონ
არ დამიყვირებს: „კმარა, კმარა, გათავდი, მოკვდი“.
ის ეშმაკი კი, სწორე გითხრა, კაცი მეგონა,
სულ „ავი სული“ და „ეშმაკი“ ეკერა პირზე.
იმ კლდეზეც მანვე მიძიყვანა.

ე დ გ ა რ ი

ახლა დამშვიდდი, მოისვენე. ეს ვილა მოდის?
(შემოდის ლ ი რ ი, ყვავილებით უცნაურად მორთული)
ჭკვათამყოფელი განა ასე მოირთვებოდა.

ლ ი რ ი

რას ამბობ ერთი! ფულის მოჭრას მე ვინ დამიშლის. თვითონ ხელმ-
წიფე ვარ.

ე დ გ ა რ ი


(თავისთვის)

ო, რა გულისმომწყვლელი სანახაობაა!

ლ ი რ ი

ბუნება ამ საქმეში ხელოვნებაზე მაღლა დგას. — აჰა, შენ, ჯარის და-
საქირავებელი ფული. ერთი იმას შეხედე, ყვავის საფრთხობელასა-
ვით არ უჭირავს მშვილდი. აბა, მაგრად მოზიდე... თაგვი, აგერ, თაგ-
ვი, შეხედე!... ჩუმად, ჩუმად! შემწვარი ყველით მოვი-
ტყუოთ... აჰა, ჩემი რკინის ხელთათმანი. დევებს უნდა ვესროლო...

ათუთი მომეცით... ეჰ, რა ლამაზად მიფრინავ, ჩიტო! ნიშანში ამოიღე,
ნიშანში ამოიღე! ბზრრ!.. — აბა, ნიშანი მითხარი.



ე დ გ ა რ ი

პიტნა.

ლ ი რ ი

გაიარე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხმა მეცნაურა.

ლ ი რ ი

გონერილას შეხედეთ... თეთრი წვერი ამოსვლია... როგორც ძაღლს,
ისე მეფერებოდნენ, რა თეთრი წვერი გაქვსო, მეუბნებოდნენ — ჯერ
შავიც არ ამომსვლოდა... რაც არ უნდა მეთქვა, ჯერ „ჰოს“ მიპასუ-
ხებდნენ, მერე „არას“. კარგი რამეც არის ეგ თქვენი „ჰო“ და „არა“.
წვიმა რომ დაუშვა და თავით-ფეხებამდე გამწუწა, ქარმა რომ დაუ-
ბერა და კბილები მაკაწკაწებინა. ჭექა-ქუხილმა რომ ჩემს მუდარას
ყურიც არ ათხოვა და არ დაცხრა, მაშინ-ღა მივხვდი, მაშინ გავიგე,
რა შვილებიც ბრძანებულან. წავიდნენ ერთი, დამეკარგონ. სიტყვის
ხალხი არა ყოფილან: ყოვლისმომრევი ხარო... სულ ტყუილია, ციე-
ბასაც ვერ მოვერიე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხმაცა და კალოც მშვენივრად მაგონდება, ეგ ხომ ჩვენი მეფეა!

ლ ი რ ი

მეფე ვარ, მეფე, თავით-ფეხამდე!
ერთს რომ შევხედავ ქვეშევრდომებს, ცახცახი მოსდით!
იმ კაცს არ დავსჯი, მავუტევებ... რა დააშავე?
წაიმრუშაო?
მრუშობისათვის ვინ მოუკლავთ? არა, არ მოგკლავ!
ნიბლიაც მრუშობს. ბუზიც აგერ პაწაწკინტელა,
ჩემს თვალწინ მრუშობს.
დაე, იმრუშონ! გლოსტერის ბუშს მამა თავისი
ზოძ ნახეთ, უფრო ჰყვარებია, ვიდრე ჩემს შვილებს,
კანონიერ ლოგინზე შექმნილთ.
მიდით, იმრუშეთ, ზედახორა გამართეთ ყველამ,

ჯარისკაცები გამიჩინეთ, ჯარი მაკლია!
იმ ქალს შეხედეთ, რას ინაზება!
უკარებაა, სპეტაკია. თოვლივით ცივი!
თუ სატრფიალო უთხარ რამე, გაიპრანჭება,
თავის კანტურს მოჰყვება ხელად...
ისე კი მსუნაგ კვერნასა და ცხენს გალაღებულს
გადააჭარბებს ავხორცული გაუმადრობით.
ასეა ყველა -- სანახევროდ ქალებსა გვანან,
სანახევროდ კი --- კენტავრებსა!
წელზეთ ყველა ღვთაებრივი ქმნილება გახლავთ,
წელქვეით --- ეშმა, ჯოჯოხეთი!

ჯოჯოხეთია წელქვეით, წყვილია, გოგირდის ორმო, დულს, იწვის,
ყარს, ნადგურდება! ფუჰ! ფუჰ! ფუჰ! პა, პა, პა! ექიმო, დრამი მუშკი
მომეცი, იქნებ გონებას ეს სიმყრალე მოვაშორო. აჰა, ფულიც.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ხელი მიბოძე, უნდა გემთხვიო.

ლ ი რ ი

ჯერ გავიწმინდო! მძოვრის სუნი ამდის ხელებზე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

როგორ ერთბაშად განადგურდა ბუნების შვილი!
დიდ სამყაროსაც ეს მოელის — ისიც გაცვთება
და მტვრად ქცეული აღიგვება. მე ველარა მცნობ?

ლ ი რ ი

ქალიან კარგადაც მაგონდება შენი თვალები. რა ცერად მიყურებ?
რამდენიც არ უნდა მიტრიალო, თვალახვეულო კუბიდონო, სულერ-
თია, აღარავის შევრყვარებ. აბა, ერთი ეს წაიკითხე, ბრძოლაში ვიწ-
ვევ... ნაწერს დააცვირდი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მზედაც რომ იქცეს ყველა ასო, ვერ დავინახავ.

ე დ გ ა რ ი

(თავისთვის)

სხვას რომ ეამბნა ჩემთვის ეგა, არ ვირწმუნებდი,
მაგრამ მე თვითონ შევყურებ და გული მისკდება.



ლირი

წაიკითხე!

გლოსტერი

ჩით წავიკიოხო? თვალთა ბუდითა?

ლირი

ოჰო! შენც ჩემს დღეში ყოფილხარ! თვალში სინათლე მოგკლებია, ქისაში -- ფული! თვალეები მძიმე დღეში ჩავარდნილან, სამაგიეროდ ქისა გაქვს მსუბუქად. ახლა ხომ ხედავ, როგორ ტრიალებს წუთისოფელი?!

გლოსტერი

გუმანითა ვხვდები

ლირი

შენ რა -- ჭკუიდან შეიშალე? თვალეები რად გინდა, წუთისოფლის ბრუნვას ისე კი ვერ დაიანახავ?! აბა, ყური დაუგდე -- გესმის ის მზაჯული რა სიტყვებით თათხავს უბადრუკ ქურდს! გასამხელად არ გეუბნები და, აბა ადგილები შევუცვალეთ. ჰოჰ! ახლა მითხარი -- რომელია მაგათში მსაჯული და რომელი ქურდი?.. შენ თუ გინახავს, გლეხის ძაღლი მათხოვარს როგორ უყევს?

გლოსტერი

მინახავს, ხელმწიფევ.

ლირი

ის უბედური მათხოვარი კი გაურბის ძაღლს. ხელისუფლებაც ასეთია -- უნდა დაემორჩილო: ძაღლიც ხომ თავის საქმეში ხელისუფალია.

დაბლა დაუშვი სისხლიანი ხელი, ჯალათო!
მაგ კახპას რას სცემ? შენი თავი გაიმათრახე.
აკი შენ თვითონ ნდომის ნერწყვი პირს მოგდგომია, ცდილობ აცთუნო, და მასვე სცემ ამ ცთუნებისთვის! ეგერ, მეგაღმეს ყალთაბანდი ჩამოუხრჩვია.
ძონძებქვეშ ხელად გამოჩნდება მცირედი ცოდვაც, ზეწვეულებიან მოსასხამი -- ყველაფერს ფარავს.
ცოდვას ოჭროთი თუ დაჭფერავ, ზედ შეემსხვრევა მართლმსაჯულების მაგარი და მტკიცე ლახვარი,

ხოლო ძონძებში გამოხვეულს ჩალაც განგმირავს.
ცოდვას არავინ სჩადის ქვეყნად, გესმის, არავინ!
ყველა ბრალმდებელს პირს ავუკრავ და გავაჩუმებ,
მითქვამს და აძის ძალაც შემწევს, ნახე თუ არა!
მინის თვალები გაიკეთე და დაემსგავსე
გაქნილ-გაცვეთილ პოლიტიკოსს — თუნდ ვერ ხედავდე,
რა გენაღვლება, თქვი, ყველაფერს კარგად ვხედავო.
ახლა კი ჩქარა, ფესთ გამხადეთ, ჰა, რას უყურებთ,
მაგრად გასწიეთ, უფრო მაგრად! აგრე, ჰო, აგრე.

ე დ გ ა რ ი
(თავისთვის)

ერთმანეთშია არეული დიდი სიბრძნეცა
და სისულელეც! ამას ჰქვია სიბრძნე გიჟისა!

ლ ი რ ი

თუ დამიტირებ, მე გათხოვებ აგერ ჩემ თვალებს.
შენ გლოსტერი ხარ, კარგად გიცნობ. უნდა ითმინო.
ჩვენ ხომ ტირილით ვიბადებით. როცა პირველად
ვისუნთქავთ ჰაერს, ბლავილსა და ტირილს მოვჰყვებით.
ეს შენც ხონ იცი!.. ყური უგდე ჩემს ქადაგებას.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ვაი ამ შავ დღეს!

ლ ი რ ი

მიტომ ვტირით დაბადებისას,
რომ მასხარების დიდ სცენაზე მოვხვდით ერთბაშად.
ვიშ, რა ქუდია!.. კარგი ხერხი არ მოვიგონე:
ნაბდით დავჯედოთ ჩვენ ცხენები და მერე ჩუმად
იმ ვაჟბატონებს მივეპაროთ, იმ ჩემს სიძეებს.
ველიტოთ და ველიტოთ, ველიტოთ, ველიტოთ, მუსრი
გავავლოთ.

(შემოდინ კარისკაცი და მხლებლები).

კ ა რ ი ს კ ა ც ი

აქ ბრძანებულა. ნუ გაუშვებთ!.. დიდო ხელმწიფევ,
შენმა ძვირფასმა ქალიშვილმა...

ლირი

ხსნა აღარ არის?

ტყვედ შემიპყარით? ბედისწერის მასხარა გავხდი?
ცუდს ნურას მკადრებთ. ფულს მოგცემენ ჩემს დასახსნელად.
ტვინში დავიჭერ, დოსტაქარი მომგვარეთ ჩქარა.

კარისკაცი

მეფევ, ყველაფერს მოგართმევენ, რასაც ისურვებ.

ლირი

არავინ მშველის? მარტო დამაგდეს?
ლამის მარილად ვიქცე კაცი და ამ თვალებით
მორწყვა დავუწყო შემოდგომის დადებულ მტვერსა.

კარისკაცი

ჩემო ბატონო...

ლირი

ვაეკაცური სიკვდილი მმართვეს,
როგორც სასიძოს თავმომწონეს. მაშ რა გეგონათ!
მოვილხებ კიდევ! მე მეფე ვარ, ეგ თქვენც ხომ იცით.

კარისკაცი

მეფე ბრძანდები და მიტომაც გემორჩილებით...

ლირი

სიცოცხლის აზრიც ეგ არის... დაჭერა თუ გნებავთ, თავიც უნდა შე-
იწყხოთ. დაიჭი, დაიჭი, დაიჭი, არ გაუშვა!..

(გარბის, მხლებლები გამოუდგებიან)

კარისკაცი

ძონაც ცოდვაა ასეთ დღეში, არა თუ მეფე!
მაგრამ ნუგეშად კიდევ დაგრჩა შენ ერთი შვილი,
და იმ შერცხვენა-გაწბილებას გამოისყიდის,
რითაც ბუნება შენმა ორმა ქალმა შებღალა.

ედგარი

სალამი თქვენდა.

კარისკაცი

ჩქარა მითხარ, თუ რამე გინდა!

სიზღორობა

ედგარი

ომს იწყებენო, არ გსმენიათ, თქვენ ეს, ბატონო?

კარისკაცი

ეს ყველას პირზე აკერია და ყველამ იცის,
ვისაც კი სმენა შერჩენია.

ედგარი

ესეც მიბრძანეთ,

ახლო კი არის ის ლაშქარი?

კარისკაცი

და ყოველ წუთში მოელიან მის სწრაფად მოიწევს,
გამოჩენას.

ედგარი

გმადლობ, ბატონო, მე ამისი გაგება მსურდა.

კარისკაცი

რალაც საქმეზე დედოფალი დაყოვნებულა,
მაგრამ ლაშქარი წინ მოიწევს.

ედგარი

გმადლობ, ბატონო.

(კარისკაცი გადის)

გლოსტერი

კეთილნო ღმერთნო, ჩაიბარეთ აწ ჩემი სული,
ავმა ცთუნებამ ხელახლა არ წამომიაროს
და თავის მოკვლა მეტად აღარ მაფიქრებინოს.

ედგარი

კარგი ლოცვა გცოდნია, მამი.

გლოსტერი

ბარე? მითხარი, ვინ ბრძანდები, კარგო ბატონო.

ე დ გ ა რ ი

ღარიბი კაცი, ბედისწერის მონა, მორჩილი...
ჩემმა პირადმა მწუხარებამ ის შემასწავლა,
სხვა: თანაგრძნობა-სიბრალოდით როგორ მოვექცე.
ხელი მომეცი, თავშესაფარს მოგაძებნინებ.



გ ლ ო ს ტ ე რ ი

მადლობას გწირავ სულით, გულით. ზეცამ ასწილი
კეთილდღეობა მოგივლინოს!
(შემოდის ო ს ვ ა ლ დ ი)

ო ს ვ ა ლ დ ი

ბედი მქონია! ჯილდო მერგო შეპირებული!..
ეგ ბრუციანი თავი ჩემთვის შექმნილა სწორედ,
რომ გამამდიდროს და აღმავსოს! აბა, მუხთალო,
მოინანიე ყველა ცოდვა. ხმალი ხელთა მაქვს,
ერთს მოვიქნევ და გაგათავებ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

შენს მხსნელ მარჯვენას
ძალა და ღონე ნუმც მოაკლდეს ჩემს მოსაკვლელად.
(ედგარი შუაში ჩადგება)

ო ს ვ ა ლ დ ი

ეი, თავხედო გლეხაჭუა, როგორა ბედავ,
და მოღალატეს ასე როგორ ექომაგები?
გამშორდი, თორემ შენც მაგის ბედს გაიზიარებ.
ხელი გაუშვი.

ე დ გ ა რ ი

არ გავუშვებ, ეგ არ მოხდება.

ო ს ვ ა ლ დ ი

გაუშვი-მეთქი, მონავ, თორემ შენც გაგათავებ.

ე დ გ ა რ ი

გირჩევნია შენს გზას გაუყვე, ვაუბატონო, საწყალ ხალხთან არაფერი
გეხაქმება. რას იმუქრები! მაგისტანა ბაქიბუქზე რომ გული მისკდე-
ბოდეს, ამ ორი კვირის წინ უნდა გამეფშიკა ფეხი. აბა, აბა, ამ ბეოი-

კაცს ხელი არ ახლო. იქით-მეთქი. შენივე სასიკეთოდ გეუბნები, თორემ კომბალი თუ დაგიტრიალე, მაშინ ვნახავ რა უფრო მაგარია — ესა თუ შენი გოგრა. გასწი, გასწი, არ გეყურება!

ოსვალდი

მომეცალე, შე ნეხვის გორავ!

ედგარი

მაგ კბილებს სათითაოდ ჩაგიმტვრევ, ვაუბატონო, შენისთანები შეაშინე ხმლის ტრიალით.

(იბრძვიან. ედგარი ძირს დასცემს).

ოსვალდი

მომკალი, მონავ!.. არამზადა! აჰა, ეს ქისა, გაბედნიერდი, შენი იყოს!.. ოღონდ დამმარხე... თან წერილი მაქვს... გლოსტერის გრაფს ედმუნდს მიართვი, ინგლისელების ჯარში ნახავ. ვაი სიკვდილო, რა უფრო დროს მომისწარი!

ედგარი

გიცნობ, ვინცა ხარ! როგორ მონურად მსახურობდი იმ შენს ქალბატონს, ყველა ბილწაა და უმსგავს საქმეს შენ უსრულებდი. იმ სისაძაგლეს ვერც ჩამოთვლი.

გლოსტერი

მოჰკალი განა?

ედგარი

დაჯექი, მამი, მე მანამდე ჯიბეს დავუჩხრეკ, იქნებ მეგობრად გამომადგეს ის წერილები. ჩაძალღდი განა!... მერჩივნა კი, ჯალათს მოეკალ. აბა გავსინჯოთ... ნუ გაგვიციხავთ, ნურვინ დაგვიძრახავთ, მტერს ვუფლს უპობენ — მისი ზრახვა რომ სურთ გაიგონ, წერილის გახსნა ხომ მით უფრო უპრიანია.

(კითხულობს)

„გაიხსენე ჩვენი მხურვალე ფიცი. ახლა გაქვს სწორედ დრო, როჭ გზიდან ჩამოიშორო. ოღონდ სურვილი იყოს და, მაგას შენ ადვილად

მოახერხებ: დროსაც შეარჩევ და ადგილსაც. ეგ რომ გამარჯვებული დაბრუნდეს, პორჩა, ყველაფერი წყალში ჩაგვიცვივა, თავის ლოგინს დილეგად გამიხდის და ზედ მიმაჯაჭვავს. დამიხსენი იმ დილეგის გუსლისამრევი სიმხურვალისაგან, და, გასამრჯელოდ მისი ლოგინი შეხ თვითონ დაისაკუთრე.

შენი ცოლი... ახ, ნეტავი კი გამიმართლდეს...

და შენი მოსიყვარულე მონა გონერილა“.

ო, დედაკა, ვთა სისარბე და გაუმადრობა!

პატიოსან ქმარს სასიკვდილოდ იმეტებს თურმე და მის მაგივრად ჩემს ძმას ირთავს! — აგერ სილაში ჩაგფლავ აქავე. უწმინდური კაცისმკვლელების და გარყვნილების მაჭანკალო. როცა დრო მოვა, ამ ბინძურ წერილს სასიკვდილოდ გამომეტებულ მთავარს მივართმევ, ვუამბობ შენს კაიკაცობას, მერე ვაცნობებ შენს სიკვდილსაც და გავახარებ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მეფე ჭკუიდან შეიშალა!.. მე კი რა გამძლე ტვინი მქონია, რომ კვლავ შემრჩა და არც მერყევა, რათა ბოლომდე ვიგრძნო ჩემი დიდი ვარამი! მე შემრყეოდა ნეტა ტვინი! მაშინ ფიქრები გაძანსორებდნენ ვაებასა და მწუხარებას და სინამდვილის მთელ სიმწარეს დამავიწყებდნენ.

(შორიდან ნალარის ხმა მოისმის)

ე დ გ ა რ ი

ხელი მომეცი. ნალარის ხმა მესმის შორიდან. წავიდეთ, მამი, მეგობრებთან მიგიყვან ჩქარა.

(გაღიან)

ს უ რ ა თ ი VII

კარავი ფრანგების ბანაკში

(ღირი ლოგინში წევს და ძინავს. ისმის წყნარი მუნჯია. აქვე არიან ექიმი, კარის ხკაცი და სხვები. შემოდინ კორდელია და კენტო).

კორდელია



კეთილო კენტი,
ნეტა შემეძლოს ეს სიკეთე გადაგიხადო,
მაგრამ ამისთვის არც სიცოცხლე და არც სახსარი
მე არ მეყოფა.

კენტი

ეს ორმაგად გადახდას უდრის,
ჩემო ძვირფასო ქალბატონო. იმასლა დავსძენ,
რომ, რაც გითხარი. სიმართლეა სულყველაფერი,
არც მომიჭორავს არაფერი, არც დამიმაღავს.

კორდელია

გამოიცვალე ტანსაცმელი. ეს ძველმანები
იმ სავალალო დროს გვაგონებს. გთხოვ, გაიხადო.

კენტი

ჩემო ძვირფასო დედოფალო, გთხოვ მომიტეო,
მაგრამ ეს ახლა ხელს შეუშლის განზრახვას ჩემსას.
საქმე მოითხოვს, რომ ვერ მიცნო მე ჯერჯერობით.

კორდელია

შენი ნებაა, როგორც გსურდეს, ჩემო ბატონო.
(ეჭიბს)

როგორ ბრძანდება მეფე ახლა?

ეჭიმი

ჯერ ისევ ძინავს.

კორდელია

ღმერთნო, სიკეთით აღსავსენო,
თქვენი გეაჩებით. დაუბრუნეთ სულის სიმშვიდე,
დაუშოშმინეთ არეული გონება მოხუცს,
და აღმიდგინეთ მამაჩემი, ბავშვადქცეული!

ეჭიმი

ნებას თუ დამრთავ, დედოფალო, გამოვალვიძებ,
დიდი ხანია უკვე ძინავს.

კორდელია

შენი ნებაა.



შენ გადაწყვიტე შენი ცოდნა-გამოცდილებით.
ტანია შეპოვა კი მოახერხეთ?

კარისკაცი

დიახ, ბატონო,
როცა ღრმა ძილში ბრძანდებოდა, მაშინ ჩავაცვით.

ექიმი

ნუ გაბრძანდები, აქ იყავი, რომ გაიღვიძება.
მშვიდად იქნება, ეჭვიც არ მაქვს!

კორდელია

კარგი, დავრჩები.

ექიმი

უფრო ხმამაღლა დაუკარით! —
(კორდელიას)

ახლო მობრძანდი!

კორდელია

ო, საყვარელო მამაჩემო! ჩემს ბაგეს უცებ
განმკურნებელი წამლის ძალა მოეცხებოდეს,
დაგიამებდი მაშინ კოცნით მძიმე ტკივილებს,
რაც ჩემი დების გულქვაობამ შენ მოგაყენა.

კენტრი

სიკეთით სავსე, საყვარელო მეფის ასულო!

კორდელია

არ ყოფილიყავ თუნდა მამა, მაინც მართებდათ
ამ გადაპენტელ თმის პატივი და შებრალება!
ეგ სათნო სახე ვინ გააწირა ქარის საცემად?!
ვინ გამოგაგდო შიშისმომგვრელ გრგვინვაში გარეთ,
როგორ უჭვრეტდი ცაზე ელვის შემზარავ კლაკვნას?!
იმ ავ ღამეში სიფრიფანა თმის მუზარადით,
როგორ იდექი, შე საბრალო გუშაგო, ცისქვეშ?!
როგორ იდექი, შე საბრალო გუშაგო, ცისქვეშ?!
როგორ იდექი, შე საბრალო გუშაგო, ცისქვეშ?!
როგორ იდექი, შე საბრალო გუშაგო, ცისქვეშ?!

მტრის ძალსაც კი რომ დავეკბინე იმ საზარ ღამეს,
მასაც მივცემდი ბინას ცეცხლთან, შენ კი საბრალო.
ღონემიხდილო მამაჩემო, როგორ გაგწირეს,
აეზაკებთან და ღორებთან შეგაგდეს ქოხში,
და სველი ჩალა გაგიშალეს ლოგინის ნაცვლად.
ვაიმე, ბედკრულს! ესლა მიკვირს, ჭკუასთან ერთად
როგორ მოხდა, რომ სიცოცხლესაც არ გამოაკლდი?!
აჰა, იღვიძებს, ხმა გაეცით, უთხარით რამე.

ეჭიმი

სჯობს, რომ შენ უთხრა, დედოფალო!

კორღელია

ხელმწიფევ, როგორ მოისვენე? როგორ ბრძანდები?

ღირი.

რად ამომიღეთ სამარიდან? რაღას მერჩოდით?
შენ ნეტარი ხარ, მე კი ცეცხლის ბორბალს გამაქრეს
და აჰა, გამდნარ ტყვიასავით მდულარე ცრემლებს
მალვრევიანებენ.

კორღელია

ხელმწიფეო, მე ვერ მიცანი?

ღირი

გიცან. სული ხარ. მაგრამ როდის გარდაიცვალე?

კორღელია

ხედავთ, ხედავთ! ისევ შორს არის!

ეჭიმი

ჯერ ისევ ძილის ბურანშია. ცოტა ვაცალოთ.

ღირი

სადა ვარ ახლა? სად ვიყავი?.. გამოიღარა?
ოი, რა მაგრად გამაწბილეს. სხვა რომ მენახა
ამნაირ ღღეში, სიბრაღულით გავთავდებოდი.
რა ვთქვა, არც ვიცი. ეს ხელები ჩემია განა.



ვერ დავიფიცავ. ქინძისთავი ვიჩხვლიტო ერთი!
ჩემი ყოფილა. გაგება მსურს — ვინა ვარ, რა ვარ.

კორდელია

მე შემომხედე და დამლოცე, ჩემო ხელმწიფევ,
მუსლს ნუ მოიყრი, წამოდექი...

ლირი

გთხოვ არ დამცინო,
ერთი სულელი, ჩაჩანაკი ბერიკაცი ვარ,
ოთხმოც წელიწადს მიბჯენილი, თუ არა მეტის...
პირდაპირ ვიტყვი —
ვეჭვობ კიდევ, სრული ჭკუა შემრჩა თუ არა...
შენ მგონი გიცნობ... ეს ყმაწვილიც მეცნაურება.
მაგრამ როგორღაც ეს აღგილი არ მაგონდება
და ესღა მახსოვს... ტანსაცმელსაც ვერა ვცნობილობ...
აღარც ის მახსოვს, წუხელ დამე სად გავათენე...
კი ნუ დამცინებთ, მაგრამ მართლა თუ კაცი მქვია,
ეს ქალი ჩემი კორდელიაა.

კორდელია

კორდელია ვარ!

ჰო, კორდელია!

ლირი

სახე ასე რამ დაგინამა?
იტირე განა!.. ნუ იტირებ, გემუდარები.
იქნება შხამი გქონდეს ჩემთვის — მომეცი. დავლევ.
არ გეყვარები, ეს კი ვიცი; ჯერ შენმა დებმაც
სატანჯველს მიმცეს, კარგად მახსოვს, რა დამავიწყებს.
იმათ მიზეზი არ ჰქონიათ, შენ გაქვს მიზეზი.

კორდელია

არა, არა მაქვს მე მიზეზი.

ლირი

საფრანგეთში ვარ?

კენტი

შენს საკუთარ სახელმწიფოში.

ლირი

ნუ მომატყუებთ.

ექიმი



ნულარა სწუხართ, დედოფალო. დიდმა სიშმაგემ გადაუარა, როგორც ხედავთ. ახლა გაფრთხილდით, თავს გადახდილი განსაცდელი არ გაახსენოთ. დაიყოლიეთ, შეიყვანეთ როგორმე სახლში და მეტად ნულარც შეაწუხებთ.

კორდელია

არ, შებრძანდები, მეფევ, სახლში?

ლირი

გთხოვ მომიტევო, სიბერით ჭკუა დამიკარგავს. ნულარ გამკიცხავ.

(კენტისა და კარისკაცის გარდა ყველანი გადიან).

კარისკაცი

ნეტა კორნუოლის მთავარი მართლა მოჰკლეს?

კენტი

მართალი გახლავს.

კარისკაცი

მის ჯარს ვინ წინამძღვრობს?

კენტი

როგორც გავიგე, გლოსტერის ნაბუშარი უნდა წინამძღვრობდეს.

კარისკაცი

კანონიერი შვილი კი, ედგარი, კენტს გაჰყოლია გერმანიაში.

კენტი

რას არ იტყვიან ხოლმე. სიფხიზლე გვმართებს, მტრის ჯარი საცაა გამოჩნდება.

კარისკაცი

დიდი სისხლისღვრა კი იქნება, ახლავე ეტყობა. მშვიდობით, ბატონო.

(გადის)



მოქმედება მეხუთე

სურათი I

ბრიტანეთის ბანაკი ღუვრის მახლობლად

(შეზღუდვიან ედმუნდი, რეგანა, სარდლები, ჯარისკაცები და სხვანი. დროშები და ნალარები შემოაქვთ).

ედმუნდი

ერთი შემიტყვეთ, რას აპირებს ჩვენი მთავარი —
გადაიფიქრა თუ ისევ დგას თავის სიტყვაზე?
ვის რას გაუგებს — დღეში ასი პარასკევი აქვს...
სწორი პასუხი მომიტახეთ.

(ასისტავი გადის)

რეგანა

გადაეყარა გონერისას მსახური გზაში
ეტყობა, ხიფათს

ედგარი

მეც ასე ვფიქრობ.

რეგანა

ახლა, ჩემო ძვირფასო ედმუნდ,
თვითონაც იცი, რა სიკეთეს ვამზადებ შენთვის,
მითხარი... ოღონდ სიმართლე სთქვი, არ დამიძალო...
ჩეპი და გიყვარს?

ედმუნდი

დიახ, დამძღრ სიყვარულითა.

რეგანა

მაშ ჩემი სიძის ფარული გზით ჯერ არ გივლია?

ედმუნდი

რა ბრძანებაა, ქალბატონო!

რეგანა

მე კი მგონია.

ისე ხარ მასთან შეთვრებულ-შეყვარებული,
სულით-ხორციანდე მას ეკუთვნი.

ედმუნდი

არა, ბატონო,

პატიოსნებას გეფიცები, ეგ არ მომხდარა.

რეგანა

ისე შემძულდა, ველარ ვიტან, ძვირფასო ედმუნდ,
შენც მოერიდე, გირჩევნია.

ედმუნდი

ნუ გეფიქრება!..

აჰა, მთავარი და შენი და აგერ მოდიან!

(შემოდინ ალბანი, გონერილა და ჯარისკაცები, დროშები და
ნალარები შემოაქვთ)

გონერილა

(თავისთვის)

ოღონდ რეგანა მე და ედმუნდს ნუ დაგვაშორებს
და, რას დავეძებ, სულ წავაგოთ ეს ბრძოლა თუნდა.

ალბანი

სულით და გულით გესალმები, ძვირფასო დამო!..
მეფე თავის ქალს შეხვედრია, როგორც გავაგე,
და სხვებიც, ამ ჩვენს მტარვალობას ვინც ვერ გაუძლო.
ზურგს თუ სიმართლე არ გიმაგრებს, რას იგულოვნებ,
ამ საქმისა კი რა უნდა ვთქვა — მახვილით ხელში
ნე საფრანგეთის ლაშქარს ვხვდები, მტრად შემოსეულს,

და არა მეფეს, არც მის მხლებლებს, ვისგანაც, ვაგლახ,
უფრო სასტიკი გაკიცხვა და გმობა გვეკუთვნის.



ე დ მ უ ნ დ ი

მართალსა ბრძანებ.

რ ე გ ა ნ ა

ეგ სიტყვები რას მოაყოლე?

გ ო ნ ე რ ი ლ ა

დრო ველარ ნახეთ ერთმანეთში კინკლაობისთვის —
ჩვენ აქ შევყრილვართ საერთო მტრის დასალაშქრავად.

ა ლ ბ ა ნ ი

სარდლებს მომიხმეთ — ბრძოლის გეგმა უნდა დავაწყოთ.

ე დ მ უ ნ დ ი

მე შენს კარავში გეახლები დაუყოვნებლივ.

რ ე გ ა ნ ა

დაო, წამოხვალ ჩვენთან ერთად?

გ ო ნ ე რ ი ლ ა

არა, არა მსურს.

რ ე გ ა ნ ა

მე კი მაინც გთხოვ წამოხვიდე, ასე აჯობებს.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

(თავისთვის)

აჰა, მიგიხვდი, ქალბატონო. კარგი, წამოვალ.

(გასვლას რომ დააპირებენ, შემოდის გადაცმული ე დ გ ა რ ი).

ე დ გ ა რ ი

ჩემებრ ლატაკთან ლაპარაკს თუ არ ითაკილებ,
გთხოვ ერთი სიტყვა მოძისმინო, ჩემო ბატონო.

ა ლ ბ ა ნ ი

წადით, მე მალე დაგეწევით. აბა, მითხარი.

(ალბანისა და ედგარს გარდა ყველანი გადიან)

ე დ გ ა რ ი



მანამ ბრძოლაში გახვიდოდე, ეს წაიკითხე.
 ბრძოლის შემდეგ კი, თქვენ თუ გერგოთ დღეს გამარჯვება,
 ბუკი დაჰკრან და ამ ბარათის მომტანს მოუხმონ.
 ხომ ლატაკი ვარ, მაგრამ მებრძოლს შეც გამოვიყვან,
 რათა სიმართლე წერილისა ხმლით დაამტკიცოს.
 და თუ დამარცხდა... მაშინ ანკი რაღა აზრი აქვს —
 ამ მუხანათთა ავკაცობას და ყველაფერსაც
 ხომ სამუდამოდ მოეღება ისედაც ბოლო!
 ბედნი გწყალობდეს!

ა ლ ბ ა ნ ი

დაიცადე, ჯერ წავიკითხო.

ე დ გ ა რ ი

აკრძალული მაქვს. დრო რომ დადგეს, ბუკით მომიხმეთ
და იმ წუთშივე აქ გავჩნდები.

ა ლ ბ ა ნ ი

რა გაეწყობა.

მშვიდობით იყავ. ბარემ აქვე გადავიკითხავ.

(ე დ გ ა რ ი გადის)

(შემოდის ე დ მ უ ნ დ ი)

ე დ მ უ ნ დ ი

მტერი გამოჩნდა. მოამზადეთ თქვენი ლაშქარიც.
 აჰა, ეს სიაც მტრის ლაშქრისა და განლაგებისა,
 სარწმუნო გახლავს, მზვერავებმა შეგვატყობინეს...
 სისწრაფე ვქართებო!..

ა ლ ბ ა ნ ი

ფიქრი ნუ გაქვს, არ დავაყოვნებ.

(გადის)

ე დ მ უ ნ დ ი

მე ორივე დას სიყვარულის აღთქმა მივეცი,
 შესძულეზიათ ერთმანეთი გველის შაამივით.



ვინ ავირჩიო აღარ ვიცი! ერთი მათგანი?
 იქნებ ორივე! თუ არც ერთი! მანამ ორივე
 ცოცხალი არის, მოსვენება აღარ იქნება!
 ქერივი შევირთო — გონერილა დაკარგავს ჭკუას,
 არადა, მისი ცოლად შერთვაც არ მოხერხდება,
 მანამდე ქმარი ცოცხალი ჰყავს. ჯერ ძვირად მიღირს
 მაგისი თავი, ვიდრე ომი დამთავრდებოდეს,
 მერე კი ცოლმა თვითონ იცის თავისი საქმე,
 ქმრის მოშორებას თუკი მართლა მოიწადინებს.
 მთავარს ღირის და კორდელიას შეწყნარება სურს!
 ჯერ ბრძოლას მოვრჩეთ, ტყვედ ჩაგდება თუ მოვახერხეთ,
 მე ვიცი მათი შეწყნარება! თუმცა რას ვლაცებობ,
 ჯერ ბრძოლა მმართველს, ჩემი თავი გამჭირვებია!

(გადის)

ს უ რ ა თ ი 11

მინდორი ორ ბანაკშუა

(ისმის ბრძოლის უიჟინა. გაივლიან ღირი, კორდელია და იმათი ჯარი,
 ღროშებითა და ნალარის ცემით).

(შემოდინან ედგარი და გლოსტერი)

ე დ გ ა რ ი

აგერ, ამ ხის ქვეშ ჩამოჯექი, ეგ გიმასპინძლებს.
 ილოცე, მამი, რომ სიმართლემ დღეს გაიმარჯვოს.
 თუ გამიმართლდა და დაგიბრუნდი.
 სანუგეშოსაც გეტყვი რასმე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ღქერთნი გფარავდნენ.

(გადის ედგარი)

(ბრძოლის ხმაური. ცოტა ხნის შემდეგ უკანდახევის ნალარა. შემოდის ედგარი)

ე დ გ ა რ ი

ჩქარა, მოხუცო... ხელი მომე... მე გამომყევი! ლირი დამარცხდა... ტყვედ შეიპყრეს ისიც და ქალიც! აქაურობას გავეცალოთ... ხელი მომეცი!

გ ლ ო ს ტ ე რ ი

ბაღდა მიგყევიარ. გახრწნას აქაც კი მოვახერხებ.

ე დ გ ა რ ი

ისევ გეწვია ავი ფიქრი? კაცი ყოველჯამს, მზად უნდა იყოს — ამ ქვეყნიდან უეცარ წასვლას ისევე უნდა მოელოდეს, როგორც აქ მოსვლას. ხელი მომეცი. გამომყევი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი

მართალსა ბრძანებ.

(ვაღიან)

ს უ რ ა თ ი III

ბრიტანელების ბანაკი ღუვრის მახლობლად

(შემოდინან გამარჯვების ნალარითა და დროშებით ედმუნდი, სარდლები, ჯარისკაცები. შემოჰყავთ ტყვედ შეპყრობილი ლირი და კორდელია)

ე დ მ უ ნ დ ი

წაიყვანეთ და თვალი ფრთხილად გეჭიროთ მათზე, მანამ სარდლობა არ დაადებს საკადრის სასჯელს.

კ ო რ დ ე ლ ი ა

ეს ხომ პირველად არ მომხდარა — კარგის მოსურნეს უკიდურესი განსაცდელი თავს დასტყდომოდეს! მე შენ გამო ვარ გულმოკლული, დევნილო მეფევ, თორემ მუხთალი ბედის წყრომა წარბს ვერ შემეხრის, არ ვინახულოთ ჩემი დები — შენი ქალები?

ლირი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ, ნუ, ნუ გინდა!.. წაგვიყვანონ დილეგში ბარემ.
როგორც ჩიტები. გალიაში გამომწყვდეული,
ვისხდეთ იქ ჩვენთვის, ვიჭიკჭიკოთ. დალოცვას თუ მთხოვ,
მე დავიჩოქებ, პატიებას შეგეხვეწები.

ასე გავლიოთ ჩვენი დღენი — ლოცვით, სიმღერით...
ძველი ზღაპრებიც გავიხსენოთ, ვიმუსაიფოთ,
პეპლების ფარფატს ვუცქიროთ და გულით ვიცინოთ,
კარის ჭორებსაც ბევრს გავიგებთ მდაბიოთაგან,
ჩვენც ვკითხავთ ხოლმე — ვინ გასწირეს, ვინ აამაღლეს,
წყალობის თვალით ვის უცქერენ, ვის არ სწყალობენ...
თითქოს მზირები ვიყოთ ღმერთის — მთელს ქვეყანაზე
რაც კი რამ ხდება საიდუმლო. ყველას გავიგებთ:
ხმას დილეგშიაც მოგვაწვდენენ — ვით მიმოდიან,
ზღვის ტალღებივით, დიდნი კაცნი ამა ქვეყნისა.

ე დ მ უ ნ დ ი

ალარ წაიყვანო!

ლირი

კორდელია, ასეთ მახვერბლს ღმერთნი
გუნდრუკს უკმევენ. ხომ ჩემთან ხარ?! ჩვენს გასაყრელად
ზეციდან უნდა მუგუზალი ჩამოიტანონ,
და როგორც მელებს სოროებში, ისე გვიხრჩოლონ.
ნუ სტირი, შვილო!.. უმაღ მაგათ მიწა ჩაყლაპავს,
შემშილით სული გაეარდებათ, ჩვენს თვალებში კი
ვერ დალანდავენ ცრემლებს მეტად. წამო, წავიდეთ.

(ლირი და კორდელია გაჰყავთ)

ე დ მ უ ნ დ ი

შენ ჩემთან მოდი, ასისტავო.
აჰა, ბრძანება! თან გაჰყევი დილეგში მაგათ.

(ქალაღს აძლევს)

წარჩინება ხომ მოგანიჭე. თუ ამ საქმესაც
მარჯვედ და კარგად შემისრულებ, მეტააც ელოდე.

როგორც ღრია, ისეთია ადამიანიც,
ხმალშემართულ კაცს გულჩვილობა არ დაშვენდება,
სჯა და ყოყმანიც არა გმართებს — მეომარი ხარ.
თუ შეასრულებ, სიჭკვი პირდაპირ, არა და — წადი,
შენი გზა ძებნე!

ას ის თ ა ვ ი

შეკასრულებ, ჩემო ბატონო.

ე დ მ უ ნ დ ი

აბა, ყოჩაღად! დიდ ბედსაც გწევ, როცა მორჩები!
ოღონდ ახლავე, ხომ გამიგე?! და რაჟააც აქ ვწერ,
ერთი ბეწოთიც არ შესცვალო, სულ შეასრულე.

ას ის თ ა ვ ი

შვრიას ვერ შევჭამ, უღელშიაც ვერ გავებმები,
რაც შეუძლია ადამიანს, ყველაფერს ვიზამ.

(საყვირის ხმა. შემოდინ ალბანი, გონერილა, რეგანა,
სარდლები და მხლებლები)

ალ ბ ა ნ ი

დღეს თქვენ ნამდვილი მამაცობა გამოიჩინეთ,
ბედიც გწყალობდათ — ვინც გვებრძოდა, ტყვედ შეიპყარით...
ახლა მოგვეციოთ ის ტყვეები, ავწონ-დავწონით,
სიფრთხილეს ვიხმართ და, მათ სახელს რომ ეკადრება,
სწორედ იმისდა კვალობაზე ჩვენ მოვეპყრობით.

ე დ მ უ ნ დ ი

მე ვამჯობინე, მოხუცი და სნეული მეფე
გუშაგებისთვის მიმენდო და უვნებელმეყო...
მისი ჭაღარა ხალხის თვალში!.. ახლა სახელი!...
სიბრალულს აღძრავს ქვეშევრდომთა, ჯარს აგვიმხედრებს
და შუბებს ჩვენსკენ შემოაქცევს... ამისვე შიშით
მას მივაყოლე დედოფალიც. ახლა შენ იცი,
საცა დანიშნავ მათ სამსჯავროს — ხვალ თუ მას შემდგომ —
დაუყოვნებლივ მოგგვრი იქა. ჯერ დრო არ არის,
ჯერ ოფლში ვცურავთ, სისხლიც კი არ მოგვიბანია,



არ მოუსწრია ჯერ მეგობარს მეგობრის გლოვა,
 ნაოქარზე კი. მანამ სისხლი ისევ ცხელი გვაქვს,
 გამარჯვებულები ვიყოთ თუნდა, თავბედს ვიწყევლით...
 ხელმწიფისა და კორდელიას სამსჯავროს, მილორდ,
 მე ვგონებ უფრო შესაფერი ადგილი უნდა!

ა ლ ბ ა ნ ი

ნუ გაცხარდები, ვაეხატონო! ხელქვეითს ჩემსას
 თავი ძმადა და თანატოლად რად დაგისახავს!

რ ე გ ა ნ ა

სწორედ რომ ძმა და ტოლი არის!.. ჩემთვის გეკითხა,
 მანამ ასე შორს შესტოპავდი! ჩემს ჯარს სარდლობდა,
 ჩემს ნება-სურვილს ასრულებდა, მე მცვლიდა თვითონ...
 ძმა ეთქმის, აბა რაღა არის, მეტი რა გინდა?!

გ ო ნ ე რ ი ლ ა

ნეტა რას ცხარობ, ვის რად უნდა შენი წყალობა,
 თავის ქველობას დაუმაღლოს, თავად ამაღლდა!

რ ე გ ა ნ ა

მე ავამაღლე, მე მივეცი ძალაუფლება
 და ნურც იფიქრებთ, რომ ვინმეზე ნაკლები იყოს.

გ ო ნ ე რ ი ლ ა

ბარემ იქმრე და კიდევ უფრო მეტი იქნება.

რ ე გ ა ნ ა

დამცინი, მაგრამ ენამ მართლა კი არ გიყვივლოს!

გ ო ნ ე რ ი ლ ა

აჰ, ვერ მოგართვეს! მაგ შენს თვალებს ნუ დაუჯერებ,
 ალბათ სიელმე შეჰპარვია — კარგად ვერ ხედავს!

რ ე გ ა ნ ა

ბედი შენი, რომ უქეიფოდ შევიქენ უცებ,
 თორემ, იცოცბლე, შენი ლანძღვით გულს ვიჯერებდი!
 გძირთ სარდალო, შენ გაბარებ დღეიდან ჩემს ჯარს,

ჩემს ტყვეებს ყველას, ჩემს მამულსა და სამფლობელოს,
ციხე-სიმაგრეს და ყველაფერს... მეც წამიყვანე
აგერ, ვიმოწმებ მთელ ქვეყანას, რომ დღეის იქით
შენა ხარ ჩემი პატრონიცა და მბრძანებელიც.

გონერილა

რაო, ქმრად ირთავ?!

ალბანი

მაგის დაშლას შენ არვინ გკითხავს.

ედმუნდი

არც შენ გკითხავენ!

ალბანი

ნაბუშარო, დიან გკითხავენ.

რეგანა

(ედმუნდს)

ბრძანე. ნალარას დაჰკრან ჩქარა, ქვეყანას ამცნე,
რომ ჩემს მფარველად და ხელმწიფედ ამირჩევიხარ.

ალბანი

ფეხს ვერ მოიცვლით ადგილიდან! მე მომისმინეთ:
ედმუნდ, საქშობლოს ღალატისთვის მე პატიმარგყოფ.
აგერ, ამასაც, ამ ოქროთი დაფერილ ასპიტს.

(გონერილაზე უჩვენებს)

(რეგანას)

შენ კი უარი უნდა გითხრა, ძვირფასო დაო,
ცოლს ხატრი როგორ გავუტეხო: აგერ, ამ ჭაბუკს
უკვე შეჰფიცა სიყვარული იემმა ძეუღლეშ.
გული არ მაძლევს შენ შეგროთო და ცოლს დავუშალო;
ქმარი თუ გინდა. აქ არა ვარ, მე გამოძყევი,
დანაშნულია ჩემი ცოლი.

გონერილა

რას თინბაზობ!

ა ლ ბ ა ნ ი

შენ საჭურველი თან გაქვს, ედმუნდ, ბუკი ჩაჰბერონ,
და თუ არავინ გამოჩნდება, რომ თავის ხმალით
შენი ღალატი, უპირობა, გაიძვერობა
და სისაძაგლე დაამტკიცოს, მე აქ მივსულე!

(ხელჯაგს ესვრის)

პურის გატეხა არ მეღირსოს, თუ რაც გითხარი,
იმის სიმართლე გულზე ხმალით არ დაგაჭდეო.

რ ე გ ა ნ ა

გული მერევა! ვაი, ვაი!

გ ო ნ ე რ ი ლ ა
(თავისთვის)

მაშ რა გეგონა?

ეს იცის ხოლმე საწამლავემა!

ე დ მ უ ნ დ ი

ჰა, ჩემი წინდიც.

(ხელჯაგს გადმოაგდებს)

ვინც უნდა იყოს. თუკი მართლა ღალატს დამწამებს,
მე დავუმტკიცებ, რომ ის ცრუობს გაიძვერულად.
დაჰკარით ბუკი. გამობრძანდეს, ვინც კი გაბედავს,
უგინდა შენ იყავ, გინდ სხვა ვინმე — მტკიცედ დავიცავ
მე ჩემს სიმართლეს, ღირსებას და პატიოსნებას.

ა ლ ბ ა ნ ი

ჰეი, მებუკევი!

ე დ მ უ ნ დ ი

ჰეი, ჰეი, აქეთ, მებუკევი!

ა ლ ბ ა ნ ი

სხვისი იმედი ნუ გექნება, შენი ლაშქარი,
ჩემი ბრძანებით შეკრებილი, მევე დავშალე.

რ ე გ ა ნ ა

გული როგორღაც მეზიდება...

ა ლ ბ ა ნ ი



ეს ავად არის, საქართველოს
ლიბრარიუსი

გაჰყევით ვინმე ჩემს კარავში.

(რეგანა გაჰყავთ)

(შემოდის კარის გზირი)

ჰა, კარის გზირიც!

აბა, ბუკს დაჰკრან და შემდეგ კი ეს წაიკითხე.

ა ს ი ს თ ა ვ ი

დაჰკარით ბუკსა!

(ისმის ბუკის ხმა)

კ ა რ ი ს გ ზ ი რ ი

(კითხულობს)

ამ ლაშქარში თუ რომელიმე შთამომავლობით კეთილშობილი და ღირსეული მეომარი მოიწადინებს, იარაღით დაამტკიცოს, რომ ედმუნდი, რომელიც გლოატერის გრაფობას ჩემულობა, მოლალატეა და მრავალნაირი მუხანათობის ჩამდენი, ბუკის მესამე ხმაზე გამოვიდეს: ედმუნდი პასუხს გასცემს.

ე დ მ უ ნ დ ი

დაჰკარით ბუკი!

(ისმის ბუკის ხმა)

კ ა რ ი ს გ ზ ი რ ი

კიდევ!

(ცვლავ ბუკის ხმა)

კიდევ!

ერთიც დაჰკარით!

(მესამედაც ისმის ბუკის ხმა, რასაც სხვა მხრიდან გამოეხმაურებიან)

(მესამე ბუკზე შემოდის იარაღასხმული ედგარი, წინ მებუკე მოუძღვის)

ა ლ ბ ა ნ ი

ჰკითხე, რა უნდა, ბუკის ხმაზე რად გამოცხადდა?

კ ა რ ი ს გ ზ ი რ ი

ვინა ბრძანდები? სახელი და წოდება გვითხარ.

და მოგვახსენე, ბუკის ხმაზე რად გამოცხადდი?

ე დ გ ა რ ი

ჩემი სახელი დამიკარგავს, ლალატის კბილმა
დაღრღნა, დაგლიჯა. მაგრამ ისე, გვარიშვილობით,
ის ვერ მაჯობებს, ვისაც ახლა ბრძოლაში ვიწვევ.

ა ლ ბ ა ნ ი

ვის იწვევ, მერე, ესეცა სთქვი.

ე დ გ ა რ ი

ედმუნდს, რომელსაც
გლოსტერის გრაფის სახელი აქვს მითვისებული.

ე დ მ უ ნ დ ი

აქ გახლავს ისიც: რა გსურს უთხრა?

ე დ გ ა რ ი

ხმალი იშიშვლე,

და თუ მე ენით შეგიბღალე გვარიშვილობა,
შენი სიძარბლე, გამოდი და, ხმლით დაამტკიცე.
მე მზად გახლავარ... ჩემმა ფიცმა, პატიოსნებამ,
მოვალეობამ რაინდულმა, აქ მომიყვანა,
რომ პირში გითხრა: მამაცობით კი მოგაქვს თავი,
ახალგაზრდაც ხარ, განდიდებულ-აღზევებული,
დღეს გამარჯვებაც ბედისწერამ შენ მოგაკუთვნა,
მაგრამ რად გინდა — მოღალატე ხარ,
ღმერთთა დამგმობი, მამის. და ძმის გამყიდველი,
სვემალალ მთავრის წინააღმდეგ სამტროდ შეთქმული,
თავით-ფეხამდე წაბილწული და მუხანათი!
სთქვი, არა ვარ-თქო, და ეს ხმალი, ჩემი მარჯვენა,
აღშფოთებული სინიღისი მყის დაგიმტკიცებს,
გულის ფიცარზე დაგაჭდევენს, რომ ურცხვად სტყუი!

ე დ მ უ ნ დ ი

წესით ჯერ უნდა ვინაობა გამეგო შენი,
მაგრამ ისეთი მამაცი და ვაჟკაცი ჩანხარ,
სიტყვა-პასუხზეც გაზრდილობა ისე გეტყობა,
რომ რაინდულ წესს აღარ მივსდევ, შეგებრძოლები...

უკანვე გახლი მაგ მონაჩმახს, ცილისმწამებლურს,
შაგ გულში გტყორცნი მოღალატის საძულველ სახელს,
მაგრამ თან ვშიშობ, გულს არ აცდეს, არ აისხლიტოს,
და ამიტომაც აგერ ხმალით გზას გაკუჟაფავ,
გულია სიღრმეში ჩაგაჯდევებ სამარადისოდ.
დაპკარით ბუკი!

(ბუკის ხმა. იბრძვიან. ეღმუნდი წაიქცევა)

ა ლ ბ ა ნ ი

ნულარ გასწირავ, ნულარ მოჰკლავ!

გ ო ნ ე რ ი ლ ა

შეთქმულებაა!

მოტყუვდი, გლოსტერ, შენ შეგეძლო, ომის კანონით,
ვიღაც უცნობთან განოჯვლაზე უარი გეთქვა.
ამას არ ჰქვია დამარცხება — მოღორებაა!

ა ლ ბ ა ნ ი

ხმა ჩაიკმიდე, ქაღბატონო, თორემ, იცოდე,
აგერ, ამ ქაღალდს ჩავჩრი პირში და გაგაჩუმებ!
ჰა, ვაებატონო — (ვერც შევარჩევ მე ისეთ სახელს,
შენს სიბილწეს და სისაძაგლეს გამოხატავდეს) —

შენი სიგლაზე წაიკითხე. (გონერილას) რადა ხევ წერილს?
მე როგორც ვიცი, ამ ხელნაწერს შენ კარგად იცნობ.

(ეღმუნდს მისცემს წერილს)

გ ო ნ ე რ ი ლ ა

თუნდ ასე იყოს... ვინ დამიშლის? ვის რა ხელი აქვს?
აქ კანონები მე მეკუთვნის, შენ ვინა გკითხავს!

ა ლ ბ ა ნ ი

ოი, უგვანო დედაკაცო, იცან წერილი?

გ ო ნ ე რ ი ლ ა

რას მეკითხები, რა ვიცანი?!
(გადის)

ა ლ ბ ა ნ ი

უკან გაჰყევით,
თორემ ისეა არეული, თავიც არ ახსოვს.

(ერთი ასისთავი გაჰყვება)

ე დ მ უ ნ დ ი

მართლაც ყველაფრის ჩამდენი ვარ, რაც კი დამწამე.
უფრო მეტისაც... ამას, ყველას, დრო გამოაჩენს.
მორჩა, გათავდა... მეც გავთავდი... მაგრამ შენ ვინ ხარ,
ბედმა რომ ასე გაგიღიმა? გვარიშვილობით
მაღალი თუ ხარ, შემინდვია.

ე დ გ ა რ ი

მეც შემინდვია.

გვარიშვილობით, ედმუნდ, შენზე ნაკლები არ ვარ,
და თუ მეტი ვარ, ეს იცოდე, მაშინ ჩემს მიმართ
შენ უფრო მეტი შეგიცოდავს.

ედგარი მქვია — შვილი ვარ მე მამაშენისა;
ღმერთები ცაში არ ცდებიან — ჩვენივ ბიწიერ
სიამტკბილობას მოგვივლენენ სააჯელად ჩვენვე:
შენი გაჩენა, უკანონო და ბიწიერი,
ხომ დაინახე — მას დაუჯდა თვალთა სინათლედ.

ე დ მ უ ნ დ ი

ასეა სწორედ, მართალი ხარ. ბედის ბორბალმა
წრე შემოხაზა და შეჩერდა. აჰა, აქა ვარ.

ა ლ ბ ა ნ ი

(ედგარს)

მეფური კეთილშობილება ზედ გეტყობოდა,
ხელადვე ვიგრძენ! ახლოს მოდი, გადაგეხვიო!
გული გამიპოს მწუხარებამ, თუ ერთი ბეწო
ან ძამაძენის, ანუ შენი ხტო — ა სქონოდეს.

ე დ გ ა ო ი

ვიცი, ბატონო.

ა ლ ბ ა ნ ი

სად იყავი? სად დაიმაღლე?
როგორ გაიგე მამაშენის უბედურება?



ე დ გ ა რ ი

თან ვახლდი მამას და ვუვლიდი, ბატონო ჩემო.
მოკლედ გიამბობ, რაც გარდაგვხდა, და რომ მოვრჩები,
ო, გასკდეს მაშინ ჩემი გულიც!... როცა საქვეყნოდ
გამოაცხადეს ჩემი დევნა... (სული ტკბილია,
ოღონდ სიცოცხლე ცოტათი კი გავიანგრიდით,
და არ დავეძებთ, ვამჯობინებთ წამებით მოვკვდეთ,
ვიდრე ერთბაშად გავცხოთ სული და მოვისვენოთ)...
ხელად გიყივით გადავიცვი, მინდვრად გავვარდი,
ჩემი დანახვა ძალღებაც კი ეზიზღებოდათ.
და ამ დროს შევხვდი მამაჩემსაც. თვალთა ბუდიდან, —
ვით მარგალიტის თვლები განძარცვულ ბეჭდებისაგან, —
სისხლი სდიოდა უმოწყალოდ. ხელი ჩავჭიდე
და გავუძეხი, ვპატრონობდი და ვამხნევებდი,
ლუკმა-პურისთვის ვმათხოვრობდი. და ერთხელაც კი,
ვაგლახ, ერთხელაც, ვინ ვიყავი, არ დამცდენია.
მხოლოდ ახლახან, საბრძოლველად რომ აღვიჭურვე, —
და თუმც მჯეროდა გამარჯვების, მაინც ვშიშობდი, —
კურთხევა ვთხოვე და გავუტყდი, ვუთხარ, ვინც ვიყავ...
მძიპე ნაღველზე ელდად ეცა ეს სიხარული,
და გერ გაუძლო, გაღიმებულს ამოხდა სული.

ე დ მ უ ნ დ ი

გული მატკინა მაგ სიტყვებმა. ასე მგონია,
რალაც ლიკეთეს მოასწავებს. მაგრამ განაგრძე.
ვატყობ, სათქმელი კიდევ დაგრჩა.

ა ლ ბ ა ნ ი

არა, ნუ გინდა,
თუ კიდევ ცუდის მთხრობელი ხარ: ველარ გავუძლებ.

ე დ გ ა რ ი

ვინაც არ არის შეჩვეული დიდ მწუხარებას,
მისთვის ეგ ზღვარი გამოჩნდება სატანჯველისა,



მაგრამ შეჩვეულს შეუძლია კვლავ მოისმინოს...
 მწარედ მოვთქვამდი, როცა ერთი კაცი გამოჩნდა,
 წინათ ეს კაცი გამირბოდა, თვალს მარიდებდა,
 გიჟის ძონძებში რომ მხედავდა. მაგრამ რა მიცნო,
 როცა გაიგო, ვინ ვიყავი, რა გადვიტანე,
 მომხვია თავის ღონიერი მკლავები მაგრად
 და ბლავილს მოჰყვა, ცის გაპობას ლამობსო, თითქოს;
 მერე მამაჩემს დაემხო და მომიყვა ამბავს,
 თავს რა გადასდათ მასაც თვითონ და მეფე ლირსაც...
 ჯერ ძეხორციელს არ სმენია ასეთი რამე.
 თან ყვებოდა და თან გულს სევდა ემატებოდა,
 ლამის დააწყდნენ სასიცოცხლო სიმები გულში...
 ამ დროს ბუკის ხმა შემოგვესმა და, გონწასული,
 იქვე დავტოვე მაშინ იგი.

ა ლ ბ ა ნ ი

ვინ იყო მაინც?

ე დ გ ა რ ი

კენტი, ბატონო. განდევნილი შინიდან კენტი.
 ტანისამოსი გადაეცვა და გამწყრალ მეფეს
 იგი მონურის მორჩილებით თან დაჰყვებოდა.
 (შემოვარდება კარისკაცი, ხელში სისხლიანი დანა უჭირავს)

კ ა რ ი ს კ ა ც ი

მომეშველენით, ო მიშველეთ!..

ე დ გ ა რ ი

რა მოგივიდა?

ა ლ ბ ა ნ ი

სთქვი, აღარ იტყვი!

ე დ გ ა რ ი

სისხლიანი დანა რას ნიშნავს?

კ ა რ ი ს კ ა ც ი

ჯერაც თბილია, ორთქლი ასდის... მკერდში ჩაეცა...
 დანა გულიდან ამოვართვით... თავი მოუკლავს.

ა ლ ბ ა ნ ი

ვის? აღარ გვეტყვი?

კ ა რ ი ს კ ა ც ი

თქვენს ცოლს, მილორდ, მეუღლეს თქვენსას.
დაც მოუწამლავს უფრო ადრე, თვითონ გამოტყდა.

ე დ მ უ ნ დ ი

ქმრობას შევპირდი ორივე დას. ახლა კი მალე
ჩვენ სამივენი შავ სიკვდილთან დავქორწინდებით

ე დ გ ა რ ი

ჰა, კენტიც მოდის.

ა ლ ბ ა ნ ი

სულყველანი აქ მოასვენეთ —
ცოცხლებიც, მკვდრებიც. ზეცის მსჯავრი ყველას
გვაძრწუნებს,
თუმცა სიბრალულს არ აღგვიძრავს.

(კ ა რ ი ს კ ა ც ი გადის)

(შემოდის კ ე ნ ტ ი)

ეს არის კენტი?
ვწუხვარ. დრო არ გვაქვს, შესაფერად მივიღოთ იგი.

კ ე ნ ტ ი

ჩემი ხელმწიფე სად ბრძანდება? ვეახელ, რათა
მშვიდობის ღამე მოვახსენო მბრძანებელს ჩემსას.

ა ლ ბ ა ნ ი

ვაი, ეს როგორ დაგვაფიწყდა!.. ედმუნდ, გვითხარი,
მეფე სადა გყავს? კორდელია სად წაიყვანე?..

(შემოასვენებენ გონერილასა და რეგანას)

ხედავ, რა მოხდა, ძვირფასო კენტი!

კ ე ნ ტ ი

ეს რა მომხდარა!

ე დ მ უ ნ დ ი

აჰა, ედმუნდის შეყვარებას ესა სცოდნია —
ჩემი გულისთვის ჯერ იყო და დამ და მოწამლა,
მერე ადგა და საკუთარი თავიც მოიკლა.

ა ლ ბ ა ნ ი

მაინც ასეა. — წააფარეთ სახეზე რამე.

ე დ მ უ ნ დ ი

ვგრძნობ, სული მიმდის, და სიკეთე დავტოვო მინდა,
თუმცა კეთილი ჩემს ბუნებას არ ეგუება.

დილეჯში ჩქარა... ჩქარა, ჩქარა... აფრინეთ კაცი...
ნაბრძანები მაქვს. მეფეც მოჰკლან და კორდელიაც...
დროზე გაგზავნეთ, ნუ ზოზინებთ!

ა ლ ბ ა ნ ი

არიქა! ჩქარა!

ე დ გ ა რ ი

ვისთან ბატონო? — ვის უბრძანე მათი დახოცვა?
რამე ნიშანი გაგვატანე.

ე დ მ უ ნ დ ი

ჰო, მართალს აპბობ.

აჰა, ასისტავს ეს მახვილი აჩვენე ნიშნად.

ა ლ ბ ა ნ ი

ჩქარა, ჩქარა, გემუდარები.

(ე დ გ ა რ ი გადის)

ე დ მ უ ნ დ ი

შენმა ცოლმა და მე გუშაგებს ასე ვუბრძანეთ,
რომ კორდელია ჩამოეხრჩოთ საპყრობილეში,
და ხმა დაგვეგდო, თითქოს თავად მოიკლა თავი.

ა ლ ბ ა ნ ი

თქვენ დაიხსენით, დიდნო ღმერთნო!.. ეს გაიყვანეთ.

(ე დ მ უ ნ დ ი გაჰყავთ)

(შემოდინან ლ ი რ ი, რომელსაც ხელში მკვდარი კორდელია უჭირავს,
ე დ გ ა რ ი, ა ს ი ს თ ა ვ ი და ს ხ ვ ე ბ ი)



ლირი

რად არ ღრიალებთ! რად არ ბლავით! რამ გაგაქვავათ!
ამდენი ხმა და თვალი მომცა, ცას გავაპობდეს!
ვაი, წავიდა საუკუნოდ!.. თქვენ რა გგონიათ,
მკვდრისა და ცოცხლის გარჩევასაც ვერ მოვახერხებ?!
მკვდარია, როგორც დედამიწა!.. სარკე მომეცით,
თუკი დაორთქლა სუნთქვისაგან, მაშ ცოცხალია.

კენტი

აჰა, მოვიდა განკითხვის დღე!

ედგარი

ნგრევის საათი!

ალბანი

მაშ, რაღას უცდის — ჩამოიქცეს და მორჩეს ბარემ!

ლირი

გინგლი შეირხა!.. ცოცხალია!.. ეს გამიმართლდეს,
და თავს გადახდის სატანჯველზე კრინტსაც არ დავძრავ.

კენტი

ჩემო კეთილო ხელმწიფეო.

(დაუჩოქებს)

ლირი

გთხოვ. გამეცალო.

ედგარი

ეს ხომ კენტია. შენი ერთგული მეგობარი.

ლირი

ჭირი თქვენ ყველას — მკვლევებო და მუხანათებო!
რას ჩამაცივდით, იქნებ მებსნა სიკვდილისაგან;
ახლა კი მორჩა, საუკუნოდ წავიდა ჩემგან!..
ცოტა ხანს დარჩი, კორდელია! ნუ მიმატოვებ.
ჰა! რა მითხარი?.. რა ტკბილი და ნაზი ხმა ჰქონდა —
რბილი, საამო... საუჩუქეა ქალისთვის ეგ ხმა.
ეს მონა, შენ რომ ჩამოგახრჩო, აკი მოვჰკალი!



ასისტავი

დიახ, ის მონა მართლაც მოჰკლა, კეთილშობილნო.

ლირი

ჰა, ხომ მოვჰკალი?! ის დროც მახსოვს, ჩემი ბასრი ხმლით
მაგისთანები სულ სკუპ-სკუპით დამიფრენია.
ახლა დავბერდი, მწუხარებამ დამრია ხელი.
შენ რომელი ხარ? თვალთ დამაკლდა, რა დაგიმალო.

კენტი

ბედისწერას თუ კვებნის ჟინმა წამოუარა —
თან ვანებივრებ, თან კი ვსწირავ ადამიანსო,
აჰა, ამისი მაგალითიც!

ლირი

სულ ჩამოხეღდა.

კენტი არა ხარ?

კენტი

დიახ, მეფევ, კენტი ვარ სწორედ.
შენი მსახური კაიუსი არ გაგონდება?

ლირი

რა მეთქმის, მართლაც დიდებული მსახური იყო.
მარჯვედ იბრძოდა... მოკვდა უკვე. მიწაში გდია.

კენტი

არა, ხელმწიფევ, მე გახლავარ ის კაიუსი...

ლირი

მაშ, ვნახოთ ერთი.

კენტი

იმ დღიდანვე, როცა დაეცო
და ბედმა ზურგა შეგაქცია, მუდამ თან გღევდი.

ლირი

მაშ, გაგიმარჯოს.

კენტი

მორჩა, მეფევ, ქვეყნად ჩამოწვა
წყვედიადი მხოლოდ, ვაება და შავი სიკვდილი...
შენი ქალები დაერიენ ერთმანეთს თვითონ
და, განწირულნი, აოკვდნენ კიდევ.

ლირი

მეც ასე ვატყობ.

ალბანი

რას ამბობს, თვითონ აღარ ესმის. და ამაოა,
რომ ჩვენი თავი შევახსენოთ.

ედგარი

რატა აზრი აქვს.

(შემოდის ასისტავი)

ასისტავი

ედმუნდი მოკვდა...

ალბანი

ვილას ახსოვს ედმუნდი ახლა.
კეთილშობილწი მეგობარწი და დიდებულწი,
მეც მომისმინეთ: რითაც ძალშიძს შევუმსუბუქო
უბედურ მეფეს სატანჯველი — თავს არ დავზოგავ.
მანამ ის ცოცხლობს, სამეფო ტახტს, ხელისუფლებას,
და სახელმწიფო გამგებლობას მასვე ვუბრუნებ.

(კენტს და ედგარს)

თქვენთვისაც ყველა უფლებები აღმიდგენია,
მეტსაც მიიღებთ, უანგარო სამსახურისთვის.
ერთგულ მეგობრებს ჩვენ ვთავაზობთ სიკეთის ნაყოფს,
მტრებს კი ფიალას, ნაღველისას, ავკაცობისთვის.
ხედავთ, რა მოსდის! ო, შეხედეთ, მეფეს შეხედეთ!



ლირი

მაშ, ჩამომიხრჩეს განა ჩემი სულელი გოგო!
მორჩა, გათავდა. სასიცოცხლო პირი არ უჩანს.
ძალდი, ვირთაგვა, ცხენი უნდა ცოცხლობდეს ქვეყნად,
და შენ კი სუნთქვაც აღარ შეგრჩა. მორჩა აღარა...
აღარ მომიხვალ, შვილო, უკან, არა, აღარა!..
ერთი, ეს დილი შემიხსენით... გმადლობ, ბატონო...
ხედავ? შეხედეთ! აქ შეხედეთ, ბაგეს დახედეთ...
შეხედეთ, კაცო, აქ შეხედეთ...

(კვდება)

ედგარი

გონი დაჰკარგა..

ჩემო ხელმწიფევ, ხელმწიფეო!..

კენტი

ო, გასკდი გულო!

ედგარი

ხელმწიფევ, თვალი გაახილე, გამოიხედე.

კენტი

ნულარ აწვალე! მოსვენებით განშორდეს სული.
მტრობა იქნება, ახლა ეს რომ გამოაბრუნო
ამ უმოწყალო ქვეყანაზე კვლავ საწამებლად.

ედგარი

მართლაც გათავდა.

კენტი

ან აქამდე როგორ იცოცხლა,
როგორ წაგლიჯა ამ ცხოვრებას ამდენი ხანი!

ალბანი

აბა, ესენი გაასვენეთ. მთელს სამეფოში
გლოვას ვაცხადებთ. მეგობრებო, მხარს თქვენ დამიჭერთ

(კენტსა და ედგარს)

და ამ დაღეწილ ქვეყნის მართვას გამიადვილებთ.



კ ე ნ ტ ი

ჩემო ბატონო, შორი გზა მაქვს მე გასავლელი
ხელმწიფე ძიხმობს და მარტოკას ვერ მივატოვებ.

ე ღ გ ა რ ი

ქედი მორჩილად მოვუხაროთ დროის სიმძიმეს,
რასაც ვგრძნობთ, ის ვთქვათ და არა ის, რაც გვევალება.
მოხუცმა რა არ გადიტანა; ჩვენ ჭაბუკები
ვერც ვნახავთ იმდენს, და იმდენ ხანს ველარ გავაწევთ.

(გადიან. სამგლოვიარო მუსიკა)



საქართველოს
საქართველოს


საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო



მოკმედნი პირნი

თეზეუსი — ათენის მთავარი
ეგეუსი — ჰერმიას მამა

ლიზანდრი }
დემეტრიუსი } ჰერმიას მოტრფიალენი

ფილოსტრატი -- თეზეუსის დღესასწაულის გამგებელი
კომშა — დურგალი

კოხტაპრუშა — ხურო

ფსკერა — ფეიქარი

სტვირა -- მესაბერვლე

დრუნჩა — თოქმანი

კნაჭა — თერაი

იპოლიტა --- ამორალების დედოფალი, თეზეუსის საცოლე

ჰერმია — ეგეუსის ქალი, ლიზანდრის შეყვარებული

ელენი — დემეტრიუსის მოტრფიალე

ობერონი --- ფერიების მეფე

ტიტანია — ფერიების დედოფალი

პაკი — ანუ საყვარელი ბიჭი რობინი

მლოგვის მარცვალი

ფარვანა

აბლაბუდა

მუხუდო

ფერიები, თეზეუსისა და იპოლიტას ამაღლა

მოკმედება წარმოებს ათენსა და ათენის განაპირა ტყეში

მოქმედება პირველი

სურათი I

ათენი. თეზეუსის სასახლე

(შემოდინ თეზეუსი, იპოლიტა, ფილოსტრატი და მხლებლები)

თეზეუსი

ქორწილი, აგერ, კარს მოგვადგა, ჩემო ლამაზო,
ოთხი დღე კიდევ და დაგვხედავს ახალი მთვარე...
მაგრამ ეს ძველი რა ზოზინით ილევა, ხედავ!
წინ ეღობება ჩემს გულისთქმას გაბოროტებით,
და დედინაცვალს ემსგავსება, რომელიც ჭაბუკს
მემკვიდრეობით დანატოვარ ქონებას აცლის.

იპოლიტა

ოთხი დღე რაა — ღამეები შთანთქავენ ხელად,
და ოთხი ღამეც გაილევა სიზმრებში სწრაფად,
მერე კი მთვარე, მორკალული ვერცხლის მშვილდით,
ციდან ღიმილით გადმოხედავს ჩვენს ქორწინებას.

თეზეუსი

წადი, ფილოსტრატ, ათენელი ყმაწვილკაცობა,
გამოაფხიზლე, მოალბინე, გაახალისე,
დაღვრემილობა ქელეხისთვის შემოინახონ —
ეს ყვიციანი ვაჟბატონი ჩვენ რას მოგვილხენს.

(ფილოსტრატი გადის)

მე ხომ მახვილით მოგიპოვე; გული გატკინე
და შენი ტრფობა, იპოლიტა, იმით მოვიგე,

მაგრამ ქორწილი სულ სხვა ჰანგზე უნდა ავაწყო
დიდი მოღბენით, ზარზემით, მზიარულეებით
(შემოდინ ეგეუსი, ჰერმია, ლიზანდრი და დემეტრიუსი)

ეგეუსი

ბედნიერება ნუ მოგწლოდეს, დიდო მთავარო.

თეზეუსი

გმადლობ, კეთილო ეგეუსო. ახალს რას გვეტყვი?

ეგეუსი

ლამის სულ თავგზა ამიბნიოს ჩემმა ჰერმიამ,
აგერ, ამ ჩემმა ქალიშვილმა, და საჩივლელად
გეახელ სწორედ. დემეტრიუს, აქ მოდი, შვილო.
ამ კაცს აღვუთქვი მაგის თავი, ბატონო ჩემო.
შენც მოდი, ლიზანდრ. ამ კაცმა კი, ჩემო მეუფევ,
რაცაღ ჯადოთი მომინუსხა მე ქალიშვილი.
ჰო, შენ, შენ, ლიზანდრ! შენ არ იყავ — ლექსებს უწერდი,
ხან შენ უძღვნიდი საჩუქრებს და ხან ეგ გიძღვნიდა;
მთვარიან ღამეს დადგებოდი მაგის სარკმელთან,
ხმას დაიტკბობდი და ლაქუცით უმღერდი ხოლმე,
თითქოს გიყვარდა. საჩუქრებით მოხიბლე ბავშვი.
სამაჯურიო, ბეჭდებიო, თაიგულები,
ათასნაირი ხარახურა, უმაქნისობა,
რაც ახალგაზრდებს აბრუებს და თავგზას უკარგავს.
ასე მზაკვრობით დაატყვევე მაგისი გული,
შვილის ერთგული მორჩილება, გაიძვერულად,
ტლანქ და უხიაკ ჯიუტობად შეაცვლევინე...
ჩემო მოწყალე მეუფეო, თუ შენს წინაშეც
დემეტრიუსის ცოლობაზე უარი ბრძანა,
მაშინ ათენის ძველ კანონებს გამოვიყენებ —
შვილი ჩემია, ჩემს ნებაზე უნდა იაროს,
ან უნდა გაჰყვეს ამ ყმაწვილკაცს ან უნდა მოკვდეს,
ჩვენი ქალაქის კანონებიც ამას გულისხმობს.

თეზეუსი

აბა, ჰერმია, შენ რას იტყვი, ტურფა გოგონი?
კარგად დაფიქრდი; მამა ღმერთად უნდა დასახო,



მან გაგაჩინა ასე კარგი, ასე ლამაზი,
 შენ მისთვის სანთლის თოჯინა ხარ, მან გამოგძერწა
 და პის ხელთაა შენი ბედი: უნდა დაგტოვებს,
 უნდა — დაგშლის და გაქცევს ისევ არარაობად.
 დემეტრიუსი ღირსეული ახალგაზრდაა.

ჰერმია

ლიზანდრიც კია ღირსეული.

თეზეუსი

დიახაკ არის,
 მაგრამ მამაშენს რომ არ მოსწონს! სხვა რაღა გზა გაქვს,
 უნდა დასახო უფრო ღირსად მეორე ისევ.

ჰერმია

ეჰ, ნეტა მამაც ჩემი თვალით ხედავდეს ყველას.

თეზეუსი

მაგას ისა სჯობს, შენ ხედავდე მამის თვალებით.

ჰერმია

გთხოვ მომიტევეო, მოწყალო უფალო ჩემო,
 თვითონ არ ვიცი, ასე როგორ გავკადნიერდი,
 სად დამეკარგა მოკრძალება, რომ შენს წინაშე
 ასე თამამად ვესარჩლები გულისთქმას ჩემსას.
 მაგრამ ანას გთხოვ, მოწყალო, გამაგებინო,
 ყველაზე ცუდი რა მომელის ჩვენი კანონით,
 დემეტრიუსის ცოლობაზე უარი თუ ვთქვი?

თეზეუსი

ან უნდა მოკვდე ან არა და მთელს სიცოცხლეში
 შენ მამაცაცის სახსენებელს არ გაეკარო.
 მეტი რა გითხრა, დაეკითხე გულისთქმას ისევ,
 შენს სისხლს მიხედე, შენს გაფურჩქვნილ ყმაწვილქალობას,
 ასწონ-დასწონე ყველაფერი, ტურთა ჰერმია,
 მამის არჩევანს თუ უარყოფ, არ მოგბეზრდება
 სამიდღემჩიოდ მონაზონის მძიმე ფლასები?

გადაეგები უშვილობიროდ და უნაყოფოდ,
სენაკის ვიწრო სარკმელიდან, სუსტი კნავილით,
ცივ, უნაყოფო მთვარეს უნდა, მთელი სიცოცხლე
საგალობლები აღუვლინო. სამგზის ნეტარი
ის არის სწორედ, ვინც ამ თმენით სისხლს დაიოკებს...
თუმც, ჩემდა თავად, ხელშეუხებ, გადაბერებულ,
ეკლიან ბუჩქზე მიმჭკნარ ვარდის ბედს მირჩევნია
ნელსაცხებელად გამოხდილი ცოცხალი ვარდის
ამქვეყნიური, მიწიერი ბედნიერება.

პ ე რ მ ი ა

უმაღლესე დავჭკნე, მოვკვდე: ბატონო ჩემო...
ეს მირჩევნია. ქალწულებრივ თავისუფლებას
არასდიდებით მე იმ კაცს არ გავაქეღინებ,
რომლის უღელსაც ჩემი სული ვერ შეგუებას.

თ ე ზ ე უ ს ი

ნუ აჩქარდები, მოიფიქრე. ახალ მთვარეზე, —
აგერ ჩემი და იპოლიტას ქორწინების დღეს, —
გადაწყვეტილი უნდა გქონდეს, რას ამჯობინებ:
ან მამაშენის ურჩობისთვის ერთბაშად მოკვდე;
ან დემეტრიუსს უნდა გაჰყვე; ანდა დიანას
საკურთხეველთან მკაცრი ფიცით უნდა შეიკრა,
რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას და ნეტარებას გმობ.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

მოიღბე გული, ნუ გამწირავ, ტურფა ჰერმია.
შენც ეს გიჟური ახირება დაუმორჩილე
ჩემს უცილობელ და უდავო უფლებებს, ლიზანდრ.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

შენზე ხომ მამა ჰკარგავს ჰკუთას — შენც ადექი და
მამა შეირთე. ქალიშვილი მე დამილოცე.

ე გ ე უ ს ი

ტაკიმასხარავ! გასკდი გულზე, მართლაც რომ მიყვარს,
და რაც კი რამე მაბადია, მაგისთვის მინდა.

ქალი ჩემია, უფლება მაქვს საკუთარ შვილზე
და ან უფლებას დემეტრიუსს ვუთმობ მთლიანად.



ლიზანდრი

გვარიშვილობით ეგ ვერა მჯობს, ბატონო ჩემო,
ტოლს ვერ დამიდებს სიმდიდრითაც. სიყვარულით კი,
მე უჯრო მიყვარს თქვენი ქალი. ბედმა ყოველი
შეც ისე უხვად მომანიჭა, ვით დემეტრიუსს,
ზოგი რამე კი იქნებ მეტიც მქონდეს მაგაზე.
ეს სატყვეები რომ ლიტონ კვეხნად არ ჩამეთვალოს,
ტურტა ჰერმიას სიყვარული რად მიღირს მარტო!
რატომღა უნდა დაგიხიო, მითხარით ერთი?!
დემეტრიუსი — პირში ვეტყვი, მოურიდებლად, —
ჯერ ნედას ქალზე, ელენეზე კარგავდა ჭკუას,
და, როგორც იყო, ქალის გულიც მოინადირა.
ახლაც კი უყვარს საბრალო ქალს, ლამის გაგიყდეს,
თავდავიწყებით, მთელის გულით და გატაცებით
უყვარს ეს მისი მოღალატე, შემარცხვენელი.

თეზეუსი

მართალი გითხრათ, ეს მეც მითხრეს, მინდოდა კიდევ
დემეტრიუსთან ამ საქმეზე მოსაუბრება...
მაგრამ საკუთარ საქმეებში ისე ჩავეფლე,
რომ დამავიწყდა. დემეტრიუს, მე გამომყევი...
შენაც, ეგეუს... დაგარიგებთ, რაღაცას გეტყვით.
შენ კი, ჰერმია, ნუ ჯიუტობ, შენი გულისთქმა,
სცადე, რომ მამის ნება-სურვილს დაუმორჩილო,
თორემ ათენის კანონები შეუვალია —
ან მოკვდები და ან მონაზვნად აღიკვეციები.
აღარ წავიდეთ, იპოლიტა? ჰა, ჩემო კარგო?!
შენც გამოგყევი, დემეტრიუს. ეგეუს, შენცა.
საქმე მაქვს თქვენთან. ჯერ ერთი რომ ჩვენს ჯვრისწერაზე
მინდა ზოგი რამ გკითხოთ კიდევ და დაგავალოთ.
თან თქვენს საკუთარ საქმეზედაც მოვითათბიროთ.

ეგეუსი

ხალისითა და მორჩილებით ჩვენ გეახლებით.



ლიზანდრი

რა მოგივიდა, ჩემო კარგო, რას გადაფითრდი?
ასე უეცრად რამ დავიჭკნო ლაწვებზე ვარდი?

ჰერმია

აღბათ იმიტომ, რომ თვალეში დაგუბებულმა
გრიგალმა წვიმად ვერ იფეთქა და ვერ დააღბო.

ლიზანდრი

ვაგლახ, ჯერ არსად წამიკითხავს, რომ ჰემმარტი
ტრფობის ნაკადულს წყნარადა და მშვიდად ედინოს.
ხან, სისხლი აქვსო მდაბიური...

ჰერმია

ეჰ, აღზევებულს,
რად უნდა ჰქონდეს აკრძალული მდაბალის ტრფობა!

ლიზანდრი

ხან, ასაკშია სხვაობაო...

ჰერმია

ვაგლახ, ბერიკაცს
ანკი რად უნდა მიათხოვონ ყმაწვილი ქალი?!

ლიზანდრი

ხან ნათესავეებს არ მოსწონთო...


ჰერმია

ო, ჯოჯოხეთო,
გულის სწორსაც რომ სხვისი თვალით გარჩევიანებენ!

ლიზანდრი

მაგრამ თუ ბედმა ინება და სასურველს შეხვდი,
ომი, სიკვდილი, სნეულება შემოგიტევენ
და მოაშთობენ იმ სიყვარულს ბგერის სიჩქარით,
ჩრდილის სისწრაფით გააქრობენ, სიზმრის სიმარდით...
ვით ბნელ ღამეში გაიკვესებს მრისხანე ელვა

შუა გააპობს ცას და მიწას. და მანამ ხალხი
თქმას მოასწრებდეს — „შეხე ერთი!“ წყვილია შთანთქავს,
ასე ხელადვე ქრება ხოლმე ყოვლი ნათელი.



ჰერმია

მაგრამ თუ თან სდევს გასაჭირი ჰეშმარიტ მიჯნურს,
სხანს ასეთია ბედისწერის გარდუვალობა
და ჩვენც მორჩილი მოთმინება უნდა ვისწავლოთ.
რადგან ისევე არ შორდება სიყვარულს ვაი,
როგორც უბადრუკ წარმოსახვას — ფიქრი, ზმანება,
ფუჭი ოცნება, ნატვრა, ოხვრა, ცრემლი მდულარე.

ლიზანდრი

შენ მართალს ამბობ, მაგრამ ახლა ყური მათხოვე:
მე ერთი ქვრივი მამიდა მყავს, უშვილუძირო.
დიდი ქონების და დიდძალი ფულის პატრონი,
ჩემზე ამოსდის მზე და მთვარე, შვილად მე მსახავს.
არც თუ შორსაა — ათენიდან შვიდ მილზე ცხოვრობს.
ჩემო ჰერმია, წავიდეთ და იქ ვიქორწინოთ,
ათენის მკაცრი კანონები იქ ვეღარ გასჭრის.
გამოიპარე ხვალ შინიდან, თუკი გიყვარვარ,
და ქალაქგარეთ ღამით, ტყეში, — სადაც ჩვენ ერთხელ
ელენეს შევხვდით სამაისო დღესასწაულზე, —
გამზადებული დაგიხვდები.

ჰერმია

ო, ჩემო ლიზანდრ, კუბიდონის მშვილდს გეფიცები,
მის ოქროს ისარს და ვენერას უმანკო მტრედებს,
ცეცხლს, რამაც დასწვა დედოფალი კართაგენისა,
როცა ტროელის გაშლილ აფრას შეავლო თვალი;
ყველა ფიცს, რაიც მამაკაცებს გაუტეხიათ,
და რაც ქალების აღთქმას ბევრით გადააჭარბებს,
რომ ხვალე ღამით იქ დაგხვდები, საცა ღამითქვი.

ლიზანდრი

არ დაგავიწყდეს, ჩემო კარგო; აგერ, ელენიც.
(შემოდის ელენი)

ჰერმია

ასე საითკენ მიიჩქარი, ლამაზო ელენ?

ელენი

მე სადაური ლამაზი ვარ! ნეტა, რას ხუმრობ!
ლამაზი შენ ხარ, ბედნიერო, დემეტრიუსი
შენმა მშვენება-სილამაზემ მოხიბლა სწორედ...
ვარსკვლავებავით ანათებენ შენი თვალები,
შენი ხმის ჟღერა ჰაერს ისე საამოდ ატკობს,
როგორც ტოროლას მოძახილი მწყემსების სმენას,
როცა ჭეჭილი ველზე მწვანედ აბიბინდება
და როცა კვირტებს გამოიღებს კუნელის ბუჩქი.
როგორც სენია გადამდები, ნეტავი ისე
მაგ სილამაზის გადადებაც შეიძლებოდეს:
მანამ აქ ვდგავარ, გადამედოს შენი თმის ფერი,
შენი თვალების ელვარება, ხმა — ტკბილად მჟღერი.
მოელი ქვეყანა რომ ჩემი ქნა, მე ვინდომებდი
მხოლოდ დემეტრეს, სხვას სულმთლად შენ დაგიტოვებდი.
მასწავლე მაინც, უხუგეშოდ ნუ მიმატოვებ —
დემეტრიუსი რა თილისნით მოაჯადოვე?

ჰერმია

რაც უფრო ვუბღვერ, შევიყვარა მით უფრო მეტად.

ელენი

ბღვერით კი არა, ეგ ღიმილით შემეძლოს, ნეტა!

ჰერმია

რასაც მე ვწყევლი... მაგრამ, ვატყობ, კვლავ ჩემით ხარობს.

ელენი

ლოცვით ავავსებ, ოღონდ ჩემკენ გადმოიხაროს.

ჰერმია

რაც უფრო მეტად შევიძულე, ველარ ვიშორებ.

ელენი

რაც უფრო მეტად შევიყვარე, სულ მომიშორა.

ჰერმია

თავად გახელდა, არ მიმიძღვის ბრალი სრულებით.

ელენი

ეგ შენი ეშხით!.. მაგ ბრალს არც მე დავიწუნებდი.

ჰერმია

დამშვიდდი, ელენ, სიტყვას გაძლევ, რომ დღეის იქით
ველარასოდეს ამ ქალაქში ვერ მნახავს იგი.
მანამდე თვალი დატკბებოდა ლიზანდრის ნახვით,
ათენი იყო ჩემი წმინდა ედემის ბალი,
მაგრამ ვნახე, რომ ნეტარება ჩემს სატრფოს ახლავს
და ის სამოთხე ჯოჯოხეთი მგონია ახლა.

ლიზანდრი

ხვალ სადამოხე, როცა თებეს წმინდა ხატება
წყლის სარკეებში გერცხლისფერად აისახება
და მწვანე ბალახს მარგალიტის შემოსავს თვლები —
როცა ერთმანეთს მიჯახები ეკვრიან გზნებით. —
ჩვენ გადავწყვიტეთ, გაკეცალოთ ათენის ზღუდეს
და ამ ქალაქში აღარასდროს აღარ დავბრუნდეთ.

ჰერმია

ჯერ ტყეში უნდა შევიყაროთ სხვების ფარულად,
საცა ოდესღაც, ბავშვობისას, ჩვენც გავბარულვართ
და, ყვავილებში წამოწოლილთ, გულის ფანცქალით,
ერთმანეთისთვის გაგვინდვია ოცნება ტკბილი.
იქიდან მერე წავალთ, ვივლით ახალი გზებით
და ახალ ნაცნობ-მეგობრებში გავითქვიფებით.
დაგვლოცე, მუდამ ერთმანეთის ტრფობით ვტკბებოდეთ!
დემეტრიუსსაც შენზე გული მობრუნებოდეს!
ლიზანდრ, ხვალამდე უშენობა მეც გამაწვალებს —
ტრფობის საგზალი მოაკლდება დამშეულ თვალებს.

ლიზანდრი

ხვალ სადამომდე, ჩემო ჰერმი.

(გადის ჰერმია)

მშვიდობით, ელენ,

თუ ასე გტანჯავს შენი სატრფო, შენც ააღელვე.
(გაღიან).

ე ლ ე ნ ი

ზოგს როგორ წყალობს, ზოგს კი ჩაგრავს ბედი წყეული!
მეც ყველას თვალში ხომ ლამაზად ვარ მიჩნეული,
მაგრამ რად გინდა, დემეტრიუს გამდგარა განზე
და ცხვირს უბზუებს ქედმალღურად ამ სილამაზეს.
იგი ჰერმიას შესციცინებს თვალეში გზნებით,
მე კი მას ვეტრფი, გულმოკლული, თავგადადებით.
გონჯიც რომ იყოს, უსახური, ბილწი, უმსგავსი —
კაცს სიყვარული ამალღებს და ღირსებით ავსებს.
ბრუტიანია სიყვარული, ბრმა, დამთხვეული,
და კუპიდონიც მიტომ დაჰქრის თვალახვეული:
მანამ ჰერმიას შეხვდებოდა გულანათრთოლი,
ჩემს სამუდამო ერთგულებას ფიცავდა შორით,
მაგრამ ჰერმიას მხურვალეხამ ფიცი გააღზვო,
და ჩემი ტრფობა გაუცივა წავიდე, ვნახო.
ვეტყვი — ჰერმია როგორ გარბის შინიდან მალვით,
ნახე, თუ მყისვე არ მოძებნოს იმისი კვალი!
მე კი ამ მალულ შიკრიკობა-მსტოვრობის ნაცვლად
მეტი რა მინდა — მადლობა თუ როგორმე დაცდა.
თახ ძიგზურადაც ვეახლები და ფარულ ჰვრეტით
ქნებ ჩავიკლა მასთან ყოფნის ჟინი უშრეტი.

(გაღის)

ს უ რ ა თ ი II

ათენი. კომშას სახლი

(შემოდინ კომშა, კოხტაპრუწა, ფსკერა, სტვირა,
დრუნჩა და კნაჭა)

კომშა

ჟველანი აქა ვართ?

ფსკერა

აღეჭი და სათითაოდ გამოიძახე, სიას ჩახედე.



კო მ შ ა

აგერ არ მიწერია ყველა, მთელი ათენის ყმაწვილკაცობა, ვისაც კი
ოდნავ ფხა მოსდევს და ჩვენი მთავრის ჯვრისწერის ღამეს ინტერმე-
დიის გათამაშება შეუძლია.

ფსკერა

შე კარგო კაცო, თუ გინდა რომ პირდაპირ საქმის გულში შეხვიდე,
ჯერ პიესა დაგვისახელე — რა არის, რას წარმოადგენს. მერე კი მო-
ჰყევი და მსახიობები ჩამოთვალე!

კო მ შ ა

ეგრე იყოს! ჩვენს პიესას ჰქვია „ყოვლად საცოდავი კომედია და ყოვ-
ლად უღვთო სიკვდილი პირამუსისა და თისბისა“.

ფსკერა

კარგი რამეა, ჩემმა მზემ, კაი მხიარული რამე. ახლა, ჩემო კარგო პი-
ტერ კომშა, სიას ჩახედე და მსახიობებიც ჩამოგვითვალე. აბა, გაი-
შაღეთ, ბატონებო.

კო მ შ ა

მე გამოგიძახებთ, თქვენ კი მიპასუხეთ. მქსოველი ნიკ ფსკერა.

ფსკერა

აქ ვარ. ბარემ ისიც მითხარი, რას ვთამაშობ, და გააგრძელე.

კო მ შ ა

შენა, ნიკ ფსკერა, პირამუსის როლი გეძლევა.

ფსკერა

ვინ არის მერე პირამუსი — შეყვარებულია თუ მტარვალი?

კო მ შ ა

შეყვარებული! და მერე როგორი შეყვარებული — მაგ სიყვარულის
გამო ბოლოს გმირულად იკლავს თავს.

ფსკერა

აბა, ახლა ნახე ცრემლების ღვრა. რიგიან-პირიანად თუ გავითამა-
შეთ. მე თუ მოვიწოდომე, ვაი მაყურებელთა თვალების ბრალი. ნახე,



რა ქარიშხალი დავატრიალო. სულ ვაი-ვუის ვაძახებ ^{ყველას} შენ მიდი, მიჰყე. ისე, ჩემთვის მტარვალის როლია ზედგამოჭრილი. ჰოი, ერთი ვირკულესის როლი მომცა. რას ვითამაშებდი! სულ თმებს ვაგლეჯინებდი ყველას.

მსხვრევა, ნგრევა, ლაწალუწი
 გააყრუებს არე-მარეს;
 დაიძრება ქარიშხალი
 და შეანგრევს ციხის კარებს.
 ფიზის ეტლი შორით მოაჭრის,
 შორიდანვე ქუხს და ელაფს,
 ერთიანად მოსპობს, შთანთქავს
 ამ ჩვენს სულელ ბედისწერას.

ზორბა რამე არ არის?! აბა, სხვა მსაჯობებიც ჩამოთვალე... ვირკულესი თუ გინდა, ეგ არის! ნაძღვილი მტარვალი!.. შეყვარებულები უფრო გულჩვილი ღალსია.

კო მ შ ა

მესაბერვლე ფრენის სტვირა.

ს ტ ვ ი რ ა

აქა ვარ, პიტერ კომშა.

კო მ შ ა

შენ თისბის როლი უნდა იკისრო.

ს ტ ვ ი რ ა

თისბი ვინდაა -- მოხეტიალე რაინდი?

კო მ შ ა

პირამუსის შეყვარებულია.

ს ტ ვ ი რ ა

კარგი რა, თუ ღმერთი გწამს. ქალს ნუ მათამაშებ, ხომ ხედავ წვერი წამომეზარდა.

კო მ შ ა

ეგ არაფერი, სახეს ნიღბით დაიფარავ, ხმა კი, რაც შეიძლება გაუწვრილე.



ფ ს კ ე რ ა

სახის დაფარვა თუ შეიძლება, მეც კი ვითამაშებ თისბის. ისე გავუწვრილო რომ... „თისნი, თისნი... აჰ, პირამუს, ჩემო ძვირფასო! შენი თისბი შემოგვევლოს, შენი თისბი გენაცვალოს!“

კ ო მ შ ა

არა, არა. შენ პირამუსი უნდა ითამაშო... შენ კიდევ თისბი იქნები.

ფ ს კ ე რ ა

კარგი. მიჰყე.

კ ო მ შ ა

თერძი რომინ კნაჭა

კ ხ ა ჭ ა

აქ ვარ, პიტერ კომშა.

კ ო მ შ ა

რომინ კნაჭა, შენ თისბის დედა იქნები. თოქმაჩი ტომ დრუნჩა.

დ რ უ ნ ჩ ა

აქა ვარ, პიტერ კომშა.

კ ო მ შ ა

პირამუსის მამას ითამაშებ: თისბის მამა კი მე ვიქნები. ხურო კოხტაპრუწა, შენ ლომის როლი უსდა შეასრულო. ესეც შენი პიესა.

კ ო ხ ტ ა პ რ უ წ ა

გადაწერილი გაქვს ლომის როლი? იქნება მათხოვო, შენი ჭირიმე, თორემ ძალიან მძიმედ ვიმახსოვრებ.

კ ო მ შ ა

მაგას რა ბევრი რამე უნდა, სცენაზედაც მოახერხებ სახელდახელოდ. ღრიალის შეტი არაფერი გჭირდება.

ფ ს კ ე რ ა

მაშინ მეც ლომს ვითამაშებ. ისე ვიღრიאלო, რომ შენი მოწონებული. ხალხი სულს განაბავს. ისე ვიღრიალო, რომ თვითონ მთავარმა ბრძანოს: „კიდევ აღრიალეთ, კიდევ აღრიალეთ!“



კო მ შ ა

ძალიანაც თუ გამოიღე თავი, დედოფალი და სეფე-ქალები დაფეთ-
დებიან, კივილს ატეხენ, და მოჩა — ჩამოგვკიდებენ კიდევ.

ყ ვ ე ლ ა ე რ თ ა დ

მაშა, დედის მუცლიდან ნაშობი ვინაც კი ვართ, ერთიანად ჩამოგ-
ვახრჩობენ.

ფ ს კ ე რ ა

მაგას კი მართალს ამბობთ, ბიჭებო — შიშით თუ დავაგიჟეთ ქალბა-
ტონები, ჭკუა აღარ შერჩებათ და მართლა ჩამოგვახრჩობენ. მაგრამ
ისე მივაკნავლო ხმა, ისე მინაზებულად ვიღრიალო, რომ სულ
მტრედის ღუღუნს დავამაგავსო; სულ ბულბულივით ვიღრიალო.

კო მ შ ა

არა, შენთვის პირამუსის როლია შედგამოჭრილი. სხვა როლს ვერ
მოგცემ. იმიტომ რომ პირამუსი ეშხიანი კაცია. მთელი ზაფხულის
დღე რომ იარო, მაგისტარა ეშხიანი კაცს მეორეს ვერ ნახავ. შახიანი
კაცია, კაცური კაცი. პირამუსი სწორედ შენ უნდა იყო.

ფ ს კ ე რ ა

რა გაეწყობა, ვიქნები. რანაირი წვერი უხდა გავიკეთო?

კო მ შ ა

რანაირიც მოგეგუნებოს.

ფ ს კ ე რ ა

იცი, რას ვიზამ: ავიღებ და ჩაღისფერ წვერს გავიკეთებ, ან ფორთო-
ხლისფერს... სულაც, წითელი იყოს, თუ გინდა. ანდა ფრანგული მო-
ნეტისფერი წვერა — ნანღვილი ყვითელი.

კო მ შ ა

ფრანგულ მონეტას ვინ მისცა წვერი?! პირტიტველი გინდა გამოხვი-
დე?.. აბა, ბატონებო, აგერ თქვენი როლები და გთხოვთ, გეხვეწე-
ბით, მოგიწოდებთ, ზვალ საღამომდე გაიზუთხეთ. მთვარე რომ ამო-
ვა, სასახლის ტყეში შევიყაროთ, ერთ მიღზეა აქედან, იქ გავივლით
რეპეტიციას. თორემ ქალაქში თუ დავიწყეთ, ხალხი აგვეკიდება და
ქვეყანა შეიტყობს. მანამდე ძე სიას ჩამოვწერ, პიესის გასათამაშებ-
ლად რა დავგჭირდება. თქვენი პირიმე, არ მიღალატოთ.



ფსკერა

უსათუოდ მოვალთ. იქ უფრო გულდაგულ გავივლით რეპეტიციას.
არავისი არ მოგვეჩივება.

კოშუა

აბა, ჰე, თქვენ იცით. ნახვამდის, მთავრის მუხასთან ვიკრიბებით.

ფსკერა

მორჩა: ცოცხალი თუ მკვდარი, იქა ვართ.

(გადიან)

მოქმედება მეორე

სურათი I

ტყე ათენის მახლობლად

(შემოდინ ფერია და პაკი)

პაკი

ჰეი, ფერია! საით მიფრინავ?

ფერია

გადავიფრენ მთებს და ველებს,
გზას მინდვრებზე გაკვირებლებ,
ცეცხლში გადავუ, წყალში გავალ,
ტყეს გავაბობ, ბუჩქნარს მრავალს,
აქაც წავალ, იქაც წავალ...

მთვარის სხივზე უსწრაფესად
გავარდვევ და გავკვეთ ზეცას..
ჩემს დედოფალს, სწორუპოვარს,
ლაძახსა და მზეთუნახავს

ტანწერწეტა ფურიაულას
ოქროსფერი ჯარი ახლავს...

იმ ოქროში წითლად მბზინავ
მატარა თვლებს ხედავ. ქვეით⁹
ლალი ვახლავს — სინაილისა
და სურნელის უხვად მფრქვევი.

წავალ, ბროლის ნამს შევაგროვებ მინდვრის თავკიდეს
და ამ ყვავილებს აათითაოდ ყურზე დავკიდებ.

მე შენნაირი ზარმაცისთვის აღარა მცხელა.

აქ დედოფალსა და ფერიებს მოელის ყველა.



სიფრთხილე გმართებთ, მეფეც მოდის დროსსატარებლად
 და ქეიფის დროს დედოფალმა არ დაინახოს.
 განრიპბებული ობერონი 'სულ ცოფებს აფრქვევს,
 რადგან დედოფალს მხლებლადა და პირისფარეშად
 აურჩევია ის ყმაწვილი, რომელიც წინათ
 ინდოთა მეფეს მოსტაცეს და წამოიყვანეს.
 ასე ყოველმხრად შემკული და კობტა ჭაბუკი
 ჯერ ჩვენს დედოფალს პირფარეშად არ ღირსებია.
 ეჭვიან მეფეს თურმე თვითონ მოსდომებია
 ნადირობის დროს თან იახლოს ტყეში ის ბიჭი.
 დედოფალი კი ვერ იმეტებს, ზედ დაჰკანკალებს,
 თავზე ევლებს, ყვავილების გვირგვინებს უწნავს.
 მიტომაც არის, რომ ჭალაში, ველზე, წყაროსთან,
 სადაც არ უნდა შეიყარონ,
 პირში სწვდებიან ერთმანეთსა და ფერიებიც
 იმათა ჩხუბით შეშიხებულ-დაფეთებულნი,
 რკოთა ქუდებში მიძვრებიან დასამალავად.

ვ ე რ ი ა

ახ მართლა შენ ხარ ცუდლუტი და ფლიდი რობინი,
 ან ისე გავხარ, რომ ველარც კი გამირჩევია;
 შენ არ უკარგავ შიშით თავგზას სოფლელ გოგონებს?
 რძეს ნაღებს აცლი, და საბრალო დიასახლისებს
 ტყუილ-უბრალოდ ადღვებინებ სადღვებელაში;
 იქით წისქვილსაც ეცემი და აახრიგინებ,
 საფუარს აცლი სალუდე ქერს გამორიოტებით,
 მგზავრსაც მხარს უქცევ და დასციბი გზაკვალ არეულს?!
 მაგრამ კარგ რობინს ვინც გიწოდებს, იმას რა უჭირს,
 თავი ქუდში აქვს — ზელს უმართავ ყველა საქმეში.
 ხოტქვი, შენ არა ხარ ის რობინი?

პ ა ე ი

დიახაც მე ვარ.

დავეხეტები ღამდამობით, სიბარულს ვაფრქვევ,
 თვით ობერონსაც ეციინება ჩემს ხუმრობაზე,



როდესაც ქერით ნაბატიებ ჭაკად ვიქცევი
 და ხვიხვინს მოვრთავ გალაღებულ ულაყის გვერდით;
 ხან ლუღის ჯამში ჩავცურებდი შემწვარ კიბორჩხლად
 და როცა ამ ჯამს ტუჩს შეაბებს მწყურვალ ქალი,
 პირს ამოვუვსებ მე ერთბაშად... დამჭკნარ გულმკერდზე
 გადმოედვრება მოწყურებულ დედაკაცს ლუდი.
 აგერ დგას ვიღაც დედაბერი და ვაი-ვიწმით
 რაღაც საშინელ ამბავს ჰყვება, მეც იქ გავჩნდები
 და სამფე! სკამად გადვიჭკევი. კვნესა-წუწუნით
 სკამს მოიმარჯვებს დედაბერი, საჯდომს მოარგებს,
 მაგრამ ხელადვე ვუმუხტლებ და გამოვეცლები...
 „ბრახ“ — იატაკზე საცოდავად მოადენს ბრაგვანს,
 ვაი დედაო. შესძახებს და აყირავდება...
 შენ უნდა ნახო, რა ფხვკუნთ ატყდება ირგვლივ,
 ლამის მუცელზე გაიფხრიწონ, ფეხზე ძლივს დგანან,
 ფიცავენ — ასე ჩვეხს დღეში არ გვიცინიაო...
 მაგრამ? წავიდეთ... ობერონი!..

ფ ე რ ი ა

და აგერ ჩემი

დედოფალიც! რაღა ერთად მოუნდათ მოსვლა!
 (ერთი მხრიდან შემოდის ო ბ ე რ ო ნ ი, ამალით, მეორე მხრიდან კი
 ტ ი ტ ა ნ ი ა, თავის ამალით)

ო ბ ე რ ო ნ ი

ჰოი. გულზვავო ტიტანია, ამ მავარის შუქზე
 ავბედად შეგხვდი!

ტ ი ტ ა ნ ი ა

შენ ხარ, ეჭვებით გაბერილო?
 აბა, მოუხვით ფერიებო. ვერც მაგას თვითონ.
 ვერც მაგის საწოლს ველარ ვიტან!

ო ბ ე რ ო ნ ი

თავქარიანო,

ნეტა რას ჩმახავ! მე ხომ შენი მბრძანებელი ვარ!

ტიტანია



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

მე უნდა ვიყო მაშინ შენი მორჩილი ცოლი.
მაგრამ ხომ ვიცი — ფერიათა ზღაპრულ ქვეყნიდან
გამოიპარე, რომ კორინის სახე მიგელო,
ჩამოჯდომოდი ვნებააშლილ ფილიდას გვერდზე
და სატრფიალო სინდერები გეძღერა მისთვის,
მთელი დღე სტვირი საანურად გეკვნესებინა!
რად წამოხვედი შორეული ინდოეთიდან,
და აქ რად მოხველ? თუ გგონია გამომაპარებ?
შენ ის გინდა, რომ შენს ძველ ნამაც ამორძალ-მიჯნურს,
რომელსაც, ახლა თეზეუსი თხოულობს ცოლად,
ქმრის სარგცველში დაუმკვიდრო ლხენა-სიამე.

ობეონი

არც კი გრცხვენია, ტიტანია, ეპოლიტასთან
მეგობრობისთვის მკიცხავ ასე გაბოროტებით.
მე ხომ შენი და თეზეუსის ტრფობის ამბავი
შეტყობილი მაქვს თავიდანვე. შენ არ იყავი
პერივონას რომ გამოსტაცე, წამოიყვანე?
განა შენ გამო არ გატეხა მან წმიდა ფიცი.
არიადნას და ანტიოპას რომ უღალატა?!

ტიტანია

ეს ხომ სულ ფუჭი ეჭვებია. შარშანდელს აქეთ
არცა მდებლოზე, არც წყაროსთან თუ ზღვაზე სადმე,
მთაში, თუ ბარში, თუ მდინარის კლდოვან ნაპირზე,
ჯერ საცეკვაოდ ისე არსად არ შევკრებილვართ,
რომ მყისვე ჩხუბით ყველაფერი არ ჩაგვამწარო.
ქარსაც მოსწყინდა ფუჭი გარჯა, შური იძია
და რა ხანია სტვირს არ გვიკრავს, აღარ გვაცეკვებს,
მოსდგა და რაც კი ჯანლი იყო, სნების მომტანი,
სულ წამოშალა ზღვის ფსკერიდან, ქვეყანას მოსდო,
წვიმად დაუშვა, გადარია მდინარეები,
და ლამის არის წაილეკოს მთელი ხმელეთი;
ხარი მას შემდეგ ცუდუბრალოდ მიათრევს უღელს

და გუთნის დედაც სულ ამაოდ ღვრის შრომის ოფლსა;
ჯეჯილს უღვაშის დაყენებაც ვერ მოუსწრია,
რომ ლაება უკვე; დაიწალა ბაკები ყველგან
და სვავ-ყორნები დასისინდნენ საქონლის ლეშით.
ის მოედნები, საცა ლალი ნოლხენა გვქონდა,
ყველგან ტალახით აიზილა; რა განდ ეძებო,
ბილიკს ვერ ნახავ ი: სველ, მწვანე ლაბირინთებში,
სულ აითითხნა ყველაფერი. ადამიანი
ზამთარსდა ნატრობს, მიწქდა ყველგან ლალი სიმღერა;
წყლის ნბრძანებელი მკრთალი მთვარე გაგვიგულისდა,
რეცხავს და რეცხავს ჰაერს წვიმით და ქვეყანაზე
ჭირი და სნება დააბუდა. ამ დიდ რყევაში
სულ აირია ყველაფერი: წითელი ვარდის
კალთაზე თავი დაუდვია ჭაღარა ყინვას;
იქით კი, ეგერ, ყინულოვან გვირგვინს ზამთრისას,
თითქოს დაცინვით, ყვავილწნულის ბათთი ჰკიდია.
ზამთარი ზამთარს აღარა ჰგავს, ზათხული — ზათხულს,
სულ შეიცვალა შექოღგოჩა და გაზათხული,
გაცვალეს თავის ტანსაცმელი, ვეღარ ცნობს ხალხი...
ჩვენა ვართ ბრალში — ეს ამდენი უბედურება
ქვეყნად ჩვენ გამო დატრიალდა, ჩვენმა ჩხუბმა ქნა,
ჩვენა ვართ მისი სათავე და წარმომშობელი.

ობერონი

ახლაც შენზეა — შეგიძლია გამოასწორო!
რა ხეირს მოგცემს ობერონთან გამოჯიბრება!
ბოლოსდაბოლოს, რას გთხოვ ისეთს — ბიჭი დამითმე,
რომ პირფარეშად ვიყოლიო.

ტიტანია

ვერ ეღიროსები,
მთელი სამეფო რომ მაჩუქო, მაინც არ მოგცემ.
მაგ ბიჭის დედა წინათ ჩემი ქურუმი იყო,
ტკბილი სურნელით დამტკბარ ინდურ ღამეში გარეთ
გამოვიდოდით, დავდიოდით, ვმუსაიფობდით;
ჩამოვსხდებოდით ზღვის ნაპირას, ყვითელ სილაზე



და გავჰყურებდით ზღვაში გასულ სავაჭრო გემებს;
 ქარისგან მუცელგამობერილ აფრის ხილვაზე
 აგვიტყდებოდა მხიარული სიცილი ხშირად;
 მაშინ ამ ბიჭზე იყო სწორედ ფეხმძიმედ ქალი, —
 წამოდგებოდა და ხუმრობით, აფრის წაბაძვით,
 ნელ-ნელა გოგვას მოჰყვებოდა, მოცურდებოდა
 ხმელეთთან ახლოს, — თითქოს გემი იყო ნამდვილი, —
 და ათასნაირ ხარახურას მიძღვნიდა ვითომ...

მაგრამ, მოკვდავი, სწორედ ამ ბავშვს გადაყვა იგი.
 მე დედამისის სიყვარულით გავზარდე ბავშვი,
 მისივე დიდი სიყვარულით, ვერც მოვიშორებ.

ო ბ ე რ ო ნ ი

შენ ეს მითხარი, აქ დარჩენას დიდხანს აპირებ?

ტ ი ტ ა ნ ი ა

მანამ ქორწილი თეზეუსის არ დამთავრდება.
 შენც თუ იცეკვებ ჩვენთან ერთად, შემოგვიერთდი,
 არა და წადი, მეც ვეცდები კვლავ აღარ შეგხვდე.

ო ბ ე რ ო ნ ი

მართლა თუ გინდა შენთან ვიყო, ბიჭი მომეცი.

ტ ი ტ ა ნ ი ა

მთელი სამეფო რომ დამითმო, მაინც არ მოგცემ.
 აბა, წავსულვართ, ფერიებო, თორემ მე ვატყობ,
 კიდევ თუ დავრჩი, სამუდამოდ გადავიკიდებ.

(გადის ტიტანია, თავისი ამალით)

ო ბ ე რ ო ნ ი

წადი, წაბრძანდი... მაგრამ ტყიდან ისე ვერ გახვალ.
 თუ ამ წყენისთვის საბოლოოდ არ გაგამწარე.
 აქ მოდი, ჩემო ძვირფასო პაკ. თუ გაგონდება,
 ერთხელ, ოდესღაც, კონცხზე ვიჯექი განმარტოებით
 და ყურს ეუგდებდი სირინოზის ტკბილ საგალობელს, —
 დელფინის ზურგზე შემომჯდარი ზღვაში ცურავდა, —
 ისე ტკბილი და სააღური სიმღერა იყო,
 რომ მღელვარე ზღვაც დააცხრო და დააშოშმინა,

ვარსკვლავნი მოწყდნენ გიჟებივით თავიანთ სფერას
და იმ სიმღერის ნოსასმენად ძირს ჩამოცვივდნენ.

ქართული
ლიტერატურა

პ ა კ ი

მახსოვს, ბატონო.

ო ბ ე რ ო ნ ი

სწორედ მაშინ მოვკარი თვალი,
როგორ მიჰქროდა კუბიდონი, აბჯარასხმული,
და ცივი მთვარით განათებულ სივრცეებს ჰკვეთდა.
უეცრად მშვილდი გადმოიღო, მარჯვედ მოზიდა
და დაუმიზნა დასავლეთის ტახტზე მჯდომ ვესტალს,
ისე ღონივრად ასხლიტა და სტყორცნა ისარი,
რომ ასა ათას გულს გაჰკვეთდა და გააპობდა.
მაგრამ შევნიშნე, აღმოდებულ ისარს ხელადვე
როგორ ჩაუქრო მთვარის ცივმა სხივებმა ცეცხლი.
ველარც კი მისწვდა ის ქსრუმთა ტურფა დედოფალს,
რომელიც ისეუ ქალწულებრივ სათნო, უმანკო
ფიქრს მიჰკემოდა. ტახტზე მჯდომი, შეუბღალავი...
ხოლო ისარმა პაწაწინა ყვავილი დასჭრა,
და სატრფიალო ჭრილობისგან თეთრი ფურცლები
სულ მეწამულად შეუღება. ახლა იმ ყვავილს
„ამაო ტრფობას“ ეძახიან. ერთხელ შენთვისაც
მიჩვენებია ის ყვავილი. უნდა წახვიდე
და მომიტანო. იმისგან წვეს გამოსწურავენ
და მიძინებულს წამწამებზე მოასხურებენ;
ვისაც პირველად დაინახავს გაღვიძებული, —
გინდ კაცი იყოს, გინდა ქალი, ეგ სულერთია, —
თავდავიწყებით შეიყვარებს. მაშ, გასწი ჩქარა,
და ვიდრე ერთ მილს გაივლიდეს ლევიათანი,
ისევ აქ გაჩნდი, მომიტანე ის ტრფობის ჯადო.

პ ა კ ი

ოციოდ წუთში დედამიწას გარს შემოვურბენ.

(გადის)



ახლავე უნდა ტიტანიას დავუდარაჯდე,
 და როდესაც კი წაძინებულს ვიხილავ სადმე,
 მყისვე თვალეზზე იმ ყვავილის წვეწვს მივასხურებ.
 რასაც თვალს მოჰკრავს, სულ პირველად, გაღვიძებული,
 გინდ ლომი იყოს, გინდა დათვი, მგელი, კამეჩი,
 მაიმუნი თუ ამნაირი უმგვანი არსი,
 სულთ და გულთ შეიყვარებს, გაშმაგებული,
 მანამ მე თვითონ, სხვა წამალით არ მოვხსნი ჯადოს.
 აღარ დამიჭერს, რა თქმა უნდა, პირფარეშს მაშინ.
 ვილაცა მოდიხ მე, უჩინარა, ვერვინ შემნიშნავს,
 და ყურს დავუგდებ შეუმჩნევლად მაგათ საუბარს.

(შემოდის დემეტრიუსი, მას ელენი მოსდევს)

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ნეტა, რას დამდევ? არ მიყვარხარ, ვერ გაიგონე?
 სად არის მერე ან ჰერმია და ან ლიზანდრი?
 იცოცხლე. მოვკლავ!.. მაგრამ ქალი მე რომ მკლავს აქეთ!
 აკი ამ ტყეში დასამალად გამოიქცნენო!
 ლამის მე თვითონ გავტყუოდი, რადგან არ იქნა,
 ვეღარ ვეღირსე ჩემი ტურფა ჰერმიას ნახვას.
 მომშორდი-მეთქი, რაღას მომდევ, რას ამეკიდე!


ე ლ ე ნ ი

თვითონ მიზიდავ, შე გულქვაო, ადამატივით;
 ამ გულს იზიდავ; გული რკინის არ არის, ვიცი,
 მაგრამ სიმტკიცე-ერთგულეობა ფოლადისა აქვს.
 ჩამოიშორე შენ თვითონვე მაგნიტის ძალა,
 და მეც დავკარგავ მაშინათვე მიზიდვის უნარს.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

მაშ გამოდის, რომ მე გაცთუნებ, მე გეფერები!
 მაინც, რამდენჯერ უნდა გითხრა — არ შემძლია,
 არც მიყვარხარ და ვერც ვეროდეს ვერ შეგიყვარებ.

ე ლ ე ნ ი

სწორედ მაგისტვის ათასწილად უფრო მიყვარხარ.
შენი ცუგა ვარ, შენი ძაღლი. ო, დემეტრიუს,  ერეკლე
თუ გინდა უფრო გელაქუცო, მაგრად გამჯობე.
ძაღლი ვარ-მეთქი — მცემე, მგვემე, წიხლი ამომკარ,
ნურად ჩამაგდებ, ოღონდ ნება დამრთე მე უღირსს,
რომ ცუგასაფით კუდში გდიო. აბა შენს გულში
ამაზე მდაბალს ხომ ვერაფერს გამოიმეტებ —
ძაღლად ჩამთვალა და ძაღლივით მომექცე მუდამ?!
ჩემთვის კი ეგეც უმაღლესი პატივი არის.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ნუ გამაცოფებ, მძულხარ-მეთქი, არ გეყურება!
შენ რომ შეგხედავ, ცუდად ვხდები, გული მერევა.

ე ლ ე ნ ი

მეც ვხდები ცუდად... მაგრამ მაშინ, როცა ვერ გხედავ.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ჩრდილს რად აყენებ შენს ზნეობა-პატიოსნებას?
გამოქცეულხარ ქალაქიდან, დასდევნებიხარ
კაცს, ვისაც შენი სიყვარული სულაც არა აქვს.
შენი საუნჯე — ქალწულობა, უმანკოება
საალაღბედოდ გაგიხდია და მინდობიხარ
ლამის სიბნელეს, უდაბურ ტყის ავსა ცთუნებას!

ე ლ ე ნ ი

ჩემი მფარველი არის შენი პატიოსნება;
შენ რომ გიყურებ, ჩემთვის მაშინ დღეა ნათელი,
და სულაც ვერ ვგრძნობ, დამერწმუნე, ლამის სიბნელეს.
ტყეს რატომ ეოქმის უდაბური — აკი შენ ჩემთვის
ყველაფერი ხარ. მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა,
ან მე რად შეთქმის ტყეში კენტად გადმოხვეწილი,
როცა აქა დგას ეს ქვეყანა და შემომცქერის!

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

უნდა გავიქცე და თავი ბუჩქებს შევაფარო.
შენ ბრძანდებოდე — დრო ატარე მძვინვარ მხეცებთან.

ელენი



მძვინვარე მსეციც არ იქნება ასეთი გულქვა-
რალას უყურებ, გაიქეცი, ძველი თქმულება
შეიცვლება და თავდაყირა დადგება მაშინ:
გარბის აბოლოზ, ვერ ეწევა დაფნა, ბედკრული;
მტრედი კი, ეგერ, გრიფონს მისდევს თავგამოდებით;
უმწეო ნუკაი დასაჭერად ვეფხს გამოუდგა.
რალა აზრი აქვს ამ გაქცევას და აჩქარებას,
როს სიძაბუნე მამაცობას დასდევნებია!

დემეტრიუსი

გაჩიშვი, თავი დაბანებე. აღარ მოგისმენ.
მაგრამ თუ მაინც არ დაიშლი და გამომყვები,
ესეც იცოდე, რომ ამ ტყეში ცუდ დღეს დაგმართებ.

ელენი

რალა ამ ტყეში — ტადარშიაც, ქალაქში, მინდვრად,
შენი შემყურე განა ყველგან ცუდ დღეში არ ვარ!
ფუი, გრცხვენოდეს, დემეტრიუს! უღონო ქალის
ასე დაჩაგვრა გაგონილა! მამაკაცისებრ
სიყვარულს ბრძოლით სუსტი ქალი რას მოიპოვებს!
სახვეწი რა გვაქვს! — აქეთ უნდა გვეხვეწებოდეთ.
არ ნოგშორდები და ჯოჯოხეთს სამოთხედ ვიქცევ;
მიჯნურის ხელით სიკვდილიც კი ნეტარებაა.

(გადიან დემეტრიუსი და ელენი)

ობერონი

დამშვიდდი, ტურფავ. ვერც მოასწრებთ ამ ტყიდან გასვლას,
შენ გაექცევი, ის კი უკან დაგედევნება.

(შემოდის პაკი)

უკვე მოხვედი? მომიტანე ჩემი ყვავილი?

პაკი

დიახ, ბატონო, აგერა მაქვს.

ობერონი

აბა მომეცი.

გორაკი ვიცი ტყეში ერთი, მწვანით მოსილი,

მორცხვი იებით მოხატული, აჭრელებული,
ტკბილსურნელოვან მუშკის ვარდით, ასკილის ბუჩქით
და სირვაშლათი ერთიანად გადმობურული.
იქ უყვარს ხოლმე ტიტანიას ღამით განცხრომა,
იმ ყვავილების შრიალსა და ჩურჩულში სძინავს;
გველიც იქ იცვლის ზრქყვიალა კანს, და ფერიები
გაეხვევიან გველის კანში თავმოწონებით...
წავალ და ამ წვენს ტიტანიას თვალზე ვაბკურებ,
უცნაურ სიზმრებს მოვგვრი ძილში. შენც მოგცემ ცოტას —
აქ ერთი ტურჟა ათენელი ქალია, ტყეში,
უღირს ჭაბუკზე უიმედოდ შეყვარებული.
წადი, იმ ჭაბუკს მოასხურე, ზღონდ იმგვარად,
რომ, გაღვიძებულს, ხელში შერჩეს სწორედ ის ქალი.
ბიჭს ათენური ჩაცმულობით ადვილად იცნობ.
ისე ჰქენი, რომ ქალზე მეტად ბიჭს შეუყვარდეს.
მანამ მამალი იყიკლებდეს, უკანვე მოდი.

პ ა კ ი

ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მიბრძანე.
(გადიან)

ს უ რ ა თ ი II

იგივე ტყე. ზღონდ სხვა ადგილას

(შემოდის ტ ი ტ ა ნ ი ა თავისი ამალით)

ტ ი ტ ა ნ ი ა

აბა, ფერხული გავაჩალოთ, სიმღერა დავსცხოთ
და მალე ისევ თავის საქმეს მიხედოს ყველამ:
ზოგი ვარდებში დაბუდებულ მატლებს გაუუყავს,
ზოგი ღამურებს დაერიოს და ტყავის ფრთები
სულ დააგლიჯოს — ფერიების ტანშესამოსად.
ზოგმა ბუები მოაშოროს აქაურობას:



დაკარგული გვაქვს მოსვენება — სხედან, კივიან
და ჩვენ გვიმზერენ გაკვირვებით, თვალდაჭყეტილნი.
მეცა მჭირდება მოსვენება, ნანა მიმღერეთ,
ხოლო როდესაც დავიძინებ, საქმეს მიხედეთ.

I ფერია

სისინა გველი,
ზვლიკი ტანტალა.
ზღარბი ჩხვლეთია,
მატლი პატარა,
შორს გადაკარგეთ,
ნუ მოვლენ აქეთ,
არ მიაკაროთ დედოფალს, არა.

გუნდი

მოგვაშველე, ფილომელა,
შენი ტკბილი
მოძახილი,
ნანა, ნანა ჩვენს დედოფალს,
ნანა, ნანა, ნანა ტკბილი.
შორს მისგან ვნება,
ჯადო და სნება.
ძილი ჰქონოდეს
და მოსვენება.

II ფერია

ობობასაც განი, განი,
დაუბრუნეთ თავის ბუდეს...
აღარ მისცეთ გასაქანი
მატლებსა და აბლაბუდებს.

გუნდი

მოგვაშველე, ფილომელა,
შენი ტკბილი მოძახილი,
ნანა, ნანა, ჩვენს დედოფალს,
ნანა, ნანა, ნანა ტკბილი.
და ა. შ.



I ფერია

ჩაეძინა, გასწით ჩქარა,
აქ დარაჯად ერთიც კმარა.

(ფერეები გადიან. ტიტანიას ძინავს)

(შემოდის ობერონი)

ობერონი

თვალს პირველად რასაც ჰკიდებ,
მიჯნურადაც მას ჩასთვლიდე.

(ყვავილის წვენს წამწამებზე მოასხურებს)

კვნესდე მისი გადამკიდე:
დათვი, მგელი, კატა, ღორი,
თუნდაც ჯიქი, ვეფხის სწორი,
დაინახო — შეიყვარო.
გულის სატრფოდ გაიხადო!

(გადის. შემოდიან ლიზანდრი და ჰერმია)

ლიზანდრი

რა ვქნა, მგონია, გზა დავკარგე, ჩემო ლამაზო.
შენც, ალბათ, როგორ დაიღალე ტყეში წრიალით!
მოჭდი, თუ გინდა, წამოწეჭი და დაისვენე.
დღის სინათლეზე გზასაც უფრო კარგად გავიგნებთ.

ჰერმია

კარგი. შენ წადი, გამოძებნე საწოლი შენთვის,
მე კი ამ კორდზე მივდებ თავს და აქ დავიძინებ.

ლიზანდრი

კორდი სასთუმლად ორივესაც კარგად გვეყოფა;
გული ერთი გვაქვს — შევაერთოთ საწოლიც ბარემ.

ჰერმია

ხუ, ჩუმო ლიზანდრ, თუ გიყვარვარ, მაგას ნუ იზამ,
ახლოს ნუ მოხვალ. მოშორებით დაწეჭი სადმე.

ლიზანდრი

ნუ გეგონება, თითქოს ცუდი განზრახვა მქონდეს.
მიჯნურზე კარგად ვინ გაიგოს მიჯნურის ენა!
თუკი გულები სამუდამოდ დავაკავშირეთ,
თუ ორი გული — შენიც, ჩემიც — ერთად აძგერდა,
მაშინ შენს გვერდით დაწოლაზეც ნუ მეტყვი უარს.
ორ გულს რომ ვამბობ, ორგულობას ნუკი დამწამებ.

პერმია

შენ ქარაგმებით ლაპარაკში ვინ შეგედრება!
შერცხვეს პერმიას ქალობა და თავმოყვარება,
თუ თავის ლიზანდრს ბრალი დასდოს ორგულობაში,
მაგრამ, კეთილო მეგობარო, გემუდარები, —
ამას მოითხოვს სიყვარულიც და გაზრდილობაც, —
ასეა ქვეყნად მიღებული — ბიჭი და გოგო
განცალკევებით უნდა იყვნენ ჯვარისწერამდე.
მაშ, ღამე ნების, ჩემო კარგო, ეს სიყვარული,
მანამდე პირში სული გიდგას, ნუმც მოგეშალოს.

ლიზანდრი

ამინ და ამინ! შენს ღაღადისს მეც ვუერთდები.
დღეც მომესწრაფოს, ერთგულება თუ დამეკარგა!
აგერ დავწვები. ტყბილი ძილი და მოსვენება!

(იძინებენ)

(შემოდის პაკი)

პაკი

ამოდენა ტყე სულ მოვვლე ფრენით,
მაგრამ არ იქნა, ვერ მივაგენი.
ყვავილის ძალა, გულით მეწადა,
იმ ათენელზე გამომეცადა,
არცა ჩანს რამე, არც რამე ისმის,
როგორღა ვნახო შე კვალი მისი?!
ჩუ! ათენელს ჰგავს... აგერ ყოფილა,
ათენურადვე გამოწყობილა.

ეგერ, ის ქალიც, გაწამებული,
ამ სიბნელეში სად დაგდებულა!
საწყალი გოგო! შიშით და კრძალვით
ვერ ეკარება — შორს გდია მალვით.
ჯერ გამოსცადე ამ ჯადოს ძალი,

(ლიზანდრს თვალებში ყვავილს ჩააწურავს)

ისე შეიტკბო ეს ტურფა ქალი.
რომ მერე ველარ მოსწყვიტო თვალი.
მე კი გავბრუნდი უკანვე ფრენით,
ჩქარა მიმელის მეუფე ჩვენი.

(გადის)

(შემოდის დემეტრიუსი, უკან ელენი მოსდევს)

ელენი

თუნდა მომკალი, დემეტრიუს, ოღონდ გაჩერდი.

დემეტრიუსი

ნუ მომდევ-მეთქი, გეუბნები, თავიდან მომწყდი!

ელენი

ამ სიბნელეში ხომ გავგიყდი! ო, ნუ გამწირავ.

დემეტრიუსი

ჯანდაბამდისაც გზა გქონია. მე კი წავედი.

(გადის)

ელენი

ამდენი დევნით სუნთქვა მეკვრის, გული მისკდება.
რაც უფრო მეტად ვეხვეწები — ნაკლებად მწყალობს...
აბა, ჰერმიას რალა უჭირს, ბედნიერია —
მისი თვალების ელვარება ვის არ მოხიბლავს!
რამ მისცა მერე იმის თვალებს ეს ელვარება?
მლაშე ცრემლებმა? მე ხომ უფრო მეტ ცრემლებსა ვღვრი?!
არა, ნამდვილად მახინჯი ვარ, დათვივით გონჯი —
შიშით მხეცებიც გამირბიან. და რალად მიკვირს,



რომ, ჩემისთანა საფრთხობელას, დემეტრიუსი
 სათოფედ აღარ გაეკაროს და განერიდოს?!
 ოი, მაცთურო და ბოროტო ჩემო თვალებო —
 თქვენ ჰერმიასთან შედარება როგორ გაბედეთ?!
 ამას რას ვხედავ?.. ო, ლიზანდრი! მიწაზე გდია!
 მოჰკლეს? თუ ძინავს?.. სისხლი არ ჩანს, არცა ჭრილობა, —
 ლიზანდრ, თუ პირში სული გიდგას, გამოიღვიძე.

ლიზანდრი

(იღვიძებს)

შენი გულისთვის ცეცხლსაც კი არ შევუშინდები,
 ციურო ელენ. ო, ბუნების საკვირველებავ —
 შენს გულის ფეთქვას როგორ ცხადად ვხედავ შენს მკერდში..
 დემეტრიუსი სად წაბრძანდა? ბილწი, უმგვანი!
 ჩემი ხმლის წერა უნდა გახდეს ეგ არამზადა.

ელენი

მაგას ნუ იტყვი, მეტად ნულარ გაიმეორებ.
 ჰერმია უყვარს დემეტრიუსს, მაგრამ რა მოჰდა —
 ჰერმიას მაინც შენ უყვარხარ, მეტი რა გინდა!

ლიზანდრი

ჰერმიას მეტი რა გინდაო! რას ლაპარაკობ!
 ახლალა ვნანობ იმ ფუჭსა და მოსაწყენ წუთებს,
 რაც მე იმასთან დამიკარგავს. არა, გათავდა,
 ჰერმია მეტად აღარ მიყვარს, ელენი მიყვარს.
 ანკი ყვავს მტრედში ვინ არ გაცვლის, ჭკვათამყოფელი.
 გული გონებას კაცმა უნდა დაუმორჩილოს,
 ხოლო გონება მეუბნება, ელენი სჯობსო.
 ყოველი ხილი თავის დროზე უნდა დამწიფდეს,
 ჩემი გონება უმწიფარი იყო აქამდე,
 ახლა კი, როცა მოვიყარე ამხელა კაცი,
 გულს და სურვილებს წინამძღოლად გონება უდგას,
 და ის მიბრძანებს, სიყვარულის უმდიდრეს წიგნში —
 მაგ შენს თვალებში — ჩვენი ტრფობა ამოვიკითხო.

ო, ღმერთო, ყველას სასაცილო რატომ გამხადე!
 რას მემართლები, ჰა, ჭაბუკო, რა დაგიშავე?
 ის არ მეყოფა, გეკითხები, ის არ მეყოფა,
 რომ არ იქნა და ვერ ველირსე, ვერ მოვესწარი —
 დემეტრეს ჩემთვის სიყვარულით შემოეხედა?!
 ჩემს გაჭირვებას იგდებ მასხრად?! არ გეკადრება!
 სულაც არ არის საკადრისი, ღმერთს გეფიცები,
 რომ ასე ზიზღით, აგდებულად მეკურკურები.
 რა გაეწყობა, კარგად იყავ. უნდა გამოვტყდე,
 კაცური კაცი მეგონე შენ. ვერ გამიგია,
 ქალი, ერთისგან დაგმობილი, უარყოფილი,
 მეორეს მასხრად ასაგდები რად უნდა გახდეს!

(გადის)

ლიზანდრი

ჰერმია არც კი დაუნახავს... მანდვე გეძინოს.
 დღეიდან ველარ ელირსები ლიზანდრთან გავლას.
 ტკბილესი რომ მოგყირჭდება და გულს აგირევს,
 ერესში ჩაფლულს ის ერესი რომ მოგბეზრდება
 და მერე მისი გახსენებაც კი ტანში გზარავს,
 ასე მომყირჭდი, ველარ გიტან, გულზე მადგიხარ,
 საძულველ იყავ ყველასაგან, ჩემგან — მით უფრო!..
 რაც მახადია — სიყვარული, გული და სული,
 მე რაინდულად ელენისთვის მიმირთმევი.

(გადის)

ჰერმია

(იღვიძებს)

მიშველე, ლიზანდრ, მომეშველე, ჩქარა, მიშველე.
 ო, ჩქარა მოდი, ეს ასპიტი მომგლიჯე გულზე...
 რა საშინელი სიზმარია! ო, შემიბრალებ!
 როგორ ვკანკალებ შიშისაგან, ვერ ხედავ, ლიზანდრ?!
 სიზმარში ვნახე, გულსა მწოვდა ბილწი ასპიტი,



შენ კი იჯექი არხეინად და იღიმოდი...
ლიზანდრ!.. წავიდა! აღარ არის? ლიზანდრ, ო, ღმერთო!
არ გეყურება? თუ წახვედი? ხმასაც არ იღებს.
სადა ხარ, ლიზანდრ, ხმა გამეცი, მითხარი რამე?
ხმა ამოიღე, თუ გიყვარვარ... ლამის გავგოჟდე.
ჰა?.. წახველ განა? აღარ ჩანხარ? მეც რაღას ვუცდი —
ან შენ მოგძებნი ანდა სიკვდილს, დაუყოვნებლივ.

(გაღის)



მოქმედება მისამე

სურათი I

ტყე. ტიტანიას ძინავს

(შემოდინ კომშა, კოხტაპრუწა, ფსკერა, სტვირა,
დრუნჩა და კნაჭა)

ფსკერა

ყველანი აქა ვართ?

კომშა

მაშა, მაშა, ადგილიც სწორედ რეპეტიციისათვის არის ზედგამოჭრი-
ლი. ეს მწვანე კორდი სცენა იყოს, საპირფარეშოდ კიდე კუნელის
ბუჩქები გამოგვადგება. ისე გავითამაშოთ მთელი პიესა, თითქოს
უკვე მთავარი გვიყურებდეს.

ფსკერა

პიტერ კომშა...

კოშა

რას მიბრძანებ. ყოყლოჩინა ფსკერა?

ფსკერა

იჩისთანა რაღაცეებია ამ ჩვენს პიესაში, რომ კაციშვილს არ მოეწო-
ნება. ჭერ, თუნდაც, პირამუსი რომ ხმალს იძრობს და თავს იკლავს...
ამას გაუძლებენ ჩვენი ქალები?! ჰა, რას იტყვი?

დრუნჩა

ღვთიშობლის მადლმა, მართლაც რომ საშინელი რამე იქნება.

კნაჭა

ჩვენც ავდგეთ და ამოვაგდოთ ეს მკვლელობა.

ფსკერა



რას მიჰქარავ. მე უკვე მოვიფიქრე ყველაფერი. თქვენ ოღონდ პროლოგი დამიწერეთ... დამიწერეთ, რომ ჩვენ დაბლაგვებული ხმლები გვაქვს და მართლა კი არა კვდება პირამუსი. ის კი არა და, თუ გაჰქირდა, პირდაპირ ვუთხრათ, რომ მე, პირამუსს რომ ვთამაშობ, მართლა პირამუსი კი არა ვარ, ფეიქარი ფსკერა ვარ. ამის მერე რაღა შეაშინებთ!

კომშა

დავწეროთ, მაგასაც რომ ბევრი რამე უნდა!.. რვა-რვა და ექვს-ექვს მარცვლიანი იყოს.

ფსკერა

ბარემ ორიც დაუმატე — სულ რვიანი იქნება.

დრუნჩა

ქალებს ლომისა არ შეეშინდებათ?

კნაჭა

მეც ეგ მაფიქრებს, ნამდვილად შეეშინდებათ.

ფსკერა

კარგად აწონ-დაწონეთ, ბიჭებო. ქალებთან ლომის შემოყვანას ეხუმრები?! — ღმერთმა დაგვიფაროს! — შიშით ხომ სული გაძვრათ. ეგ თქვენი ცოცხალი ლომი ყველაზე საშინელ მხეცადა თქმულა. კარგად უნდა აწონ-დაწონოთ.

დრუნჩა

გამოვიდეს მეორე პროლოგი და, ეგ ლომი არ არისო, გამოაცხადოს.

ფსკერა

არა. სახელი დავუძახოთ პირდაპირ. თან, ლომის ტყავს რომ შემოიხვევს, ნახევარი სახე გამოაჩინოს. თქვას კიდევ, პირდაპირ ასე ილაპარაკოს: „ქალბატონებო“... ანდა „მშვენიერო ქალბატონებო... მე მინდა, რომ“ ...ან „უნდა მოგახსენოთ“... ანდა „უმორჩილესად

გთხოვთ... ნუ შეგეშინდებათ, ნუ აკანკალდებით. თქვენთვის, მზადა ვარ, თავი დავდო. თქვენ რომ მართლა ლომი გეგონოთ, მტრისას, ცუდად წავა ჩემი საქმე. არა, არც ლომი ვარ და არც არაფერი. მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ“... მერე ადგეს ბარემ და თქვას კიდევ თავისი ვინაობა. პირდაპირ უთხრას ხალხს, ხურო კოხტაპრუწა ვარო.

კო მ შ ა

შენ სხვა რაზე თქვი! როგორ გინდა, მთვარე ოთახში შემოიყვანო? აქ წერია — პირამუსი და თისბი მთვარის შუქზე ხვდებიან ერთმანეთსო.

კოხტაპრუწა

საერთოდ, იქნება კი იმ ღამეს მთვარე, ჩვენ რომ მაგ პიესის წარმოდგენას ვაპირებთ?

ფსკერა

კალენდარი ნახეთ, კალენდარი! წიგნში ჩაიხედეთ. აბა ნახეთ, სად არის მთვარე! მთვარე მოძებნეთ.

კო მ შ ა

კი. მთვარე იქნება.

ფსკერა

ჰოდა, მორჩა. საცა პიესის დადგმას ვაპირებთ, იმ დარბაზში ერთი დარბაზია დავტოვოთ, და იქიდან შემოვა მთვარე.

კო მ შ ა

ჰო. ან არადა, ვინმე შემოვიდეს, ფანარი და ბუჩქები შემოიტანოს და, მთვარის როლს ვთამაშობო, პირდაპირ გამოაცხადოს. ამას კი მოეფლება, შენ ისა სთქვი, გალავანს რა მოვუხერხოთ; გალავანიც გვინდა დარბაზში. პიესაში გარკვევით წერია, პირამუსი და თისბი გალავნის ხვრელში ელაპარაკებოდნენ ერთმანეთსო.

კოხტაპრუწა

გალავანს რა შეგვატანინებს ოთახში!.. ჰა, რას იტყვი, ფსკერა?

ფსკერა

გალავნის როლიც შეასრულოს ვინმემ. წავთხიპნოთ თიხით და ალი-

ზით და გაღივანი გამოვა. თითები ასე გააკეთოს, თითქოს ხვრელია.
და პირამუსი და თისბიც ამ ხვრელში ეჩურჩულონ ერთმანეთს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კო მ შ ა

ამასაც თუ კი შემოევლება, მაშინ აღარაფერი არ გვიჭირს. აგერ ჩამოგექით, დედმამის სულგანათლებულებო, და თქვენ-თქვენი როლი გაიმეორეთ. აბა, დაიწყე, პირამუს, და როცა მორჩები, ბუჩქებში შეძვერი. სხვებმაც ასე ქნას, თავთავის სათქმელს რომ დაამთავრებს. ბუჩქებში შეძვრეს.

(სცენის სიღრმეში პაკი გამოჩნდება)

პაკი

ეს ხეპრე ხალხი სად შეყრილა, რა თავს იგდებენ?!
ზედ დედოფალის სარეცელთან ერთი ყოფა აქვთ!
ჰა, პიესაო? მაშ მე გავწევ ნაყურებლობას,
და თუ ვაჭირდა, გამოვდგები მსახიობადაც.

კო მ შ ა

აბა, პირამუს! შენც მოემზადე, თისბი.

ფსკერა

თისბი, ძვირფასო, შენ ყვავილო სუნმორეულო...

კო მ შ ა

სურნელოვანო, სურნელოვანო!

ფსკერა

...შენ ყვავილო სურნელოვანო,
შენს ტუბილ სუნთქვასაც საამური სურნელი ახლავს.
რა ხმაურია!.. ცოტა ხანი აქ დამიცადე,
მალევე მოვალ! ვინ ხმაურობს, გავალ და ვნახავ.

(გადის)

პაკი

(თავისთვის)

არ გაგონილი, არნახული პირამი გახლავთ!

(გადის)

ს ტ ვ ი რ ა

ახლა ჩემი ჯერია?

კ ო მ შ ა

შენია, მაშ ვისია! რით ვერ გაიგე — ხმაურს რომ გაიგონებს, იმის სანახავად გადის და ხელადვე შემობრუნდება.

ს ტ ვ ი რ ა

შროშანზე თეთრო, ო, პირამუს, შუქმომფინარე, წითელ ვარდზედაც უწითლესო ასკილის ვარდო, მარად ანკარა ბროლის წყარო, ბროლის მდინარე, ცხენზე ერთგულო, სულ რომ დარბის, დაღლას არ დარდობს. ნინის საფლავთან დაგიხვდები, ჩემო პირამუს...

კ ო მ შ ა

„ნინუს საფლავთან“, კაცო, „ნინუს საფლავთან“... ეგეც რომ არ იყო, რა გეჩქარება, ეგ ხომ პირამუსს უნდა უპასუხო. მთელი როლი ერთბაშად გინდა დაფქვა — რეპლიკაცა და ყველაფერიც?.. შემოდი, პირამუს. უკვე იყო შენი რეპლიკა — „დაღლას არ დარდობს“.

ს ტ ვ ი რ ა

ო... ცხენზე ერთგულო, სულ რომ დარბის, დაღლას არ დარდობს.
(შემოდინან პაკი და ფსკერა, რომელსაც ვირის თავი აქვს გამობმული)

ფ ს კ ე რ ა

ლამაზი ვიყო, მხოლოდ შენი ვიქნები, თისბი!

კ ო მ შ ა

ამას რას ვხედავ! ვაი! ავი სულელები დაგვხვევია!.. არიქა! არიქა, თავს უშველეთ!.. მოგვეხმარეთ!..

(გადის. მას მიჰყვებიან კოხტაპრუწა, სტვირა, დრუნჩა და კნაჭა).

პ ა კ ი

არ მოგეშვებით, ტარაბუას დაგახვევთ ყველას, შემოგატარებთ ჭყანტობს, ჯაგნარს, ბარდსა და ეკალს, ვიქცევი მწევრად, ტახად, დათვად. ცეცხლად ვიქცევი, გამოგენთებით ყეფით, ღრენით, დუდღუნ-ღრუტუნით.

(გადის)



ფსკერა

ნეტა რამ დააფეთა ეს ხალხი? მიგიხვდით ყალთაბანდობას დათ, რომ შემაშინოთ, არა?!

(შემოდის დრუნჩა)

დრუნჩა

ო, ფსკერა, ამას რას ვხედავ! რა გამოუბამთ მხრებზე შენთვის!

ფსკერა

რას უნდა ხედავდე, შე ვირისთავო შენა?!

(დრუნჩა გადის).

(შემოდის კომშა.)

კომშა

ღმერთი იყოს შენი შემწე, ფსკერა. ღმერთმა გიშველოს! ეს რა დღე-ში ჩაუგდინბართ!

(გადის)

ფსკერა

მიგიხვდით მაგ ყალთაბანდობას. დიდყურა ვირი ხომ არ გგონივართ, რომ ასე ადვილად გამაცუროთ! უნდათ, რომ შემაშინონ. ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. აბა, სცადეთ, შემაშინეთ. აგერ გავივლ-გამოვივლი ჩემთვის არხეინად და სიმღერასაც შემოვძახებ. აჰა, თუ მეშინია.

(მღერის)

შავი შაშვი, ნისკარტწვრილი,
ჩიტუნები რადარა —
აქ შოშია — ზის ხმატკბილი,
იქ ნიბლია, პატარა.

ტიტანია

(იღვიძებს)

რა ანგელოზმა გამაღვიძა, ნეტა ვიცოდე.

ფსკერა

ტოროლები, ცად აჭრილი.

ბელურები, სკვინჩები.

ციო გუგულის მოძახილი,
ზალხის განოჯიბრებით.



თუმცა იწიბთანა სულელი ჩიტია, რამდენიც არ უნდა ეჩიჩინო, რას
შეასმენ? სულ „გუ-გუს“ კი გაიძახის, მაგრამ ვინ გაუბედავს, მატყუ-
არა ხარო!

ტიტანია

კიდევ იმღერე. გეხვეწები, ძე-ხორციელო,
სმენა დამიტკბო შენმა ტკბილმა საგალობელმა,
თვალეები ისე მოიხიბლა შენი მშვენებით,
შენი გმირული შემართებით და სათნოებით,
რომ შეგხედე და შემეყვარდი ერთის შეხედვით.

ფსკერა

მაინცადამაინც გონივრული გადაწყვეტილება ვერ მიგიღია, ქალბა-
ტონო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, გონება და სიყვარული ამ ბოლო
ხანებში დიდად ვერ ეწყობიან ერთმანეთს. მით უფრო სამწუხაროა,
რომ პატიოსანა მეზობლებიც არ ცდილობენ, შეარიგონ. აჰა, ხუმრო-
ბაც შემსლებია, თუ დამჭირდა!

ტიტანია

ასე მშვენიერს, შესაფერი ჭკუაც გქონია.

ფსკერა

არც ეგ უნდა იყოს მთლად მართალი. მაგრამ იმდენი ჭკუა თუ გამო-
ვიჩინე, რომ ტყიდან გასვლა მოვახერხე, მეტი არც მინდა.

ტიტანია

ამ ტყიდან გასვლას აგრერიგად ნუ ეშურები.
გსურს თუ არა გსურს, სულერთია, ჩემთან დარჩები.
დედოფალი ვარ ფერიათა. სწორუბოვარი,
ჩემს სამეფოში გამუდმებით ზაფხული სუფევს,
და რაკი ასე შემეყვარდი, შენც თან წაგიყვან.
ფერიებს მოგცემ — იმსახურე, რამდენიც გინდა,
ზღვათა სიღრნიდან მარგალიტებს ამოგიღებენ,
ვარდ-ყვავილებში წაძინებულს, ნანას გიმღერენ...
შენს სხეულს, მიწით დამძიმებულს, ისე გარდავქმნი,

და ისე გავწმენდ — ცაში იფრენ ფერიასავით.
აბა, მუხუდო! აბლაბუდა! მდოგვო! ფარვანავ!

(შემოდის ოთხი ფერია)

I ფერია

აქ ვარ,

II ფერია

აქ ვარ.

III ფერია

მეც.

IV ფერია

მეც აქ ვარ.

ოთხივე ერთად

საით გავფრინდეთ?

ტიტანია

ამ კაცს ეახლეთ თავაზითა და მოკრძალებით,
მის წინ იხტუნეთ, იცეკვეთ და იმზიარულეთ,
ყურძნით, გარგარით, ლელვითა და მაყვალით კვებეთ,
ფიჭიდან თაფლი გამოწურეთ და ის მიართვით,
აოლო ფუტკრების ცვილოვანი ფეხებისაგან
წვრილი სანთლები ჩამოჰქენით, ციციანათლების
ელვარ თვალბეჭე მოუკიდეთ და ამ სანთლებით
დასაძინებლად მიაცილეთ ჩემი ტრფიალი;
პეპლებსაც ფრთები მოგლიჯეთ და მთვარის სხივები
მერე ამ ფრთების მარაოთი თქვენ მოუჩრდილეთ.
თავი დახარეთ მის წინაშე. თაყვანი ეცით.

I ფერია

ჩემი სალამი ძე-ხორციელს!

II ფერია

ჩემი სალამიც!



III ფერია

ჩემიც

IV ფერია

ჩემიც.

ფსკერა

სულთ და გულთ მადლობას გიძღვნით... თქვენს სახელს ვერ მეტყვით, ბატონო?

აბლაბუდა

აბლაბუდა.

ფსკერა

გულთ მონატრული ვარ უფრო ახლოს გაგიცნოთ, ბატონო აბლაბუდა. თითი თუ გავიჭერი, არ მოგერიდებით და პირდაპირ მოგადგებით... თქვენი სახელი, ბატონო?

მუხუდო

მუხუდო.

ფსკერა

თუ ძალიან არ შემიწუხდებით, დედათქვენი კვახი და მამათქვენი ცერცივი მომიკითხეთ, ჩემო ბატონო. თქვენთან დაახლოების მონატრულიც ვარ, ბატონო მუხუდო. თქვენი სახელი, ბატონო?

მდოგვი

მდოგვის მარცვალი.

ფსკერა

ვაიმე, ჩემო საყვარელო მდოგვო, თქვენი მოთმინების ამბავი რომ ვიცე! იმ უსინდისო, წაწვრილებულ სუკის ნაჭრებს რამდენი თქვენისთანა პატიოსანი მდოგვის მარცვალი მოუნელებია. იმათი ცოდვა ბრალით აგერ ახლაც კი მეცრემლება თვალები. თქვენთან დაახლოებისაღ დიდი მონატრული ვარ, ბატონო მდოგვის მარცვალო.

ტიტანია

აბა, გაჰყევით, მიაცილეთ ჩემს თალარამდე. მთვარეს თვალები ეცრემლება, აქედან ვატყობ,

და მის ტირილზე ყვავილებიც ცრემლებსა ღვრიან,
შეურაცხყოფილ უბიწობას თუ მისტირიან!
გაპყევით, პირი აუკარით, უხმოდ იარეთ.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი I I

იგივე ტყე, ოღონდ სხვა ადგილას.

(შემოდის ო ბ ე რ ო ნ ი)

ო ბ ე რ ო ნ ი

ნეტა ვიცოდე, ტიტანიამ თუ გაიღვიძა,
ან, გაღვიძებულს, სულ პირველი რა მოხვდა თვალში,
რა შეიყვარა ტრფობის ცეცხლით აღმოდებულმა?!
აგერ, შიკრიკიც.

(შემოდის პ ა კ ი)

აბა ჩემო გადარეულო,
შითხარ, რა მოხდა ფერიებით გაჭედულ ტყეში?

პ ა კ ი

ვიღაც უჩინული შეუყვარდა დედოფალს ჩვენსას.
ხედ იმის წმინდა სარეცელთან, აქვე, მახლობლად,
სადაც, გაიწებრომით, დედოფალი ძილს მისცემოდა,
ჯგროდ შემოლაგდნენ ათენელი მდაბიოები —
ლუკმა-პურისტვის ქუჩა-ქუჩა მომუშავენი...
გადუწყვეტიათ თეზეუსის ქორწინებაზე
რადაც უმგვანი წარმოდგენა გაითამაშონ
და აქ მობრძანდნენ იმ პიესის მოსამზადებლად.
ყველაზე ხეპრეს იმათ შორის კისრად უღვია
პირამის როლი. და ცოტახნით როცა გავიდა,
მეც დრო ვიხელთე, თან მივპყევი და იმ ბუჩქებში,
მხრებზე დიდყურა ვირის თავი დავადგი ხელად...
თისბი სცენაზე იყო ამ დროს, ელოდებოდა,

და როცა ჩემს ვირს თვალი ჰკიდეს დანარჩენებმა,
გარეულ ბატებს მონადირე რომ შეაშინებს,
ან ბედურები თოფის ხმაზე რომ დაფრთხილებიან,
აიშლებიან დაფეთებით, ასტეხენ ჭყვილს
და გიჟებივით ცის კამარას ეკვეთებიან. —
ამათაც ისე მოუვიდათ, როცა დალანდეს,
თავქუდმოგლეჯით გავარდნენ და გადაიკარგნენ...
მე ვითომ მივდევი, ფეხის ტყაპუნს მოვჰყვები უცებ,
ძირს ეცემიან, ათენიდან ითხოვენ შველას,
მოგვეკლესო, ასე გაჰკვივიან. ისეც ჰკვასუსტებს
შიშმა სულ თავგზა აუბნია. გამოაღენჩა.
ეკალ-ბარდებიც მივუსიე, — ხან ქუდებს გლეჯდნენ,
ხან ხელებსა და ტანსაცმელზე ექაჩებოდნენ...
იქ თავშეცვლილი პირამუსი დავტოვე მხოლოდ.
უეცრად ვხედავ, დედოფალმაც გამოიღვიძა,
პირველად ამ ვირს ჰკიდა თვალი და შეუყვარდა.

ო ბ ე რ ო ნ ი

ამნაირ ბოლოს, სწორე გითხრა, ვერც ვინატრებდი.
ახლა მითხარი, იმ ათენელს, მე რომ გიბრძანე,
თუ მოასხურე წამწამებზე ტრფობის სამსალა?

პ ა კ ი

მაგრად ეძინა, მე რომ ვნახე... მაგასაც მოვრჩი...
იქვე ათენელ გოგონასაც ჩასძინებოდა.
და პირველს, იმ ქალს დაინახავს, გაღვიძებული.

(შემოდინა ჰერმია და დემეტრიუსი)

ო ბ ე რ ო ნ ი

ჩუმად იყავი! აგერ სწორედ ის ათენელი.

პ ა კ ი

ქალი ის არის... ამ ყმაწვილს კი პირველად ვხედავ.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

იმას რად ჰკიცხავ, ვისაც გულით შეყვარებინარ?!
ასე მწარედ ხომ მტერსაც არვინ არ გაამწარეს.

ჰერმია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ გკიცხავ მხოლოდ — უარესებს მერე ელოდე, თავს დაგატყდება რისხვად ჩემი წყევლა და კრულვა: სისხლში მოთხვრილხარ ერთიანად, თავით ფეხამდე. თუ მართლა მოჰკალ შენ ლიზანდრი, წაძინებული, ბარემ შეცურდი ერთხელ კიდევ სისხლის მორევში და მეც მომკალი.

ნათელი დღისთვის მზეც არ არის ისე ერთგული, რა ერთგულადაც მე ლიზანდრი მექცევა მუდამ. როგორ — დასტოვოს მან მძინარე ჰერმია მარტო და თვითონ სადღაც გაიპაროს?! მაგაზე უმაღლეს ვირწმუნებ — დედამიწა შუა გაიპოს, შიგ მთვარე გაძვრეს, გაიაროს მიწის წიაღი და, იქით მხარეს გამოსულმა, თავისივე ძმას — შუადღის ცაზე გასულ მნათობს — გული დაწყვიტოს. არა, ნამდვილად მოკლული გყავს ჩემი ლიზანდრი — სახეც მკვლელის გაქვს. საშინელი და არეული.

დემეტრიუსი

მკვლელის კი არა, მკვდრის სახე მაქვს.

ვარ კიდევ მკვდარი.

შენი სიხვე-მრისხანებით გულგაპობილი.

შენ კი, მკვლელს ჩემსას, იმნაირად გიბრწყინავს სახე, თითქოსდა ცაზე მოციმციმე ვარსკვლავი იყო.

ჰერმია

შენ მაგით ლიზანდრს შეურაცხყოფ. სად არის, მითხარ? ო, დემეტრიუს, სთქვი, ჩემს ლიზანდრს არ დამიბრუნებ?

დემეტრიუსი

უმაღლეს ჩემს ძაღლებს გადავუგდებ მის მძოვრს საჯიჯგხად.

ჰერმია

შენ თვითონ ძაღლო და წუბაკო, თავიდან მომწყდი!

ქალის რიდსა და მოთმინებას ნუ მაკარგვინებ.

მაშ, მოჰკალ იგი?! შენ, კაცთაგან შეჩვენებულო!

ამ ერთხელ მაინც მართალი სთქვი, სიმართლე მითხარ!
გამოდვიძებულს შიშით თვალის ვერ გაუსწორე
და ძილში მოჰკალ?! ბარაქალა შენს ვაჟკაცობას!
ამას ხომ გველიც, ასპიტიც ვერ მოახერხებდა.
მაგრამ ასპიტმა მოჰკლა სწორედ. რადგან თვით გველსაც,
ასე არავინ დაუგესლავს ორკაპა ენით.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ტყუილუბრალოდ მიცხარდები, ლიზანდრის სისხლში,
თუ დამიჯერებ, ხელი სულაც არ გამისვრია.
არც არის მკვდარი.

ჰ ე რ შ ი ა

რაო, რა სთქვი? გემუდარები,
მართალი მითხარ. მაშ, ლიზანდრი ცოცხალი არის?

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ვთქვით, რომ გითხარი — რას მპირდები სამაგიეროდ.

ჰ ე რ შ ი ა

ჯილდოს!.. რომ მეტად ველარასდროს ველარ დამლანდავ.
დასახანადაც მეზიზღები. ვერც მნახავ მეტად —
გინდ მკვდარი იყოს ლიზანდრი და გინდა ცოცხალი.

(გადის)

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

რაღა აზრი აქვს მაგის დევნას. სულ გაკაპასდა!
ბარემ დავრჩები და ცოტახანს აქ დავისვენებ.
დამწუხრებულ გულს უძილობა უფრო ამძიმებს...
აგერ თავს მივდებ — დაე ძილმა, გაკოტრებულმა,
გულს დაუბრუნოს თავის ვალი და შვება მისცეს.

(შვება და იძინებს)

ო ბ ე რ ო ნ ი

ეს რა გიქნია?.. ყველაფერი აგირევია!
ტრფობის სამსალა სწორედ მისთვის ჩაგისხამს თვალში,
ვინც უმისოდაც სიყვარულით კარგავდა ჭკუას:

იმის ნაცვლად, რომ ორგულისთვის გაგებო გული,
ჰეშმარიტ მიჯნურს ერთგულება დააკარგვინე.



პ ა კ ი

ეს ბედისწერის კანონია: ერთი ერთგული
და მილიონი ორგული და ფიცისგამტეხი.

ო ბ ე რ ო ნ ი

ახლა წადი და ტყეს ქარივით ჩამოუქროლე,
ის ათენელი გოგო უნდა მოძებნო სწრაფად,
ელენი ჰქვია... ფერმიბდილი დაეხეტება,
ოხრავს და ხვნეშის გულმოკლული და სისხლგამშრალი,
აქეთკენ უნდა გამოუძღვე, გამოიტყუო,
მე კი მანამდე ამ ვაჟბატონს მოვაჯადოვებ.

პ ა კ ი

თვალსაც ვერ მომკრავ. ისე წავალ... აბა, გავფრინდი,
თაარის მშვილდისგან ასხლექილი ისრის სისწრაფით.

(გაღის)

ო ბ ე რ ო ნ ი

ყვავილო ტკბილო, წითლად ნაღებო,
ამურის ისრით დაჭრილო თავად,
(დემეტრიუსს თვალეში ჩააწურავს ყვავილს)

ამ ყმაწვილს თვალში ღრმად გაუჯექი
და ყველაფერი თავისია წავა —
რომ გაიღვიძებს და დაინახავს,
მოეჩვენება აშოლტილ ლერწმად,
ვენერასავით ნათელის მფრქვეველს
მერე თვითონვე დაუწყებს ხვეწნას.

(შემოდის პ ა კ ი).

პ ა კ ი

ჩემო მეუფევ და ამაგდარო,
ელენი ახლა აქეთკენ ჩქარობს,
ის ახალგაზრდა, გულდათუთქული,
ასდევნებია ძუნძულძუნძულით.

აქვე არიან, ჩვენგან სულ ახლოს...
აგერ დავდგეთ და სერი ვხახოთ.

ო ბ ე რ ი



განზე მიღეჭი, მაგათი დავა
დემეტრიუსსაც დაუფრთხობს ძილსა.

პ ა კ ი

რას გავიხარებ!.. ორივე ბიჭი
ერთ საწყალ გოგოს დაუწყებს ღიჭინს!

(შემოდინ ელენი და ლიზანდრი)

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

რატომ გგონია, რომ დაგცინი და მასხრად გიგდებ?
სად გაგონილა, დაცინვის დროს სტიროდეს კაცი,
მე კი, ხომ ხედავ, საკუთარი ცრემლები მახრჩობს!
ფიცი, ცრემლებით დადებული, წმინდაა მუდამ.
როგორ იქნება, დაცინვად და ზიზლად მიიღო,
აღთქმა, რომელსაც ასე წმიდა სამოსი მოსავეს!..

ე ლ ე ნ ი

შენს ვერაგობას აღარ უჩანს ზღვარი და ბოლო;
ჭეშმარიტ ფიცს რომ ჭეშმარიტი ფიცითვე ჰკლავენ,
ჯოჯობეთურად წმიდა ბრძოლა ჰქვია ამ ბრძოლას.
აკი ჰერმეას მიუძღვენი ეს შენი ფიცი!
ძალიან ბევრი მოგივიდა? ასწონე ბარემ,
და დარწმუნდები, აწონვადაც არ ღირებულა.
ერთ პინზე დადე ჯერ ეს ფიცი, რა'აც მე მიძღვნი,
მეორეზე კი — ჰერმეასთვის რაც მიგიძღვნი,
სასწორის ენა ერთ დონეზე დადგება მაშინ,
ბუძბულის წონაც არ ექნება ორივე აღთქმას.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

ტვინი მქონია არეული, მას რომ შევფიცი.

ე ლ ე ნ ი

მე კი მგონია, არც ახლა გაქვს დალაგებული.

დემეტრე ჰკარგავს მასზე ჰკუას. შენ — არ უყვარხარ.



დემეტრიუსი

(იღვიძებს)

ო, ჩემო ელენ, ჩემო ნიმფა, ჩემო ღვთაება,
 შეხი თვალების ელვარება რას შევადაოო:
 ბროლი სად მოვა მაგ თვალებთან — ამღვრეული ჩანს.
 'შენს მწიფე ტუჩებს, ალუბალის სისავსე ახლავთ
 და საკოცნელად მეძახიან, ვით ალუბლები.
 ხელი ასწიე — სინატიფე მაგ შენი მკლავის,
 თავრიზის მთებზე გადაფენილ ქათქათა თოვლსაც
 ხელადვე ყორნად გადააქცევს და ჩააშავებს.
 უფლება მომე, გეამბორო ბროლის დედოფალს.

ელენი

ოი, სირცხვილო! ჯოჯოხეთო!.. პირი შეგიკრავთ,
 რომ გამამასხროთ და უტიფრად თავი გაიროთ.
 თქვენ რომ ზრდილობა და ნამუსი გქონოდათ ოდნავ,
 სავს არ მომჭრიდით, ამნაირად არ გამწირავდით.
 ვიცი რომ გძულვართ — სიძულვილი მაინც მაკმარეთ,
 დაცინვასა და გამასხრებას რას მემართლებით?
 ფაეკაცს კი გავხართ, და სულიც რომ ვაჟკაცის გქონდეთ,
 ქალის ამგვარი გაწვალება სად გაგონილა!
 მაქებთ, მადიდებთ, შეფიცებით ერთგულ სიყვარულს,
 მაგრამ ხომ ვიცი, სიძულვილით სავსე გაქვთ გული.
 ჰერმიასათვის რომ ქიშპობდით, ეს ყველამ იცის,
 ახლა ჩემს მასხრად აგდებაშიც შექიშპებულხართ.
 აფერუმ მაგ თქვენს გამირობასა და შემართებას —
 საბრალო გოგოს დასცინით და ცრემლს აფრქვევინებთ.
 კაცური კაცი ამას იზამს — თავშესაქცევად
 უმწეო ქალის მოთმინება ჯიჯგნოს და წიწკნოს?!

ლიზანდრი

კმარა, გეყოფა, დემეტრიუს, ეგ უხამსობა!
 შენ ჰერმიაზე ჰკარგავ ჰკუას, ეს ყველამ იცის.

მთელი კეთილი სურვილებით, სულით და გულით,
ჰერმია შენთვის დამითმია. შენ კი, სანაცვლოდ,
ტურფა ელენის სიყვარული უნდა დამითმო. რადგან
მიყვარს და მეყვარება სიკვდილის დღემდე.

ელენი

ჯერ კაციშვილი ასე მასხრად არ აუგდიათ.

დემეტრიუსი

შენი ჰერმია ვის რად უნდა — შენ თვითონ გყავდეს.
ის დრო წავიდა, თუ ოდესმე მართლა მიყვარდა,
სტუმრად ყოფილა ჩემი გული მასთან აქამდე,
და ახლა ისევ შინ ბრუნდება თავის ელენთან.
რომ სამუდამოდ მასთან დარჩეს.

ლიზანდრი

არ ენდო, ელენ.

დემეტრიუსი

თვით ფიცის გამტეხს, სხვაც ორგული ნუ გეჩვენება.
თორემ, იცოდე, თავს წააგებ მაგ სიგლახისთვის.
'შენი ტრფიალი აგერ მოდის, იმას მიხედე.

(შემოდის ჰერმია)

ჰერმია

ღამის წყვდიადმა თვალს ერთიან მოუსპო საქმე,
სამაგიეროდ ყურთა-სმენა გაგვიმახვილა —
რაც თვალს დააკლო, ის ორმაგად ყურს დააკისრა.
ჩემმა თვალებმა შენი კვალი დაჰკარგეს, ლიზანდრ,
და. მაღლობა ღმერთს, ისევ სმენამ მომაგნებინა.
ისე უგულოდ რად დამტოვე?

ლიზანდრი

რისთვის მეცადა,

თუკი გულს აქეთ სიყვარული მოუწოდებდა.

ჰერმია

რა სიყვარულმა მოგაშორა ჰერმიას, ლიზანდრ?



ტურთა ელენის სიყვარულმა. მისმა მშვენებამ
ეს ცეცხლოვანი მნათობები სულ ჩაამუქა.

ნეტა, რას დამდევ? ველარ მიხვდი, ველარ შეიგნე,
რომ შეზიზღები და მიტომაც დაგტოვე ისე?!

ჰერმია

კერ დავიჯერებ. სხვას ფიქრობ და სხვას ლაპარაკობ.

ელენი

ესეც შეთქმული არ ყოფილა! ახლა კი ვხედავ,
ჩემს წინააღმდეგ ამათ ერთად შეუკრავთ პირი,
რათა სამივემ ყბად ამიღოს და გამამასხროს.
გულქვა ჰერმია! უმადურო და ღვარძლიანო,
ასე ბინძურად გამიმეტე?! ამათ აპყევი?!
ეს იყო ჩვენი მეგობრობა, როცა ერთმანეთს
დობა შევფიცეთ, საიდუმლოც საერთო გვქონდა,
და სწრაფად მავალ დროს ვკიცხავდით, გულდაწყვეტილნი,
როს ერთმანეთთან განშორების უამი დგებოდა...
ასე მიეცეს დავიწყებას სულყველაფერი?!
სკოლის დღეებიც? ის ბავშვური უმანკოებაც?
ნუთუ არ გახსოვს, როგორც ორი ხელმარჯვე ღმერთი,
ერთად ვისხედით და ორივე. შთაგონებული,
ნემსით ვქარგავდით, ერთ ტილოზე მხოლოდ ერთ ყვავილს;
თან კი ვმღეროდით, ხმაშეწყობით. თითქოს ხელებიც,
ხმაცა, გონებაც, ფიქრი ჩვენი, მთელი არსება,
ერთი მთლიანი ყოფილიყოს. განუყოფელი.
ასე, ამგვარად ვიზრდებოდით. როგორც ალუბლის
ორი მარცვალი, გამობმული ერთ ყუნწზე წყვილად —
სხვადასხვაც ითქმის, და თან თითქოს მთლიანიც არის,
ჩვენც ამგვარადვე — ერთი გული გვქონდა ორ სხეულს.
ჩვენს ძველ სიყვარულს გამეტებით იგლეჯ გულიდან
და ძამაკაცებს უერთდები, რომ საწყალ დობილს
დაცინვით სული გაუმწარო! ვიშ, ამ ქალობას,
ვიშ, ამ ჭეშმარიტ მეგობრობას!.. მე მჩაგრავ მარტო,

მაგრამ იცოდე, ამ სიავეს არ გაბატებს
ქალების მოდგმა საზოგადოდ. ქალის ბუნება.



ჰერშია

ვერ გაშიგია, რას გაცხარდი და გააღმასდი.
რას დამცინიო!.. მე დაგცინი თუ შენ დამცინი?!

ელენი

შენ არ იყავი, ლიზანდრი რომ შემომიჩინე —
ხან თვალებს მიქებს დაცინვით და ხან პირისაწეს.
შენი მეორე მოტრფიალე დემეტრიუსიც,
რომელიც აგერ სულ ახლახან წიხლებს მესროდა, —
ალბათ შეხივე დავალებით ამკიდებია
და მოსვენებას აღარ მაძლევს — ხან ღძეროს მეძახის,
ხანაც ფერხას, ღვთაებას და ზეცის მშვენებას!..
თავის საძულველს ამ სიტყვებით რატომღა მაძკობს?!
ანდა ლიზანდრი, შენი ტრფობით გაგიჟებული,
რატომ უარჰყოფს ამ ძველ ტრფობას და გულმხურვალედ
რად მეფიცება მე სიყვარულს და ერთგულებას?!
შენი საქმეა ყველაფერი, შენ მომიჩინე.
რა ვუყოთ მერე, შენსავით თუ არ მწყალობს ბედი,
თუ სიყვარულში შენნაირად არ გამიმართლდა,
თუ უიმედოდ შეყვარებულს — მე არვინ მეტრფის?..
რალას დამცინი — შებრალების მაგიერია?!

ჰერშია

გისმენ და მაინც ვერ მივმხდარვარ, რას ლაპარაკობ.

ელენი

ასე, ჰო ასე მოიღუშე ჩემს დასანახად.
და როცა იქით მივბრუნდები, მაშინ იჭყახეთ,
ერომანეთს თვალი ჩატკარით და იქირქილეთ;
შთამომავლობაც შეინახავს მაგ ოხუნჯობას.
გული რომ გქონდეთ, შებრალება და ან ზრდილობა,
ასე სამასხროდ და სათრეველად აღარ გამხდიდით.
კარგად იყავით. ალბათ ბრალი მეცა მაქვს ცოტა.
ან გადახვეწით ან სიკვდილით გამოვისყიდო.



ლიზანდრი

ელენ, ძვირფასო, სად მიდიხარ, მე მომისმინე,
ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სულო და სიყვარულო!

ელენი

ო, ბარაქალა!

ჰერმია

რას დასცინი, ჩემო ძვირფასო!

დემეტრიუსი

თუ შენი თხოვნა ველარა სჭრის, ძალა მე მკითხოს.

ლიზანდრი

ვერც მაგის თხოვნა შემაკავებს, ვერც შენი ძალა,
შენი მუქარა ვედრებაზე უფრო ვერ გასჭრის...
მიყვარხარ, ელენ, ო, მიყვარხარ, სიცოცხლის მადლმა.
და მაგ სიყვარულს გეფიცები, თავსაც შევაკლავ,
თუ ვინმე მეტყვის, არ გიყვარსო ტურფა ელენი.

დემეტრიუსი

მითქვამს და ვამბობ. მე მიყვარხარ მაგაზე შეტად.

ლიზანდრი

მაშ ხმალი იძვრე, დამიმტკიცე შენი სიტყვები.

დემეტრიუსი

აბა, გამოდი!

ჰერმია

რასა შვრები, რას სჩადი, ლიზანდრ!

ლიზანდრი

თავიდან მომწყდი, გახუბულო ეთიოპელო.

დემეტრიუსი

აბა, ყმაწვილო!.. გულიანად რომ იქაჩები,
ერთ ადგილზე რომ ფაზიფუხობ... ფეხს რად არ იცვლი.
მოთვიანიერდი, ვაეხატონო?!

ლიზანდრი

მომშორდი-მეტყი

თავიდან მომწყდი, კატავ. ბირკა! აქოთებულო, თორემ გველივით მოგისვრი და ძირს დაგანარცხებ.

ჰერმია

შენ ხუმრობ, ალბათ!

ელენი

რა თქმა უნდა. შენც აკი ხუმრობ.

ლიზანდრი

მე ჩემს სიტყვაზე, დემეტრიუსა, კვლავ მაგრად ვდგავარ.

დემეტრიუსი

მაგას მეც ვხედავ, რომ დგახარ და ფეხს აღარ იკვლი, შენი სიტყვები აღარ მჯერა.

ლიზანდრი

მაშ, რა უნდა ვქნა?

დავასახიჩრო? ძირს დავაგდო და შოვჭკლა ბარემ? მძულს, მაგრამ მაინც მოსაკლავად არ მეშეეტება.

ჰერმია

მძულსო... მაგაზე საშინელი რა უნდა მიქნა! გძულვარ? რად გძულვარ, ჩემო კარგო? რა დაგემართა? ნუთუ ჰერმია აღარა ვარ? არც შენ ხარ ლიზანდრი? რაც დღემდე ვიყავ. ახლაც ის ვარ, ისევე კაოგი. აკა გიყვარდი წუხანდლამდე? რად მიმატოვე? ჰა, რად დამტოვე მარტოდ მარტო? ღმერთო მიშველე!.. ნეტა, მართლა თუ არ გიყვარვარ?!

ლიზანდრი

მართლა, ღმერთმანი!

და აღარც მინდა ამის შემდეგ თვალი შეგავლო. ბედს შეურიგდი, რაღას არკვევ. რაღას ორჭოფობ. ცხადზე-ცხადია — შენ მძულხარ და ელენი მიყვარს. ნუღარ გგონია ეს ხუმრობა.

ჰოი, ვაგლახ მე!

აჰ, შე ჯამბაზო, გაიძვერავ, ყვავილის მატლო,
ქურდო და წუწკო! შუალამით რას მოგვიცოდდი,
რატომ მომპარე ასე უღვთოდ მიჯნურის გული.

ელენი

ო, ბარაქალა. შენს ქალობას! სად დაგიკარგავს
ქალური კდემამოსილება, სირცხვილ-ნამუსი?
გსურს გამაცხარო და უკმეხად მალაპარაკო?
ფუი, სირცხვილო! შე ტიკინა, შე გაიძვერა!

ჰერმია

ჰა? ტიკინაო? ხომ მიგიხვდი მაიმუნობას!
სიმაღლეში სურს შემეჯიბროს, სიმაღლით მჩაგრავს!
ამ ტანაყრილ ქალს დამიხედეთ! ამ წოწლოკინას!
წოწლოკინობით მოუგია ყმაწვილის გული!
და ღირსებითაც მაგის თვალში მიტომ ამაღლდა,
რომ სე ასეთი დაღეული და ქონდარა ვარ?
დაღეული ვარ, ჰა, წერწეტა მაისის კეტო?!
სთქვი, რას გაჩუმდი! გედაბლები თვალში ძალიან?
არა, არც ისე დაბალი ვარ, რომ ამ ფრჩხილებით
თვალეებში ვერ გწვდე და ბუდიდან არ ამოგთხარო.

ელენი

მასხრად აგდება მამყოფინეთ, ო, ბატოხებო,
აწისგან მაინც დამიფარეთ; ჭინჭყლი არ მიყვარს,
სუსტი ქალი ვარ, მორჩილი და გაუბედავი.
ნუ გამოეშვებთ, არ შემომკრას. ხომ არ გგონიათ.
რომ, რაკი ჩემზე დაბალია, გავუმკლავდები!

ჰერმია

დაბალიაო! გაიგონეთ? კიდევ თქვა, განა!

ელენი

ასე სასტიკად ნუ მექცევი, ჩემო ჰერმია,
მუდან მიყვარდი, გიჯერებდი, რჩევას გკითხავდი.

არ მახსოვს შენთვის მეღალატოს, ჩემო ძვირფასო,
ერთი ეს იყო, რომ დემეტრეს შევატყობინე
თქვენი ამ ტყეში გამოპარვის ამბავი გუშინ,
და ესეც მისმა სიყვარულმა ჩამადენინა.
რად გინდა მერე — მაინც მლანძღავს, შინ მერეკება,
წიხლსა მკრავს, ცემით მემუქრება, მოკვლას მიქადის,
გამიშვი ახლა, ათენისკენ წავეხეტები
და ჩემს სიგიყეს თან წავიღებ. ნულარ დამიჭერ,
განიშვი, წავალ; ხომ უყურებ, რა მორჩილი ვარ.

ჰერმია

რას უცდი, მერე? წადი ბარემ, ვინ გეჭაჩება!

ელენი

ამ ჩემ სულელ გულს ვტოვებ აქ და ის მეჭაჩება.

ჰერმია

ვისთანა სტოვებ? ლიზანდრესთან?

ელენი

დემეტრიუსთან.

ლიზანდრი

ზელსაც ვერ გახლებს შენ ჰერმია, დამშვიდდი, ელენ!

დემეტრიუსი

ძართლაც ვერ ახლებს... შენ ხომ შველი! მაინც ვერ ახლებს.

ელენი

მტრისას, ჰერმია თუ გაცხარდა და აიწყვიტა...
ჯერ სკოლაშიაც ქაჯი იყო, ქვეყნის ამკლები...
ხომ პატარაა, მაგრამ მტრისას, თუ გააღმასდა.

ჰერმია

ყოდეც „პატარა“! არაფერი არ ახსოვს მეტი,
სულ „პატარა“ და „ტანდაბალი“ აკრავს ენაზე.
რას აგდებინებთ მასხრად ჩემს თავს? მიმიშვით, ერთი...

ლიზანდრი

იქით, შე მდილო, შე ქონდარა, შე ნაბოლარა,
თავიდან მომწყდი!



დემეტრიუსი

ძალიანაც ნუ იქაჩები,
იმის გულს მაინც ვერ მოიგებ, ვისაც შენ სძულხარ.
ელენეს თავი დაანებე, ხურც კი ახსენებ,
შველასაც არვინ გეხვეწება. ოდნავადაც კი.
სულ ერთი ბეწო სიყვარული რომ შეგამჩნიო,
ძვირად დაგისვამ.

ლიზანდრი

ახლა ხომ მაინც არავინ მიჭერს,
წაპო, მომყევი, თუ ბიჭი ხარ, და დავამტკიცოთ
ჩვენს შორის უფრო ვის ეკუთვნის ტურფა ელენი.

დემეტრიუსი

ძოგყვე რას ქვია? ერთად გავალთ, გული თუ გერჩის.

(გაღიან ლიზანდრი და დემეტრიუსი)

ჰერმია

შენი ბრალია, ქალბატონო. სულყველაფერი.
ფეხი არ გასდგა, არ გაბედო!..

ელენი

შენ რას გენდობი!

რა ქესაქმება შენისთანა ოხერ-ტიალთან!
ხელის სიმარდით თუ მაჯობებ, სამაგიეროდ
მე კანკები მაქვს უფრო გრძელი და ვერ დამიჭერ.

(გაღის)

ჰერმია

საჯბრუ დამეხვა, აღარ ვიცი, რა მოვიფიქრო.

(გაღის)

აჰა, კვლავ შენი შეცდომა და დაუდევრობა...
 თუ განგებ აურ-დაურიე, შე გაიძვერა?



პ ა კ ი

შეცდომა მოხდა. დამერწმუნე, ჩრდილთა მეფეო...
 შენგანვე ვიყავ ხომ წინასწარ გაფრთხილებული,
 იმ ჭაბუკს იცნობ ათენური ჩაცმულობითო.
 თალა ბრალი ვაქვს? მეც ავდექი და ის წამალი
 ათენელ ჭაბუკს მოვასხურე თვალ-წამწამებზე...
 აღარც კი ვნახობ, გამოვტყდები, ასე რომ მოხდა —
 მაგათ ჩხუბით და კინკლაობით ჩვენც გავერთობით.

ო ბ ე რ ო ნ ი

ხომ ნახე, როგორ გაეშურენ ხმალში საბრძოლად,
 შენც გასწი, რობინ. და ეს ღამე სულ ჩაუბნელე,
 მბრწყინავ ვარსკვლავებს ნისლის ჯანლი გადააკარი.
 რომ აქერონზე უფრო მეტად ჩაშავდეს ზეცა.
 ამ ფიცს მიჯნურებს აურიე სულ გზა და კვალი,
 რომ ერთმანეთი თვალითაც კი ვეღარ დალანდონ.
 ხან, ადექი და, ლიზანდრის ხმით ალაპარაკდი —
 სულ გადარიე აგზნებული დემეტრიუსი,
 ზანაც მოსდექი და დემეტრეს ხმაზე იგინე.
 აბორიალე აქეთ-იქით, მანამ მათ შუბლზე
 ტყვის ფეხებით და ღამურას დაძენძილ ფრთებით,
 ძილი — სიკვდილის ხატება — არ მოიკალათებს.
 მაშინ ამ ყვავილს დააწურავ თვალეებზე ლიზანდრს —
 რაც ხელად მოხსნის იმ პირველი სამსალის ჯადოს,
 თვალეებს დაუწმენდს, გადაუყრის ნისლსა და ბურუსს,
 და, გაღვიძებულს, წელანდელი მწარე შეცდომა
 უსიამოვნო ზმანებად-ღა დაახსომდება.
 მერე გასწევენ ათენისკენ შეყვარებულნი
 და სიკვდილამდე ვერაფერი მათ ვეღარ გაჰყრის.
 მანამ ამ საქმეს მორჩებოდე. მეც ჩემთვის გავწევ,
 და ინდოელ ბიჭს გამოვტყუებ ჩემს ტიტანიას.

მერე იმასაც მოვხსნი ჯადოს, ურჩხულს ვავაგდებ.
და ქვეყანაზე კვლავ მშვიდობა დაისადგურებს...

პ ა კ ი

უნდა ვიჩქაროთ მბრძანებელო, თორემ ხომ ხედავ,
ლამის ურჩხულნი გამალებით ჰკვეთავენ ღრუბლებს,
და გამობრწყინდა, აღმოსავლით, ავრორას მაცნეც.
მის დანახვაზე, გაფანტული სულები ტყეში,
შეჩქვიფდებიან და გასწევენ სასაფლაოსკენ
ჩოლო სულები ცოდვილების, — ვისაც სამარე
ვზაჯვარედინსა და მდინარის ფსკერზე აქვთ ხოლმე, —
ძატლებით დაღრღნილ საფლავეებში დაბრუნდნენ უკვე
დარცხვენილები გაურბიან სინათლეს დღისას,
სამარადუამოდ პირქუშ ღამეს დაუკავშირდნენ

ო ბ ე რ ო ნ ი

ჩვენ სულ სხვაგვარი სულები ვართ. მე ჩემდა თავად,
რამდენჯერ, ცისკრის მეგობართან მითამაშნია.
მეტყევინს დარად, უფლება მაქვს ტყეში ყიალის,
ქანამ განთიადს ცეცხლი წითლად წაეკიდება
და მოელვარე, კურთხეული სხივები მისი
ყვითელ ოქროში არ გაახვევს ზღვის მწვანე ტალღებს,
აბა, წავიდეთ! გავეშუროთ, ნულარ ზოზინებ,
გათენებამდე უნდა მოვრჩეთ ყოველგვარ საქმეს.

(გადის)

პ ა კ ი

აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა,
ვატანტალებ აღმა-დაღმა...
ხან გამოღმა, ხანაც გაღმა.
ვატანტალებ აღმა-დაღმა...
აჰა. პირველი უკვე გამოჩნდა.

(შემოდის ლ ი ზ ა ნ დ რ ი)

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

სადა ბრძანდები, გაბლენძილო დემეტრიუსო?
ხე, ამოიღე!



პაკი

აქ გახლავარ, შე არამზადა.

ზნალამოწვდილი გელოდები. თვითონ სადა ხარ?

ლიზანდრი

მოვდივარ.

პაკი

მომყე. გამოვძებნოთ ვაკე ადგილი.

(ლიზანდრი გადის, ხმას მიჰყვება. შემოდის დემეტრიუსი)

დემეტრიუსი

ხმას რად არ იღებ? შეგეშინდა? მოჰკურცხლე განა?
ო, მხდალო ლიზანდრი! ხმა გამეცი. ბუჩქში შეძვერი?
აჰა, ბუჩქებში იმალები?

პაკი

შე მართლა მხდალო.

ვისთან ბაჭიობ? ვარსკვლავებსაც ეტრაბახები?!
ბუჩქებს აშინებს — საბრძოლველად გამოვსულვარო.
და თვითონ სადღაც იმალება. მოდი, ლაჩარო!
.ოი, შე ღლაპო, წკებლით უნდა გასწავლო ჭკუა,
შემირცხვენია, ვინც მახვილი გასვაროს შენზე.

დემეტრიუსი

აქა ბრძანდები?

პაკი

გამომყევი, აქ რას ვიბრძოლებთ!

(გადიან. შემოდის ლიზანდრი)

ლიზანდრი

თვითონ ხომ გარბის! მეც მეძახის, გამომყევიო;
მივალ და უკვე წასულია, ეს არამზადა.
ფეხმარდი მართლაც კი ყოფილა, ველარ ვეწევი;
მეც რომ ავჩქარდი, უფრო სწრაფად არ გაუტია!

ლამის კისერი მოვიტეხე ამ სიბნელეში...
უნდა დავწვე და დავიძინო... გათენდი, ბარემ.

(წვება)

თუკი ველირსე დღის სინათლეს, მერე რა მიჭირს —
ხელად გავდაგრავ დემეტრიუსს და შურს ვიძიებ.

(იძინებს)

(შემოდინ პაკი და დემეტრიუსი)

პაკი

ჰო! ჰო! ლაჩარო. სად წახვედი. ფეხს რატომ ითრევ?!
დემეტრიუსი

ვაუკაცი თუ ხარ, დამიცადე. ველარ გეწევი,
რას დატანტალებ აქეთ-იქით, რას აწრიალდი?!
შეშინდი, ბალო?! საქციელი წაგიხდა განა?!
ახლა სადა ხარ?

პაკი

აქ გახლავარ, აქეთ მობრძანდი.

დემეტრიუსი

მასხრადაც მიგდებ! მე შენ ამას ძვირად დავისვამ.
ღმერთის წყალობით, გათენებას თუკი ველირსე.
ახლა წაბრძანდი. მე კი ისე მომისავათდა,
რომ ცივ საწოლსაც, სხვა რა გზა მაქვს, არ დავიწუნებ.
გათენებისას, ფრთხილად იყავ, მე დამელოდე.

(წვება და იძინებს. შემოდის ელენი)

ელენი

აღარ დაადგა ამ საშინელ ღამეს საშველი!
გათენდეს ბარემ, შუქი გვტყორცნოს აღმოსავლეთმა,
იმათ მოვშორდე. ვინც ვერ იტანს ჩემს სიახლოვეს
და გზას დავადგე ათენისკენ, დღის სინათლეზე.
ძილო, შენ ზოგჯერ მწუხარებას თვალს უხშავ ხოლმე,
მოდი, ცოტა ხნით, დამავიწყე ჩემივე თავიც.

(წვება და იძინებს)



პ ა კ ი

ერთიც მოვიდეს... სამია მხოლოდ,
ყოველი ცალი დაწყვილდეს ბოლოს!..
ჰა, მოდის კიდევ. ტუჩების კვნეტით,
როგორ არ წყალობს საბრალოს ბედი!

(შემოდის ჰერმია)

ჰ ე რ მ ი ა

ჩემს დღეში ასე არ დავდლილვარ. გული მისკდება...
ასკილ-ბარდებმა 'სულ დამჩხვლიტეს... და გავილუმპე...
ფეხს ვეღარ ვადგამ, ცოცვის ძალაც კი აღარ შემრჩა,
ფეხები ნაბიჯს ვერ უწყობენ ჩემს გულისწადილს.
აგერ მივწვები, დავისვენებ გათენებამდე,
ჩემი ლიზანდრი დაიფარე ამ ჩხუბში, ღმერთო!

(წვება და იძინებს)

პ ა კ ი

მდელი გრილი.
ძილი ტკბილი,
გულში დარი.
და თვალებში ვარდის წვენი
სიყვარულის საწინდარი.

(ყვავილს ჩააწურავს თვალებში ლიზანდრს)

ადრე დილით
დასამე ძილი,
თვალი გახსენ,
დაინახე
შენი ძველი ტრფობა ტკბილი.
ძველი ანდაზა კვლავაც დავნერგოთ —
ვის რა ეკუთვნის, ის უნდა ერგოს,
ჯეკს უნდა შეხვდეს თავისი ჯილი,
და გაიხარებს ყოველი წყვილი.
თავისი ჭაკი კვლავ ჰპოვოს ყველამ
და ინეტარებს მთელი ქვეყანა.

(გადის)

მოქმედება მეოთხე

სურათი 1

ტყე. ლიზანდრს, დემეტრიუსს, ელენსა და ჰერმიას ძინავთ

(შემოდინ ტიტანია და ფსკერა; მუხუდო, აბლაბუდა,
ფარვანა, მდოგვი და სხვა ფერიები)

(სცენის სიღრმეში დგას ობერონი, რომელსაც სხვები ვერა ხედავენ)

ტიტანია

მოდო, ჩამოჯექ, ყვავილების რბილ სარეცელზე.
ჰეკი თავზე ხელს გადავისვამ. მოგეფერები,
შუბლსაც ამ მუშკის ყვავილწულთ შეგიმკობ კოხტად,
და ლამაზ ყურებს დაგიკოცნი, ჩემო ძვირფასო

ფსკერა

მუხუდო სად წავიდა?

მუხუდო

აქა ვარ.

ფსკერა

თავი დამფხანე, მუხუდო... ბატონი აბლაბუდა რაღა იქნა?

აბლაბუდა

მეც აქ ვარ.

ფსკერა

ბატონო აბლაბუდა, შენი ჭირიმე, ხელში იარაღი მოიმარჯვე და ის
კანჭაწითლებული ბზიკი მომიკალი, ეგერ ნარშავზე რომ წამოსკუ-

პულა. მოკალი და თათლის გულა, თუ ღმერთი გწამს, აქ მომიტანე. ოღონდ ფრთხილად. შენი ჭირიმე, ფაცხი-ფუცხს ნუ მოჰყვები. გულა არ გაგისკდეს. ძალიან დამწყდება გული, ჩემო ბატონო, რომ თათლით მოითხვარო... ბატონი მდოგვის მარცვალი სადა ბრძანდება?

მ დ ო გ ვ ი

აქ გახლავარ.

ფ ს კ ე რ ა

შენც წამომაშველე ხელი, ბატონო მდოგვის მარცვალი. ოღონდ მაგ შენებურ თავაზიანობას მოეშვი, თუ ღმერთი გწამს.

მ დ ო გ ვ ი

მაინც რას მიბრძანებ?

ფ ს კ ე რ ა

არაფერს, შენი ჭირიმე, აგერ იქნება ბატონ მუხუდოს დაფხანა უშველოს-მეთქი. ერთი დალაქთანაც უნდა გეახლო, ჩემო ბატონო, წვერი წამომეზარდა; იმისთანა ნაზი სახედარი გახლავართ. რომ ცოტა თუ შემიღიტინა წვერმა, მორჩა, სულ უნდა დავიგლიჯო ყველაფერი.

ტ ი ტ ა ნ ი ა

სიმღერას ხომ არ მოისმენდი, ჩემო ძვირფასო?

ფ ს კ ე რ ა

ჩემი ყურები სწორედ რომ სიმღერის მოსასმენადაა მოწყობილი. აბა. ერთი დაახრიალეთ მაშები და ძვლები.

(მუსიკას უკრავენ)

ტ ი ტ ა ნ ი ა

ახლა კი საჭმელს რას ინებებ, ჩემო ძვირფასო?

ფ ს კ ე რ ა

ცოტაოდენი დანაყრება მართლაც არ იქნებოდა ურიგო. სიამოვნებით შევახრამუნებდი ახლა კაი გამომშრალ შვრიას. კაცმა რომ თქვას, თივასაც არ დავიწყუნებდი. რას ამბობ, კაცო, კარგ თივას, გემრიელ თივას რა შეედრება ქვეყანაზე!



ტიტანია

ერთი ყოჩალი ფერია მყავს, ციყვებს დაუვლის,
მიხიკ-მოხიკავს ნედლ კაკალს და ხელად მოგართმევს.

ფსკერა

კაკალს ისევ ერთი-ორი მუჭი გამხმარი მუხუდო მირჩევნია. მაგრამ,
თუ ღმერთი გწამს, ნულარავის შეაწუხებინებ ჩემ თავს. თვალები
მებლიტება, მგონი დამეძინოს.

ტიტანია

იძინე, ჩემო საყვარელო. გულში ჩაგიკრავ...
თქვენ კი გაფრინდით, ფერიებო, საქმეს მიხედეთ.

(ფერიები გადიან)

ფათალოსავით მოგეჭდობი, ჩაგეწმახნები,
და როგორც სურო თელის ტოტებს შემოეხვევა,
მეც ისე ტკბილად მოგხვევ ხელებს, ჩემო ძვირფასო.
ო, როგორ ვკარგავ შენზე ჭკუას. როგორ მიყვარხარ!

(იძინებენ. შემოდის პაკი)

ობერონი

(წინ გამოვა)

მოხვედი, რობინ? აქ უყურე, რა ამბავი აქვთ!
ლამის გაგიჟდეს!.. შემეცოდა ევ უბედური.
ტყის განაპირას შევხვდი წელან. უნდა გენახა,
როგორ არჩევდა ამ ბრიყვისთვის ლამაზ ყვავილებს.
გამოგილანძღე კარგა მაგრაღ... აუღია და
ეს გაბურძღნილი თავ-კისერი ამ ყეყეჩისთვის
სურნელოვანი ყვავილებით არ შეუმკია!..
და ნამი ცისა, აღმოსავლურ მარგალიტივით
გაუშლელ ყვავილს ციმციმით რომ დაეკიდება,
ახლა ცრემლივით გამოკრთოდა იმ ყვავილებში —
თავის შერცხვენას დასტიროდა, შეწუხებულ.
როცა დაცინვა-გამასხრებით ვიჯერე გული,
მაპატიეო, შემეხვეწა. მეც ვიხელთე და
ის ანდოელი ბიჭი ვთხოვე. მყის დამეთანხმა,
ხელად აფრინა იმ ბიჭისთვის ერთი ფერია,



რათა პირდაპირ ჩემს თალარში წამოიყვანოს.
 რაკილა გული საგულეს მაქვს — ბიჭი ჩემია,
 ბარემ საზიზღარ ჯადოს მოვხსნი ჩემს ტიტანიას,
 შენც ე მაგ ხეპრეს, მოაცილე სახედრის თავი,
 რომ სხვებთან ერთად, გაიღვიძოს მაგანაც დროზე
 და ათენისკენ გაემართონ ყველანი ერთად.
 ღოღო ამალამ რაც იზილეს და თავს გადახდათ,
 მღელვარე სიზმრად დაახსომდეთ სამიდღემჩიოდ.
 ჯერ დამაცადე, ჯადო მოვხსნა ტურფა დედოფალს.

(რალაცა ყვავილს მოუსვამს თვალზე)

რალაც მენახე, იმადვე გნახო,
 რაც დაგინახავს, ის დაინახო.
 ყვავილს წაგისვამ და ვსინჯავ კვალად
 ამჟრის ისრის ჯადოს და ძალას.
 გახსენი თვალი, ტიტანია, გამოიღვიძე.

ტიტანია

ჩემო ობერონ. რა უხამსი სიზმარი ვნახე —
 თითქოს დიდყურა სახედარი შემყვარებოდეს.

ობერონი

შენი მიჯნურიც მანდვე გიწევს.

ტიტანია

ეს როგორ მოხდა?

მაგის დანახვაც კი გულს მირევს და ტანში მზარავს.

ობერონი

ჩუმად!.. მოხსენი ბარემ თავი მაგ ხეპრეს, რობინ...
 შეა კი მუსიკა გამოიხმე, ჩემო ძვირფასო,
 მკვდრის ძილით უნდა დავაძინო ხუთივე ერთად.

ტიტანია

აბა, მუსიკა!.. ჰე, მუსიკა, ძილისმომგვრელი!

(წყნარი მუსიკა)

რა შტერიც იყავ, ის იქნები, რომ გაიღვიძებ.

ო ბ ე რ ო ნ ი



ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და კვლავ ძველებური
სიამტკბილობით დავუაროთ, ჩემო ძვირფასო.

დასაცხეთ მუსიკა!.. ფეხქვეშ მიწა ავაზანზაროთ
და აკვანივით დავურწიოთ ამ მიძინებულთ.

ხვალ შეუდამიო თეზეუსსაც ვეწვიოთ სახლში,
იქც ვიცეკვოთ ზარზეიმით და მივულოცოთ
სამარადქამო სიკეთე და ბედნიერება.

ამ წყვილ მიჯნურთაც იქვე უნდა დავწეროთ ჯვარი,
მაგათ ბედნიერ ქორწილშიაც ვიმზიარულოთ.

პ ა კ ი

გესმის, მეფევ, ყურთა სმენას

ტორლოვების ატკბობს სტვენა.

ო ბ ე რ ო ნ ი

დედოფალო, უამი დადგა
ჩვენც გავკვეთოთ მარდად ზეცა.

დედაძიწას გადვუქროლოთ
მთვარის სხივზე უსწრაფეაად.

ტ ი ტ ა ნ ი ა

მაშ წავიდეთ, გავიქროლოთ
და ფრენის დროს მითხარ, გზაში —
ხალხის ჯგროში ვინ გამრია,
ამიხსენი ეს თამაში.

(გადიან. ისმის საყვირების ხმა)

(შემოდიან თ ე ზ ე უ ს ი, ი პ ო ლ ი ტ ა, ე გ ე უ ს ი და მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი)

თ ე ზ ე უ ს ი

ერთი თქვენგანი წავიდეს და მეტყევე ნახოს;
დღესასწაულის ყველა წესი ჩვენ შევასრულეთ,
და რაკი დილაც მოახლოვდა, მინდა ჩემს სატრფოს

ჩემი მწევრების სიმღერებიც მოვასმენინო.
აბა, მწევრები ქვემო ველზე მიუშვით ჩქარა.
და ის მეტყევეც მომიძებნეთ, როგორც გითხარით.

(ერთი მხლებელი გადის)

ჩვენ იმ მთას წვერზე მოვექცევით, ჩემო ძვირფასო,
და ყურს მივუპყრობთ ძაღლის ყეფას, ექოს მოძახილს.

იპოლიტა

ერთხელ კადმუსსა და ჰერკულესს გავყევი ტყეში,
დათვს გამოუნთეს სპარტელების მწევრები მაშინ.
იმგვარ ღრიანცელს ჩემს დღეშიაც არ მოვსწრებივარ:
ჭალები, მთები, წყალი, ზეცა, მთელი საქყარო
ამ ღრიანცელმა გააყრუა. ისეთი ტკბილი
არც მეხთა-ტეხა, არც ნგრევის ხმა არ მომესმინა.

თეზეუსი

ჩემი მწევრებიც სპარტულია — ფერიტაც რუხი
და ქვემო ლაშიც იმგვარადვე ჩამოშვებული;
ფართხუნა ყურით დილის ცვარ-ნამს აცლიან ბუჩქებს;
თესალიური ხარებივით — ლაბაბი მკერდთან;
მარდს ვერ შევარქმევ, მაგრამ ხმა აქვთ ისეთი ტკბილი,
ზარის წკრიალი გეგონება. ამნაირ ტკბილ ხმას
ვერანაირი საყვირი და რქა ვერ გამოსცემს —
ვერცა კრიტაზე, ვერც სპარტაში, ვერც თესალიას.
შენ თვითონ ნახავ. — ჩუ! ეს ნიმფები რას 'ყევილიან?

ეგეუსი

ეს ჩემი ქალი ჰერმიიაა, ბატონო ჩემო...
ეს კი ლიზანდრი... ეგერ, იქით, დემეტრიუსი...
აგერ ელენიც, ბერიკაცი ნედარის ქალი.
აქ რამ შეჰყარა ყველა ერთად, ნეტა ვიცოდე!

თეზეუსი

ამ სამაისო დღესასწაულს შეხვდნენ აქ ალბათ...
ჩვენს განზრახვასაც შეიტყობდნენ და გადაწყვიტეს
პატივი დაგვდონ, ჩვენი ლხინი გაიზიარონ...

მაგრამ, ეგეუს, აღარ გახსოვს: შენმა ჰერმამ
სწორედ დღეს უნდა მოგვახსენოს მტკიცე პასუხი.

ეგეუსი

დიახ, ბატონო.

თეზეუსი

საყვირს ჩაჰბერეთ, დააღვიძეთ ესენი ჩქარა.

(საყვირის ხმა, შეძახილები. დაძინებულები იღვიძებენ)
დილა შშვიდობის, ყმაწვილებო!.. გამოიღვიძეთ?
ვალენტინობა რა ხანია გადავიხადეთ,
ამ ჩიტუნებს კი დაწყვილება ახლა მოუნდათ.

ლიზანდრი

გთხოვთ, მომიტევოთ.

თეზეუსი

წამოდექით, ნუ გეზარებათ
თქვენ ერთმანეთში სამიჯნურო ქიშპობა გქონდათ,
ახლა კი აგერ შეთანხმებულს და დამტკბარს გხედავთ.
შიკვირს, სიძულვილს სიძულვილი როგორ შეეტკბო,
როგორ დათრგუნეთ ერთმანეთის შური და მტრობა!


ლიზანდრი

ჩემო ბატონო, აღარ ვიცი, რა გიპასუხო,
ვერასდიდებით ვერ მივმხდარვარ, მღვიძავს თუ მძინავს.
თავს გეფიცები, არც ის ვიცი აქ როგორ გავჩნდი.
თუძცა, დამაცა... მთელ სიმართლეს ახლავე გეტყვი,
მგონი, თახდათან გამახსენდეს სულყველაფერი...
აჰ ჰერმიასთან ერთად მოველ... ჩვენ გადავწყვიტეთ
ამ ქალაქიდან გადახვეწა, სადმე გაპარვა,
საცა ათენურ მკაცრ კანონებს თავს დავალწევდით...

ეგეუსი

კმარა, გეყოფა, ვაუბატონო; საკმარისია.
კანონს მოვითხოვ მე სასწრაფოდ, კანონი მაგას!..
გაპარვა ნებავთ, დემეტრიუს, შორს გადახვეწა,
ჩემი და შენი გაწბილება, თავლაფის დასხმა,

რათა წაგართვან შენ ცოლი და მე კი უფლება,
რომ ჩემი ურჩი ქალიშვილი შენ მოგცე ცოლად.



ღ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

მე კი ძაგათი გამოპარვა ელენმა მითხრა
და გაჰაცოფა. გამოვენთე მაშინვე უკან,
ხოლო ელენი, სიყვარულით გაგიჟებული,
მე ამედევნა. აქ რომ მოველ, ჩემო მეუფევ, —
თვითონ არ ვიცი რანაირად და რა ჯადოთი,
(თუმცა ჯადო რომ დატრიალდა, ეგ ნამდვილია).
ხელად გამიდნა ძველ თოვლივით ჰერშიას ტრფობა
და ახლა ისე მეჩვენება, ვით უვარგისი,
ბავშვობის დროის სათაყვანო, ბრჭყვიალა ნივთი,
რაც დაფიწყებას მისცემია, თანდათანობით.
ამიერიდან ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე,
ჩემი თვალების ნეტარება, გულის წადილი
ელენი გახდა ყველაფერი... ჩემო ბატონო,
მანამ ჰერშიას შევხვდებოდე და გავიცნობდი,
ელენზე ვიყავ დანიშნული, ეს ყველამ იცის...
ავადმყოფი რომ შეიძულეbs საყვარელ საჭმელს,
და გემოს ისევ განკურნების შემდეგ გაუგებს,
შეც სწორედ ისე განძიახლდა. კვლავ მომენატრა,
ელენის ტრფობა-სიყვარული მომესურვილა.
და მანამ პირში სული მიდგას, არც ვუორგულებ.

თ ე ზ ე უ ს ი

ო, მეგობრებო, გამახარა თქვენმა შეხვედრამ,
ეს ჩვენი ტკბილი საუბარი მერე განვაგრძოთ.
შენ კი ბედს უნდა დამორჩილდე, ჩემო ეგეუს:
ეს ყმაწვილებიც, ჩემთან ერთად, დღესვე ტაძარში.
ჯვარს დაიწერენ, საუკუნოდ შეერთდებიან.
ახლა მოვეშვათ ნადირობას, დაშუადღევდა,
ათენს დავბრუნდეთ, და წყვილ-წყვილად დიდი ზეიმით
სამი ქორწილი გადვიხადოთ შეერთებულად.
წამო, წავიდეთ, იპოლიტა.

(გადიან თ ე ზ ე უ ს ი, ი პ ო ლ ი ტ ა, ე გ ე უ ს ი და მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი)

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

თითქოს შემცირდა ყველაფერი და დაიბინდა.
ვით შორი მთები გაეხვევა ღრუბლის საფარში.



ჰ ე რ მ ი ა

მეც, თითქოს, ნივთებს სულ სხვადასხვა თვალთ ვხედავდე.
გაორებული მეჩვენება სუყველაფერი.

ე ლ ე ნ ი

მეც ასე მომდის. საგანძური მეპოვნოს თითქოს:
ჩან ჩემადა ვთვლი დემეტრიუსს, ხან არ ვთვლი ჩემად.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

დანამდვილებით გაგვეღვიძა? თქვენ როგორ ფიქრობთ?
მე თითქოს მძინავს და სიზმარში შგონია თავი.
თქვენც მოგეჩვენათ აქ მთავარი? მართლა გვიბრძანა,
გამოგკყევითო?

ჰ ე რ მ ი ა

ნამდვილია... მამაც აქ იყო.

ე ლ ე ნ ი

და აბოლიტაც.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

თეზეუსი ტაძარში გველის.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

გაგვიღვიძია და ეგ არის. რაღას ვაყოვნებთ,
გავსწიოთ ბარემ და სიზმრებსაც გზადაგზა მოვყვეთ.

(გაღიან)

ფ ს კ ე რ ა

(იღვიძებს)

გამოსვლის დრო რომ მოვიდეს, დამიძახეთ — სათქმელი მზადა
მაქვს. „უმშვენიერესო პირამუს“, უნდა ვთქვა მე... ჰეი! არ გეყუ-
რებათ! კომშა!.. სტვირა!.. დრუნჩა, კაცო!.. კნაჭა!.. ღმერთო შენ და-

მიფარე! გაპარულან და დაძინებული დავუტოვებევართ! ისევიათი
სიზმარი კი ვნახე—ვითომ... თუმცა კაცის ჭკუა რას ჩასწვდება მაგ
სიზმარს! ვირი უნდა იყო, მაგ სიზმრის ამოხსნა რომ სცადო. ვითომ,
იმაღ არ ვიქეცი!.. მაგას ვინ იტყვის, მე რად ვიქეცი... გავიხედე და
უცებ ვიქეცი... ვნახოთ და, უცებ ის არ გამიჩნდა... აჰ, ნამდვილი
შტერი უნდა იყოს კაცი, ახლა იმას რომ მოჰყვეს, მე რა გამიჩნდა.
ჭერაც არ მომხდარა, რომ კაცის ყურებს დაენახოს, თვალებს გაე-
გონოს, ხელებს ეგემოს, ენას ფიქრად მოსვლოდეს და გულს ეთქ-
ვას, მე რაც სიზმრად ვნახე. კომშა უნდა შევასახელო, რომ ერთი კაი
ბალადა გამოაცხოს ჩემს სიზმარზე და ფსკერას სიზმარი დაარქვას,
იმითომ რომ არც ფსკერი აქვს და არც საზღვარი მაგ ჩემს სიზმარს.
მეც ავღგები და წარმოდგენის ბოლოს მთავარს ვუმღერებ. არა,
უფრო კონტა რომ გამოვიდეს, თისბის სიკვდილის დროს ვიმღერებ.

(გაოის)

ს უ რ ა თ ი ი II

ათენი. კომშას სახლი

(შემოდინან კომშა, სტვირა, დრუნჩა და კნაჭა)

კომშა

ფსკერასთან არავინ გაგზავნეთ? ნეტა შინ არ დაბრუნებულა?

კნაჭა

ასავალ-დასავალიც არ ჩანს. ეტყოფა, ავმა სულელებმა გაიტაცეს.

სტვირა

შაშ, ჩაგვვარდნია პიესა და ეგ არის. უმაგისოდ რას გავხდებით?!

კომშა

ვერაფერსაც ვერ გავხდებით. მთელი ათენი რომ გადაჩხრიკო, მაგის-
თანა პირამუსს მეორეს ვერ შეხვდები.



ს ტ ვ ი რ ა

რას ამბობ, კაცო მაგისი ჭკუა და მოსაზრება ათენელ ხელისუფლების მისცა!

კ ო მ შ ა

ახლა მაგისი სილამაზე! ახლა მაგისი სარკინოზის ხმა!

ს ტ ვ ი რ ა

სირინოზის ხმა, სირინოზის ხმა, სარკინოზის ხმა ვინ გაიგონა! ღმერთო, შენ დაგვიფარე!

(შემოდის კ ო ხ ტ ა პ რ უ შ ა)

კ ო ხ ტ ა პ რ უ შ ა

ბიჭებო, ბიჭებო, მთავარი უკვე ტაძრიდან გამოვიდა. მთავართან ერთად კიდევ ორმა თუ სამმა დაიწერა ჯვარი. ეს პიესა რომ გამოგვსვლოდა, ჩვენც ხალხში არ გავერეოდით!

ს ტ ვ ი რ ა

ახლა ჩვენი მამაცი ფსკერა!.. ექვს-ექვსი პენსი ნაღდი დაკარგა, ყოველდღიური. ექვს პენსზე ნაკლებს არასდიდებით არ აკადრებდნენ. მთავარს თუ მაგისტრის ექვსი პენსი არ მიეცა, ახლავე ყულფში გამაყოფინე თავი. რას ამბობ, პირამუსის როლია. ალალიც იქნებოდა! ექვსი პენსი ყოველდღიური — ან არაფერი!

(შემოდის ფ ს კ ე რ ა)

ფ ს კ ე რ ა

სად წახვედით, ბიჭებო? ჩემო სულო და გულო!

კ ო მ შ ა

ფსკერა!.. ე რ ა დღე გაგვითენდა! რა ბედნიერი საათი!

ფ ს კ ე რ ა

ჰოი, რა საოცარი რამე უნდა გიამბოთ, ბიჭებო, ოღონდ, რა არის, მაგას ნუ მკითხავთ. ეგ რომ გითხრათ, მაშინ ნამდვილი ათენელი არ ცყოფილვარ და ეგ არის. მე თვითონ ჩაგიკაკლავთ ყველაფერს, რაც კი გადამხდა.

აბა, შენ იცი, ჩვენო კარგო ფსკერა.

ფსკერა



ოღონდ ჩემს თავზე კრინტს ვერ დამაძვრევენებთ. მე მარტო იმას გეტყვით, რომ თეზეუსმა უკვე ისაღილა. ჩქარა შეჰკარით თქვენი ბარგი-ბარხანა. წვერებს მაგარი თასმები გამოაბით, წაღებს კიდე — ახალი ზონარი. ახლავე სასახლეში უნდა გავჩნდეთ. ყველამ გაიმეორეთ თქვენ-თქვენი როლი. იმიტომ რომ პიესა უკვე არჩეულია. ყოველ შემთხვევისათვის თისბიმ სუფთა საცვალი ჩაიცვას. ლომის როლს ვინც ასრულებს — იმან ფრჩხილები არ დაიჭრას. ნამდვილი ლომის კლანჭები უნდა მოუჩანდეს. ხახვისა და ნივრის ჭამა არც იფიქროთ, ჩემო ძვირფასო მსახიობებო, პირიდან ტკბილი სუნი უნდა ამოგდოოდეთ. რა ტკბილი კომედია ყოფილაო, ყველას ეს უნდა ეკეროს პირზე. ბევრი წილადობილა აღარ არის საჭირო, წავსულვართ. აბა, ჰე!

(გაღიან)

მომხედება მეხუთე

სურათი I

ათენი. თეზეუსის სასახლე

(შემოდინ თეზეუსი, იპოლიტა, ფილოსტრატი, კარისკაცები
და მხლებლები)

იპოლიტა

უცნაურ ამბებს კი ჰყვეჩიან ეს ყმაწვილები.

თეზეუსი

სიმართლეს არ ჰგავს. მე ჩემს დღეში ვერ ვერწმუნები —
ძველ არაკებსა და ბალებს ჯადოსნურ ზღაპრებს.
მიჯნურებსაც ხომ ტვინი უდულთ გიყების მსგავსად,
მათი მგზნებარე წარმოსახვა იმას შენიშნავს,
რასაც ვერასდროს ვერ მიწვდება ცივი გონება.
გიყებს, მიჯნურებს და პოეტებს, ეს ცნობილია,
ტვინი სავსე აქვთ წარმოსახვა-მოჩვენებებით.
იმდენი ეშმა ეჩვენება ზოგს ქვეყანაზე,
რასაც უძირო ჯოჯოხეთიც კი ვერ დაიტევს.
ეს გიყებს მოსდით. თავქარიან შეყვარებულებს
შავტუხა ბოშა მიაჩნიათ ტურფა ელენედ.
შთაგონებული მგოსნის თვალი დედამიწიდან
ცის სფერას წვდება. მიწის წიაღს ჰკვეთავს ზეციდან,
და უსბეულო, არარსებულ, უფორმო საგნებს, —
რაიც მხოლოდღა წარმოსახვით თუ აღიქმება, —
მგოსნის კალამი ხორცს შეასხამს, სახელს შეარქმევს
და ქვეყანაზე თავის ადგილს მიუჩენს ხელად...

ასეა. ძლიერ წარმოსახვას ეგ ხშირად მოსდის; როცა სიხარულს ელოდება გულისფანქალით, წინამორბედი ელანდება ამ სიხარულის; ღამით, შიშნაჭამს, ბუჩქი დათვად მოეჩვენება.

ი პ ო ლ ი ტ ა

მართალსაც რომ ჰგავს, შენ ესა სთქვი! რა უცნაურად და რა უეცრად შეიცვალა ამდენი რამე! თან დიდებული ამბავია, თან უცნაური!

თ ე ზ ე უ ს ი

ჰა მიჯნურებიც! გაბადრულან, გალაღებულან!

(შემოდინ ლიზანდრი, დემეტრიუსი, ჰერმია და ელენი)

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დე სიხარული და სიყვარული არ მოგშლოდეთ!

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

შენ, მითუმეტეს,

ტახტზე, სეფაზე, სარეცელში მუდამ თახ გახლდეს!

თ ე ზ ე უ ს ი

რით შევიქცითოთ ახლა თავი? რა გავაკეთოთ? ვახშობბასა და ძილის შუა გრძლად გაწელილი, ეს მთელი გრძელი საუკუნე — სამი საათი — რით შევიმოკლოთ, ცეკვებით თუ სხვა გასართობით? სადა გვყავს ლხინის გამგებელი, რითი შეგვიქცევს, რით გავგილაღებს ამ ლოდინის მძიმე საათებს? ფილოსტრატს უხმეთ.

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ი

აქ გახლავარ, ჩემო ბატონო.

თ ე ზ ე უ ს ი

აბა, ამაღამ რას გვაჩვენებ თავის შესაქცევს? წარმოდგენა გაქვს, თუ მუსიკას მოგვასმენინებ? თუ არ გაგვართე, ზოზინა დრომ ხომ მოგვსპო კიდევ!



ფილოსტრატი

„გერ, ბატონო, მთელი სია გასართობების,
ამოიჩიეთ, რას ინებებთ, ყველაზე უწინ!

(ქალაქს გადასცემს)

თეზეუსი

(კითხულობს)

„შეტაკებანი კენტავრებთან. ჩანგზე იმღერებს
ათენის მკვიდრი საჭურისი“. არ გამოდგება.
აქ ჩემს წინაპარ ჰერკულესსაც ასხამენ ხოტბას,
და ჩემს საყვარელ იპოლიტას უკვე ვუამბე.

(კითხულობს)

„როგორ გაცოფდნენ ღვინით მთვრალი ბაკქები ერთხელ
და თრაკიელი მომღერალი როგორ დაგლიჯეს“.
ეს ძველისძველი წარმოდგენა მე უკვე ვნახე,
როცა თებუდან შინ დავბრუნდი, გამარჯვებული.

(კითხულობს)

„მათხოვრობისგან სულგაცხებულ მეცნიერებას
როგორა გლოვობს სამჯერ-სამი მწუხარე მუზა“.
ეს შეტისმეტად გესლიანი სატირა გახლავთ,
და, ზე მგონია, ქორწინებას არ მოუხდება.

(კითხულობს)

„პირამუსისა და იმისი ტრფიალი თისბის
სევდისმოგვრელი კომედია, სხარტულად გრძელი“.
ჰა, სევდიანი კომედია! სხარტიც და გრძელიც!
ცხელი ყინული გეთქვათ ბარემ! და შავი თოვლი!
როგორღა უნდა შევათანხმოთ ეს უთანხმოება?!

ფილოსტრატი

არ შევხვედრივარ ჯერ პიესას, ასე მოკუცულს —
სულ ათი სიტყვაც არ იქნება, მაგრამ რად გინდა —
ეგ ათი სიტყვაც ზედმეტია, ჩემო ბატონო,
და იმიტომაც გრძელი მოჩანს. მთელ პიესაში
ვერც სიტყვას ნახავ შესაფერისს და ვერც მსახიობს.

თან მართლაც სევდის მომგვრელია, ბატონო ჩემო.
რადგან თავს იკლავს პირამუსი... უნდა გამოვტყდე,
რეპეტიცია რომ ვიზილე, ცრემლები წამსკდა;
ჯერ არ მომხდარა ქვეყანაზე, რომ სიცილის დროს
ამაზე მეტი მხიარული ცრემლი ეღვაროთ.

თ ე ზ ე უ ს ი

მსახიობები ვინ არიან?

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ი

აქაურები.

ხელდაკოყრილი ხელოსნები, რომელთაც დღემდე
ტვინის განძრევა ერთხელაც არ დასჭირვებიათ.
ახლა კი თქვენი ჯვარისწერის აღსანიშნავად,
ხომ ხედავ, თავი მოიქაჩლეს — პიესა გიძღვნეს.

თ ე ზ ე უ ს ი

მაშ, ჩვენც ეგ ვნახოთ.

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ი

აჰ, რას ბრძანებ, ბატონო ჩემო.

მე აკი ვნახე. ეგ რა თქვენი საკადრისია —
ჯერ არ ნახული სიგიჟე და აბდაუბდაა.
მარტო იმათი ფხაკური და თავგადაკლული
მოწადინება თუ გაგართობს.

თ ე ზ ე უ ს ი

უთუოდ ვნახავ.

ასეთი წრფელი და კეთილი გულით მოძღვნილი
არ შეიძლება ცუდი იყოს. ახლა იგასწი და
აქ მომიყვანე. გთხოვთ, დაბრძანდეთ, ქალბატონებო.

(ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ი გადის)

ი პ ო ლ ი ტ ა

ვერ ვიტან ხოლმე უბადრუკთა თავგამოდებას.

თ ე ზ ე უ ს ი

მაგას არც ნახავ, სიყვარულო.

სიგიჟეა და აბდაუბდა ცარიელიო!

თ ე ზ ე უ ს ი

მით უფრო დიდი გამოჩნდება ჩვენი სიკეთე,
როცა მადლობას გადავუხდით აბდაუბდისთვის.
იმათ შეცდომებს შეწყნარებით მოვეკიდებით.
კაცს თუ არ ძალუძს დაგიმტკიცოს თვის ერთგულება,
შენ იგი უნდა დააფასო მონდომებისთვის.
ასეც მომხდარა — გამოჩენილ მწიგნობრებს ზოგჯერ
გალუწყვეტიათ კარგი სიტყვით მომსალმებოდნენ.
წინასწარ ჰქონდათ გულმოდგინედ მომზადებული.
მაგრამ კანკალი აიტანდათ, რომ შემხედავდნენ,
სიტყვა შუაზე უწყდებოდათ, სუნთქვა ეკვროდათ,
დადუმდებოდნენ მუნჯებით და ამ მზა სიტყვას
ვეღარ მეტყოდნენ. მაგრამ მენდე, ჩემო ძვირფასო.
მათი დუმილი ჩემთვის მეტის მეტყველი იყო,
და ამ მღუმარე მოკრძალებით მეტს მანიშნებდნენ.
ვიდრე ეს ძალუძთ ენადამტკბარ მოლაქლაქეებს.
უთქმელობა და სიყვარულის უბრალოება,
მე ასე ვფიქრობ, მუდამ მრავლის მეტყველი არის.

(შემოდას ფილოსტრატი)

ფ ი ლ ო ს ტ რ ა ტ ი

პროლოგი უკვე აქ გეახლათ, ჩემო მეუფევ.

(ისმის საყვირის ხმა)

თ ე ზ ე უ ს ი

შემოიყვანეთ.

(შემოდის პროლოგი)

პ რ ო ლ ო გ ი

ჩვენი კეთილი სურვილები მიიღოთ უნდა
და არც იფიქროთ მოვსულიყოთ: თუკი თქვენც გნებავთ.



არა. კეთილი სურვილებით — ეს გვინდა მუდამ.
 ამით დავიწყოთ დასასრულის მოახლოება.
 მაშ ასე, რაკი შემოვდივართ, იმასაც გეტყვით,
 თქვენს მოწონებას არ დავეძებთ, მეტი რა გიყოთ.
 ჩვენი მიზანი ეს იქნება გულდასაწყვეტი.
 რაკი მოვედით, თითქოს სულაც არ მოვსულიყოთ.
 გვინდა, განანოთ. ასეთია ჩვენი განზრახვა.
 და რისი ნახვაც გულით გსურდათ, გაჩვენოთ ახლა.

თ ე ზ ე უ ს ი

მაინცდამაინც დალაგებული ლაპარაკი ვერ სცოდნია ამ ყმაწვილს.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

ისე შემოაჯირითა თავისი პროლოგი, გეგონება გაუხედნავ კვიცზე ზი-
 სო. ვერა გრძნობს, სად უნდა დაუჭიროს სადავე. ლაპარაკს რა ფასი
 აქვს, დალაგებულად თუ არ ილაპარაკე.

ი პ ო ლ ი ტ ა

ისე ააჭყვიტინა ეს თავისი პროლოგი, თითქოს ბალლი გუდასტვირს
 აწვალეხსო. ჭყვიტინით კი აჭყვიტინებს, მაგრამ ერთი ბგერა მეორეს
 სულაც არ ეგუება.

თ ე ზ ე უ ს ი

გაბურღული ძეწკვი რომ გღნახავს — თითქოს არსად არ არის გაწყ-
 ვეტილი, მაგრამ თავსა და ბოლოს მაინც ვერ გაუგებ. აბა, ახლა ვინ
 უნდა გამოვიდეს?

(შემოდინ პ ი რ ა მ უ ს ი და თ ი ს ბ ი, კ ე დ ე ლ ი, მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი და
 ლ ო მ ი)

პ რ ო ლ ო გ ი

იქნებ ვერ მიხვდით ამ პიესის თავსა და ბოლოს,
 ეგ არაფერი — მოგახსენებთ ყველაფერს ახლა:
 ეგ კაცი გახლავთ პირამუსი, იცნობდეთ. ხოლო
 ეს მშვენიერი ქალბატონი კი თისბი გახლავთ.
 აგერ ეს კაცი, წათხიბნილი კირით და თიხით,
 გალავანია — მიჯნურების ზღუდე მაღალი,

ხოლო ამ ხვრელით, საიდუმლო, — ალბათ თქვენიც
მიხვდით.



ქართული
საქმიანობა

უნდა ერთმანეთს უჩურობდნენ, ახალ-ახალი.

ეს კაცი, კიდევ, ბუჩქითა და ფანარით ხელში, —
თან საცოდავად მობუზული ძაღლი რომ ახლავს, —
მთვარის სხივია — მაგის შუქზე უკუნეთ ბნელში

ორი მიჯნური ნინუს ძეგლთან ერთმანეთს ნახავს.

ესეც ნადირთა მბრძანებელი — მძვინვარე ლომი,
თისბის დალანდავს, სატროფოსაკენ სისწრაფით მავალს.

შიშს მოჰგვრის ბედკრულს (თუ შეაკრობს), საკბილოს

მდომი.

და ქალიც ხელად გაეცლება, სირბილით წავა.

თვითონ კი წავა, მოსასხამი დარჩება ტყეში,

რასაც სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯს ლომი კბილებით,

ამ წაროს ჭაბუკი პირამუსი შემოვა ხვნეშით,

და იმ მოსასხამს დაინახავს ის გაკვირვებით.

რაღა უნდა ქნას, ხელად იძრობს სისხლისმამელ მახვილს

და გულს გაიბობს — ვეღარ შესძლებს ამის ატანას...

საბრალო თისბიც გადირევა ამის დანახვით,

გამოვარდება ბუჩქებიდან, იშიშვლებს დანას

და ისიც იქვე გაგორდება... დანარჩენ ამბავს

აგერ ეს ლომი, გალავანი, სხივი მთვარისა

და მიჯნურები მოგახსენებთ ყველას, წამისად.

(გაღიან პ რ ო ლ ო გ ი, პ ი რ ა მ უ ს ი, თ ი ს ბ ი, ლ ო მ ი და მ თ ვ ა რ ი ს
ს ხ ი ვ ი)

თ ე 'ხ ე უ ს ი

ხეტა ლომიც თუ ალაპარაკდება!

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ეგ რა გასაკვირია, ბატონო: ამდენი ვირი თუკი ლაპარაკობს, ლომს
რაღა დაუშლის.

კ ე დ ე ლ ი

ამ პიესაში კედელი ვარ, აგერ ამხელა,

თუ კი დრუნჩას მეძახიან ზედმეტ სახელად.

ახლავე თუ არ გაგიმხილეთ, არ მაძლევს გული —
ჭუჭრუტანა მაქვს მე კედელში დატანებული.
აქ ჩურჩულებენ, გამწარებით ღამით თუ დღისით
ორი მიჯნური — პირამუსი და სატრფო მისი.
ჩემი კედლობა თუ არ გჯერათ, თქვენ თვითონ ნახეთ —
აღიხითა და თიხით მოსვრილს არ მიჩანს სახე.
ჰა, ჭუჭრუტანაც — მარცხნითაც ჩანს, მარჯვნითაც, აგერ,
აქ საჩურჩულოდ მიაწებებს მიჯნური ბაგეს.

თ ე ზ ე უ ს ი

რას ერჩით ამ თიხაში აზელილ ჯაგარს, ამაზე დაწყობილად როგორ
უნდა ილაპარაკოს?!

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ამისთანა ენამახვილ ჯებირს ჯერაც არ გადავყრივარ, ჩემო ბატონო.

თ ე ზ ე უ ს ი

ჩუმად. პირამუსი კედელს უახლოვდება!
(შემოდის პირამუსი)

პ ი რ ა მ უ ს ი

ო, ღამევ, ღამევ, დაბღვერილო, ო, ღამევ შავო!
ო, ღამევ, ღამევ! დღე წავა და გაჩნდები მყისვე!
ო, ღამევ, ღამევ! ვაგლახ, ვაგლახ! შენ ჩემო თავო!
ვაი, თუ თისბის დაავიწყდა აქ მოსვლა ისევ!
შენ კი, კედელო! ო, კედელო, კედელო ტკბილო,
ჩვენი მამების მამულების საზღვარზე მდგარო!
ეგ შენი ხვრელი მომიშვირე, სატრფო ვიხილო.

(კედელი თითებს გააკეთებს)

მადლობელი ვარ!.. ნუმც მოგაკლდეს წყალობის წყარო.
მაგრამ რას ვხედავ? ოი, თისბის მე ვერსად ვხედავ!
ოი, კედელო, დაწყევლილო. ეს რა მიყავი!
წყეულიმც იყოს შენი ქვები, რად მიღალატე.

თ ე ზ ე უ ს ი

კედელიც ხომ გონიერი ყმაწვილი ბრძანდება, ალბათ ეგეც კარგა
მაგრად გამოლანძღავს.

ფსკერა



აჰ, რა ბრძანებაა, ბატონო, ეგ არ მოხდება. „რად მილალატეო“
კი არ ვეუბნები, თისბის ვეუბნები; საცაა უნდა შემოვიდეს და კედ-
ლის ხვრელში ვუთვალოთვალე. ნახე თუ ასე არ მოხდება... აჰა, მო-
დის კიდევ.

(შემოდის თისბი)

თისბი

ბევრჯერ იცმენია, ო, კედელო, შენ ჩემი კვნესა,
რადგან პირამუსს ეფარები, აქეთკენ მზირალს!..
რანდენჯერ კოცნით შევხებივარ შენს უგრძნობ ქვებაა,
და პირი თისით გამვსებია სატროფოზე მტირალს!

პირამუსი

ო, მის ხმას ვხედავ. მომიშვირე ეგ ხვრელი ჩქარა,
ვიხილო კიდევ, რაკი მესამის მე თისბის სახე.

თისბი

ო. პირამ. პირამ. საყვარელო. შენი ვარ მარად.

პირამუსი

ვიცი ჩემი ხარ! მეც მარადჯამს შენად დამსახე.
ლიმანდრის მსგავსად შენი ტროფობით გული მაქვს სავსე.

თისბი

მეც, ელენივით. შენთანა ვარ გულით, ფიქრებით...

პირამუსი

ალბათ შეაფალსაც არ უყვარდა პროკრუსი ასე.

თისბი

მეც, შეაფალივით. შენი ვარ და შენი ვიქნები.

პირამუსი

მაგ ხვრელს ტუჩები მოაწებე, მაკოცე თისბი.

თისბი

ხვრელსადა ვკოცნი, ველარ გავხდი ტუჩების ღიბნი

პირამუსი

ხინუს საფლავთან მოდი. თისბი, ნუ დამაღონებ.

თისბი

კიდევ რომ მომკლან, მაინც მოვალ, არ დავაყოვნებ.

(გაღიან პირამუსი და თისბი)

კედელი

ჩემს საქმეს მოვრჩი — მოვიშორე ჩოლი თავიდან,
და რაკი მოვრჩი, რა ვაკეთო, ბარემ წავიდე.

(გაღის)

თეზეუსი

ზედავთ, დაინგრა მეზობლების გამყოფი ჯებირი!

დემეტრიუსი

აბა რა მოუვიდოდა, ჩემო ბატონო, ასე გაფაციცებით რომ უგდებდა
ყურს სხვის საიდუმლოს. და ისიც გაუფრთხილებლად.

იპოლიტა

ამისთანა სისულელე ჩემს დღეში არაფერი მინახავს.

თეზეუსი

ამ ჯურის ხალხი, ძალიანაც კარგი რომ შეგხვდეს, მაინც ჩრდილია
და მეტი არაფერი. მაგრამ ყველაზე ცუდსაც რომ გადაეყარო, იმდენად
ცუდი კი არ გამოჩნდება, წარმოსახვას თუკი მოიშველიებ.

იპოლიტა

ეგ ხომ ჩვენი წარმოსახვის წყალობით გამოვა. მაგათ რა, მერე?!

თეზეუსი

თუ ჩვენც იმაზე უარესად არ მივიჩნევთ მაგათ, ვიდრე თვითონ ში-
აჩნიათ თავიანთი თავი, მაშინ იქნებ დიდებულ ხალხადაც კი გასაღ-
დნენ... აგერ, ორი კეთილშობილი მხეცი მობრძანდება—მთვარე და
ლომი.

(ქემოდთან ლომი და მთვარის სხივი)

ლომი

ქალბატონებო, თქვენს ნაზ გულებს, გრძნობებით აშლილს, თაგვის ფაჩუნიც აკრთობს ხოლმე და შიშით ზარავს.

ლომის ღრიალს რომ გაიგონებთ, რას იზამთ მაშინ —
აცანცახდებით, ატოკდებით ლერწამის დარად.

მაგრამ გახსოვდეთ — არც ლომი ვარ, არც ცოლი ლომის,
მე კონტაბრუწას მეძახიან, ხუროს — ხელობით,
ლომი რომ ვიყო — სისხლისა და საკბილოს მდომი,
მაშინ, თვითონვე. თქვენი მსხვერპლი შევიქნებოდი.

თეზეუსი

ხედავთ. რა კეთილი ნადირი ყოფილა, თანაც როგორი პატიოსანი!

დემეტრიუსი

ომისთანა ნადირია, რომ ხელად მოინადირებს კაცის გულს, ჩემს დღე-
ში არ მინახავს მაგისთანა ნადირი, ბატონო ჩემო.

ლიზანდრი

ლომ ლომია, სიმამაცით მელასაც კი არ დაუდებს ტოლს.

თეზეუსი

ჭკუით კიდე — ბატს.

დემეტრიუსი

ეგ მთლად ასე არ გახლავთ, ჩემო მეუფევ. მაგას ჭკუა უფრო უჭრის.
ვიდრე მამაცობა, მელა, კიდე, ყოველგვარ ბატს დასძლევს.

თეზეუსი

მე კი მგონია, მამაცობაზე ძლიერი არც ჭკუა აქვს — როდის მომხდა-
რა, ბატი მელას მორეოდეს. თუმცა ჭკუის საქმე თვითონ იკითხოს,
ჩვენ აგერ მთვარეს მოვუსმინოთ, ვნახოთ რას გვეტყვის.

მთვარის სსივი

რქამორკალური მთვარე გახლავთ ჩემი ფანარი...

დემეტრიუსი

რქები თვითონ უნდა დაედგა თავზე.

თ ე ზ ე უ ს ი

ხამგალა მთვარე კი არ გეგონოს — რქები უხილავად ამოზრდილი.



მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი

რქამორკალური მთვარე გახლავთ ჩემი ფანარი.
შე კი კაცი ვარ. იმ მთვარეზე დამკვიდრებული.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

სიხათლიაა ეშინია, ხომ ხედავთ, ანთებულია.

ი პ ო ლ ი ტ ა

თავი მოშაბეზრა მაგ მთვარემ, ნეტა აღარ შეიცვლება?

თ ე ზ ე უ ს ი

შენ ფიქრი ხუ გაქვს, ისე მკრთალად ანათებს მაგისი გონება, რომ ეტყობა დაღევანება. ეგეც რომ არ იყოს, თავაზიანობას მაინც ვერ ვუღალატებთ. უნდა მოვითმინოთ.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

ვანაგრძე. მთვარევ.

მ თ ვ ა რ ი ს ს ხ ი ვ ი

ბევრი კი აღარაფერი მაქვს სათქმელი; მარტო ის უნდა მეთქვა, რომ ეს ფანარი — მთვარეა; მე — მთვარეზე დამკვიდრებული კაცი ვარ; ეს ეკლის ბუჩქი — ჩემი ეკლის ბუჩქია; და ეს ძაღლიც — ჩემი ძაღლია.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

მაშ ფანარში უნდა შევძვრეთ ყველანი. ეგენი ხომ სულ მთვარეზე არიან!.. ჩუმად, თისბი მოდის.

(შემოდის თისბი)

თ ი ს ბ ი

ჩინუს საფლავი!.. ჩემი სატროფო სად არის, ნეტა?

(ლომი ღრიალებს, თისბი გარბის)

ლ ო მ ი

ო...

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ყოჩად, ლომო, კარგად ღრიალებ.

თ ე ზ ე უ ს ი

შენც ყოჩადად გავარდი, თისბი.

ი პ ო ლ ი ტ ა

შენც კარგად ანათებ, მთვარევ... ჰა, მართლაც დიდებულად არ ანათებს!

(ლომი თისბის მოსახამს დაფლეთს და გავარდება)

თ ე ზ ე უ ს ი

ჰო. ჰო, რას გამოენთო!..

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

საცაა, პირამუსიც გაინდება.

ლ ი ზ ა ხ დ რ ი

ლომი აღარ დახვდება.

(შემოდის პ ი რ ა მ უ ს ი)

პ ი რ ა მ უ ს ი

მადლობას გიძღვნი სინათლისთვის, ძვირფასო მთვარევ.

მადლობას გიძღვნი, სიკაშკაშეს რომ აფრქვევ თვალებს.

მადლობას გიძღვნი, დღე'ათვით რომ ანათებ ღამეს,

შენი წყალობით, ჩემს თისბისაც ვიხილავ მაღი.

მაგრამ დაიცა!.. ჰოი. ვაგლახ მე!..

ღმერთო ძლიერო, როგორ დამლახვრე!

საბრალო რაინდს რა მერგო ბედად —

რა სატანჯველი!..

რა განსაცდელი!..

ჩემო ჭუჭულო, ამა' რას ვხედავ!

ამ 'შენს მანტიას

სისხლი ატყვია!..

ფურის ლაშქარო. მიშველე ჩქარა!

სდიეთ, დალახვრეთ,

სცეპეთ გალახეთ,

გასრიხეთ, მოსპეთ... მოთმენა კმარა.



თ ე ზ ე უ ს ი

ამისთანა ელდა და ძვირფასი მეგობრის სიკვდილი მართლაც რომ გა-
ამწარებს ადამიანს.

ი ა ო ლ ი ტ ა

თავს გეფიცებით, ნამდვილად მებრალება ეს კაცი.

პ ი რ ა მ უ ს ი

ჰოი, ბუნებავ, ნეტა ლომებს რად აჩენ ქვეყნად?!
რომ ჩემს საყვარელს მოუსწრაფოს სიცოცხლე წმინდა?!
ის ქალი იყო... ქალი... ო, ნუ ჩამითვლით კვებნად,
ვისაც ბადალი არ ჰყოლია გაჩენის დღიდან!
 ცრემლის მდინარემ წამლეკოს ლამის...
 ხმალო, ქარქაში დასტოვე წამით,
 მკერდს დაეძგერე ზედ ძუძუს არეს,
 გააპე გული
 დამწუხრებული
და მომკალ, მომკალ, მომკალი ბარემ.

(თავს იკლავს)

 გავთავდი მყისვე,
 მივფრინავ ცისკენ.
აღარ ვითვლები ცოცხლებში სულაც...
 ენავ, ჩაშავდი,
 მთვარევ, წაშავდი,

(მ თ ვ ა რ ე გადის)

ბოლო მომედო, გავთავებულვარ.

(კვდება)

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

რაო? ბოლოც მოედო და თავიც?! სწორედ ამაზეა ნათქვამი. თავსა
და ბოლოს ვერ გაუგებო.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

გათავებულს ისევ ბოლომოდებული სჯობია, მაგისთანა კაცს თავი
ვინ მისცა.



თ ე ზ ე უ ს ი

რათა, დოსტაქარი თუ მოაშველეს, იქნებ ვირის თავი გამოაბნას

ი პ ო ლ ი ტ ა

ძალიან უდროოდ დროს კი გავიდა ეს მთვარე: თისბი რომ მობრუნდება, შეყვარებული როგორღა ნახოს?!

თ ე ზ ე უ ს ი

ვარსკვლავების სინათლეზე მოძებნისა. აგერ, მოდის კიდევ. ერთს იფეთქებს და პიესაც დამთავრდება...

(შემოდის თისბი)

ი პ ო ლ ი ტ ა

იმედი მაქვს, მალე მოათავებს: ამისთანა პირამუსზე დიდხნით აფეთქება უხერხულიცაა. ერთი ბეწვი კმარა, რომ ან თისბისკენ გადაიხაროს სასწორი ან პირამუსისკენ; პირამუსი — როგორც კაცი, ღმერთო დაგვიფარე, თისბი კი — როგორც ქალი, ღმერთო გვიშველე.

ლ ი ზ ა ნ დ რ ი

უკვე შენიშნა თავისი მშვენიერი თვალებით.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

შენ ახლა იკითხე ჩვენშა და კრუსუნი.

თ ი ს ბ ი

ჩემო მტრედო, გძინავს განა?

თუ სიკვდილმა წაგიყვანა?

ო, პირამუს, ადექ, წამო!

ჩმა გამეცი, რას დამუნჯდი?!

მიპასუხე, ნუ ხარ ურჩი...

ძიწამ უნდა შეგიჭამოს

ეგ თვალები, ბროლის დარი,

ბაგე-ტუჩი სანუკვარი,

ვარდისფერი კოხტა ცხვირი,

ეგ ლაწვები. დაბრაწული...

მაშ წახვედი გაგძვრა სული?

მიტომ ვტირი, მიტომ ვყვირი.



საშო დაო, მე თქვენ გელით,
ეგ რძისფერი თქვენი ხელი.

რაკი სისხლით მოითხვარეთ,
როცა სატრფო მომიკალით
და ღამტოვეთ ობლად ქალი...

ნუ აყოვნებთ, მოდით ბარემ.
ენავ, ჩუმად, მოდი ხმალო,
რალაც უნდა დაგავალო;
ეს გულმკერდი გამეტებით
გამიბე და მორჩი ხელად...

(თავს იკლავს)

აწ მშვიდობას გითვლით ყველას.

ვკვდები, ვკვდები, ვკვდები. ვკვდები.

(კვდება)

თ ე ზ ე უ ს ი

მთვარე და ლომი ამ დახოცილთა დასამარხად დარჩნენ ცოცხლები!

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ღიან. და კედელიც მაგათთან ერთად.

ფ ს კ ე რ ა

არა, ბატონო, თავი ნუ მომიკვდება, არა. მაგათი მამების გამყოფი
კედელი უკვე დაინგრა. ახლა რას ინებებთ — ეპილოგს ნახავდით
თუ ბერგომასკულ ცეკვას მოისმენდით? ჩვენი ორი მსახიობი იცეკ-
ვებს.

თ ე ზ ე უ ს ი

ეპილოგს მოეშვით, თქვენი ჭირიმეთ. თქვენს პიესას მობოდიშება რა-
ში სჭირდება? მოსაბოდიშებელი რა გაქვთ: ვიხც თამაშობდა, ყველა
გაწყდა — ვილა უნდა გავკიცხოთ! იცოცხლე, კარგი იქნებოდა, თვით
ამ პიესის დამწერს რომ ეთამაშა პირამუსის როლი და მერე თისბის
წვივსაკრავზე ჩამოეხრჩო თავი, ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა. თუმ-
ცა კაცმა რომ თქვას, ისედაც კარგია. კარგად გაითამაშეთ. აბა,
თქვენი ბერგომასკული ცეკვა გვაჩვენეთ. ეპილოგს მოეშვით.

(ცეკვა)

ჰე. შუალამის რკინის ენამ თორმეტჯერ დაჰკრა
 აბა საწოლებს: მიაშურეთ, შეეყვარებულნო,
 ევერიული ჯადოქრობის უამი დაგვიდგა.
 როგორც ამ ღამეს შევყევით და დიდხანს ვიფხიზლეთ,
 ვშიშობ, რომ დილით ძილს შევყვებით. დაქანცულები
 ამ სულელურბა წარბოდგენამ ზოზინა ღამე
 ცოტათი მაინც შეგვიმოკლა, შეგვიმსუბუქა.
 აბა, ძვირფასო მეგობრებო, ლოგინში ჩქარა!
 ჯერ ორი კვირა ისევ წინ გვაქვს — ეს ორი კვირა
 გადაბმულ ლხინს და დროსტარებას უნდა დავუთმოთ

(გაღიან. შემოდის პაკი)

პ ა კ ი

გაბმით ღრიალებს მშიერი ლომი,
 მთვარეს შეჰყმუის მგლის ხროვა, მწყრალი,
 გლეხი, დადლილი. მთელი დღის შრომით,
 მიგდებულა და ზვრინავს, საწყალი.
 ჩანაცრებულა ბუხარში ცეცხლი,
 ჭოტი მოთქვანს და გაჰკივის მწარედ,
 ჭოტის კივილზე სნეული ხვნეშის
 და ეჩვენება სუდარა მკვდარის.
 ფართოდ გააღებს ხახას სამარე,
 და შუალამის რომ დაჰკრავს უამი,
 წრიალს იწყებენ სულები გარეთ,
 დასრიალებენ -- არც ისმის ჩქამი.
 ჩვენ ფერიები, ჩვეულ სიანციით
 გავეკიდებით ჰეკათას რაშებს,
 როგორც სიზმარი, დავჰყვებით ღამეს,
 მზეს ვემალებით -- სიბნელეს ვარჩევთ.
 არსად გაისმას თაგვის ფაჩუნიც,
 სიმშვიდე ღამის შესძრას არავინ!
 მე დამაკისრეს საქმე საშური —
 ცოცხით დავგავო ყველა კარავი.



ობერონი

მბუტაგი ცეცხლის სიხათლევ კმარა,
რომ იავაჩალოთ ცეკვა-მოლხენა,
ახლა მოჰყევითი ჩიტების დარად,
სკუბ-სკუბით ბტუნვას და ცაში ფრენას.
სიმღერაც დავცხოთ — არ დავახანოთ,
მე დ ვიწყებ და მითხარით ბანი.

ტიტანია

ჯერ დავისწავლოთ შენი სიმღერა,
ყველა სიტყვა და ყოველი ბგერა...
მერე ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი
და კურთხეულვპყოთ ეს სამყოფელი.

(მღერიან და ცეკვავენ)

ობერონი

მთელი სასახლე გასინჯეთ ფრთხილად,
ჯანამდე კარზე მოგვადგა დილა;
პირველ პატარძალს მივუძღვნათ გულით
პირველი ლოცვა და სიხარული
მოქებნეთ მისი საწოლი ხელად
და სასოებით ვაკურთხოთ ყველამ,
არ მოჰკლებოდეს ლხენას, ღრეობას
იქ გაჩენილი მემკვიდრეობა...
მერე დავლოცოთ ის ორი წყვილიც —
მათაც ცხოვრება ჰქონოდეთ ტკბილი,
მათაც ჰყოლოდეთ შეილები სადი,
არ დააჩნიოს ბუნებამ დადი,
არ დაჰყოლოდეთ სხეულის ხაკლი,
არც კურდღლის ტუჩი, არც სხვა რამ მანკი,
არც ლაქა სადმე, არც განაკაწრი,
სათხოდ მოექცეს ბუნება მკაცრი.
შემოურბინეთ სასახლეს წამით
და შოაჰკურეთ ეს მინდვრის ხაში.

არ მოჰკლებოდეს პატრონს ძეობა,
სიხარული და კეთილდღეობა,
გასწიეთ ჩქარა,
ზოზინი კმარა,
დილიც მეწვიეთ ჩემს ვასახარად.

(გადიან ობერონი, ტიტანია და აშალა).

პაკი

თუკი რაძეზე დაგწყვიტეთ გული,
თუ ეს გართობა არ იყო სრული
და გაგიცრუეთ იმედი მწარედ,
მაშინ ეს თხოვნაც მიიღეთ ბარემ:
ჩამოგეძინათ სკამებზე თითქოს
და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყო.
რაკილა სტვენით არ აგვიკელით
და მოგვიტევეთ ცოდვები ჩვენი,
რაკი შეგვიწოდეთ და არ დაგვიძრახეთ,
პაკი არ ვიყო, ცრუ დაჰიძახეთ,
თუ მალე ისევ აქ არ გიხილოთ
და თქვენს გემოზე არ ჰოგილხინოთ.
ახლა მშვიდობით!.. კვლავაც გპირდებით —
სიტყვას არ ფავტებ არას დიდებით.

(გადის)



მთარგმნელისაგან

ამ წიგნში შევიდა დიდი მწერლის ორი პიესა — ორი შედევი მისი მდიდარი და ყოვლისმომცველი შემოქმედებისა. თუ „მეფე ლირი“ შექსპირის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ტრაგედიად ითვლება და „ჰამლეტი“ გვერდით დგას, „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ასევე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაღალი პოეზიითა და ლირიზმით გასხივოსნებული კომედიაა.

„ზაფხულის ღამის სიზმარი“ პირველად ითარგმნა ქართულად. იგი 1964 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე, შექსპირის საიუბილეო დღეებში. იმავე წელს დაიბეჭდა კიდევ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“. ცალკე წიგნად პირველად გამოდის.

„მეფე ლირს“ უფრო დიდი ისტორია აქვს ქართულ თეატრსა და ლიტერატურაში. ჯერ კიდევ „დროების“ 1871 წლის ერთ-ერთ ნომერში ვხვდებით ცნობას, რომ „ლირი“ ვიღაც უცნობ პირს უთარგმნია. საყურადღებოა ის მოვლენა, რომ ამ ტრაგედიით თავიდანვე დაინტერესებულა ილია ჭავჭავაძე. მისივე ინიციატივით, და მონაწილეობითაც კი, ნი-იან წლებში ე. წ. ცოცხალი სურათები დაუდგამთ „მეფე ლირისა“. ალბათ ამან განაპირობა ი. მაჩაბლის არჩევანი, როცა იგი 1872-73 წელს, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, პირველად შეუდგა „ლირის“ თარგმნას. მალე ბანკის საქმეებზე ილიაც ჩადას პეტერბურგს და იწყება შექსპირის ამ დიდებული ტრაგედიის ერთობლივი თარგმნა. საინტერესოა ამ თარგმანის პირველი ხელნაწერი, (დაცული საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში), სადაც ცალკეულ სურათებშიაც კი მონაცვლეობით ვხვდებით ილიასა და მაჩაბლის ხელს. რამდენიმე სტრიქონი რომ მაჩაბლის ხელით არის დაწერილი, უცებ ილიას ხელწერა მოსდევს, მერე ისევ მაჩაბლისა და ა. შ. ისე არ უნდა გაფიგოთ, თითქოს მხოლოდ თავიანთი ხელით დაწერილი სტრიქონები ეკუთვნოდეს თვითვე მათგანს. არა. ისინი ერთად იხდნენ, ერთად მუშაობდნენ და ყოველი სტრიქონი — მათი ერთობლივი თარგმანია. მოკლე დროში ითარგმნა ეს ტრაგედია (ილიას პეტერბურგში ყოფნას დროს); მთარგმნელებმა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს წაუკითხეს იგი. შთაბეჭდილება განუსაზღვრელად დიდი იყო. ასევე დიდი მოწონებათ შეხვდა მას თბილისის და ქუთაისის საზოგადოება, სადაც პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილიამ თვით წაიკითხა ტრაგედიის თარგმანი. შექსპირის სხვადასხვა პიესა უწინაც ბევრს უთარგმნა ქართულად, მაგრამ ეს იყო პირველი ცდა, პირველი შესანიშნავი ნიმუში, რომელშიც ღირსეულად აქდებდა დიდი პუმანისტი მწერლის უკვდავი სტრიქონები. ამრიგად. ამ საქმესაც, შექსპირის ქართულ ენაზე თარგმნის საქმესაც, ივანე მაჩაბელთან ერთად, თავისი მაღლიანი ხელით დიდმა ილიამ ჩაუყარა საფუძველი. ამის შემდეგ „ლირის“ ეს თარგმანი ბევრჯერ დაიბეჭდა და სცენაზედაც ბევრჯერ განხორციელდა.

მაჩაბლის თარგმნილ სხვა ტრაგედიებისაგან განსხვავებით, „მეფე ლირის“ პირველ თარგმანში, მიუხედავად თარგმანის საერთო პოეტური ღირსებისა, თანამედროვე მკითხველისათვის ზომასე მეტი არქაიზმი და ენობრივი სამძიმე იგრძნობა. ამ რამდენიმე წლის წინათ მე საფუძვლიანად შევადარე თარგმანი დედანს და 1949 წელს გამოქვეყნებულ წერილში („ივანე მაჩაბლის თარგმანები“, „მნათობი“, 1949 წელი) ვწერდი კადეც, რომ ეს თარგმანი არის ერთადერთი გამონაკლისი, მაჩაბლის სხვა თარგმანთა შორის, სადაც ენა მეტისმეტად დამძიმებული და არქაულია. მეტ აწრობრავ შეცდომებსაც ვხვდებით. მაშინ ვწერდი, რომ მაჩაბლისეული თარგმანების შემდგომი გამოცემის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეს მოვლენა და ფრთხილი, მოკრძალებული რედაქცია გაჰკეთებოდა „ლირის“ თარგმანს. (იმ წერილშიაც გადაჭრით მქონდა აღნიშნული და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ „მეფე ლირს“ და არა შექსპირის სხვა მაჩაბლისეულ ტრაგედიებს, რომლებიც მხატვრული თარგმანის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს და დღემდე შექსპირის ტრაგედიების ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანებად ითვლება მთელ მსოფლიოში. ამ თარგმანებზე დრომ, შეიძლება ითქვას, სულაც ვერ იმოქმედა და კვლავ თანამედროვე ენის ბუნთქვით არის გაუღენთილი). ასეთივე გადაწყვეტილებით მოგპკიდე ხელი თარგმანს, როცა მისი დადგმა განიზრახა რუსთაველის სახელობის თეატრმა 1965-66 წლის სეზონში. მაგრამ თარგმანის რედაქცია აღვილი საქმე არ გამოდგა. ჩვენ საქმე გვქონდა ჩვენი დიდი წინაპრების ი. მაჩაბლისა და ილიას ტექსტთან და ამ ასი წლის წინათ მათგან სიყვარულით და თრთოლვით თარგმნილი სტრიქონების რედაქცია თუ შესწორება მეტისმეტად მძიმე შეიქნა.

ამან გამაბედინა, ხელი მომეკიდა თუმცა საპატიო, მაგრამ მეტად მძიმე საქმისათვის იელაზლა შეთარგმნა ის, რაც ამ ასი წლის წინათ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თარგმნეს. ჩემი ამოცანა იყო, უფრო თანამედროვე ენობრივი უღერადობა მიმეცა ტექსტისათვის და ორიგინალთანაც მეტი სიზუსტე დამეცვა.

რედაქტორი ნ. გურაბანიძე
მხატვარი ზ. რაზმაძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნიკური რ. იმნაიშვილი
კორექტორი ც. ქაროსანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XII-66 წ., ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 14,1. სააღრიცხვო-საგამომცემლო 10,08.
ტირაჟი 3.000. შეკვ. № 3300.

ფასი 64 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.
პლენანოვის 179. თბილისი 1966.



საქართველოს
ლიბრარიონი

Уильям Шекспир

Пьесы

Перевод с английского
Вахтанга Челидзе
(На грузинском языке)

Издательство «Литература და Хელოვნება»
Плеханова 179
Тбилиси 1966



ქართული
ბიბლიოთეკა

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина № 14.

[Handwritten text]

მეცხე / 13



ქართული
ბიბლიოთეკა





საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

